თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანული ფილოლოგია
(ფრანგული ენა)

გვანცა ვლადიმერის ასული ჭანტურია

„კომუნიკაციის დამყარების ენობრივი საშუალებები ახალგაზრდულ არასამთავრობო ჯგუფებსა და მთავრობას შორის"

(საფრანგეთის 1968 წლის მაისის ხალხის მასობრივი გამოსვლების მაგალითზე)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის (PH.D.) აკადემიური ხარისხის (ფილოლოგიის მიმართულებით) მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ია ფხაკაძე

თბილისი
2008წ

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 4

I ნაწილი 8

1. კომუნიკაცია და მისი არსი 8

2.კომუნიკაცია, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალება 17

ა). ინფორმაციის ცნება 17

ბ). შეტყობინება და კონტექსტი 21

3. გამოთქმა/გამონათქვამი 26

4. მოლაპარაკე პირი და მსმენელი 30

5. ინტერაქტიულობა და კომუნიკაციური ინტერაქცია 37

ა). რა არის ინტერაქცია? 37

ბ). კომუნიკაციური ინტერაქცია 42

II ნაწილი 47

ზეპირი კომუნიკაცია

1. დისკურსი 47

ა). დისკურსის ანალიზი 53

ბ). შესაბამისობის ცნება და კოჰეზია/კოჰერენცია 57

2. დისკურსის სხვადასხვა ტიპები 62

ა) პირდაპირი დისკურსი 62

ბ) ირიბი დისკურსი 64

3. საუბარი, როგორც ზეპირი დისკურსი 65

ა). საუბრის ანალიზი და მისი სტრუქტურა 69

ბ). ადამიანის კოგნიტიური ქმედების მოდელები და საუბარი74

გ). დიალოგი 75

დ). სამეტყველო ჯერი 78

ე). დიალოგური წყვილები 79
4. არგუმენტაცია კომუნიკაციაში 81
5. დისკურსთა ტიპოლოგია 86
6. პოლიტიკური დისკურსი 87
7. მედია-დისკურსი და ინფორმაციის საზოგადოება 93

III ნაწილი

1. 1968 წლის მაისის სტუდენტური გამოსვლების გამომწვევი მიზეზები 101
2. არგუმენტაციის როლი შარლ დე გოლის პოლიტიკურ დისკურსში 121
3. კონცეპტოსფეროს როლი ფრანგი ხალხის ილოკუციურ გამონათქვამებში 1968 წლის საყოველთაო გაფიცვის დროს132
დასკვნები 144
ბიბლიოგრაფია 152
დანართი 159

შ ე ს ა ვ ა ლ ი

კომუნიკაციის დამყარების მრავალი საშუალება არსებობს. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს კომუნიკაციის ენობრივი ხერხები. თუ რა ენობრივ საშუალებას იყენებენ კომუნიკაციის დასამყარებლად საზოგადოების წევრები. ენა ადამიანთა საზოგადოებაში კომუნიკაციის უპირატესი საშუალებაა ანუ სოციალური ურთიერთობების ინსტრუმენტია. ენა სოციო-კულტურული ქმედებაა და მისი სტრუქტურა განპირობებულია კოგნიტიური ან კომუნიკაციური ფუნქციით. იცოდე ენა ნიშნავს, შეგეძლოს გრამატიკულად სწორი, გამართული, სიტუაციასთან შესაბამისი ფრაზების წარმოქმნა და მათი გაგება. ამისათვის აუცილებელია ფსიქოლოგიური, კულტურული და სოციალური წესების ერთობლიობა, რომელთა საშუალებით ვიყენებთ ფრაზებს სოციალურ კადრში. ასევე მნიშვნელოვანია ის პირობითობები, რომლებიც კომუნიკაციის დროს ვერბალური ურთიერთობის ნორმალურ ფუნქციონირებას აწესრიგებენ. კომუნიკაციაში მონაწილეობენ თანამოსაუბრეები, რომელთა სტატუსი განსხვავებულია სიტუაციის მიხედვით. ეს თანამოსაუბრეები საზოგადოების წევრები არიან და ისინი განსხვავდებიან სოციალური სტატუსის მიხედვით. მაგალითად, ლიცეუმის დირექტორი და მასწავლებელი. ეს განსხვავებები წარმოშობენ განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობას. სოციოლინგვისტიკა კი დაინტერესებულია სოციალური უთანასწორობით, რაც ენის გამოყენებაშიც შეიმჩნევა. საუბრისას თანამოსაუბრეთა სტატუსი გავლენას ახდენს რეგისტრის არჩევანზე. სწორედ თანამოსაუბრის სოციალური სტატუსის მიხედვით ირჩევს მოლაპარაკე პირი ენის ქვეკოდებს შორის ერთ-ერთს. როცა ინდივიდები ურთიერთობას ამყარებენ, როგორც წესი, ამას ისინი აკეთებენ განსხვავებული წესებით, მიზნებით, ემოციებით, თუმცა საერთო ელემენტების არსებობა გარდაუვალია და აუცილებელიც კია იმისათვის, რომ საკომუნიკაციო აქტი საერთოდ შედგეს.

მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის ფაქტი, რომ ენა მხოლოდ კომუნიკაციის ინსტრუმენტი არ არის. იგი ასრულებს სიმბოლურ ფუნქციას საზოგადოებაში. ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებები ეფუძნება ენის სიმბოლურ ღირებულებას, როგორც საზოგადოების გაერთიანების ან პირიქით სეპარატიზმის ფაქტორი, ვიდრე კომუნიკაციის რეალურ საჭიროებას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი კვლევა ეფუძნება საფრანგეთის 1968 წლის მაისის სტუდენტურ მანიფესტაციებს და ამ მაგალითზე განვიხილავთ კომუნიკაციის დამყარების ხერხებს არასამთავრობო ახალგაზრდულ ჯგუფებსა და მთავრობას

შორის; ცხადია, ჩვენ განვიხილავთ ქვეყნის იმდროინდელ პოლიტიკურ, სოციალურ ვითარებას, თვით ამ მოვლენებს და ნაწილობრივ შევეხებით საერთოდ პოლიტიკას და მის როლს საზოგადოებაში თუ საზოგადოებისათვის; ამდენად ჩვენი თემა მეტად აქტუალურია და ამასთანავე შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს გარკვეულ სიახლეს, რადგან პოლიტიკური, სოციო-ეკონომიკური და ფილოსოფიური კუთხით მივუდგებით ენის, კერძოდ პოლიტიკის ენის შესწავლას (რომელიც მიუხედავად ენათა მრავალფეროვნებისა, ყველა ქვეყნის პოლიტიკოსისათვის ერთია).

თემის მიზანია კომუნიკაციის დამყარების იმ ენობრივი საშუალებებისა თუ ხერხების გამოვლენა, რაც გამოიყენეს ახალგაზრდებმა და მთავრობამ საკუთარი მიზნების მისაღწევად. მასობრივი გამოსვლების დროს ენის საკომუნიკაცო ფუნქციის ამოქმედებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ენა არის ფიზიკური ძალადობის ალტერნატიული საშუალება მეორე ადამიანისა და მოწინააღმდეგე ძალის დასარწმუნებლად.

საკვლევი მასალა მთლიანად ეყრდნობა მეტყველების აქტთა თეორიას, მეტყველების ილოკუციურ აქტებს და დისკურს-ანალიზს.

კვლევაში ძველ უკვე ყველასათვის ნაცნობ მკვლევართა გვერდით გამოყენებულია თანამედროვე მეცნიერების ნაშრომები. აღსანიშნავია, რომ მაგალითები აღებულია იმდროინდელი ფრანგული პრესიდან, (ხალხისა თუ მთავრობის სატელევიზიო, რადიო გამოსვლები, პრესაში დაბეჭდილი ინტერვიუები, შეფასებები და მიტინგზე გამომსვლელთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, ასევე ტრანსპარანტები, აფიშები).

უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი და არჩეული თემა – საფრანგეთის 1968 წლის მაისის ხალხის მასობრივი გამოსვლები – საქართველოში და თვით საფრანგეთშიც არასოდეს განხილულა ლინგვისტური თვალსაზრისით და ამ საკითხს არც ნაშრომი არ ეძღვნება. თემაში დეტალურად არის წარმოდგენილი 1968 წლის საფრანგეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ეს იყო იმ თაობის ფენომენი, რომელმაც შეძრა ხალხის ყველა ფენა. 68 წლის მაისი უფრო მეტი იყო, ვიდრე სტუდენტური მანიფესტაციები. უპირველეს ყოვლისა საქმე ეხებოდა ევროპაში ყველაზე დიდ გაფიცვას.

თემის ამოცანას წარმოადგენს დასახელებული საკითხის ირგვლივ თეორიული მსჯელობა და ამის საფუძველზე შესაბამისი ენისმიერი მონაცემების პრაქტიკული წარმოდგენა მაგალითების საშუალებით. კვლევის მიზნისა და

ამოცანის განხორციელების საბოლოო შედეგი ითვალისწინებს შექმნილი თეორიული დასაბუთების და ენისმიერი ადექვატურობის დადგენას.

1968 წლის მოვლენებმა ღრმა დაღი დაასვა ფრანგულ საზოგადოებას. ეს იყო, როგორც იმ თაობის ფენომენი, ასევე საზოგადოების კრიზისის გამოხატულება. ამ მანიფესტაციებმა ხალხის ყველა ფენა შეძრა. იმ დროის ფრანგული საზოგადოება ორგანიზებული იყო ტრადიციულად – დაყოფილი იყო იერარქიებად. ისინი, კერძოდ ახალგაზრდები და საშუალო ფენები ისწრაფვოდნენ ფართო ცვლილებებისაკენ. მათ არ მოსწონდათ და აკრიტიკებდნენ დეგოლისეულ პოლიტიკას. 68 წლის მაისი უფრო მეტი იყო, ვიდრე სტუდენტური მანიფესტაციები. უპირველეს ყოვლისა საქმე ეხებოდა ევროპაში ყველაზე დიდ გაფიცვას. ხალხის რისხვა არ ყოფილა სპონტანური, არამედ კონფლიქტის ფესვები ამ ეპოქის ფრანგულ საზოგადოებას ღრმად ჰქონდა ფესვებში გამჯდარი. მაგრამ ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით ამ მოვლენების დეტალურ განხილვაზე, რადგან მესამე ნაწილში ამას მთელი ერთი თავი ეძღვნება.

ჩვენი ნაშრომი შესდგება შესავლის, სამი ნაწილის – I და II ნაწილი თეორიული კვლევა, III ნაწილი – 1968 წლის მოვლენების მაგალითზე კომუნიკაციის ენობრივი საშუალებების ანალიზი და ბოლოს დასკვნისაგან.

ნაშრომი, თავის მხრივ, დაყოფილია თავებად და ქვეთავებად და მათ თან ერთვის სათანადო დასკვნები. სადისერტაციო ნაშრომს დართული აქვს დამოწმებული ლიტერატურის სია.

პირველ ნაწილში განხილულია ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა კომუნიკაცია და მისი არსი, კომუნიკაცია, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალება. აქ შევეხებით ისეთ ცნებებს, როგორიცაა ინფორმაცია, შეტყობინება და კონტექსტი; წარმოდგენილია ერთი ცალკე თავი, რომელიც ეძღვნება ისეთ საკითხს, როგორიცაა გამოთქმა/გამონათქვამი, მოლაპარაკე პირი და მსმენელი, ინტერაქტიულობა და კომუნიკაციური ინტერაქცია. ამისათვის განვიხილეთ ისეთი ავტორების ნაშრომები, როგორიცაა რ.ბარტი, კ.ბეილონი, ე.ბენვენისტი, ფ.ბრეტონი, გ.კლარკი, ჟ.კრისტევა, ვ.ლაბოვი, დ.მენგენო, ა.მოშლერი, ს.რემი-ჟირო, ჯ.სერლი, პ.სტროსონი, ა.ტრონიონი.

მეორე ნაწილში თავდაპირველად განვიხილავთ ზეპირი კომუნიკაციის ისეთ სახეს, როგორიცაა საუბარი, აქვე შევეხებით დიალოგსა და დიალოგურ წყვილებს, შემდგომ დისკურსსა და მის სხვადასხვა ტიპებს, რისთვისაც ჩვენთვის ამოსავალია ისეთი ნაშრომები, როგორიცაა ჟ.მ.ადამი, ჟ.აკომბრი, ჟ.ბეაკო,

ლ.ბელენჟერი, ფ.ბუდონი, პ.ბურდიე, ჟ.გემპერსი, ჟ.პ.გრაისი, ა.ჟ.გრეიმასი, ო.დიუკრო, ს.დიურერი, რ.იაკობსონი, ა.ოშლენი, ფ.ჟაკი, კ.ტომასე.

მესამე ნაწილში ჩვენ განვიხილავთ 60-იანი წლების ისეთ ფილოსოფიურ მიმდინარეობებს, როგორიცაა პოსტმოდერნიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი და დეკონსტრუქტივიზმი, რამაც ძლიერი ზეგავლენა იქონია ამ ეპოქის ახალგაზრდებზე და დიდი როლი ითამაშა საფრანგეთში 1968 წლის მაისის მოვლენების მომზადებაში. შევეხებით ეპოქის პოლიტიკურ და სოციო-ეკონომიკურ მოვლენებს, ხალხის უკმაყოფილების მიზეზებს; განვიხილავთ საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის პოლიტიკურ დისკურსს და მის გავლენას ხალხზე, ასევე ახალგაზრდების გამოსვლებსა და მოსაზრებებს; გამოვიკვლევთ კომუნიკაციის დამყარების ენობრივ საშუალებებს, ურთიერთობას ენასა და საზოგადოებას შორის და განვიხილავთ მეტყველებას, როგორც სოციალურ ფენომენს. ჩვენ გვაინტერესებს სწორედ ის ენობრივი ხერხები, რომლებიც გამოიყენეს მათ – მთავრობამ და ხალხმა – კომუნიკაციის დასამყარებლად. აქ საინტერესოა მათი სატელევიზიო, რადიო გამოსვლები, პრესაში დაბეჭდილი ინტერვიუები, შეფასებები და მიტინგზე გამომსვლელთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, ასევე ტრანსპარანტები, აფიშები. ამისათვის ჩვენ შევეცადეთ და მოვიკვლიეთ სხვადასხვა მასალები 68 წლის მაისის სტუდენტური გამოსვლების, საყოველთაო გაფიცვის შესახებ. ეს არის სხვადასხვა დოკუმენტური ფილმები, რაც მოვიძიეთ დიუმას ცენტრში და ასევე ინტერნეტში, სტატიები, სატელევიზიო გამოსვლები, ინტერვიუები. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ტექსტები წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს ენის სოციო-კულტურულ ასპექტში კვლევისათვის.

I ნაწილი

1. კომუნიკაცია და მისი არსი

ჩვენი ნაშრომი ეხება კომუნიკაციის დამყარების ენობრივ საშუალებებსა და ხერხებს. იგი სოციოლინგვისტური კვლევის ერთ-ერთი ძირითადი თემაა. ამისათვის აუცილებლად მიგვაჩნია კომუნიკაციის არსის შესწავლა, რისთვისაც დავეყრდნობით სხვადასხვა ავტორებს. მრავალმა სოციოლინგვისტმა მიუძღვნა ამ საკითხს ნაშრომები (კ.ბეილონი, ფ.ბუდონი, ა.ბუაიე, ფ.ბრეტონი, ლ.ბელენჟერი, ი.სუშინსკი, ნ.ლადარია).

აღსანიშნავი და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მეცნიერები განსხვავებულად განსაზღვრავენ სიტყვა „კომუნიკაციას".

ტერმინი „კომუნიკაცია" მოდის ლათინური სიტყვიდან ***„communicatio"***, რაც ნიშნავს „კავშირს". ფ.ბალი თვლის, რომ კომუნიკაცია არის იმ მოქმედების განვითარება და შედეგი, რასაც ჰქვია ლათინურად ***„communicare"*** (ბალი 1999:43). ყველანაირი კომუნიკაცია წარმოადგენს ორ ასპექტს: შინაარსსა და ურთიერთობას, სადაც მეორე შეიცავს პირველს. კომუნიკაციის შინაარსს კი წარმოადგენს ინფორმაცია. მისი მიზანია შეტყობინების გადაცემა (მაკაროვი 2003:213). იგი გამოიყენება როგორც სიტყვა „ურთიერთობის" სინონიმი, ე.ი. „კომუნიკაცია" არის ურთიერთობა, კავშირი. ადრე კომუნიკაციის ნაცვლად იყენებდნენ სიტყვა „ურთიერთობას", რომელიც მოიცავდა ადამიანთა შორის არსებული უშუალო კონტაქტების ყველა ფორმას. დღეს კი კომუნიკაციამ თითქმის სრულად შეცვალა სიტყვა „ურთიერთობა", დაიმკვიდრა მისი ადგილი და წარმოადგენს განსაკუთრებული შესწავლის საგანს სხვადასხვა მეცნიერებებში. სოციოლოგები და ფსიქოლოგები უპირატესად იყენებენ ტერმინ „კომუნიკაციას", იგი გამოხატავს ინდივიდთა ან ჯგუფებს შორის ურთიერთობის იდეას; ეს კი შეადგენს მათი დისციპლინის შესწავლის საგანს. შეტყობინების გაცვლის პროცესის შესწავლა გადამცემსა და მიმღებს შორის მოიცავს ყველა სოციალურ და ფსიქიკურ ფენომენებს. ისინი ურთიერთობის ფენომენებს წარმოადგენენ (სპერბერი 1989:7; ჟაკი 1988:50; ბუდონი 1999:49; სტროსონი 1986:7-8; ბელენჟერი 1989:152; ფერეოლი 1995:13). აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სოკრატესა (ძვ.წ.აღ.V-IVსს) და პლატონთან (ძვ.წ.აღ.V-IVსს) არსებობდა კომუნიკაციის ანუ ადამიანთა შორის ურთიერთობის პრობლემატიკა; დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დიალოგს ანუ, მათი აზრით, დამოუკიდებლად და განსხვავებულად მოაზროვნე ხალხს შორის ინტელექტუალურ ურთიერთობას. საგულისხმოა, რომ მეორე

პირის არსებობა და მასთან კომუნიკაციის პრობლემა მეორე პლანზე იყო კლასიკურ ფილოსოფიაში დეკარტთან (1596-1650წწ) და კანტთან (1724-1804), მაგრამ პირველ პლანზე გადავიდა ჰეგელის (1770-1831) ფილოსოფიაში, შემდეგ ფენომენოლოგიასა და ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში და ცენტრალურ ადგილს იკავებს თანამედროვე აზროვნებაში. მიზეზი საკმაოდ რთულია. რ. დეკარტთან **(„Méditations“)** „ეჭვის აქტით დასტურდება ჩემი არსებობა, რადგანაც მე ვაზროვნებ; შემდეგ დასტურდება ღმერთის არსებობა, როგორც ჩემი არასრულყოფილების ეჭვი, რაც ჩემში ბადებს სრულყოფილი არსების ანუ ღმერთის იდეას“ (რაფენი 1977:67). ადამიანი, ამგვარად, პირდაპირ კავშირშია ტრანსცენდენტულობასა ან აბსოლუტურობასთან. ამიერიდან მეორე პირის არსებობისა და მასთან ურთიერთობის ონტოლოგიური პრობლემა არ დაისმის ერთბაშად, რადგან მეორე პირის არსებობა, როგორც სამყაროს დასტური, გვერდს უვლის ღმერთს. მეორე პირთან ურთიერთობა დაიყვანება ემპირიულ ურთიერთობამდე, რაც აღწერილია რ. დეკარტთან **(„Traité des passions“)** (რაფენი 1977:68).

საგულისხმოა, რომ „აშეტის“ **(Hachette)** ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით კომუნიკაცია არის იმ ფენომენთა ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს ერთ სუბიექტს, ინფორმაცია გადასცეს მეორეს დანაწევრებული, არტიკულირებული მეტყველების (**langage articulé**) ან სხვა კოდების მეშვეობით. მ.მაკაროვის (კომუნიკაციის) ინფორმაციულ - კოდური მოდელი არის შემდეგი: მოლაპარაკე (გამგზავნი) და მოლაპარაკე (მიმღები) ფლობენ ენობრივი კოდირების (დეკოდირების) საშუალებებს და პროცესებს, რომლებიც ამუშავებენ და ინახავენ აზრს ან ინფორმაციას. ზეპირმეტყველებაში „სიგნალი“ აკუსტიკურია, ხოლო „კავშირის არხი“ – ნებისმიერი ფიზიკური გარემო, რომელიც ხმოვან ტალღებს ატარებს (მაკაროვი 2003:33). სამეტყველო კომუნიკაციის ასეთი შეხედულება ეფუძნება ორ თეზისს: პირველ რიგში, თითოეული ენა (ჰინდი, ინგლისური, რუსული და ა.შ.) არის კოდი და მეორე ის, რომ ეს კოდები შეესაბამება აზრებს და ბგერებს (გრაისი 1985:218); კამენსკაია 1990:17). აქედან გამომდინარე შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სქემა:



კავშირის არხი

კ.ჩერი კომუნიკაციას ასე განსაზღვრავდა: „კომუნიკაცია თავისი არსით არის საზოგადო საქმე. ადამიანებმა განავითარეს მრავალი განსხვავებული კომუნიკაციური სისტემა; ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სისტემათაგან არის ადამიანური მეტყველება და ენა“ (გრავიცი 1996:554), რაც დიდ როლს თამაშობს სოციალური ცხოვრების განსხვავებულ სფეროებში; იგი ადამიანებს აძლევს საშუალებას, გაუგონ ერთმანეთს; კ. ჩერის აზრით, კომუნიკაცია სიტყვასიტყვით აღნიშნავს „მონაწილეობას“ იმ ზომით, რა ზომითაც ჩვენ ადამიანები ვიმყოფებით მოცემულ მომენტში კომუნიკაციის მდგომარეობაში – ჩვენ თანავმონაწილეობთ. იგი თვლის, რომ მეტყველება და დამწერლობითი ენა მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი კომუნიკაციური სისტემებია. სოციალური ურთიერთობისას გამოიყენება მიმიკა და ჟესტები, მანერები და ქცევის განსხვავებული ფორმები.

სოციალური ურთიერთქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია წარმოგვიდგინა ჯონ მიდმა (გრავიცი 1996:425). იგი ადამიანთა ქცევას

განიხილავდა, როგორც სოციალურ ქცევებს, რომლებიც ეფუძნებიან კომუნიკაციას. ავტორის აზრით, ჩვენ რეაგირებას ვახდენთ არა მხოლოდ სხვა ადამიანთა ქცევაზე, არამედ მათ განზრახვაზე. მაგალითად, როცა ნაცნობი თვალს გვიკრავს, ჩვენ გვაინტერესებს, რას გულისხმობს ის; შეიძლება სურს ხუმრობაზე გაცინება, დასცინის ვინმეს და ისიც არ არის გამორიცხული, რომ მას ნერვული ტიკი აქვს. ჩვენ, ადამიანები ამოვიცნობთ ამ განზრახვას მისი ქცევის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან გვაქვს გარკვეული გამოცდილება ამგვარ საკითხებში. ჯ.მიდმა გამოყო ქმედების ორი ტიპი: *უმნიშვნელო ჟესტი*, რომელიც წარმოადგენს ავტომატურ რეფლექსს, როგორიცაა თვალის ჩაკვრა და *მნიშვნელოვანი ჟესტი*, როცა ადამიანები ავტომატურად არ რეაგირებენ გარე ზემოქმედებაზე. ისინი ამოიცნობენ ქცევის მნიშვნელობას, სანამ მასზე პასუხს გასცემენ. ეს რთული პროცესია, მაგრამ იგი ვლინდება სხვა ადამიანებთან თითქმის ყველა ურთიერთქმედებებში. ჩვენ ასეთ ქცევებს ამოვიცნობთ, რადგან ბავშვობიდან გვასწავლიან, რომ მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ საგნებს, ქმედებებს და მოვლენებს. როცა ჩვენ მნიშვნელობას ვანიჭებთ რაიმეს, იგი ხდება სიმბოლო ან ცნება; ქმედება ან საგანი არის სიმბოლო სხვა ცნებისა, ქმედებისა ან საგნისა. ამგვარად, გამოწვდილი ხელი არის მისალმების, მუდარის ან თავდასხმის სიმბოლო. მას შემდეგ, რაც ჟესტს მივანიჭებთ მნიშვნელობას, ჩვენ შეგვიძლია მასზე რეაგირება (ჟესტი იმდენად მნიშვნელოვანია ვერბალურ კომუნიკაციაში, რამდენადაც მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ხშირად იყენებენ მეტყველებისას) (არშარი 1993:123; გვენცაძე 1986:29).

გერმანულ *ფილოსოფიურ ლექსიკონში* „კომუნიკაცია“ განისაზღვრება სამი სინონიმით: „გაერთიანება, ურთიერთკავშირი, ურთიერთობა“. ამასთანავე ახსნილია, რომ საქმე ეხება ადამიანებს შორის შეტყობინების გაცვლა-გამოცვლას. ზოგადად კომუნიკაცია აქ ნიშნავს ინფორმაციის ნებისმიერ გაცვლას დინამიურ სისტემებს ან მათ ქვესისტემებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადამუშავება და ა.შ. (გრაისი 1985:76).

მიხეილ კაგანის აზრით, „კომუნიკაცია არის ცხოვრება სხვებთან; იგი რეალურად ხორციელდება მრავალი საშუალებით“ (ზუბკოვა 1989:41). კომუნიკაცია არის სუბიექტის ინფორმატიული კავშირი ამა თუ იმ ობიექტთან – ადამიანთან, ცხოველთან, მანქანასთან. იგი გამოიხატება იმით, რომ სუბიექტი გადასცემს რაღაც ინფორმაციას (ცოდნას, იდეებს, შეტყობინებებს, ფაქტობრივ ცნობებს, მითითებებს, ბრძანებებს და ა.შ.), რომელიც მიმღებმა უნდა მიიღოს,

გაიგოს (მოახდინოს მისი სწორი დეკოდირება), კარგად შეითვისოს და ამის შესაბამისად მოიქცეს. ამ შემთხვევაში ინფორმაციის მიმღები არის ობიექტი, რადგანაც გამგზავნი მას უყურებს, როგორც პასიურ მიმღებს (წმინდად ინფორმაციული თვალსაზრისით) (ბუაიე 2001:23).

რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა, როცა ინფორმაციის გამგზავნი მიმღებში ხედავს სუბიექტს და არა ობიექტს; ამ შემთხვევაში იგი გამომდინარეობს იქედან, რომ მოცემული ინფორმაცია ინდივიდუალურად მიეწოდება თავისებურად აქტიურ სისტემას. მან უნდა გადაამუშავოს მიღებული ინფორმაცია; მიმღები ხდება გამგზავნის პარტნიორი, რადგან მათ აკავშირებს საერთო საქმე – ერთი და იმავე ინფორმაციის გადამუშავება; სხვანაირად რომ ვთქვათ ურთიერთობაში არსებობენ საერთო საქმის თანამონაწილეები - თანამოსაუბრეები.

მ.კაგანი თვლის, რომ კომუნიკაციაში ჩვენ საქმე გვაქვს ერთმიმართულებიან პროცესთან: ინფორმაცია მიედინება მხოლოდ ერთი მიმართულებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობისას ინფორმაცია ცირკულირებს პარტნიორებს შორის, რადგანაც ორივე ერთნაირად აქტიურია და ინფორმაცია არ მცირდება, არამედ პირიქით იზრდება, მრავლდება, მდიდრდება, ფართოვდება გამგზავნიდან მიმღებამდე. შესაბამისად ინფორმაციული აქტიურობის პირველი ტიპის სტრუქტურა ასიმეტრიულია (კაგანი 1988:65).



მეორე ტიპი კი სიმეტრიულია:

ლაპარაკია არა მარტო იმ შემთხვევებზე, როცა ურთიერთობა მეგობრებს შორის ხდება, არამედ როცა საქმე ეხება მოწინააღმდეგეთა შორის კამათს. კამათის მიზანი უნდა იყოს არა ინფორმაციის გაცვლა და ერთი ოპონენტის მიერ მეორის დამორჩილება, არამედ რაღაც საერთო პოზიციის ერთობლივი ძიება, საიდანაც აზრთა შეჯახება და შეჯერება ბადებს დიალოგს, ხოლო მისი მონაწილეები ხდებიან პარტნიორები. დიალოგში თითოეული შეტყობინება ითვალისწინებს, რომ თანამოსაუბრე მოახდენს მის ინტერპრეტაციას და

დაუბრუნებს შეტყობინებას ინტერპრეტირებული, გამდიდრებული სახით მომავალი დამუშავებისათვის სხვა პარტნიორს. ამიტომ მ.კაგანი ურთიერთობას აღნიშნავს არა ორი სხვადასხვა მიმართულებიანი ისრით, რომელიც მიუთითებს პირდაპირ და უკუმიმართულებას, არამედ ერთი ორმიმართულებიანი ისრით (↔), რომელიც მიუთითებს ინფორმაციის მიმოქცევის ერთიან, არადანაწევრებულ პროცესზე (კაგანი 1990:59).

ურთიერთობა არ შეიძლება გაუტოლდეს შეტყობინებათა გადაცემას, არც შეტყობინებათა (ან ინფორმაციათა) გაცვლას, როგორც ეს ხშირად გამოიხატება ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში. ურთიერთობა ეს არის ახალი ინფორმაციის გამომუშავების პროცესი. იგი საერთოა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ურთიერთობენ და ქმნიან ერთიანობას.

ამ კონტექსტში საინტერესოდ გვეჩვენება, თუ როგორ გაიაზრება კომუნიკაციის ცნება და მისი სტატუსი ლინგვისტურ კვლევაში. გ. ლებანიძე აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია გაიგებოდა, როგორც რაღაცის რეალიზაცია, რაც უკვე არსებობდა კომუნიკაციამდე და გულისხმობდა თავის არსებობაში ამგვარ რეალიზაციას. ლაპარაკი იყო ან ენობრივი კოდის (აქტუალიზაციაზე) ან ადამიანის ენობრივი უნარის (კომპონენტის) რეალიზაციაზე. ამგვარად, კომუნიკა-ციის შინაარსი მთლიანად იყო დამოკიდებული იმ რეალობაზე, რომლის რეალიზაციაც ხდებოდა კომუნიკაციის დროს (ლებანიძე 1998:37).

კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცნება გულისხმობს, რომ ადამიანი (სუბიექტი, პიროვნება) უნდა დავინახოთ როგორც კომუნიკაციური აქტის მონაწილე. მთავარი კი თვით კომუნიკაციის ცნებაა, მისი განახლებული გაგება – კომუნიკაციის ცნებას კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფორმულირებამდე ორი მომენტი განსაზღვრავდა:

1. კომუნიკაციის ფუნქცია განისაზღვრებოდა როგორც ენის ძირითადი ფუნქცია, მაგრამ კომუნიკაციის აქტი არ გულისხმობდა შინაარსობრივად ენობრივ ერთეულთა კვლევის პროცესს;

2. კომუნიკაცია გაგებული იყო როგორც თავისთავად მოცემული რეალობის რეალიზაცია. თვით ეს რეალობა კი, რომლის რეალიზაციაც ხდებოდა კომუნიკაციის დროს, ერთ შემთხვევაში მიჩნეული იყო ენობრივ სისტემად, მეორეში – ენობრივ კოდად, მესამეში – ადამიანის ენობრივ უნარად. კომუნიკაცია გაგებული იყო, როგორც სისტემის, კოდის ან უნარის აქტუალიზაცია. აქტუალიზაცია იყო ის ცნება, რომელიც ნიშნავდა ენობრივი სისტემის ან ენობრივ ერთეულთა კომუნიკაციური ფუნქციის დაკონკრეტებას.

გ. ლებანიძე თვლის, რომ კომუნიკაცია არის აქტი (პროცესი), რომელიც განისაზღვრება ადამიანისათვის, როგორც სუბიექტისათვის დამახასიათებელი ყოვლისმომცველი ნაირსახეობა ან კომპონენტი. თუ არსებობს ადამიანი როგორც სოციალურ-ბიოლოგიური არსება, მისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანია აქტიური ქმედება; „იგი მიმართულია ერთის მხრივ სამყაროს მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ – სხვა ადამიანის მიმართ. როცა ლაპარაკობენ ქმედებაზე როგორც ადამიანის მაკონსტიტუირებელ ნიშანზე, იგი აიხსნება როგორც ადამიანის აქტივობა სამყაროს მიმართ და ადამიანის აქტივობა მეორე ადამიანის მიმართ (ურთიერთობა). როცა აქტივობა, მიმართული სამყაროს მიმართ, არის ამავე დროს ურთიერთობა, ადამიანი ავლენს აქტივობას სამყაროს მიმართ, იგი შედის სხვა ადამიანთან ურთიერთობაში და პირიქით. ერთი მხრივ, სწორედ კომუნიკაციის პროცესი წარმოადგენს ამ ქმედება-ურთიერთობის ერთ-ერთ სახეობას. ამიტომ ის, რაც დამახასიათებელია ქმედება-ურთიერთობის ერთიანი აქტისათვის (მისი შინაარსი, მისი სტრუქტურა, მისი როგორც პროცესის ფაზები), დამახასიათებელია აგრეთვე კომუნიკაციის აქტისათვის, ხოლო მეორე მხრივ, კომუნიკაციის აქტი არასოდეს არ არის ჭეშმარიტად და ბოლომდე ავტონომიური. იგი მუდამ არის უფრო მეტის მომცველი ადამიანური ქმედების კომპონენტი. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციის აქტამდე გვქონდა კოდი, სისტემა, უნარი ვირტუალურ მდგომარეობაში, შემდეგ მოხდა მათი აქტუალიზაცია. მაგრამ თუკი ვიტყვით, რომ ენობრივი კომუნიკაცია არის უფრო ფართოდ გაგებული ადამიანური ქმედების სახეობა, ან შედის უფრო ფართო და ყოვლისმომცველ ქმედებაში, მაშინ თვით კომუნიკაციის შინაარსი და სტრუქტურა მთლიანად შეიცვლება და (არა კოდი), არ განისაზღვროს კომუნიკაციის ცნება, საკომუნიკაციო აქტის შინაარსი და სტრუქტურა“ (ლებანიძე 1998:45).

სოციოლოგიის ლექსიკონი კომუნიკაციას შემდეგნაირად განსაზღვრავს: თავდაპირველად ეს იყო ქონების გაცვლა და პიროვნების გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეში შუამავლის მეშვეობით „ბუნებრივი ან ხელოვნური გზებით“. ფართო მნიშვნელობით ეს იყო პროცესი, რომლითაც „შეტყობინებები“, როგორიც არ უნდა იყოს მათი ბუნება და გამოყენებული საყრდენები, გადაეცემა ერთი ინდივიდიდან მეორეს და იძლევა სოციალური ინტერაქციის საშუალებას (არშარი 1993:36).

კიდევ ერთი საინტერესო თემაა ურთიერთობა გამგზავნსა და მიმღებს შორის. ამ მხრივ უნდა აღინიშოს ბ.ბერელსონის, შ.ფორესტერის, ჰ.ლასფელის კითხვები: – ვინ ლაპარაკობს? (მოქმედ პირთა იდენტიფიკაცია); – რისთვის

ლაპარაკობენ? (იმპლიციტური ან ექსპლიციტური, ტიპიური ან ინსტრუმენტალური, ინფორმაციული ან საჩვენებელი დისკურსი); – რა საშუალებით? (მიზანში ამოღებული პუბლიკა); – რა გარემოებაში? (ქვეყანა, ეპოქა, გარემოება) (ბუდონი 2000:38).

ყოველი კომუნიკაცია – დამწერლობითი თუ ზეპირი, ინტერპერსონალური თუ ინსტიტუციონალური – მიემართება მეტ-ნაკლებად უშუალო მნიშვნელობებს. მისი ფარული თუ აშკარა შინაარსი შეიძლება განხილული იყოს თემატურად, ფორმალურად ან სტრუქტურულად. ეს არა მარტო დესკრიფციული არამედ დასკვნითი კვლევები (კ.შანიანი, ვ.უივერი, ნ.ვინერი) (ბუდონი 2000:39; ტოდოროვი 1977:89) და კვანტიფიკაცია ეფუძნება აღწერით (სემანტიკა ან ლინგვისტიკა) ჩამონათვალს (არითმეტიკა ან გეომეტრიკა) და კონტექსტურ ერთეულებს (ლოკალური ან გლობალური). რაც შეეხება გამოყენებულ კატეგორიებს, ისინი შეესაბამებიან ამომწურავობის, გამორიცხვის, შესაბამისობის, ერთგულებისა და კანონიერების კრიტერიუმებს. ასევე უნდა აღინიშნოს, სიჩუმის ან დაბრკოლების, ლაფსუსების ან პათოსის, ***„Feed-back“***-ის ან რეტროაქციის ეფექტების მნიშვნელობა. აქ შემოიჭრება ოთხი განსხვავებული ფენომენი: ყურადღება, აღქმა, გაგება და დამახსოვრება; ქცევის ყოველ ცვლას შემოჰყავს კოგნიტიური, აფექტური და კონატიური ელემენტები. უფრო ზუსტად მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვადასხვა პარამეტრები.

სოციოლოგი მ.გრავიცი თვლის, რომ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ კომუნიკაცია და ინფორმაცია. ეს უკანასკნელი არის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი, ხოლო კომუნიკაცია უფრო გლობალურია და მოიცავს ფრაგმენტთა ერთობლიობას; ახდენს მათ ინტერპრეტაციას გამგზავნისა და მიმღების საშუალებით (გრავიცი 1996:739); კომუნიკაცია არის მხოლოდ აგენტებს შორის ინტერაქციის შემადგენელი ნაწილი, რომელიც იყენებს კოდირებულ ნიშნებს, როგორიც არ უნდა იყოს მოსაზრებათა, ქცევათა, მოქმედებათა გასაგებად შესაგროვებელი მონაცემები. ეს მონაცემები ყოველთვის ვერბალური ხასიათისაა. თვით ჩვენი მოქმედებაც სიტყვათა კონტექსტითაა დაფარული. მაგალითად, მინისტრის გადადგომა ან ტელევიზიის ზეგავლენა გადმოიცემა მეტყველებით, დამწერლობით და მაშასადამე, სიტყვებით.

კლოდ აჟეჟი აცხადებს, რომ „ადამიანური ენები“ (**langues humaines**) ერთდროულად ნიშანთა სისტემები და კომუნიკაციის საშუალებებია (აჟეჟი 1985:141). მისი აზრით, მეტყველების, ენისა და კომუნიკაციის ცნებები თანაზიარია. იგი თვლის, რომ კომუნიკაცია არის ისეთი პროცესი, როცა ერთი

და იმავე არხით ორი ინდივიდი ურთიერთობს, საუბრობს და მათ აერთიანებს სოციალური ურთიერთობების მჭიდრო ქსელი.

კ.ბეილონის მიხედვით ვერბალური შეტყობინებები (ლინგვისტიკა) წარმოიქმნება და აღიქმება „ინდივიდის მიერ (ფსიქოლინგვისტიკა) საზოგადოებაში (სოციოლინგვისტიკა). სწორედ ეს არის კომუნიკაცია. ფსიქოლოგი მას განიხილავს შიდა ინდივიდუალური **(inter-individuelles)** ურთიერთობის თვალსაზრისით, ხოლო სოციოლოგი – სუპრა ინდივიდუალური **(supra-individuelles)** წესებისა და კოლექტიური ქცევების თვალსაზრისით. პოლ რიკიორი ამბობს, რომ „კომუნიკაცია ფსიქოლოგისათვის არის საუბარი **(interlocution)**, ანუ შეტყობინების ურთიერთგაცვლა მოლაპარაკეთა შორის“ (ბეილონი 2002:10).

კომუნიკაცია საზოგადოებაში განიხილება, ერთის მხრივ, მეტყველების, ენისა და, მეორეს მხრივ, საზოგადოების, კულტურის ან ქცევის ურთიერთობის კუთხით. მისი ერთადერთი ობიექტია ურთიერთობა ენასა და საზოგადოებას შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კომუნიკაციის მრავალი საშუალება. მაგრამ ჩვენი კვლევისათვის ჩვენ გვაინტერესებს კომუნიკაციის დამყარების ენობრივი საშუალებები. ადამიანთა საზოგადოებაში კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი უპირატესი საშუალებაა ენა. ადამიანი არის სოციალური ობიექტი, საზოგადოების პროდუქტი. მეტყველება კი სოციალური მოქმედების ფორმაა, ადამიანთა შორის კომუნიკაციის ინსტრუმენტი, „ლინგვისტური ვარიანტების ნუსხა, რომლებიც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული“... „იგი ერთდოულად არის ერთი ჯგუფის ნიშანი და წესთა სისტემა და ინდივიდის გამოხატვის საშუალება. საზოგადოება, კულტურა ენით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ენაში“ (ბეილონი 2002:35).

კომუნიკაციის დასამყარებლად, დ.ჰაიმსის აზრით, არ არის საკმარისი ენის, ლინგვისტური სისტემის ცოდნა, ამასთანავე აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ გამოიყენო იგი შესაბამის სოციალურ კონტექსტში (ბეილონი 2002:37). დ. ჰაიმსი თვლის, რომ მოლაპარაკე პირთა მოთხოვნილება და განზრახვა, როგორც ჩანს, არ დაიყვანება ფორმალურ ანალიზამდე; ეს უკანასკნელი არის მხოლოდ სამეტყველო ქცევის გაგების საშუალება და არა თვით გაგება. როცა დ.ჰაიმსი ლაპარაკობს „წესებზე“ და „წესთა ცოდნაზე“, იგი მათ არ განიხილავს იმ სახით, როგორც ისინი წარმოდგენილნი არიან ალგორითმში, საიდანაც წარმოიქმნება შესაბამისი გამონათქვამები ან რომლის საშუალებითაც ეს გამონათქვამები

უკავშირდება კონტექსტს; მას მკაფიოდ არასოდეს აუხსნია წესთა ის ფორმა, რომელიც შეიმჩნევა მოლაპარაკე-მსმენელის „კომუნიკაციის კომპეტენციაში“, მისი ის უნარი, რომლითაც ის იყენებს სოციალურად და კულტურულად შესაბამის გამონათქვამებს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თითოეულ საზოგადოებას გააჩნია განსაკუთრებული სოციალური და კულტურული ღირებულება. სწორედ ამის მიხედვით განსხვავდება საზოგადოების წევრთა ენა, მეტყველება.

განასხვავებენ *უშუალო კომუნიკაციას*, სადაც მოლაპარაკე პირი და მისი თანამოსაუბრე არსებობენ და *დაშორებულ კომუნიკაციას*, სადაც მოლაპარაკე პირი და მისი თანამოსაუბრე დროში და/ან სივრცეში დაშორებულები არიან (შისი 1999:121). *უშუალო კომუნიკაციის* სიტუაცია, რომელშიც ხორციელდება მეტყველების აქტი, მიჩნეულია ყველა სოციოლინგვისტის მიერ, როგორც დისკუსიის წარმოქმნისა და ინტერპრეტაციისათვის ყველაზე შესაფერისი მახასიათებელი.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ადამიანთა საზოგადოებაში კომუნიკაციის უპირატესი საშუალებაა ენა, მეტყველება. თუმცა არ გამოირიცხება სხვა საშუალებები, როგორიცაა ჟესტი, მიმიკა და სხვა. ზოგადად კომუნიკაცია არის ადამიანებს შორის შეტყობინების გაცვლა-გამოცვლა. ეს არის ადამიანის აქტივობა სამყაროს და მეორე ადამიანის მიმართ ანუ ურთიერთობა. კომუნიკაცია წარმოადგენს ისეთ პროცესს, რომლის დროსაც ერთი და იმავე არხით ორი ინ-დივიდი ურთიერთობს, საუბრობს და ისინი გაერთიანებული არიან მჭიდრო სოციალური ურთიერთობებით. კომუნიკაციისას ადამიანები გადასცემენ ერთმანეთს ინფორმაციას, რაზედაც ვილაპარაკებთ მომდევნო თავში.

2. კომუნიკაცია, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალება.

ა) ინფორმაციის ცნება

მას შემდეგ, რაც პირველ თავში განვიხილეთ, თუ რას ნიშნავს კომუნიკაცია და რა როლს თამაშობს იგი საზოგადოებაში, გადავწყვიტეთ, შევისწავლოთ, თუ რას ნიშნავს ინფორმაციის ცნება.

თითქმის ყველა ლექსიკონში ინფორმაცია ახსნილია შემდეგნაირად: ელემენტარული ცნობა, რომელიც გადაიცემა და მიიღება კოდის მეშვეობით. მ. მაკაროვი თვლის, რომ „ინფორმაცია“ არის სინამდვილის, ობიექტური სამყაროს რეპრეზენტაციის ფორმა, სადაც ლოკალიზებულია ადამიანი. ინფორმაცია ცვლის საგანთა სამყაროს და ამ დროს თვითონაც იძენს რაღაც „საგნობრიობას“, ხდება

არსი; მისი ღირებულება იზრდება იმის მიხედვით, თუ როგორ ახერხებენ ინდივიდები კოგნიტიურად შეითვისონ სინამდვილე და გამოცდილების რეორგანიზაცია მოახდინონ. ფ. ტერუ აცხადებს, რომ ტერმინი „ინფორმაცია“ ყოველდღიურ მეტყველებაში აღნიშნავს ცნობების მოგროვებისა და გადაცემის აქტს; იურიდიულ მეტყველებაში კი ის აღნიშნავს დარღვევის ძიებისა და დადასტურების პროცედურას (ტერუ 1962:4). თუმცა ამ ტერმინის მრავალი გამოყენება იწვევს არეულობასა და მისი საწყისი მნიშვნელობის დავიწყებას. ფ. ჰეგელი თვლის, რომ იგი წარმოადგენს „სასწრაფო აუცილებლობას თქვა და გამოთქვა საკუთარი აზრი“ (გრავიცი 1996:416).

ფ.ბალის აზრით, კი „ინფორმაცია არსებობს მხოლოდ მათთვის, ვინც მას იღებს“ (ბალი 1999:57). ინფორმაცია ეს არის კომუნიკაციის შინაარსი.

1945-50წლებში აშშ-ში განვითარდა „ინფორმაციის თეორია“, რომელთანაც დაკავშირებულია კ.ე.შენონისა და ვ.უივერის (გრავიცი 1996:418) სახელები. ეს თეორია შეეცადა, გასცდენოდა ადამიანური მეტყველების, ენის მარტივ კადრს და ინფორმაციის ცნებისათვის მიენიჭებინა ისეთი შინაარსი, რომელიც მას გახდიდა პროდუქტიულს მრავალ სფეროში, განსაკუთრებით კი ტელეკომუნიკაციებში. ამ თეორიამ ლინგვისტური კომუნიკაციის ზოგიერთი ასპექტის გაშუქების საშუალება მოგვცა.

ამ თეორიაში „ინფორმაციას“ გააჩნია წმინდად ტექნიკური მნიშვნელობა; იგი მხედველობაში არ იღებს შეტყობინების მნიშვნელობას, არამედ მხოლოდ მის გადმოცემას ცდილობს: ერთმა მოვლენამ შეიძლება მოიტანოს მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი ინფორმაცია. როგორც ვიცით, მთლიანად წინასწარ განჭვრეტილ მოვლენას არ მოაქვს არანაირი ინფორმაცია. ჩავთვალოთ, რომ საქმე ეხება თამაშს „არიოლი და რეშკა“, ანუ ორი ნიშანი შეიძლება გამოჩნდეს და თითოეულ მათგანს გამოჩენის თანაბარი შანსი აქვს (თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოვლენები); თუკი იტყვიან, რომ ეს ორი ნიშანი ინფორმაციის ერთი და იმავე რაოდენობის მატარებელია და პირობითად თითოეული გადმოსცემს ორმაგ ერთეულს **(binary digit)**, ორმაგ ინფორმაციას; ამგვარად, ერთეული, რომლის გამოჩენის შესაძლებლობა არის 1/4, გადმოსცემს ორ ორმაგ ინფორმაციას და ასე შემდეგ. ეს ნიშნავს, გადმოსცე ფაქტი, რომლის ინფორმაციის რაოდენობა ნიშნის გამოჩენის შესაძლებლობის უკუპროპორციულია.

აქედან გამომდინარეობს არხის ნაყოფიერების ცნება: არხი მთლიანად ნაყოფიერია მოცემულ მომენტში, თუკი ყველა ნიშანს გააჩნია გამოჩენის ერთი

და იგივე შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში კოდი მაქსიმალურად პროდუქტიულია, ნაყოფიერია, რადგან შეუძლებელია, წინასწარ განჭვრიტო, რომელი ნიშანი გამოჩნდება. იგი ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ინფორმაციის გადაცემაზე. ჩავთვალოთ, რომ უნდა გადავცეთ თანმიმდევრობით არათანაბარი შესაძლებლობის მქონე ნიშნები, არხი ცუდად იქნება გამოყენებული, თუკი წინასწარ გათვალისწინებულ ნიშანთა გადაცემა დაიკავებდა არხს ისევე დიდხანს, როგორც ნაკლებად გათვალისწინებული ნიშნების გადაცემა. არხი მაქსიმალურად ნაყოფიერია, როცა ის ნიშანი, რომელიც ორჯერ მეტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე მეორე, ორჯერ მეტ ადგილს იკავებს არხში. ამგვარად, ნიშანთა შორის შესაძლებლობის განსხვავება კომპენსირებულია, რაც ამცირებს არხის ნაყოფიერებას.

აქ უნდა შემოვიყვანოთ ლინგვისტიკაში ძალზე ხშირად გამოყენებული ორი ცნება: „მრავალსიტყვაობა“ და „ხმაური“. პირველი არის ინფორმაციის დანაკლისი, ის გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ნიშნები, რომლებსაც შეუძლიათ, გამოჩნდნენ მოცემულ პოზიციაში, არ არიან თანაბარი შესაძლებლობის მქონენი. ინფორმაციის ეს დანაკლისი განისაზღვრება, როგორც განსხვავება კოდის (მაქსიმალური) თეორიულ ნაყოფიერებასა და ფაქტიურად გადაცემული ინფორმაციის საშუალო რაოდენობას შორის. მრავალსიტყვაობა შეიძლება, სურვილისამებრ, შემცირდეს სხვადასხვა საშუალებებით; ფაქტიურად უპირატესობას ყველაზე ხშირად ანიჭებენ გარკვეული რაოდენობის მრავალსიტყვაობის დატოვებას კომუნიკაციის სისტემაში, რათა მოხდეს „ხმაურის“ ეფექტის კომპენსირება. „ხმაურში“ გულისხმობენ ყველაფერ იმას, რაც აბრკოლებს შეტყობინების გადაცემას: დეფექტური არხი, შეცდომები, არასწორი დეკოდირება და ა.შ. გაუთვალისიწნებელი დაბრკოლება, თუკი არ არსებობს არავითარი მრავალსიტყვაობა, შეტყობინების ფრაგმენტის დანაკლისი გამოუსწორებელია. მაგალითად, თუკი ციფრების არბიტრალურ რიგს გადავცემთ და თუკი მხოლოდ ერთია შეცვლილი (დამახინჯებული), შეუძლებელია მისი აღდგენა, რადგანაც 0-დან 9-მდე ისინი თანაბარი შესაძლებლობის მქონე არიან. ამგვარად, როცა ჩეკზე თანხას წერენ ციფრებით და სიტყვებით, მიმართავენ მრავალსიტყვაობას.

მ.გრავიცის აზრით, ადამიანთა საზოგადოება დამყარებულია ინფორმაციის გაცვლაზე და ეს მოსაზრება თითქმის ყველამ გაიზიარა (გრავიცი 1996: 419).

როგორც წერდა ა.მოლი (გრავიცი 1996:420): „მატერია–ენერგიის დიალექტიკის გვერდით ახალმა კომუნიკაციის მეცნიერებებმა წარმოშვეს ახალი

ორპოლუსიანი დიალექტიკა მოქმედება–კომუნიკაცია, რაც „ინფორმაციის“ თეორიის შესწავლის ან შეტყობინებათა დამახასიათებელი, თანდაყოლილი და რაოდენობრივი თავისებურებების კვლევის საგანია“.

კომუნიკაციის თეორიებში ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყველა შეტყობინებაში. ინფორმაციის ცნება გვთავაზობს შეტყობინებათა სამყაროს მეცნიერულ პორტრეტს, მეტროლოგიას. იმ სფეროში, რომელიც აქამდე ხარისხობრივი (**qualitatif**) იყო, მას შემოაქვს ზომის ყველა რესურსი. ეს ინფორმაცია სინამდვილეში უნდა მიიღონ ***„informare“***-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობით: მიაწოდო მიმღებს საჭირო ელემენტები ფორმის, გეშტალტის (**gestalt**) ჩამოსაყალიბებლად აღქმის ფსიქოლოგიის მნიშვნელობით, როგორც ამას წერდა ა. მოლი (გრავიცი 1996:420).

უნდა აღინიშნოს, რომ მ.გრავიცის აზრით, „ინფორმაციის ერთეული არის ინფორმაციის რაოდენობა; იგი საშუალებას იძლევა, არჩევანი გავაკეთოთ ალტერნატივის ორი თანაბარი შესაძლებლობის მქონე ტერმინს შორის“ (გრავიცი 1996:420). ეს განსაზღვრება აშკარად არბიტრალურია. ინფორმაცია იზომება შესაძლებლობათა გამის შევიწროების შესაბამისად, რომელიც მოსდევს მის მიღებას. ინფორმაციის ერთეულების რაოდენობა არ არის შესაძლებლობათა რიცხვის შემცირების პროპორციული; პირიქით, იგი ყოველთვის იმატებს ერთეულს, როცა არჩევანს ნახევრად ამცირებენ. მნიშვნელოვანია „ინფორმაციის ორიგინალურობა“, ანუ მისი მიღებისას გაუთვალისწინებლობა.

ინფორმაციის თეორია განვითარდა კომუნიკაციების სფეროში. მ. გრავიცის აზრით, მრავალსიტყვაობა არის ის სიდიდე, რომელიც უპირისპირდება ინფორმაციას. იგი გამოხატავს შეტყობინების სიმბოლოთა შეფარდებით სიჭარბეს იმ რაოდენობაზე, რაც აუცილებელი იყო **(codification optimum)**. სიმბოლოთა გაფლანგვა ზრდის შეტყობინების წინასწარ განჭვრეტას და ამცირებს ინფორმაციის სიხშირეს.

იდეალურ ენაში მრავალსიტყვაობის გარეშე ყოველ ნიშანს ექნებოდა იგივე მნიშვნელობა, რაც სხვა ნიშნებს და მთლიანად იქნებოდა მისი კონტექსტისაგან დამოუკიდებელი. ინფორმაციის თეორია რეალობაში ეჯახება დაბრკოლებებს: ენის მრავალსიტყვაობას, ხმაურს და ა.შ., რაც მან უნდა შეამციროს. „ხმაური” არის ფონი, რომელზედაც იხატება ფენომენები, რომლებიც რიგის მიხედვითაა განსაზღვრული ანუ გამგზავნისა და მიმღებისათვის საერთო განზრახვა, რაც წინასწარ შექმნილია სიმბოლოთა საერთო რეპერტუარით.

ამრიგად, ამ ქვეთავში ჩვენ განვიხილეთ, თუ რას წარმოადგენს ინფორმაციის თეორია და რა როლს თამაშობს იგი კომუნიკაციაში. ადამიანთა საზოგადოება დამყარებულია ინფორმაციის გაცვლაზე. ინფორმაცია არის სინამდვილის, ობიექტური სამყაროს რეპრეზენტაციის ფორმა, ყოველდღიურ მეტყველებაში აღნიშნავს ცნობების მოგროვებისა და გადაცემის აქტს; გამოვყავით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მრავალსიტყვაობა - ინფორმაციის დანაკლისი: ნიშნებს, რომლებსაც შეუძლიათ, გამოჩნდნენ მოცემულ პოზიციაში, არ გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობა. ინფორმაციის ეს დანაკლისი განისაზღვრება, როგორც კოდის თეორიულ ნაყოფიერებასა და ფაქტიურად გადაცემული ინფორმაციის საშუალო რაოდენობას შორის განსხვავება. მრავალსიტყვაობა შეიძლება, სურვილისამებრ, შემცირდეს სხვადასხვა საშუალებებით; ფაქტიურად უპირატესობას ანიჭებენ ყველაზე ხშირად გარკვეული რაოდენობის მრავალსიტყვაობის დატოვებას კომუნიკაციის სისტემაში, რათა მოხდეს „ხმაურის“ ეფექტის კომპენსირება. „ხმაურში“ გულისხმობენ ყველაფერ იმას, რაც აბრკოლებს შეტყობინების გადაცემას: დეფექტური არხი, შეცდომები, არასწორი დეკოდირება და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იდეალურ ენაში ყველა ნიშანს მრავალსიტყვაობის გარეშე ექნებოდა იგივე მნიშვნელობა, რაც სხვა ნიშნებს და კონტექსტისგან იქნებოდა დამოუკიდებელი.

ბ) შეტყობინება და კონტექსტი

ჩვენი კვლევისათვის მეტად აქტუალური საკითხებია *შეტყობინება* და *კონტექსტი*, რადგანაც კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებელია შეტყობინების არსებობა, ხოლო შეტყობინების გასაგებად კონტექსტის ცოდნა და კარგად გაგება.

როგორც უკვე ვთქვით, კომუნიკაციის პროცესში საჭიროა შეტყობინების არსებობა, რომელიც ერთმა ინდივიდმა უნდა გადასცეს მეორეს; ის, ვინც წარმოქმნის ამ შეტყობინებას, არის გამგზავნი **(destinateur)** და მოლაპრაკე პირი **(locuteur)**, თუ საქმე ეხება ზეპირ კომუნიკაციას; ის ვინც იღებს ამ შეტყობინებას, არის მიმღები (ან **„allocutaire“**, ზეპირმეტყველებაში). საუბრისას როლები მუდმივად იცვლება: მიმღები ხდება გამგზავნი ან პირიქით. უნდა ითქვას, რომ კომუნიკაციის მონაწილეებმა უნდა იცოდნენ შეტყობინების კოდი, რომელიც შეთანხმებულია მათ შორის. კოდი შეიცავს წინასწარ დათქმულ და არბიტრალურ (თვითნებურ) ნიშანთა სისტემას ისევე, როგორც მათი

ჩანაცვლების წესებს. ბუნებრივი ენის შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს ნიშნები შეესაბამება სიტყვებს და რომ მათი ჩანაცვლების წესები შეადგენენ სინტაქსს. საერთო კოდის არსებობა შესაძლებელს ხდის შეტყობინების გაგებას: თუ მოსაუბრე ლაპარაკობს რუსულად და მისმა თანამოსაუბრემ არ იცის ეს ენა, შეტყობინება მისთვის არის აზრს მოკლებული ხმაური. კოდირება **(encodage an codage)** არის პროცესი, რომლითაც გადამცემი **(émetteur)**, რომელსაც ასევე უწოდებენ **„encodeur“** თავის შეტყობინებას ანიჭებს გამონათქვამის ფორმას, რომელიც მოცემული კოდის წესებითაა აგებული: მაშასადამე, კოდირება **(encoder)** ნიშნავს, აირჩიო კოდის ნიშნების გარკვეული რიცხვი, ჩაანაცვლო ისინი და შეიყვანო არხში. ეს უკანასკნელი არის შეტყობინების გადაცემის ფიზიკური საყრდენი. ტელეგრაფის შემთხვევაში არხი არის ელექტროკაბელები; ზეპირი კომუნიკაციისას საქმე ეხება ადამიანის ყურისათვის გასაგებ ბგერებს. კომუნიკაციის მეორე პოლუსზე მიმღები ახდენს ამგვარად კოდირებული და არხით გადაცემული შეტყობინების დეკოდირებას ანუ გაშიფვრას; დეკოდირება მდგომარეობს იმაში, რომ შეტყობინებას მიანიჭო მნიშვნელობა ნიშნების ჩანაცვლებით, ინტერპრეტაციით. გაშიფრული შეტყობინება შეიძლება ხელახლა დაიშიფროს კომუნიკაციის ახალი პროცესისათვის: ზეპირი შეტყობინება შეიძლება გადაიწეროს მორზეთი, შემდეგ ხელახლა მშობლიურ ენაზე, შეიძლება მისი სტენოგრაფირება და ა.შ. ამ მოვლენას – ერთი კოდიდან მეორეზე გადაწერას – ეწოდება ტრანსკოდირება. აქვე წარმოვადგენთ შემდეგ სქემას:



სილვი დიურერისა და კლოდ ტომასეს აზრით, ვერბალურ კომუნიკაციას ესაჭიროება ორი არხი – ***ფონური არხი - ხმა*** და ***გრაფიკული არხი – დამწერლობა*** (დიურერი 1999:9-10).

ზეპირი კომუნიკაცია წარმოგვიდგენს სპეციფიურ თავისებურებათა გარკვეულ რიცხვს, რომელიც გამომდინარეობს მისი არხის ბუნებიდან და განსაკუთრებული სივრცულ-დროისეული პარამეტრებიდან. თანამოსაუბრეთა თანაარსებობის (სიტუაციის) გამო კომუნიკაცია ემყარება არა მხოლოდ ვერბალურ ბაზას, არამედ ფიზიონომიურ, ჟესტუალურ და ქცევით ბაზას. ყოველი ზეპირი გამონათქვამი შეიცავს ვოკალურ და ვერბალურ განზომილებას. ვერბალურობა მიემართება მხოლოდ გამონათქვამთა ტექსტუალურ განზომილე-ბას. ვოკალურობა კი მოიცავს ყველაფერ იმას, რაც გამომდინარეობს ფონური (წარმოთქმა, მახვილი და ა.შ.) და პროსოდიული განზომილებიდან (ინტონაცია, ტონი, პაუზა, მახვილი და ა.შ.). ვოკალურობა ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მნიშვნელობის შექმნაში და იგი ხშირად გამოიყენება დიალოგებში.

ლინგვისტური შეტყობინებისათვის, კ. ბეილონის აზრით, მოლაპარაკე პირი აყალიბებს ურიერთობას საზოგადოების სხვა წევრებთან. ლინგვისტი დაინტერესებულია ამით, რადგანაც მას გააჩნია სინტაქსი, ინტონაცია, პირველი და მეორე არტიკულაციის ელემენტები. სოციოლოგს კი მისი შინაარსი აინტერე-სებს – შეტყობინების მიზანი, მოლაპარაკე პირის განზრახვა, ურთიერთობა მოლაპარაკე პირსა და მსმენელს შორის (ბეილონი 1996:11); ლინგვისტურ მონაცემთა მარტივი ცოდნა არ არის საკმარისი ტექსტის ან კიდევ გამონათქვამის მნიშვნელობის გასაგებად. შეტყობინების აზრი, მნიშვნელობა გამომდინარეობს სამი შემადგენლებიდან: 1) ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა, 2) მათი სინტაქსური ურთიერთობა და 3) სიტუაცია, გარემოებები, სადაც მიმდინარეობს გამოთქმის აქტი.

გადამცემისა და მიმღებისათვის საერთო მონაცემებს უწოდებენ *კომუნიკაციის სიტუაციას*; რაც შეეხება კულტურულ და ფსიქოლოგიურ სიტუაციას, იგი მიემართება კომუნიკაციის აქტის ფიზიკურ ანტურაჟს, ასევე როლებს, რომლებსაც ასრულებენ მოქმედი პირები და იმ წარმოდგენას თუ მდგომარეობას, რომელიც მათ გააჩნიათ (ასევე ანგარიში უნდა გავუწიოთ უკვე წარსულ ლინგვისტურ ურთიერთობას - ყველანაირი შეტყობინება წარმოადგენს ყოველთვის „უკვე თქმულს“).

საყურადღებოა, რომ ტერმინი სიტუაცია ისევე, როგორც კონტექსტი განსხვავებულ რეალობებს აღნიშნავს სხვადასხვა ლინგვისტების თვალსაზრისით.

ლ.ბლუმფილდის აზრით, *„სიტუაცია არის ყოველი ობიექტი ან მოვლენა სუბიექტთა სამყაროში“* (2001:141), ხოლო ფ.ფრანსუა თვლის, რომ ეს არის ექსტრალინგვისტური ელემენტების ერთობლიობა, რომელიც არსებობს სუბიექტთა გონებაში ან გარე ფიზიკურ რეალობაში კომუნიკაციის დროს და რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ რაიმე როლი ფორმის ან ლინგვისტურ ელემენტთა ფუნქციის პირობებში (ბეილონი 2002:36).

კონტექსტის ცნებაში კი გულისხმობენ სიტუაციური, ექსტრალინგვისტური ელემენტების ერთობლიობას, რომლებშიც ლინგვისტური ეპიზოდი, გამონათქვამის აქტი არსებობს. კონტექსტი ძალზე მნიშვნელოვანია კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის; მ.მაკაროვი გამოყოფს ეგზისტენციურ, სიტუაციურ, აქციონალურ, ფსიქოლოგიურ კონტექსტებს.

კონტექსტი პოლისემიური ტერმინია: ზოგჯერ იგი კოტექსტს **(cotexte)** აღნიშნავს, ზოგჯერ სოციალურ კონტექსტს, ზოგ შემთხვევაში ინტერპერსონალურ კონტექსტს.

რ.მილერი თვლის, რომ „კონტექსტი არის იმ პირობითობების ერთობლიობა, რომლებსაც ექვემდებარება ინდივიდი მოცემულ მომენტში“ (ბეილონი 2002:38). ფ. ფრანსუა: „გარემო - ერთი და იმავე ბუნების მქონე ერთეულთა ერთობლიობა, რომლებიც იმყოფებიან ახლოს” (ბეილონი 2002:38);

საყურადღებოა, რომ მეტყველების ეთნოგრაფიასა და სოციოლინგვისტიკის უმეტეს ნაწილში უპირატესია სოციალური კონტექსტი. კონტექსტი „სოციალურია“, თუკი იგი მოიცავს საზოგადოების შინაგან წყობას, ურთიერთობას, დაძაბულობას, ქვე-ჯგუფებად დაყოფას; მეტყველების შესწავლა მის სოციალურ კონტექსტში ნიშნავს საზოგადოების შიგნით წარმოქმნილი ლინგვისტური მასალების, შემადგენელი ნაწილების შესწავლას.

სიტუაცია და კონტექსტი დაკავშირებული არიან, რადგან სიტუაცია აპირობებს ლინგვისტურ ქცევას და კონტექსტი, როგორც გამონათქვამი, არის ლინგვისტური ქცევა; შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია აპირობებს კონტექსტს და რომ ეს უკანასკნელი არის სიტუაციის ზეპირი ან დამწერლობითი მანიფეს-ტაცია, გამოხატულება.

დ.მენგენო აცხადებს, რომ „კონტექსტი განსაზღვრავს ტერმინის გარემოს ფრაზაში ან ფრაზის გარემოს ტექსტში“ (შისი 2001:72). უფრო ფართო

მნიშვნელობით ჯონ ლაიონზი განსაზღვრავს სიტუაციურ კონტექსტს, როგორც ფაქტს იმისა, რომ ყოველი (ზეპირი) გამონათქვამი უნდა იყოს რეალიზებული განსაკუთრებულ სივრცულ-დროისეულ სიტუაციაში (ლაიონზი 1970:137); იგი მოიცავს მოლაპარაკე პირს, მსმენელს, მოქმედებებს, რომლებსაც ისინი ამ მომენტში ასრულებენ და სხვადასხვა გარე ობიექტებსა და მოვლენებს. კონტექსტი ასევე უნდა შეიცავდეს ცოდნას მოლაპარაკესა და მსმენელზე, იმის შესახებ, რაც მოხდა ადრე [და] მოლაპარაკისა და მსმენელის მხრიდან ყველანაირი პირობითობების, რწმენის და ვარაუდების უსიტყვო მიღებას, რომლებიც გამოიყენება ამ გარემოებებში (კანდარუნი 1998:317).

რ.იაკობსონი გვთავაზობს შემდეგ სქემას:



– *ექსპრესიული* ან *ემოციური* ფუნქცია ცენტრში აყენებს გადამცემს; იგი მიზნად ისახავს სუბიექტის ქცევის პირდაპირ გამოხატვას იმის მიმართ, რასაც ის ლაპარაკობს (მოდალობები, შორისდებულები).

– *კონატიური ფუნქცია* **(conative)** ორიენტირებულია მიმღებზე. ხორციელდება ყველაზე აშკარად ბრძანებითში ან წოდებითში.

– *რეფერენციული ფუნქცია* (ან დენოტაციური ან კოგნიტიური) ორიენტირებულია კონტექსტზე და ყველაზე აშკარაა. მისით ხორციელდება მეტყველება.

– *ფატიკური ფუნქცია* ეფუძნება კონტექსტს; იგი ახორციელებს შეტყობინებებს, რომლებიც ძირითადად ემსახურება კომუნიკაციის დამყარებას, გაგრძელებას ან შეწყვეტას (ზრდილობიანი ფორმულები).

– *მეტალინგვისტური ფუნქცია* ეფუძნება კოდს და იგი მოქმედებაშია ყოველთვის, როცა გამგზავნი და/ან მიმღები აუცილებლად თვლიან, შეამოწმონ, კარგად იყენებენ თუ არა ერთსა და იმავე კოდს.

– *პოეტური ფუნქცია* ხასიათდება „შეტყობინების მიზნით“, აქცენტი კეთდება შეტყობინებაზე (იაკობსონი 1970:95).

აქედან გამომდინარე დ. მენგენო იღებს შემდეგ სქემას:



ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებელია ინფორმაციის არსებობა, რომელსაც შეტყობინების სახით გადასცემს მოლაპარაკე პირი (გადამცემი) მსმენელს (მიმღებს). ბუნებრივი ენა ფლობს კოდს, რომელიც უნდა იცოდეს საზოგადოების თითოეულმა წევრმა, რაც შესაძლებელს გახდის შეტყობინების გაგებას. თუკი მსმენელმა არ იცის შესაბამისი კოდი, მისთვის ნებისმიერი ინფორმაცია არის ხმაური. ინფორმაციის კოდირება ეს არის პროცესი, რომლითაც გადამცემი **(encodeur)** შეტყობინებას ანიჭებს გამონათქვამის ფორმას. შეტყობინების სწორად დეკოდირებისათვის კოდის სრულყოფილი ცოდნის გარდა, აუცილებელია სიტუაციის და კონტექსტის ზედმიწევნით ცოდნა. სიტუაცია აპირობებს ლინგვისტურ ქცევას, ანუ კონტექსტს.

3. გამოთქმა / გამონათქვამი

ამ თავში ჩვენ შევეხებით ისეთ თემას, როგორიცაა გამოთქმა / გამონათქვამის (énonciation/énoncé) ურთიერთმიმართება. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ლექსიკონში "გამონათქვამი" არის კომუნიკაციის ელემენტთა ერთობლიობა, რომელსაც გააჩნია თვითკმარი მნიშვნელობა, ხოლო "გამოთქმა"

არის გამონათქვამის წარმოქმნა. მ.მაკაროვი თვლის, რომ გამონათქვამი აზრს იძენს მხოლოდ, როგორც განვითარებადი დიალოგის კონსტიტუციური (შემადგენელი), ნაწილი; ცალკე აღებულ გამონათქვამს აზრი არა აქვს (მაკაროვი 2003:79). საპასუხო გამონათქვამები ქმნიან ახალ აზრს და აპირობებენ დიალოგის შემდგომ განვითარებას, ცვლიან რა მუდმივად საუბრის კონტექსტს. პროპოზიცია აქტუალიზირდება გამონათქვამში, იძენს რა ამ დროს ჭეშმარიტება-სიყალბის ლოგიკურ-სემანტიკურ მნიშვნელობას. ასე შედის დისკურსის სემანტიკაში მოცემული გამონათქვამის ჭეშმარიტების პირობები. სამეტყველო კომუნიკაციისას ურთიერთობის მონაწილეები მრავალ პროპოზიციას იგონებენ მეხსიერებიდან, მათ კონსტრუირებას ახდენენ და ამუშავებენ. სწორედ ისინი ედება საფუძვლად ახალი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მაგრამ ყოველი ახალი გამონათქვამი პროპოზიციას უმატებს საერთო კონტექსტს. ზოგიერთი ენობრივი ქმედება, მაგალითად, აკრძალვა ან ნების დართვა, პირიქით პროპოზიციას ტექსტიდან ამოიღებს. პრესუპოზიცია წინ უსწრებს გამონათქვამს – ეს არის ინტერპრეტაციის ატრიბუტი, რომლის დროსაც პროპოზიცია ანალიზისთვის ხელმისაწვდომი ხდება. თითოეული გამონათქვამი, მათი თანმიმდევრობა ასრულებს მრავალ ფუნქციას და ემსახურება მრავალ მიზანს; მოლაპარაკე პირი ირჩევს ენობრივ ხერხებს, საშუალებებს, რომლებიც ოპტიმალურად შეესაბამება არსებულ მიზნებს. სტრატეგია არის კოგნიტიური პროცესი, რომელშიც მოლაპარაკე პირი თავის კომუნიკაციურ მიზანს შეუსაბამებს კონკრეტულ ენობრივ გამონათქვამს. მიზნები შეიძლება იყოს იერარქიულად ორგანიზებული.

უ.ლ.შისი, დ.მენგენო, უ.ფილიოლე თვლიან, რომ ლინგვისტური კომუნიკაციის სტრუქტურალისტურ კონცეფციას, რომელიც ეფუძნება სისიურისეულ ოპოზიციის - ენა / მეტყველება - შეზღუდულ ინტერპრეტაციას, ემუქრება საფრთხე. მართლაც, შესაძლებელია ენა დაიყვანონ კოდის, მხოლოდ ინფორმაციული მიზნის მქონე ინსტრუმენტის დონეზე. ამგვარი დეფინიცია, რაკი იგი თავიდან იცილებს, მაგალითად ლინგვისტური პროდუქციისა და ურთიერთობის პირობებს, სწორედ რომ გამორიცხავს ადამიანური მეტყველების ორიგინალურ მახასიათებელთა გათვალისწინების ნიშანთა სხვა სისტემებს. ეს ნიშნავს იმის თქმას, რომ ელემენტთა ერთობლიობა, რომელიც გამომდინარეობს გამოთქმიდან **(énonciation)** უნდა იყოს ინტეგრირებული სამეტყველო რეალობის ყველა მიდგომაში (შისი 2001:82-83; კრისტევა 1969:56).

ერთი მხრივ, ვიწროდ შიდა ლინგვისტურ პლანში გამოთქმა **(énonciation)** აჯგუფებს ნიშნებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ენის სისტემას და რომელთა

მნიშვნელობა არ შეიძლება თითოეული გამონათქვამის რეფერენციის მიღმა იქნეს გაგებული. ეს არის ის ფაქტი, რომლითაც ინდივიდი გამონათქვამში **(énoncé)** სპეციფიური ნიშნების, მაჩვენებლების მეშვეობით შემოდის, როგორც მოლაპარაკე პირი. ეს მოიცავს ლინგვისტურ ფენომენთა სამ რიგს:

1. ურთიეთობები გამომთქმელსა და ადრესატს შორის;
2. გამომთქმელის ურთიერთმიმართება საკუთარ გამონათქვამთან;
3. გამომთქმელის ურთიერთმიმართება თავის (ექსტრალინგვისტურ ან ლინგვისტურ) კონტექსტთან;

მეორე მხრივ, უფრო ფართო მნიშვნელობით გამოთქმა **(énoncition)** მოიცავს კომუნიკაციის და დისკურსის ტიპოლოგიის სიტუაციებს, მეტყველების, ენის ფუნქციების კვლევას, გამონათქვამთა მნიშვნელობის ვრცელ პრობლემას, რომელიც მთელი ამ მსჯელობის შორეულ ჰორიზონტს აყალიბებს.

ამგვარად, გამონათქვამში **(énoncé)** დაინტერესებული არიან გამოთქმის **(énonciation)** პროცესით მანამ, სანამ აღმოჩნდებიან კომუნიკაციის სიტუაციაში, სადაც უპირატესობას ანიჭებენ ოპოზიციას ზეპირი / დამწერლობა.

გამოთქმის **(énonciation)** ფენომენები დიდხანს იკავებდნენ ერთი შეხედვით მარგინალურ ადგილს ლინგვისტურ კვლევებში, რაც ტერმინოლოგიის სიმრავლიდან გამომდინარეობს. რ.იაკობსონის კვალდაკვალ გამოვდივართ იქიდან, რომ ყოველი ლინგვისტური სისტემა შეიცავს გრამატიკული ერთეულების სპეციალურ კლასს, რომელსაც უწოდებენ **"embrayeurs"** (ინგლისურად **"shifters"**), რომლებმაც შეტყობინება უნდა "გადააბან" (დაუკავშირონ) სიტუაციას.

ე.ბენვენისტი ამასთან დაკავშირებით ლაპარაკობს დეიქსისზე: აქ იგი გულისხმობს ორიენტირების ერთობლიობას, რომლებიც გამონათქვამს **(énoncé)** ჩაწერენ გარკვეულ, განსაკუთრებულ სიტუაციაში (ბენვენისტი 1966:19). მართლაც, გამონათქვამში **(énoncé)** არსებობს დეიქტიკური ელემენტები, რომლებიც სიტუაციის ზოგიერთ მონაცემებს მიემართება, მაგალითად, იმ სიტუაციას, რომლებშიც ისინი გამოითქვა.

ე.ბენვენისტი გამოყოფს გამოთქმის **(énonciation)** ორ სახეს: *თხრობა* **(récit)** (ტერმინი, რომელიც სწავლებაში ხშირად ცვლის ისტორიული გამოთქმის – **"énonciation historique"** - თავდაპირველ ცნებას), როგორც გამოთქმის სახე, რომელსაც კავშირი არა აქვს პროცესის აქტუალობასთან; მეორე სახე არის *დისკურსი*, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკე პირისა და მსმენელის ინტერაქციას.

გამოთქმის **(énonciation)** ამ სფეროში უნდა დავიმახსოვროთ განსაზღვრულ ფენომენთა ერთობლიობა, რომლებიც შარლ ბალის შემდეგ განისაზღვრება ტერმინით "მოდალობები" ან "მოდალიზაცია" (ბენვენისტი 2001:26); მაშინაც კი, როცა ბევრი მათგანი ერთი ენის სინტაქსის ექსპლიციტურ პლანში გადმოიცემა და გამომდინარეობს ლოგიკიდან. მოდალობა ძირითადად მოიცავს სამი ტიპის ურთიერთობას:

–ურთიერთობა მოლაპარაკესა და მსმენელს შორის;

–ურთიერთობა მოლაპარაკესა და მის შეტყობინებას შორის; ლოგიკური კატეგორიები (საჭიროება, შესაძლებლობა და ა.შ.);

–სუბიექტის მიერ გამონათქვამის ამა თუ იმ ასპექტის გამოყოფა.

გამოთქმის **(énonciation)** მოდალობა კომუნიკაციის სპეციფიკურ ტიპს იძლევა, რომელიც მყარდება მოლაპარაკესა და მის ერთ ან რამდენიმე მსმენელს შორის (კრისტევა 1969:57); იგი გადმოიცემა ფრაზის ერთი ტიპით, რომელიც გამორიცხავს დანარჩენებს: დეკლარაციული, კითხვითი, ბრძანებითი, ძახითი.

გამონათქვამის **(énoncé)** მოდალობა არის ხან ლოგიკური, ხან შემფასებლური. მაგალითად, გამონათქვამი –*"Il se peut que Paul vienne", "C'est heureux que Paul soit la"*. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ განსხვავებული ლინგვისტური წყაროები ამ მოდალობებს გამოხატავენ: მოდალური ზმნიზედა *"heureusement"* ცვლის ფრაზას *"C'est heureux"*; ალბათობა შეიძლება განსხვავებულად გამოიხატოს: *"Paul doit venir"; „Paul viendra probablement, surement"; „Probablement que Paul viendra"*.

შეტყობინების მოდალობა გულისხმობს სინტაქსსა და დისკურსს შორის ურთიერთობის პრობლემას მთელ კომპლექსურობაში. მართლაც, გამოთქმის **(énonciation)** სუბიექტი შემოიჭრება განსხვავებული სახით ყველა გამონათქვამში **(énoncé)** სინტაქსური წყობის მიხედვით, რომელსაც ის იყენებს ან ინტონაციის მიხედვით.

ტერმინი "გამონათქვამი" გამოიყენება ლინგვისტურ ლიტერატურაში ორი მნიშვნელობით: 1. როგორც "მეტყველების აქტის" სინონიმი და 2. სამეტყველო წარმონაქმნების **(речевые произведения)** აღნიშვნა, რომელიც წარმოიშვა სამეტყველო აქტის დროს; იგი განიხილება ამ მეტყველების აქტის კონტექსტში. მ.ბახტინის აზრით, "მხოლოდ გამონათქვამს გააჩნია უშუალო მიმართება სინამდვილესთან და ცოცხალ მოლაპარაკე პირთან (სუბიექტთან). მხოლოდ გამონათქვამი შეიძლება იყოს ნამდვილი (არა ნამდვილი), ჭეშმარიტი, მართალი (ყალბი), შესანიშნავი, სამართლიანი და ა.შ." (ბახტინი1985:32).

ე. ბენვენისტი: "გამონათქვამს ენა მოჰყავს მოქმედებაში მისი გამოყენების ინდივიდუალური აქტის მეშვეობით. ინდივიდუალურ აქტს, რომლის მეშვეობით ჩვენ ვიყენებთ ენას, შემოჰყავს მოლაპარაკე პირი, როგორც გამონათქვამისთვის აუცილებელ პირობებს შორის ერთ-ერთი პარამეტრი. თითოეული გამონათქვამის აქტი არის ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად ვინმესადმი მიმართვა და იგი თანამოსაუბრის არსებობას პოსტულირებს" (ბენვენისტი 1966:119).

ამგვარად, კომუნიკაციის სიტუაცია, როგორც ვხედავთ, გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას. ინფორმაცია გადაიცემა შეტყობინების სახით, რომელიც შესდგება გამონთქვამებისაგან და წარმოადგენს გამოთქმის აქტს. სამეტყველო კომუნიკაციისას ურთიერთობის მონაწილე პირები გამონათქვამებს იგონებენ თავიანთი მეხსიერებიდან, ახდენენ მათ კონსტრუირებას, გადაამუშავებენ და გადმოსცემენ ანუ ახორციელებენ გამოთქმის აქტს. გამოთქმის აქტის განხორციელებისას მნიშვნელოვანია: ურთიერთობა მოლაპარაკესა და მსმენელს, მოლაპარაკესა და მის შეტყობინებას შორის, ასევე ურთიეთობები გამომთქმელსა და ადრესატს შორის, გამომთქმელის ურთიერთმიმართება საკუთარ გამონათქვამთან და გამომთქმელის ურთიერთმიმართება კონტექსტთან.

4. მოლაპარაკე პირი და მსმენელი

წინა თავებში განხილული თემების შემდეგ ამ თავში ჩვენ შევეცდებით, შევისწავლოთ ისეთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა მოლაპარაკე პირისა და მსმენელის (ან გამგზავნისა და მიმღების) ურთიერთობა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული გამოთქმა/გამონათქვამთან. უფრო ზუსტად კი მოლაპარაკე და მსმენელი არიან ის პირები, რომლებიც წარმოქმნიან გამონათქვამებს და ამყარებენ კომუნიკაციას, შესაბამისად ამ ეტაპზე საინტერესოდ მიგვაჩნია ამ საკითხის განხილვა.

ცნობილია, რომ კომუნიკაციის სიტუაცია გულისხმობს მოლაპარაკე პირის, მსმენელისა და გამონათქვამის არსებობას. რაკი გამონათქვამზე ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ, აქ უნდა გავარკვიოთ მოლაპარაკე პირისა და მსმენელის სტატუსი.

ვ.ლებანიძე აცხადებს, რომ მეტყველ სუბიექტს გააჩნია გარკვეული კოდი; იგივე კოდი გააჩნია შესაბამისი კოლექტივის სხვა წევრებს და ამ კოდს მეტყველი სუბიექტი იყენებს იმისათვის, რომ რაღაც აცნობოს მეორე სუბიექტს (ლებანიძე 1998:39). იგი თვლის, რომ მიმართება არსებობს არა მარტო ორ სუბიექტს შორის, რომელიც აისახება გამონათქვამში. უფრო მეტიც, არის

მიმართება მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის, ასევე მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის.

„კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს მეტყველ სუბიექტს ანუ ადრესანტს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკის ფარგლებში უნდა გვქონდეს კატეგორიათა სისტემა, რომლებიც ასახავენ სწორედ მეტყველი სუბიექტის, ადრესანტის მთელ პოზიციას კომუნიკაციურ აქტში. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება ადრესანტთან, მსმენელ სუბიექტთან“ (ლებანიძე 1998:21). მაგრამ კომუნიკაციის ყოველ აქტში გვაქვს არა მარტო ორი სუბიექტი, არამედ ურთიერთმიმართება მათ შორის, ანუ ინტერსუბიექტურობა. მაშინ უნდა არსებობდეს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც ასახავს ამ ურთიერთმიმართებას.

ე.ბენვენისტის თვალსაზრისით, მეტყველება ეგოცენტრისტულია: მეტყველების აქტში მეტყველი სუბიექტი მოცემულ მომენტში თითქოსდა ითვისებს მთელ ენობრივ სისტემას და იყენებს მას თავისი მეობის, ეგოს გამოსახატავად. ამდენად სამეტყველო აქტი ეგოცენტრისტულია (ბენვენისტი 1966:117).

ს.დიურერისა და კ.ტომასეს მიაჩნიათ, რომ როცა მოლაპარაკე პირი არის ინსტანცია, რომელიც სიტყვით მიმართავს მსმენელს, ეს უკანასკნელი არის ის ინსტანცია, რომლისთვისაც არის განკუთვნილი ეს გამონათქვამი. მათი აზრით, ტერმინი თანამოსაუბრე **(interlocuteur)** არის გენერიკული **(générique)**, რომელიც მოიცავს ორივეს ერთდროულად. ამგვარად, საუბარს და ანალოგიასაც განიხილავენ, როგორც ზეპირ კომუნიკაციას, რომელსაც წარმართავს ორი თანამოსაუბრე (დიურერი 1999:11). თუმცა ამგვარი კონცეფცია არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მონაწილეები ხშირად – ნებსით თუ უნებლიედ – უფრო მრავალრიცხოვანნი არიან, რომ არსებობს სხვა ინსტანციებიც. გარდა მსმენელისა, არსებობენ სხვა მონაწილეებიც. თუკი ინტერაქციისათვის საჭიროა ერთზე მეტი მოლაპარაკე, კიდევ უფრო ხშირია, როცა არსებობს რამდენიმე მიმღები.

ამ საკითხთან დაკავშირებით შევისწავლეთ კლარკისა და კარლსონის ნაშრომი „მსმენელი და მეტყველების აქტი“ (კლარკი 1985:270), სადაც ისინი მიზნად ისახავენ იმ ფაქტის დამტკიცებას, რომ როცა მოსაუბრე ახორციელებს ილოკუციურ აქტს (სერლი 1986:171), იგი მიმართულია არა მხოლოდ ადრესატისაკენ, არამედ სხვა მსმენელთა მიმართაც. გამოიყოფა მსმენელის ერთი ტიპი, რომელსაც ვუწოდეთ მონაწილე, რომლის როლს მსმენელის სახით ვერ

ჩავთვლით ადრესატის როლად ან შემთხვევით მსმენელად. ავტორები აქ გამოყოფენ სამ ჰიპოთეზას:

1. *ჰიპოთეზა მონაწილეებზე:* ზოგიერთი ილოკუციური აქტი მიმართულია მსმენელებზე, რომლებსაც აქვთ ადრესატის როლი, ხოლო სხვები მიმართულია მსმენელებზე, რომლებსაც აქვთ მონაწილის როლი. პირველი ტიპია – ილოკუციური აქტები, მიმართული ადრესატებზე; ისინი შეიცავენ ყველა ცნობილ ილოკუციურ აქტს, როგორიცაა მტკიცება, თხოვნა, დაპირება და პატიება. ახალია მონაწილეებზე მიმართული ილოკუციური აქტები.

2. *ჰიპოთეზა ინფორმატივებზე:* ილოკუციურ აქტთა ძირითად სახესხვაობას, რომელიც მიმართულია მონაწილეებზე, წარმოადგენს ილოკუციური აქტები, რომლის საშუალებითაც მოსაუბრე სრულად მიმართავს ყველა მონაწილეს ერთად. ამ ილოკუციურ აქტს ის ახორციელებს ადრესატის მიმართაც. ასეთი ილოკუციური აქტები არის ინფორმატივები. აქედან მივდივართ მესამე ჰიპოთეზამდე.

3. *ჰიპოთეზა ინფორმატივის პრიორიტეტზე:* ყველა ილოკუციური აქტი, რომელიც მიმართულია ადრესატებზე, ხორციელდება ინფორმატივების საშუალებით.

განვიხილოთ მაგალითები, რომლებშიც მოსაუბრე ახორციელებს ილოკუციურ აქტს ერთი მსმენელის მიმართულებით და იმავდროულად იმავე გამონათქვამის საშუალებით ინფორმირებს სხვა მსმენელებს. ასეთ მსმენელებს ვუწოდეთ გვერდითი მონაწილეები, ხოლო მათი ინფორმირების აქტს ინფორმატივები.

სტანდარტული თეორიების შესაბამისად მოლაპარაკეს შეუძლია, განახორციელოს ერთი ილოკუციური აქტი ადრესატის მიმართ და ამასთანავე მეორე ილოკუციური აქტი იმავე ადრესატის მიმართ. პირველს ეწოდება პირდაპირი ილოკუციური აქტი, მეორეს – ირიბი ილოკუციური აქტი. მაგ:

„მასწავლებელი (ეუბნება მოსწავლეს მშობლის თანდასწრებით): ელენე, მე მოვითხოვ, რომ შენ უთხრა დედას, რა დააშავე დღეს“ – მასწავლებელი პირდაპირ ეუბნება და თან ირიბად მოითხოვს. თხოვნაც და მოთხოვნაც მიემართება ელენეს.

ან მაგალითად:

„მასწავლებელი (ეუბნება მშობელს ეუბნება შვილის თანდასწრებით): მე მოვითხოვ, რომ ელენემ გითხრათ, რა დააშავა მან დღეს“ – მასწავლებელი ახლაც პირდაპირ ამტკიცებს, რომ იგი დაჟინებით ითხოვს, მოსწავლემ უთხრას

რაღაც დედას და ირიბად თხოვს მოსწავლეს ამის გაკეთებას. თუმცა, ამგვარად, მტკიცება მიემართება მშობელს, თხოვნა – მოსწავლეს.

ამრიგად, არსებობს ირიბი ილოკუციური აქტის ორი ტიპი: ისეთი, როგორებიცაა ზემოთ მოყვანილი წინადადებები, მაგალითად, პირველ წინადადებაში პირდაპირი და ირიბი ადრესატი ერთი და იგივე პირია, ხოლო მეორეში – სხვადასხვა პირებია. ვუწოდოთ ამ ორ ტიპს უშუალო და არამთავარი ირიბი ილოკუციური აქტები. ირიბი ადრესატებიც ამ შემთხვევაში შესაბამისად იქნებიან უშუალო და არაძირითადი (სერლი 1985:179; სტროსონი 1986:113).

საუბრებში, რომლებშიც მონაწილეობს სამი ან მეტი პირი, ერთ მონაწილეს შეუძლია ესაუბროს სხვებს და არ იცოდეს, რომელ მათგანს მიმართავს. მაგ:

„მარიამი (ელენეს და გიორგის): „ძალიან გთხოვთ, მითხრათ, რომელ კინოთეატრში გადის „დავინჩის კოდი" – ამ შემთხვევაში მარიამი ერთნაირად მიმართავს ორივეს. სტანდარტული თეორიები ვერ ითვალისწინებენ ასეთ შემთხვევებს. ისინი ვარაუდობენ, რომ მოლაპარაკე პირმა იცის, ვისკენაა მიმართული ნებისმიერი ილოკუციური აქტი.

თხოვნა, კლარკისა და კარლსონის აზრით, წარმოადგენს მცდელობას იმისა, რომ უბიძგოს H-ს გააკეთოს A, სადაც H – მსმენელია, რომლის თანდასწრებით წარმოთქვეს წინადადება. თუმცა მარიამი არ ცდილობს, რომ ორივეს – ელენეს და გიორგის – უბიძგოს ინფორმაციის მიწოდება. იგი ცდილობს, ინფორმაციის მიწოდება უბიძგოს იმას, ვისაც ის აქვს. ამის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მარიამს გააჩნია ერთნაირი განზრახვა ორივეს მიმართ, ამიტომ, როცა იგი ახორციელებს ილოკუციურ აქტს ელენეს მიმართ, იგი იმავეს აკეთებს გიორგის მიმართ. მარიამი ახორციელებს ორ ილოკუციურ აქტს – მიმართავს თხოვნით მას, ვისაც აქვს ინფორმაცია და ამ თხოვნის შესახებ ინფორმაციას აწვდის მეორეს. იგი თვლის, რომ თავისთავად გაირკვევა ყველაფერი. იგი ორივეს მიმართ ერთნაირად იქცევა.

ბევრ შემთხვევაში მთავრობის ჩინოვნიკები, ტელეკომუნიკატორები და ა.შ. თითქმის მიმართავენ განსაზღვრულ მსმენელებს, თუმცა მათი მთავარი მიზანია ამასთანავე ინფორმაცია მიაწოდონ პუბლიკას იმის შესახებ, თუ რას ეუბნებიან ისინი ამ მსმენელებს. მაგალითად:

„მერი (მეხანძრეს): სან-ფრანცისკოს მოქალაქეთა სახელით მადლობას მოგახსენებთ სამი ადამიანის გადარჩენისათვის გასულ ხუთშაბათს ხანძრის დროს და მადლიერების ნიშნად გასაჩუქრებთ ამ მედლით"(კლარკი 1985:279).

„კენტის ჰერცოგინია (ბილი ჯინ კინგს, რომელმაც გაიმარჯვა უიმბლდონის ტურნირზე ქალებს შორის ფინალურ შეჯიბრებაში“: „გილოცავთ არაჩვეულებრივი გამოსვლით, გადმოგცემთ გამარჯვების თასს“ (კლარკი 1986:280).

„პრეზიდენტი (დედოფალ ელისაბედს, რომელიც თვითმფრინავიდან ვაშინგტონში): „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება აშშ-ში“ (კლარკი 1986:280].

სამივე შემთხვევაში ძირითადი მიზანია, საქვეყნოდ გამოთქვა მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი შეფასება. აქ იგულისხმება, რომ ამ დროს ამას ესწრება ბევრი ხალხი. აქედან გამომდინარე ზოგიერთი საქვეყნო აქტის ძირითადი შინაარსი გადმოიცემა ინფორმატივებით – მონაწილეთა ინფორმირების აქტი იმის შესახებ, რაც ხდება.

შემდეგ ავტორები აცხადებენ, რომ თუკი იმის გამოსახატავად, რაც მოლაპარაკეს მიზანში აქვს, ისინი დაეყრდნობიან მხოლოდ კონვენციონალურ ენობრივ მექანიზმებს, მაშინ თითოეულს, ვინც იცის მოცემული ენა, მათი გაგების საშუალება ექნება. თუმცა განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ როცა მოსაუბრე თავის გამონათქვამს აწყობს, იგი განსხვავებულ მსმენელს განსხვავებულ როლს ანიჭებს, ამის შემდეგ კი გადაწყვეტს, როგორ თქვას ის, რაც უნდა თქვას; ისინი ეყრდნობიან საკუთარ ცოდნას, რწმენას და ვარაუდს იმის შესახებ, რაც იციან, რისიც სწამთ და რასაც ვარაუდობენ. მსმენელები თავიანთი როლების შესაბამისად იქცევიან. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამონათქვამის ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისება არის ის, რასაც ავტორი უწოდებს აუდიტორიის ესკიზს. იმისათვის, რომ სწორად აღწერო ინფორმატივი, ჩვენ უნდა შეგვეძლოს მსმენელთა როლების და ასევე იმ საშუალებების დახასიათება, რომლებსაც იყენებენ მოლაპარაკეები თავიანთი გამონათქვამის ასაწყობად შესაბამისი მსმენელების გათვალისწინებით.

საუბარი ძირითადად შესდგება იმ გამონათქვამთა თანმიმდევრობისაგან, რომლებსაც ორი ან მეტი ადამიანი ერთმანეთში გაცვლის; თითოეული გამონათქვამის დახმარებით მოლაპარაკე პირი ახორციელებს ილოკუციურ აქტს, რომლებიც მიემართება ადრესატს. მაგალითად:

„ანა (ბარბარას ჩარლზისა და დევიდის თანდასწრებით ეუბნება – დევიდი ფარულად უსმენს): „ბარბარა, გუშინ საღამოს როდის მოხვედით თქვენ ორნი?“ (კლარკი 1986:285). თითოეულ ილოკუციურ აქტში, რომელიც მიემართება ადრესატს, მაგალითად, როგორიცაა ზემოთ მოყვანილი მაგალითი, შეიძლება გამოვყოთ ოთხი ძირითადი როლი:

ა) *მოლაპარაკე* (ილოკუციური აქტის აგენტი). ეს არის პირი, რომელიც ახორციელებს ილოკუციურ აქტს; აქ ამ როლს ანა ასრულებს;

ბ) *ილოკუციურ აქტის მონაწილეები*, რომელიც მიმართულია ადრესატებისაკენ. ესენი არიან მსმენელები, რომლებიც, როგორც ვარაუდობს მოლაპარაკე პირი, მონაწილეობას იღებენ ილოკუციურ აქტში, რომელიც მიემართება ადრესატებს. მაგალითში ესენი არიან ბარბარა და ჩარლზი, დევიდი კი – არა.

გ) *ადრესატები*, რომლებსაც მიემართება ილოკუციური აქტი; იგულისხმება, რომ ზოგიერთი მონაწილე თამაშობს ამასთანავე დამატებით როლს – ილოკუციური აქტის ადრესატები. მაგალითში ადრესატია ბარბარა. ადრესატები არიან მონაწილეები, რომელთაც მიემართება გამონათქვამი, ისინი შეიძლება არ დაემთხვეს იმ მრავალ მსმენელს, რომლებიც გამოიხატება მეორე პირის ნაცვალსახელით; მაგალითში მეორე პირის ნაცვალსახელებია ბარბარა და ჩარლზი მაშინ, როცა ერთადერთი ადრესატი ბარბარაა. ამგვარად, მონაწილეები იყოფა ორ ქვესიმრავლედ: ისინი, ვინც ბარბარას მსგავსად არიან ერთდროულად ადრესატები და ისინი, ვინც ჩარლზის მსგავსად არ არიან ადრესატები. ეს უკანასკნელები არიან უცხო მონაწილეები.

დ) *შემთხვევითი მსმენელი* – ილოკუციურ აქტში, რომელიც მიემართება ადრესატს. ეს ის მსმენელია, რომლებიც მოლაპარაკეს არ შეჰყავს ილოკუციურ აქტში მონაწილეთა რიცხვში, მაგრამ რომლებსაც ის ესმით; ამ მაგალითში ასეთია დევიდი.

ამგვარად, ეს ოთხი როლი განისაზღვრება მოლაპარაკის მიერ. მოლაპარაკის როლს ის თავის თავზე იღებს და თვითონ განსაზღვრავს, ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ილოკუციურ აქტში (განარჩევს რა ერთმანეთისგან მონაწილეებს და შემთხვევით მსმენელებს), თუ ვინ უნდა იყოს ადრესატი. იგი როლების განაწილებას ახდენს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა გამონათქვამის აწყობა და ისეთი მდგომარეობის (ვითარების) შექმნა, რომელშიც იგი თავის თავს აყენებს აუდიტორიასთან მიმართებაში.

მოლაპარაკე თავის გამონათქვამს ისე ადგენს, რომ მხედველობაში იღებს ჩამოთვლილ როლებს. ამ თვალსაზრისით აუდიტორიის ესკიზი შეიძლება დაიყოს მონაწილეების ესკიზად, ადრესატთა ესკიზად და შემთხვევითი მსმენელების ესკიზად. თუმცა აქ ფუნდამენტურია მონაწილეთა ესკიზი (კლარკი 1986:289). ადრესატები და შემთხვევითი მსმენელები იგულისხმება ბაზისური ესკიზის მოდიფიკაციის შემთხვევაში. ბაზისური ესკიზი ხასიათდება პასუხისმგებლობის

პრინციპის მიხედვით; ამით მოლაპარაკე პასუხისმგებლობას იღებს თავისი გამონათქვამის ამგვარად ფორმირებაზე, რათა საუბარში ყველა მონაწილეს შეეძლოს, თვალყური ადევნოს იმას, რასაც ის ამბობს. ასე განისაზღვრება ის, რასაც შეიძლება უწოდონ კანონიკური საუბარი. თითოეული რეპლიკის დახმარებით მოლაპარაკე საუბრის თითოეულ მონაწილეს გამოუყოფს როლს.

როგორც წესი, ადრესატის არჩევა შეიძლება განხორციელდეს ჟესტის, შეხედვის, თავის დაქნევის საშუალებით. ადრესატები და მონაწილეები შეიძლება ასევე მითითებული იყოს მეტყველების მანერით: ჩურჩულის საშუალებით მოსაუბრეს შეუძლია, გამოყოს მონაწილის ან ადრესატის სახით განსაზღვრული ჯგუფი, მიახვედროს რა დანარჩენები, რომ ისინი მონაწილეებს არ წარმოადგენენ. ჩვენი აზრით, ეს დამოკიდებულია საზოგადოების წევრთა ურთიერთობაზე, თუ რამდენად იცნობენ ისინი ერთმანეთის განზრახვას და შეუძლიათ თუ არა მისი ამოცნობა. თუმცა ამაზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან შემდეგ თავში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

შეიძლება ითქვას, რომ მოსაუბრე ფლობს ხერხებს, რომლითაც ის აგებინებს ყველას, ვის რა როლი ეკუთვნის. ყოველი გამოყოფილი ილოკუციური აქტი, რომელიც მიმართულია ადრესატისაკენ, ხორციელდება ინფორმატივის საშუალებით პირვანდელი ილოკუციური აქტის ლოგიკურად, რომელიც მიმართულია მონაწილეებზე. როცა არსებობს მხოლოდ ერთი მსმენელი, ილოკუციური აქტის ანალიზისაგან განსხვავება უმნიშვნელოა. თუმცა, როცა მსმენელთა რიცხვი ერთზე მეტია, ინფორმატივების მნიშვნელობა იზრდება. ის არ არის შეზღუდული ილოკუციური აქტით, რომელიც მიმართულია მხოლოდ ერთ პირზე. ის მიღებულია საუბრებში, რომლებშიც სამი ან მეტი პირი მიმართავს ერთმანეთს სხვადასხვა მეთოდებით. შესაბამისად მოსაუბრე ანსხვავებს ადრესატს, მონაწილეს და შემთხვევით მსმენელს, ასევე მსმენელთა ყველა ტიპისათვის მიმართავს სხვადასხვა ხერხს (სერლი 1986:196; სტროსონი 1986:134).

ამგვარად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კომუნიკაციის აქტი გულისხმობს მოლაპარაკე პირისა და მსმენელის არსებობას. გარდა მსმენელისა, არსებობენ სხვა მონაწილეებიც ანუ არსებობს რამდენიმე მიმღები. როდესაც მოსაუბრე წარმოქმნის მეტყველების აქტს, იგი სხვადასხვა მსმენელს განსხვა-ვებულ როლს ანიჭებს. მოლაპარაკე პირი უნდა ფლობდეს ყველა ხერხს იმისათვის, რომ გააგებინოს არსებულ საზოგადოებას, თუ ვისკენ არის მიმართული მისი მეტყველების აქტი. მსმენელები კი თავიანთი როლების შესაბამისად იქცევიან. კვლევაში გამოვყავით რამდენიმე მონაწილე –

მოლაპარაკე პირი, ილოკუციური აქტის მონაწილე, ადრესატები, ვისკენაც მიმართულია მეტყველების აქტი და შემთხვევითი მსმენელები. ჩვეულებრივ, ადრესატის არჩევანს მოლაპარაკე პირი ახორციელებს ჟესტის, შეხედვის, თავის დაქნევის, ჩურჩულის საშუალებით, მიახვედრებს რა ამით დანარჩენებს, რომ ისინი მონაწილეებს არ წარმოადგენენ.

5. ინტერაქტიულობა და კომუნიკაციური ინტერაქცია

ა) რა არის ინტერაქცია

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ მოლაპარაკე პირისა და მსმენელის ურთიერთობის საკითხი საკომუნიკაციო სიტუაციაში, რაც თავისთავად გულისხმობს ურთიერთობის პარტნიორთა ორმხრივ ზეგავლენას. ასეთ მიმართებას კი ინტერაქცია ეწოდება. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ საკითხის განხილვა.

დაახლოებით 1950 წელს ჩიკაგოს სკოლამ განავითარა ახალი მიმდინარეობა, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად პარკის, მიდის და დიუის მოსწავლით – (ფსიქოსოციოლოგი) ჰ.ბლუმერით (გრავიცი 1996:485). სწორედ მან შექმნა ტერმინი *„ინტერაქციონიზმი“*. ასევე ამ მხრივ მნიშვნელოვანი და საინტერესოა ე.გოფმანის (გრავიცი 1996:486; სმეზლერი 1988:56) მიერ ჩატარებული სამუშაო. ეს უკანასკნელი თვლის, რომ ინტერაქციები არის სისტემები დამოუკიდებელი იმ ინდივიდთაგან, რომლებიც მათ ქმნიან. იგი ინტერაქციას მიიჩნევს არა ჰარმონიულ სცენად, არამედ განწყობილებად, რომელიც ცივი ომის წარმართვის საშუალებას იძლევა. ამგვარად, ყოველგვარი ინტერაქცია არის (საკუთარი თავის) გულდახშულობისა და (სხვისი) კვლევის თამაში. კომუნიკაციის თემაზე ამ დროს ვარიაციები ჯერ კიდევ უცხო იყო სოციოლოგებისათვის და ფსიქოსოციოლოგებისათვის. ლინგვისტებს ეს თემა აინტერესებდათ იმ დროის ლაბორატორიული ექსპერიმენტების სახით, რაც შემოიფარგლებოდა ზოგისათვის კვლევებით და სხვებისათვის კი ვერბალური შეტყობინებების გადაცემით. თუკი ე. გოფმანი მონაწილეობას არ იღებს მაკრო და მიკროსოციოლოგიის კავშირებში, იგი ე. დიურკეიმის მსგავსად მიუთითებს, რომ ინტერაქციის წესები ძირითადად შეადგენენ სოციალურ მაკროსტრუქტურასა და ინტერაქციულ მიკროსტრუქტურას შორის კავშირს (გრავიცი 1996:122).

სიმბოლური ინტერაქციონიზმი შემოიტანა ჰერბერტ ბლუმერმა (გრავიცი 1996:113). მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანთა შორის

ურთიერთქმედება განიხილება, როგორც განუწყვეტელი დიალოგი, რომლის დროსაც ისინი აკვირდებიან, იაზრებენ ერთმანეთის განზრახვებს და მათზე რეაგირებენ; სიტყვები ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოებია; მათი მეშვეობით ჩვენ მნიშვნელობას ვანიჭებთ საგნებს, რომლებიც წინააღდეგ შემთხვევაში აზრს მოკლებული იქნებოდნენ. ამით ჩვენ შეგვიძლია სხვა ხალხთან ურთიერთობა. როცა მოდიან სტუმრები, ჩვენ მათ დაჯდომას ვთავაზობთ; ისინი უნდა დასხდნენ სკამზე ან დივანზე; თუკი ისინი დასხდებიან ტელევიზორზე, კომუნიკაცია არ შესდგება. ეს ნიშნავს იმას, რომ სიტყვა „დაჯდომა“ არასწორად გაიგეს. ის ფაქტი, რომ ადამიანები ერთნაირად სწავლობენ სიმბოლოთა ინტერპრეტაციას, აადვილებს ურთიერთობას. ე.ბლუმერი თვლის, რომ „ერთმანეთთან“ ურთიერთობისას ინდივიდები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ სხვა ადამიანთა ქცევებს ან განზრახვებს. ამგვარად, სხვათა აქტიურობა პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს ჩვენს საკუთარ ქცევაზე; სხვათა ქცევათა ზეგავლენით ვიღაცას შეუძლია უარი თქვას თავის განზრახვაზე ან ჩანაფიქრზე, ან პირიქით, გადადოს ან დააჩქაროს იგი, ან შეცვალოს პირველადი გეგმები. სხვათა ქმედებები განსაზღვრავენ ადამიანთა გეგმებს – შეუძლიათ შეაბრკოლონ ან ხელი შეუწყონ მათ რეალიზაციას, მოახდინონ ზეგავლენა მათ შეცვლაზე. ხალხი იძულებულია, შეუწყოს თავისი ქცევები სხვათა ქმედებებს.

უ.ჰერპენი (ოშლენი 1988:36) თვლის, რომ ინტერაქციაში გულისხმობენ ორმხრივ ზეგავლენას, რომლებსაც პარტნიორები ახორციელებენ ერთმანეთზე, როცა ისინი ერთად იმყოფებიან.

მ.მაკაროვი ინტერაქციას განიხილავს, „როგორც პროცესს, რომელშიც პიროვნებები ახდენენ მოქმედებების შესაბამისი ხაზების კოორდინირებას მოქმედებების ორგანიზაციისა და ინტერპრეტაციის საერთო სქემების მიხედვით” (მაკაროვი 2003:56-57). კომუნიკაციური ურთიერთობის მინიმალურ ერთეულად მიჩნეულია ურთიერთობა **(échange)**, რომელიც იყოფა ელემენტარულ ან მარტივ (ორკომპონენტიანი – კითხვა-პასუხი, თხოვნა-პირობის მიცემა, მისალმება-მისალმება), დახურული ან კომპლექსური (ტიპიური სტრუქტურები, რომლებიც აერთიანებენ სამ, ოთხ და იშვიათად მეტ რეპლიკას კითხვა-პასუხი-დასტური ან კითხვა - ხელმეორედ კითხვა - დამაზუსტებელი კითხვა-პასუხი). მარტივ ურთიერთობას მეცნიერები მიიჩნევენ ენობრივი ურთიერთობის ძირითად სტრუქტურულ ერთეულად.

ფ.ბალი აცხადებს, რომ კომუნიკაცია გულისხმობს ერთი *„აქტიორის“* მეორესთან ურთიერთობას და აქედან გამომდინარე კომუნიკაციის ინტერაქტიულ

წარმოდგენას იზიარებს (ბალი 1999:42). ინტერაქცია არის სწორედ ისეთი ქმედება, რომელშიც აქტიორები თავიანთი ურთიერთქმედების ინტერპრეტაციას ახდენენ. გ. გესპენი (ბრასაკი 2001:41) თვლის, რომ ნამდვილი ინტერაქცია არის მოლაპარაკესა და თანამოსაუბრეს შორის ფუნდამენტური წინააღმდეგობრიობა; ძირითადი განსხვავება მდგომარეობს მოლაპარაკის მიერ მიღების წინასწარ განჭვრეტაში და თანამოსაუბრის მიერ მიღების რეალობაში.

ინტერაქციონიზმი შეიცავს ორ პოლუსს: აშკარად გამოვლენილი საკუთარი თავი **(soi)** და საზოგადოების კონსენსუსი **(consensus du pullic)**, რომელიც დასრულებულ როლს მიიღებს და ანონიმურობიდან გამოიყვანს ინდივიდს. როცა უსიტყვო შეთანხმება არ ხორციელდება, მაშინ ვითარდება განხეთქილება.

კ.კერბრატ-ორეკიონი და კ.ტრავერსო თვლიან, რომ სხვადასხვა სიტუაციებში ავთენტიკური ინტერაქციების აღწერა განუწყვეტლივ ახდენს ისეთი ტიპის დისკუსიების მზარდი ვარიაციების იდენტიფიკაციას, როგორებიცაა პრაგმატული ბუნების ზოგიერთი თავისებურებები ან რომლებიც გამომდინარეობენ მათი დისკურსული ორგანიზაციიდან (კერბრატ-ორეკიონი 2004:43). მაგალითად, საჩივარი, საიდუმლო და ა.შ.; ისინი ხასიათდებიან უფრო დისკურსული კატეგორიებით, რომლებიც შემოიჭრება მონაწილეთა მიერ განხორციელებული აქტებით.

კომუნიკაციის მოვლენები **(les événements de communication)** განსაზღვრულია თავდაპირველად „გარე“ ანუ სიტუაციური კრიტერიუმების ბაზაზე (ადგილმდებარეობის ბუნება და დანიშნულება, მონაწილეობითი ფორმატის, არხის ბუნება, ინტერაქციის მიზანი, ურთიერთობის ფორმალურობისა და დაგეგმარების ხარისხი, ინტერაქტიულობის ხარისხი და ა.შ.). რაც უფრო დახვეწილია ფაქტორები, მით უფრო მეტად დახვეწილია კატეგორიებიც; ამგვარად, შეგვიძლია დიდ კომუნიკაციურ ოჯახებში განვასხვავოთ მრავალი ქვეკლასი და ქვე ქვე-კლასი, როგორებიცაა "საუბარი", "კრება" "მომსახურეობის ინტერაქციები" **(interactions de travail)**.

ქმედების ტიპები განისაზღვრება პირიქით, „შიდა“ კრიტერიუმებით. არგუმენტაცია, თხრობა ან მისალმება შეიცნობა იმ მოვლენებისაგან დამოუკიდებლად, რომლებშიც ისინი ჩაიწერებიან და რომლებიც შეიძლება იყოს ძალზე განსხვავებული (მაშინაც კი თუკი ზოგიერთი ქმედების ტიპი გვხვდება ზოგ ადგილას უფრო პრივილეგირებულად, ვიდრე სხვაგან). ლინგვისტური ინვენტარის ეს იდენტიფიკაცია დისკურსული ორგანიზაციის სხვადასხვა ელემენტებზე აიგება, როგორიცაა დროთა გამოყენება, გამონათქვამთა ფორმები

და მათი ეპიზოდური მოწყობა, მეტყველების აქტთა და „რუტინის“ (ჩვევის) ბუნება, გამოყენებული კავშირების ტიპები და ა.შ. ამას დაემატება ინტერაქციისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, როგორიცაა ხმის ინტენსიურობა, სიტყვათა ჯერის სიგრძე, მარეგულირებელთა ან სიტყვათა მონაცვლეობის სიხშირე.

რაც შეეხება ა.ტრონიონს, იგი ინტერაქციას შემდეგნაირად განსაზღვრავს: ინტერაქცია არის ქცევათა მარტივი თანმიმდევრობა, რიგი, როცა მოცემულია ორი A და B პიროვნება, სადაც C არის ქცევა, მაშინ გვექნება C_A, C_B, C_A, C_B. . . . . თუკი ისრით გამოვსახავთ თანმიმდევრობას, რომელიც აერთიანებს ამ ქცევებს, შემდეგი ეპიზოდი იქნება ინტერაქცია $C_A \rightarrow C_B \rightarrow C_A \rightarrow$. . . . (ტრონიონი 1988:19)

სწორედ ეს კონცეფციაა განვითარებული სოციალური ფსიქოლოგიის ნაშრომთა უმრავლესობაში. კერძოდ კი ექსპერიმენტალურში, რომელთაც ეწოდება ინტერაქციონიზმი (მაგალითად, ბალი, ჰომსი, ტიბო და კელი და ა.შ.) პალო ალტოს სკოლა იძლევა შემდეგ განსაზღვრებას: ინდივიდთა შორის გაცვლილ შეტყობინებათა სერიას ეწოდება ინტერაქცია.

ინტერაქცია წარმოადგენს A-სა და B-ს შორის ურთიერთქმედებას: ყოველი მოქმედება ვითარდება ან ხორციელდება ერთდროულად A-დან B-სკენ და B-დან A–სკენ, როგორც წერს ჯ.ლალანდი (ტრონიონი 1988:20) თავის „ფილოსოფიის ტექნიკურ და კრიტიკულ ლექსიკონში; შესაბამისი თანაზიარობა ყოველ წუთს კი არ გამოიხატება, არამედ მთელი ეპიზოდის განმავლობაში A-ს მოქმედება B-ს მიმართ და პირიქით. იგი არ არის თანადროული, არამედ თანმიმდევრული: ქმედებათა თანაზიარობა დამახასიათებელია ეპიზოდისათვის და არა იმ ელემენტებისათვის, რომლებიც ქმნიან ეპიზოდს. ამის შედეგია ის, რომ ინტერაქციას არ გააჩნია თავდაპირველი მიზეზი **(cause-origine)** ან რომ „მიზეზის“ იდენტიფიკაცია არის მხოლოდ ფაქტების ეპიზოდის სეგმენტაციის ან „პუნქტუაციის საქმე“.

ცხადია, რომ ყოველი საუბარი წარმოადგენს ინტერაქციას ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობით, მაგრამ ქცევები არის ვერბალური.

საუბრისეულ ანალიზში ინტერაქცია არ იზღუდება იმ მოქმედებით, რომელსაც მოლაპარაკე პირი ახორციელებს მიმღებზე და პირიქით; იგი აგრეთვე წარმოადგენს ორმხრივ მოლოდინს. აქ სუბიექტები რთულ თამაშს აწარმოებენ, რომელშიც სოციალური რეალობა წარმოგვიდგება ურთიერთგაგების სახით. ინტერაქცია აღარ გამომდინარეობს კონტაქტიდან, არამედ გულისხმობს ურთიერთგაგებას (კაიზერი 1988:137). მის გარეშე იგი შეუძლებელი იქნებოდა; ეს

არის ინტერპრეტაციათა ერთობლიობა, მაშასადამე, საერთო წესთა ერთობლიობა. ამგვარად, როგორც წერს ფ.ჟაკი (იაკობსონი 1970:46): „ინტერაქციას საერთო არაფერი აქვს კლასიკურ თეორიასთან, რომელიც წარმოგვიდგა, როგორც ინტერაქციათა ზოგადი თეორია. მას ასევე არაფერი აქვს საერთო იმასთან, რითიც დაინტერესებულია მ. ბახტინი – „გამონათქვამები კონკრეტულ სოციალურ სივრცეში" (ბახტინი 1986:25).

როცა მოლაპარაკე პირი გამონათქვამს წარმოთქვამს, მას მნიშვნელობა კი არ აინტერესებს, არამედ თვით მსმენელის მიერ მისი ინტერპრეტაცია. მიმღები აკეთებს დასკვნებს მოლაპარაკის ქმედებასთან დკავშირებით, თუ როგორ წარმოადგენს მოლაპარაკე საქმეთა ვითარებას, სურვილებს, ემოციებს, რწმენას და ა.შ. ეს მოლაპარაკე პირი წინ უსწრებს ინტერპრეტაციებს: როცა იგი ირჩევს მის ფორმულირებებს, იგი ორიენტირებული უნდა იყოს მიმღების ინტერპრეტაციის უნარზე და იმაზე, რაც ღირებულია მიმღებისათვის. იგი მიაღწევს იმას, რომ მას გაუგებენ, თუკი მან მიმღებს საშუალება მისცა, გამოეტანა ის დასკვნები, რომელიც მას სურდა და არა მაშინ, თუკი მან იპოვა დამაკმაყოფილებელი ფორმულირება. მეტყველების აქტი ამგვარად ხორციელდება: საჭიროა დასკვნა, რათა მოლაპარაკე პირის დახმარებით გადავიდეთ ერთი ფრაზიდან, რომელიც გარკვეული ილოკუციური აქტის ექსპლიციტურ შესრულებას მიუთითებს, ამ აქტის ეფექტურ შესრულებაზე. თუკი მე ვამბობ – „მე თქვენ გიბრძანებთ, გახვიდეთ" – არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩემი გამონათქვამი მიუთითებს იმას, რომ მე გიბრძანებთ; ცხადია, როცა წარმოვთქვამთ გამონათქვამს, რომელიც მიუთითებს, რომ მე ვბრძანებ, მე მართლა ვბრძანებ. შესაძლებელია, ეს იყოს მცდარი. იმისათვის, რომ მე მართლა გავცე ბრძანება, საჭიროა, რომ მე სერიოზულად აღმიქვან; მსმენელის მხრიდან ითვლება, რომ მე პატივს ვცემ სიზუსტის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, თუკი გამოთქვამენ ფრაზას, რომელსაც გააჩნია ილოკუციური პოტენციალი, ცდილობენ, შეასრულონ ამ პოტენციალიდან გამომდინარე აქტი. პრეზუმცია, რომლის მიხედვითაც ეს პრინციპი დაცულია, საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ როცა მოლაპარაკე პირი გამოთქვამს ილოკუციური F (p) პოტენციალით აღჭურვილ ფრაზას, იგი ასრულებს უშუალოდ F (p) ტიპის მეტყველების აქტს; იგი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფრაზის გამოთქმას გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა, რომ მოლაპარაკე ასრულებს გარკვეული ტიპის მეტყველების აქტს. მსმენელი ასრულებს შემდეგ ტრანსფორმაციას: F (i, j) (P) → F(L, A) (P), სადაც L – მოლაპარაკეა, A – მსმენელი;

i და j გამომთქმელი და მიმღები აქტისა. ეს არის ტრანსფორმაცია, რომელშიც არესბობს თავისივე აქტის პასუხისმგებელი (გოლოპენტია 1988:69).

ამრიგად, ბოლოს წარმოვადგენთ ინტერაქციას, რომელიც აღიწერება რეტროაქციით (უკუქმედი ძალა).

რეგულირების სისტემა წარმოგვიდგება შემდეგნაირად:



როცა რეტროაქცია ფუნქციონირებს ნორმალურად, სისტემიდან გამოსვლა. რომელსაც „დადგენილი“ ეწოდება (S) ზემოქმედებს მეორე მარეგულირებელ (R) სისტემაზე, რომელმაც უნდა მოახდინოს გადახრის, გადანაცვლების კომპენსირება ნორმასთან მიმართებაში. იგი ამ დროს ახორციელებს Δx ადექვატურ კორექციას X შესავალზე რეტროაქციის საშუალებით. ეს მოქმედება შეიძლება იყოს გაფართოება ან შემცირება იმის მიხედვით, იგი სტანდარტზე z(y → z) პატარაა თუ დიდია (გოლოპენტია 1988:71).

ამ მარეგულირებელ უკუქმედებას ეწოდება რეტროაქცია ანუ **„feed back“**, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს რეგენერაციას ან **(retroalimentation)**. დარეგულირების სისტემა ჩამოყალიბებულია დადგენილი (S) სისტემით და მარეგულირებელი (R) სისტემით. მარეგულირებლის უკუქმედება ემატება დადგენილი სისტემის თავდაპირველ მდგომარეობას და შეადგენს დამატებით შესავალს, რომელიც შესაძლებელია გაფართოვდეს ან შემცირდეს.

ამგვარად, ეფექტური ინტერაქცია არ არის ქმედება ან რეაქცია, რომელიც ერთი ადამიანიდან მეორეზე გადადის, არც პარტნიორთა ურთიერთქმედება, არამედ სინქრონული პროცესი, რომელიც ხორციელდება ორ ადამიანს შორის, როცა ისინი ურთიერთობენ.

ბ) კომუნიკაციური ინტერაქცია

ადამიანთა შორის ინტერაქციას მრავალი სხვადასხვა ნაშრომი ეძღვნება. მათი მიზანია შემეცნების წარმოქმნის მექანიზმის მოდელიზება, რომელიც ინტერაქტანტთა შორის საუბრისას ერთდროულად ხორციელდება. კ. ბრასაკის (ბრასაკი 2001:43) აზრით, საქმე ეხება ინტერსუბიექტური ფენომენის – ურთიერთგაგების - გათვალისწინებას, აღწერას, გაანალიზებას.

სამეტყველო ფორმირების მნიშვნელობა, რომელიც შეადგენს ვერბალური ინტერაქციის სემიოტიკურ ხრიკს, განზრახვას, არის დიალოგურ პარადიგმაში ჩაწერილი წინადადებების ურთიერთობა. ჩვენს გონებაში გამონათქვამთა - საუბრის სამეტყველო ფორმირების მნიშვნელობის თანაკონსტრუქციის იდეას აუცილებლად მივყავართ ურთიერთგაგების ახალ ხედვამდე. შემეცნებითი, კოგნი--ტიური ქმედებების კვალდაკვალ, რომლებიც აუცილებლად უდევს საფუძვლად საუბრის მსვლელობას, ურთიერთგაგება (intercompréhension) არ უნდა გავიგოთ როგორც ორი ინდივიდუალური შემეცნების ორმხრივი შემოწმება; ეს არის ინტერაქციის იმ შემეცნების დამუშავება, რომელიც განაწილებულია ინტერ-აქტანტთა მიერ შთაგონებული შემეცნების ორ კონფიგურაციაზე.

როცა ერთ-ერთი მოლაპარაკე პირი წარმოქმნის გამონათქვამს, მას (გამო-ნათქვამს) განიხილავს მსმენელი: ეს განხილვა ხორციელდება მხოლოდ მსმენელის მიერ. მისი მიზანია, იპოვოს, აღმოაჩინოს, გამოააშკარავოს ის შინაარსი, რომლის გადაცემა განიზრახა მოლაპარაკე პირმა. კომუნიკაციის კოდური **(codiques)** და დასკვნისეული **(inferentiels)** მოდელები ითვალისწინებენ მსმენელის მიერ გამოყენებული განხილვის სახეს. საქმე ეხება დეკოდირებასა თუ დასკვნით სამუშაოს. განხილვა ეფუძნება წარმოქმნილ გამონათქვამს. მექანიზმი შემდეგია:

1. მოლაპარაკე ფლობს გარკვეულ კომუნიკაციურ განზრახვას;
2. იგი წარმოქმნის მნიშვნელობის მატარებელ გამონათქვამს;
3. მსმენელი აღიქვამს ამ გამონათქვამს და „განიხილავს“ მას;
4. განხილვის შემდეგ იგი პოულობს, ამოიცნობს განზრახულ მნიშვნელობას.

აქ შეიძლება, წარმოვადგინოთ შემდეგი სქემა:



განხილვა „სწორია“, როცა არსებობს გარკვეული კავშირი განზრახულ და აღმოჩენილ მნიშვნელობას შორის. აღსანიშნავია, რომ აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, თუ რას ეხება საქმე: გამონათქვამის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას თუ არა. სამუშაო გარდა კოდური მოდელებისა შეიძლება შეიცავდეს ირიბ აქტებს, საუბრისეულ ჩართვებს **(implicatures conversationnelles)**, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. იმპლიციტურობა აშკარად არსებობს ამ წინასწარ არსებული მნიშვნელობის განხილვაში. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ თანამოსაუბრეები „უგებენ ერთმანეთს“. ყველა კმაყოფილია: მოლაპარაკე პირმა აშკარად გადასცა მნიშვნელობა, მსმენელმა აღმოაჩინა ის, რაც საჭირო იყო; მათ ერთმანეთს გაუგეს. როგორიც არ უნდა იყოს განხილვა, ცენტრშია მოთავსებული მოლაპარაკის ის განზრახვა, რომელიც მსმენელმა უნდა გამოააშკარავოს, მოახდინოს მისი ინტერპრეტაცია – დეკოდირება.

აქ მეტად საინტერესოა ინტერაქციების ვერბალური ასპექტი და მეორეს მხრივ, საუბარში გამონათქვამის წარმოქმნა (ეს არის ქმედების განხორციელება). ეს ქმედება, რომელსაც უწოდებენ „მეტყველების აქტს“, გამოისახება F(p) ფორმით, სადაც F ილოკუციური ძალაა, ხოლო p პროპოზიციონალური შინაარსი. ილოკუციური ლოგიკა, მეტყველების აქტთა თეორიის აქსიომატიზაცია გვთავაზობს პირობათა ერთობლიობას მეტყველების აქტის წარმატებული განხორციელებისათვის. ამ პირობებს „წარმატების პირობები“ ეწოდება. როცა მოლაპარაკე პირი ახორციელებს პირობას, იგი ამას წარმატებით აკეთებს, თუკი იგი ასრულებს პირობათა გარკვეულ რიცხვს, (ნამდვილი, ჭეშმარიტი გახადო პროპოზიციონალური შინაარსი, იყო გულწრფელი, აზრიანი გახადო შეპირება, რომელიც მომავალში გამოთქმის მომენტთან იქნება მიმართებაში). იმ ფაქტს, რომ ის შეასრულებს ამ შეპირებას, საერთო არაფერი აქვს ამ პირობებთან. სავსებით შესაძლებელია, შეპირდე – „მე გპირდები სამუშაო დროზე შევასრულო, ზუსტად 2 საათზე“ – და არ შეასრულო შეპირება; „დაკმაყოფილების პირობები” აკონტროლებენ იმას, რომ პირობა იქნას შესრულებული. ამბობენ, რომ პირობა შესრულებულია, თუკი მოლაპარაკე პირი პროპოზიციონალურ შინაარსს ჭეშმარტს გახდის (ის არ იქნება შესრულებული, თუკი იგი სამუშაოს შეასრულებს უფრო გვიან). დაკმაყოფილების პირობები საშუალებას იძლევიან განხორციელდეს მეტყველების აქტის პერლოკუციური სემანტიკა (რომელიც გამომდინარეობს ყველანაირი მეტყველების აქტის ამ ორი სემანტიკური ღირებულების – წარმატება და დაკმაყოფილება – ერთიანობიდან). თუმცა ეს არასაკმარისია, რათა ანგარიში გაუწიოს საუბრისეულ გადაბმას **(enchaînement**

conversationnel). მართლაც, მას გააჩნია ზუსტი სემანტიკა, ინარჩუნებს სტატიკურობას და ილოკუციური ლოგიკის მსგავსად მონოლოგურია.

ა.ტრონიონი და დ.კულონი განიხილავენ ინტერლოკუციურ ლოგიკას. მათთან იგი აერთიანებს საუბრის იერარქიული სტრუქტურების თეორიასა და ზოგად სემანტიკას, რომელიც შეადგენს ძალის (ილოკუციური ძალა) ლოგიკურ თეორიასა და მეტყველების აქტების პროპოზიციონალურ შინაარსს ისევე, როგორც ინტერ-ილოკუციურ ურთიერთობებს, რომლებიც მყარდება ამ თავი-სებურებებით. შემდეგ ისინი მოკლედ განიხილავენ ილოკუციურ ძალას, პროპოზიციონალურ შინაარსს და მეტყველების აქტებს (ტრონიონი 2001:63).

ბოლოს ავტორები წარმოგვიდგენენ ოთხი ტიპის ობიექტებს: ურთიერთობები **(échanges),** ინტერვენციები **(interventions)**, სტრუქტურები **(structures)** და გარიგებები **(transactions).** ისინი ძირითადად ერთმანეთთანაა დაკავშირებული: გარიგება შესდგება ჩანაცვლებისაგან, ინტერვენციისაგან და უფრო მცირე შემადგენლობისაგან, როგორიცაა ურთიერთობა და ინტერვენცია. ურთიერთობა შესდგება ინტერვენციებისაგან და ინტერვენციები კი – რთული მეტყველების აქტებისაგან. მინიმალური ინტერვენციები შეიცავენ მეტყველების აქტებს ან მარტივ თუ რთულ ილოკუციებს, ხოლო ეს უკანასკნელები განისაზღვრება, როგორც პროპოზიციონალურ შინაარსზე ძალების დამატება.

სწორედ ამ ოთხი ტიპის ობიექტის გარკვეული წესებით მანიპულაციით ცდილობენ ახსნან ინტერლოკუციურ ლოგიკაში ინტერაქტანტების ინტუიციური ცოდნა და ზოგიერთი მეტყველების თამაშის **(jeux de langage)** შემეცნებითი ეფექტები. კონკრეტულად ეს არის ის არქიტექტურა, რომელიც საუბრისას პროგრესულად წარმოგვიდგება და რომელიც წარმოადგენს სოციალურ და კოგნიტიურ ურთიერთობებს თანამოსაუბრეთა შორის.

ანალიზი ყოველთვის იწყება ცენტრალური კოლონიდან, სადაც ჩანს დიალოგში შემთხვევით მონაწილეთა კონტრიბუციების შემადგენლები. კონტრიბუციები იღებენ ილოკუციურ და კოგნიტიურ ინტერპრეტაციებს. ილოკუციური ინტერპრეტაციები შეესაბამება მეტყველების აქტთა ძალებს, რომლებიც სრულდება კონტრიბუციისას. აქ ინტერპრეტაციათა მიკუთვნება შემთხვევითი თანმიმდევრობით ხდება, მაგრამ ეს პროცესი ერთდროულად პროსპექტიული და რეტროსპექტიულია. გამონათქვამის თანამედროვე ილოკუციური ინტერპრეტაცია შეესაბამება ხშირად იმას, რასაც პრაგმატიკაში უწოდებენ „გამონათქვამის არსს“ **(sens de l'énoncé)** და რეტროსპექტიული ილოკუციური ინტერპრეტაცია „მოლაპარაკის აზრს“ **(sens du locuteur)**, მაგრამ არა

მთლიანად, რადგან მოლაპარაკე პირის მიერ გამოხატული აზრი, მნიშვნელობა სტაბილიზირდება საუბრისას. ცენტრალური კოლონის შემთხვევითობების კოგნიტიური ინტერპრეტაციები არის იმ მეტყველების აქტების პროპოზიციონალური შინაარსი, რომლებიც განხორციელებულია ინტერაქტანტთა მიერ საუბრის მსვლელობისას.

ამგვარად, ამ თავში ჩვენ განვიხილეთ მეტად აქტუალური საკითხი – ინტერაქცია, ინტერაქციის ტიპები და სახეები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვა ავტორები მას განიხილავენ სხვადასხვაგვარად. ჩვენ დავინტერესდით თითქმის ყველა მოსაზრებით, შევისწავლეთ ისინი და წარმოვადგინეთ ამ თავში. ამრიგად, ინტერაქცია აღნიშნავს აქტთა თანმიმდევრულ ეპიზოდს და მსმენელის მიერ იმ აქტის შეცნობას, რომელსაც ასრულებს მოლაპარაკე პირი და ამ უკანასკნელის მიერ ამ შეცნობის წინასწარ განჭვრეტას შორის დამთხვევას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ინტერაქციების ვერბალური ასპექტი და საუბარში გამონათქვამის წარმოქმნა. ინტერაქციისას მთავარია მოლაპარაკის ის განზრახვა, რომელიც მსმენელმა უნდა გამოააშკარავოს გამონათქვამში და მოახდინოს მისი ინტერპრეტაცია – დეკოდირება. დიდ როლს თამაშობს ინტერაქციისას ინტუიციური ცოდნა და მოლაპარაკისა და მსმენელის შემეცნებითი ეფექტები - კოგნიტიურო ინტერპრეტაციები. აღსანიშნავია აგრეთვე ილოკუციური ლოგიკა და „წარმატების პირობები". როცა მოლაპრაკე პირი ახორციელებს მეტყველების აქტს, იგი წარმატებულია, თუკი დანაპირები შესრულდება. „დაკმაყოფილების პირობები" აკონტროლებენ იმას, რომ პირობა იქნას შესრულებული. ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ანალიზის დროს საუბრის არქიტექურას და თანამოსაუბრეთა შორის სოციალურ და კოგნიტიურ ურთიერთობებს.

I I ნ ა წ ი ლ ი

1. დისკურსი

კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში და თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა დისკურსი. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ამ ტერმინს (დისკურსი) გააჩნია მრავალი მნიშვნელობა:

1. დისკურსი, როგორც ფრაზათა ერთობლიობა;
2. როგორც ორგანიზებულ წინადადებათა ერთობლიობა;
3. როგორც გამონათქვამის შედეგი **(résultat de l'énonciation)**.

სხვადასხვა შემთხვევაში დისკურსი ხან ტექსტუალურ ლინგვისტიკაში შეისწავლება, ხან გამონათქვამის ლინგვისტიკაში **(linguistique énonciative)**, ხან რიტორიკაში და ხან პრაგმატიკაში. მაგრამ ამ შემთხვევაში სიღრმისეული იდეა მოკლედ ასე გამოიხატება: დისკურსი არის ერთობლიობა, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობათა დამატებით ან ჩანაცვლებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად უდგებიან დისკურსის პრობლემას. ა.ჟ. გრეიმასმა და ი. კურტესმა დისკურსი ახსნეს, როგორც სემიოტიკური პროცესი, რომელიც დისკურსული პრაქტიკების განსხვავებულ სახეებში ხორციელდება (გრეიმასი 1986: 102); როცა საუბარია დისკურსზე, პირველ რიგში მხედველობაში აქვთ ენობრივი ქმედების (წერილობითი ან ზეპირი) ორგანიზაციის სპეციფიკური ხერხი ან წესი. სილვი დიურერისა და კლოდ ტომასეს აზრით, სწორედ დისკურსის აქტები შეადგენენ სამეტყველო ანალიზის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და წარმოადგენენ საუბრის მინიმალურ ერთეულს **(l'unité minimale de la conversation)** (დიურერი 1999:11).

ჟაკ ფონტანილი თვლის, რომ დისკურსში აზრის ფიქსირება შეიძლება ტრანსფორმაციის საშუალებით (ფონტანილი 1998:77). დისკურსი არის ანალიზის ინსტანცია, სადაც პროდუქცია **(production)**, ე. ი. გამოთქმა **(énonciation)** ვერ გამოიყოფა თავისი პროდუქტისაგან **(produit)**, გამონათქვამისაგან **(énoncé)**.

კრისტიან ბეილონის აზრით, სიტყვა დისკურსი პოლისემიური ტერმინია: ზოგი თვლის, რომ იგი ძალზე შეზღუდული ცნებაა, ზოგი კი მას "ტექსტის" ან "გამონათქვამის" უსიცოცხლო სინონიმად მიიჩნევს (ბეილონი 2002:235). ტერმინოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად შეიძლება ჩამოვთვალოთ ამ ტერმინის ექვსი ლინგვისტური მნიშვნელობა:

1. სტრუქტურულ ლინგვისტიკაში სოსიურისეული მეტყველების **(parole)** სინონიმი;

2. ფრაზაზე მაღალი განზომილების მქონე **(transphrastique)** ლინგვისტური ერთეული; შეტყობინება აღებული გლობალურად; გამონათქვამი;

3. ფრაზათა გადაბმის წესების ერთობლიობა, რომელიც შეადგენს გამონათქვამს (აქ ზ. ჰარისის მოსაზრებას ვეყრდნობით) (ბეილონი 2002:237);

4. ის, რაც უპირისპირდება გამონათქვამს: "გამონათქვამი არის ორ სემანტიკურ ხარვეზს, ცარიელ შუალედს **(blancs)**, კომუნიკაციის ორ დაბრკოლებას შორის გამოთქმულ ფრაზათა რიგი; დისკურსი კი არის დისკურსული მექანიზმის თვალსაზრისით განხილული გამონათქვამი, რომელიც მას აპირობებს".

5. ყოველი გამოთქმა, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკე პირსა და მსმენელს და პირველთან მეორეზე ზეგავლენის მოხდენის სურვილს;

6. ის, რაც უპირისპირდება ენას; მაშასადამე, ენა უპირისპირდება, როგორც ელემენტთა დასრულებული, შედარებით სტაბილური მთლიანობა დისკურსს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადგილს, სადაც ხორციელდება ქმნადობა **(créativité)**; ეს არის გაუთვანისწინებელი კონტექსტუალიზაცია, რომელიც ენის ერთეულებს ახალ ღირებულებებს ანიჭებს.

ბოლო წლებში გამოიყენება დისკურსის შემდეგი მნიშვნელობები: მეტყველება სიტუაციაში **(parole en situation)** და ტექსტი (კრისტევა 1969:58). პირველი მნიშვნელობა შეიძლება შეგვხვდეს კვლევებში მეტყელების ეთნოგრაფიაზე; მეორე მნიშვნელობა უფრო ზოგადად გამოყენება დისკურსის ანალიზში და ტექსტის გრამატიკაში.

ე. ბენვენისტის აზრით, დისკურსი არის გამოთქმის **(énonciation)** სახე, რომელიც გულიხმობს მოლაპარაკისა და მსმენელის ინტერაქციას გამოთქმის პროცესში (ბენვენისტი 1966:78).

მ. მაკაროვი დისკურსს განიხილავს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანურ მეტყველებას (მაკაროვი 2003:86). დისკურსი არის სოციალური ქმედება რეალური სამყაროს პირობებში და არა აბსტრაქტულ-თეორიული კონტექსტი ან ლაბორატორიული ექსპერიმენტის პროდუქტი.

მისი აზრით, დისკურს - ანალიზის ერთ-ერთი მახასიათებელი ის არის, რომ იგი დაინტერესებულია რიტორიკული, არგუმენტაციული სტრუქტურებით მეტყველების ნებისმიერ ჟანრებში: პოლიტიკური დებატებიდან დაწყებული ყოველდღიური საუბრებით დამთავრებული. იგი იღებს უფრო და უფრო

კოგნიტიურ მიმართულებას, ცდილობს მეტყველების შესწავლით გადაწყვიტოს საკითხები ადამიანის გარე და შიდა სამყაროს, არსებობისა და აზროვნების, ინდივიდუალურისა და სოციალურის ურთიერთქმედების შესახებ (ფონტანიე 1977:85; გოფმანი 1987:17; ფონტანილი 1998:36). იგი შეისწავლის ისეთ კოგნიტიურ ფენომენებს, როგორიცაა ცოდნა, რწმენა და წარმოდგენა, ფაქტი, სინამდვილე და შეცდომა, აზრი და შეფასება, პრობლემების გადაჭრის პროცესები, ლოგიკური აზროვნება, არგუმენტაცია.

მ. მაკაროვი გამოყოფს ისეთ ავტორებს, როგორებიცაა სტაბსი, შიფრინი, შტეინერი, ველტმანი, რომლებიც თვლიან, რომ დისკურსი არის „ენა"; იგი წინადადების ან შესიტყვების მაღლა დგას (მაკაროვი 2003:89). დისკურსი არის ორი ან მეტი წინადადება, რომელთა შორის არსებობს აზრობრივი კავშირი.

ფუნქციონალისტების განსაზღვრებით ეს არის ენის ნებისიერი გამოყენება, ენის ფუნქციის შესწავლა ფართო სოციო-კულტურულ კონტექსტში.

ზოგიერთი ლინგვისტი დისკურსს განიხილავს, როგორც ხაზგასმით სამეტყველო ურთიერთქმედების ინტერაქციულ საშუალებას.

დისკურსი არის ყველაფერი ის, რაც ითქმება, იწერება ანუ სამეტყველო ქმედება.

ზეპირი დისკურსი არის „სიტყვების დინება პროსოდიულ სივრცეში" (ზუბკოვა 1989:86), სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაწევრებულ სიტყვათა შეთანხმებას პაუზებთან, ინტონაციასთან, ხმამაღლობასთან. ეს კი საშუალებას გვაძლევს დისკურსთან მიმართებაში ფრაზების ფუნქციებზე ვიმსჯელოთ.

დისკურსის ინტერპრეტატორისათვის მნიშვნელოვანია პროსოდიული კომპონენტი. მას გააჩნია დიდი სემიოტიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა: მეტყველების მელოდია, ტემპი, რითმი, ხმამაღლობა – ყველაფერი ეს გამოიყენება ზეპირმეტყველებაში აზრების ფორმირებისათვის. ინტონაცია მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველებაში, ხოლო სასვენი ნიშნები – დამწერლობისათვის.

კომუნიკაციის პარალინგვისტური ელემენტებიც საინტერესო და აღსანიშნავია. ადამიანი იყენებს არტიკულაციურ-ფიზიოლოგიურ აპარატს, ხმასა და სუნთქვას. პარალინგვისტური ელემენტები გამოყოფენ დამოუკიდებელ სეგმენტებს – მოლაპარაკე მეტყველებას წამით წყვეტს, რათა, მაგალითად გაიცინოს ან ამოისუნთქოს. ასევე ისინი ედება ვერბალურ სიგნალს – როცა ვინმე იცინის ლაპარაკისას.

ექსტრალინგვისტური ელემენტების სისტემაში მოყვანა ძნელია: გარდა მიმიკისა, კინესიკისა **(kinésique)** და პროქსემიკისა **(proxemique)** (არტიკულაციული

მყესოვანი და მუსკულარული ელემენტების ერთობლიობა). აქ საქმე ეხება პრაქტიკულად ყველა ვითარებასა და მოვლენას, რომელიც თან ახლავს ურთიერთობის აქტს. ყველა ამ მოვლენის, სიტუაციის დაფიქსირება გაართულებს მეტყველების აღწერას (მენგენო 1987:34; ლაბოვი 1978: თავი8).

დისკურსი დასაწყისშივე გვაძლევს მისი ინტერპრეტაციის საზღვრებს და განსაზღვრავს ტონალობას მუსიკალური გასაღებისა და ნოტებში ალტერაციის ნიშნების მსგავსად.

გ.გიომი და ზ.ჰარისი ასე განსაზღვრავენ დისკურსს: „დისკურსი“ არის მეტყველების გამოყენება პრაქტიკულ სიტუაციაში, ფაქტიური აქტი, რომელიც კავშირშია სხვა აქტებთან (ეს შეიძლება იყოს მეტყველების აქტი ან არა), რომლის ნაწილსაც შეადგენს იგი (ბეილონი 2002:237).

ჟან-კლოდ ბეაკოს თვალსაზრისით, დისკურსული ჟანრი არის კომუნიკაციის ჩვეულებრივი, მეტალინგვისტური წარმოდგენის ფორმა; იგი შედის საერთო ცოდნაში, გამომდინარეობს ლინგვისტური აღწერებიდან; დისკურსული ჟანრი არის გამონათქვამისაგან, ტექსტისაგან, მეტყველების აქტისაგან, ტექსტების ტიპისაგან განსხვავებული ვერბალური ობიექტი (ბეაკო 2004:111). ჟანრები მარტო ლიტერატურულ ტექსტებს არ ახასიათებს, არამედ შეადგენენ სოციალური კომუნიკაციის ანალიზის კატეგორიას. ეს არის მეტყველების სოციალური გამოყენება, ვერბალური კომუნიკაცია. ყოველდღიური სამეტყველო სიტუაცია მოიცავს აუდიტორიას, რომელიც გარკვეულწილად ორგანიზებულია და ყოველდღიური პატარა ჟანრების რეპერტუარს წარმოადგენს. ისინი მნიშვნელოვანია სოციალური კომუნიკაციისათვის. საკომუნიკაციო საზოგადოებას დ.ჰაიმსი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ეს არის ის საზოგადოება, რომელიც ფლობს გარკვეულ წესებს. ისინი წარმართავენ მეტყველების მსვლელობასა და ინტერპრეტაციას. წესები მართავენ სულ მცირე ერთი ლინგვისტური ვარიაციის ინტერპრეტაციას“ (ბეილონი 1996:245). ეს წესები გამოიხატება კომუნიკაციის მოვლენების სახით **(speech events)**, რომლებიც ორიენტირებული არიან დისკურსულ ჟანრზე. მოლაპარაკე პირები დისკურსული ჟანრების საშუალებით იყენებენ ენას და მათი ეს უნარი გამომდინარეობს ჩვეულებრივი მეტალინგვისტიკიდან (ბარტი 1980:110).

აღსანიშნავია, რომ დისკურსის ცნება წარმოადგენს „სიტყვათა გამოფენას“ **(scène des paroles)**, რომელიც მოიცავს ისეთ მინიმალურ წყვილებს, როგორიცაა დასტური-შეპასუხება (შესიტყვება) **(assertion/objection)** და კითხვა/პასუხი. დისკურსის ცნებაში, პ.ბუდონის აზრით, ძირითადად არსებობს ერთი მხრივ,

ფორმები, რომლებიც საშუალებას აძლევენ პოლემიკურად ჩამოაყალიბონ „არგუმენტირებული სიტყვა“ (ბუდონი 2000:63). ამას ოსვალდ დიუკრომ უწოდა არგუმენტატიული მაკავშირებლები: „მაგრამ, თუმცა, მაინც, მიუხედავად ამისა“, რომლებიც ასევე ცნობილია „ლოგიკური კონექტორების” (მაკავშირებლების) სახელით და მეორე მხრივ, კონტენუსები **(contenus)**, რომლებიც მიემართება სამყაროს შეცნობას (დუკრო 1987:113). ამგვარად, დისკურსი შესდგება დამოკიდებულებათა, მიდგომათა სიმრავლისაგან, რომლებიც შეიცავენ შესაბამისობებს: პრედიკატიული, თხრობითი, ნარატიულ-დესკრიფციული, ტექსტუალური. ისინი თავის მხრივ შეიცავენ სიღრმისეულ, ყველაზე აბსტრაქტულ შესატყვისებს, როგორიცაა დროისეული ასპექტისეული, ფორისეული **(phore-anaphore, cataphore, tropes)**. დისკურსი, როგორც მრავალჯერადი გამოთქმის საშუალება **(lieu d'édonciation pluriel)** იმ შესაბამისობების სიმრავლეს იწვევს, რომლებიც ჩვენ უნდა მოვათავსოთ ურთიერთობათა **(relations)** ქსელში. ეს შესაბამისობები (დროისეული, აქტანტისეული - **actantialité)**, ამგვარად, ქმნიან დისკურსული ჯაჭვის შემადგენელ პოლუსებს, რომლისგანაც თითოეული გამონათქვამი (რომელიც გამომდინარეობს ამ მოქმედებებიდან) ქმნის განსხვავებული ღირებულების სინთეზს. არგუმენტაციული მაკავშირებლების შემთხვევაში ჯაჭვში გამოიყოფა არგუმენტაციული კო-ორიენტაციის ან ანტი-ორიენტაციის მიხედვით დისკურსის ფორმები: *„თუმცა, მაინც, ნადვილად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ შემთხვევაში, საბოლოო ჯამში“* - არის გამონათქვამები, რომლებიც არგუმენტირებულ სეგმენტებს გამოხატავენ, პუნქტებად ალაგებენ მათ. ასევე არსებობს დისკურსის კონტენუსები, რომლებიც შეადგენენ შემეცნების წარმოდგენას, რომ თითოეულ თანამოსაუბრეს გააჩნია ორივე შემთხვევაში საკუთარი სამყარო. აქ საქმე გვაქვს კადრის პრობლემასთან იმიტომ, რომ ლაპარაკობენ სემანტიკურ ან კოგნიტიურ კადრებზე, რომლებიც საგნების, სცენების, აზრების იდენტიფიკაციის, კლასიფიკაციის, არსის შესწავლის საშუალებას იძლევიან. ამ კადრების ცნებას მივყავართ იქამდე, რომ მხედველობაში იღებენ ასპექტუალურ, დროისეულ, აქტანტისეულ კატეგორიზაციას, რომელიც აზუსტებს დისკურსული ფორმებისა და კონტენუსების ურთიერთობებს (ბორდრონი 2000:74).

დისკურსი შეიძლება, მივიჩნიოთ, როგორც მოლაპარაკება. ეს მისი სტრუქტურისა და ფუნქციონირების უკეთ ჩაწვდომის საშუალებას იძლევა. ამ კონცეფციას მივყავართ დისკურსის წარმოდგენის გლობალური მოდელის

შექმნისაკენ. იგი საშუალებას გვაძლევს გადაჭრას სხვადასხვა პრობლემები, როგორიცაა ანაფორა, რეფერენცია, ელიფსი და დისკურსის ზოგადი თემა ისევე, როგორც მოსალოდნელი გადახვევების აშკარად ჩვენება.

დისკურსის ანალიზი შეიძლება ორი შემადგენლის მეშვეობით: *იერარქიული* და *ფუნქციონალური* ანალიზი, რომელთა შორისაც ცდილობენ, ჩამოაყალიბონ ორმაგი შესაბამისობა. აქ მთავარია ინეტრაქტიული და ინტერაქციონალური დამატების პრინციპი, რათა ახსნა პირველი დივერსია, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს დისკურსში და ლოკალური შეთანხმებები, რომლებიც აქედან გამომდინარეობს და ასევე მეორე გლობალური შეთანხმება, რომელიც დისკურსის დახურვის საშუალებას იძლევა.

იერარქიულ ანალიზში განასხვავებენ სამ ძირითად დონეს:

1. *მეტყველების აქტი* – ეს არის მოლაპარაკის მიერ წარმოქმნილი ყველაზე მცირე ერთეული და ასოცირებულია წინადადებასთან.

2. *ურთიერთობა* **(échange)** – ეს არის ინტერაქციის შემადგენელი ყველაზე მცირე ერთეული. იგი შეიცავს განსხვავებულ მოლაპარაკე პირთა სულ მცირე ორ მეტყველების აქტს; ის მინიმალურია, თუკი შეიცავს მხოლოდ ორ სამეტყველო ჯერს.

3. *ჩარევა* **(implication)** – ურთიერთობის თითოეული შემადგენელი არის ჩარევა. იგი შეიძლება იყოს მარტივი – შესდგებოდეს ერთი მეტყველების აქტისაგან ან ერთი მოლაპარაკე პირის რამდენიმე მეტყველების აქტისაგან და რთული – მას შემოჰყავს განსხვავებულ მოლაპარაკე პირთა რამდენიმე მეტყველების აქტი.

რაც შეეხება ფუნქციონალურ ანალიზს, ურთიერთობის ელემენტებს შორის განასხვავებენ ისეთებს, რომელთაც გააჩნიათ „დაწყებითი ილოკუციური ფუნქცია“ (ბეილონი 1996:241) და ისეთებს, რომელთაც გააჩნიათ „რეაქტიული ილოკუციური ფუნქცია“; პირველები იძლევიან უფლებას ან თავს გვახვევენ (თანამოსაუბრეების) შებრკოლებებს (დათანხმება, ინფორმაციის მოთხოვნა, დასტურის თხოვნა, უკან დახევა, მოწოდება...) მაშინ, როცა მეორეები პოზიტიურია ან ნეგატიური იმის მიხედვით, აკმაყოფილებენ თუ არა წინა იმპლიკაციის ლოკუციურ ფუნქციას. ბოლოს რთული იმპლიკაციის შემთხვევაში ინტერაქციული ფუნქციები საშუალებას მოგვცემენ მკაფიოდ ახსნან მთავარ აქტთან მიმართებაში დაქვემდებარებული შემადგენლის არგუმენტაციული როლი (გამართლება, კომენტარი, ახსნა, დათმობა...): არგუმენტაციულ მარკერებს აქ

დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, რადგან ისინი მიუთითებენ მოცემული ინტერაქციული ფუნქციის მეტნაკლებ მარკირებულობას.

დისკურსის ცნებას გააჩნია რამდენიმე დაბრკოლება, როგორც საერთო მნიშვნელობის მქონე ყველა იმ ცნებას, რომელსაც იყენებენ ტექნიკური მნიშვნელობით. ზოგჯერ ეს არის მეტყველება სიტუაციაში, ზოგჯერ კონტექსტუალური თვალსაზრისით, ზოგჯერ ინტენციის პრაგმატიკით. ზოგიერთმა ლინგვისტმა ცოტათი განსხვავებული განსაზღვრება მოგვცა. ემილ ბენვენისტი წერს, რომ ფრაზა არის ლინგვისტური ანალიზის ბოლო საფეხური (ბენვენისტი 1966:120). იგი აღნიშნავს, რომ ფრაზა განუსაზღვრელი მოდელია, უსაზღვრო ვარიაციაა - მოქმედებაში მყოფი მეტყველება; ფრაზით ჩვენ ვცილდებით ნიშანთა სისტემას და შევდივართ სხვა სამყაროში, ენის, როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტის სამყაროში, ხოლო მისი გამოხატულება არის დისკურსი.

ამრიგად, დისკურსი, მეტყველების გამოყენება არ გამომდინარეობს ვიწროდ მხოლოდ სოციოლოგიიდან. მისი გამოყენება წარმოგვიდგენს ღია და განუსაზღვრელ ჰორიზონტს. ერთი პიროვნების მიერ გარკვეულ გარემოში წარმოთქმული ფრაზა შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით განვიხილოთ. ეს თვალსაზრისები გადაიკვეთება: პიროვნული ამბავი **(l'aventure personnelle)** იმისა, ვინც წარმოთქვამს მას, მოქმედების ეპიზოდთა შესატყვისობა, სოციალურ ნორმებთან შესაბამისობა, ურთიერთობები, რომლებსაც ამყარებენ თანამოსაუბრეები ერთმანეთთან.

ა) დისკურსის ანალიზი

დისკურსის ანალიზი მოიცავს ენობრივი ურთიერთობების სოციოკულტურულ, ინტერაქციულ მხარეებს. კ.ბეილონი ამბობს, რომ „დისკურსის ანალიზი არის ყოველდღიური, ბანალური საქმიანობა; ყოველი ინდივიდი აანალიზებს თავის გაზეთს, წერილს, რომელიც მიიღო, მეზობელ მაგიდასთან საუბარს, დისკურსს რადიოში. ის ამას იმიტომ აკეთებს, რომ ეს სიტყვები და ტექსტები თითქოს სხვა, არა უშუალოდ ხელმისაწვდომ მნიშვნელობას შეიცავენ და მიემართებიან ისეთ თანამოსაუბრეებს, რომელთა იდენტიფიცირება რთულია. ტექსტის ყოველი წაკითხვა ან მოსმენა არის დისკურსის ანლიზი. ყოველი გაგონილი სიტყვა ან წაკითხული ტექსტი ისეთი ინფორმაციული შეტყობინებების სახით არ წარმოგვიდგება, რომელთა

მნიშვნელობა იქნება ერთგვაროვანი, უშუალოდ ხელმისაწვდომი და ორაზროვნების გარეშე იდენტიფიცირებული ადრესატისაკენ“ (ბეილონი 2000:237).

მ.გრავიცი თვლის, რომ „დისკურსის ანალიზი არის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს, გამოყოს ლინგვისტური ანალიზის მეშვეობით ტექსტის წარმოქმნის პირობითობები. ვიწრო ინტერპრეტაციით იგი შეიძლება შევადაროთ შინაარსის ანალიზს, რომელიც რაოდენობრივი შედეგებით შემოიფარგლება. მაგრამ შინაარსის ანალიზი უფრო ფართო გაგებით გამოიყენება“ (გრავიცი 1996:577).

დისკურსის ანალიზი ადასტურებს, რომ მკვეთრად გამოხატული დიქოტომია მეცნიერების ობიექტს (ენა) და მოლაპარაკე სუბიექტის თავისუფლებას (მეტყველება) შორის სოსიურისეული კონცეფციების შედეგია. დისკურსის ანალიზი „მეტყველებას“ **(parole)** ცვლის „დისკურსით“.

ო.დიუკრო გვთავაზობს დისკურსის თეორიას, რომელსაც უწოდებენ „დისკურსის კანონებს“ (დიუკრო 1987:310). ისინი წარმოადგენენ პირობითობებს, რომლებიც გარკვეული თამაშის წესთა ანალოგიურია: ვინც მონაწილეობს თამაშში, თანხმდება წესებზე, თუ არა და მას მიიჩნევენ თაღლითად. ასევე ისიც, ვინც იყენებს ენას, მეტყველებას, მარგინალიზაციის შიშით ემორჩილება მის კანონებს.

პირველი არის გულწრფელობის კანონი ***(loi de sincérité)***. უნდა ითქვას მხოლოდ სიმართლე, ის, რაც მიაჩნიათ ჭეშმარიტებად. აქ საქმე ეხება იმ შემთხვევას, როცა მსმენელი თვლის, რომ მოლაპარაკე პირი სიმართლეს ამბობს. გამონათქვამი – *„il fait beau“* – არის ამინდის აღწერა. ეს ინტერპრეტაცია ექსპლიციტურად არაფერს არ ეფუძნება. ამ პირობითობის გარეშე არანაირი კომუნიკაცია არ შედგება. ტყუილის თქმაც კი შეუძლებელი იქნება, რადგან მსმენელი არ დაუჯერებს მოლაპარაკე პირს აპრიორულად. მაგრამ იგი ღირებულია მაშინ, როცა მეტყველებას გააჩნია დესკრიფციული ფუნქცია (ადამი 2001:120).

მეორე არის ინტერესის კანონი ***(loi d'intérêt)***, რომლის მიხედვითაც არ უნდა ვუთხრათ სხვას ის, რაც ჩვენ არ გვაინტერესებს. ამგვარად, უნდა ვუთხრათ ის, რაც მას აინტერესებს. ამით აიხსნება უცხოსთან საუბრის წამოწყების სირთულე. როცა არ იციან, რა ელაპარაკონ სხვას, არსებობს ე.წ. ყველგან გამავალი თემები და ყველაზე მოსახერხებელი გაცნობისათვის, საუბარი ამინდზე (ამინდი – სიცხე, სიცივე, წვიმა, მზე – ეხება ყველას). მაგრამ არსებობენ პრივილეგირებული პირები, რომლებიც თავიდან იცილებენ ამ მოთხოვნილებებს. ისინი არიან

ხელისუფლების პირები, რომლებიც თავიანთ მეტყველებას ყველას თავს ახვევენ, თითქოს თავისთავად საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ ინტერესის სფერო განსხვავდება სქესის მიხედვით, ქალებს სხვა ინტერესის სფერო აქვთ – ბავშვები, სამზარეულო ან საყიდლები, მამაკაცებს კი სხვა – სამუშაო, ფეხბურთი.

მესამე არის ინფორმატიულობის კანონი ***(loi d'informativité)***. გამონათქვამმა ადრესატს უნდა მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომელიც მსმენელმა არ იცის. წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაპარაკე პირი მას შეედავება – *„მე ეს უკვე ვიცი“* ან *„შენ მე ახალს არაფერს მეუბნები“* (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამინდზე საუბრისას ახალს არაფერს ეუბნებიან თანამოსაუბრეს). თუმცა კარგად ფორმირებული დისკურსი ახალ ინფორმაციასთან ერთად ძველის გახსენებასაც უნდა შეიცავდეს. ძალზე დიდი ახალი ინფორმაცია სცდება მსმენელის შეთვისების უნარს და ხელს უშლის გაგების პროცესს. ამ თვალსაზრისით ლინგვისტები განასხვავებენ „თემასა“ და „რემას“. „თემა“ არის უკვე ნაცნობი, ხოლო „რემა“ – სიახლე. კ. ბეილონის აზრით, „სუბიექტიან ენებში, როგორიცაა ფრანგული, არსებობს ნათესაობა ქვემდებარის ნაწილსა და თემას შორის, პრედიკატულ ნაწილსა და რემას შორის“ (ბეილონი 2002:208).

მეოთხე ეს არის „ამომწურავობის კანონი ***(loi d'exhaustivité)***. იგი აპირობებს იმას, რომ მოლაპარაკე პირმა მოგვცეს მოცემულ სფეროში სიმართლესთან შესაბამისი მაქსიმალური ინფორმაცია.

მეხუთე არის საპირისპირო ლიტოტესის კანონი ***(loi de litote)***. იგი მდგომარეობს იმაში, რომ თქვა იმაზე ნაკლები, ვიდრე გულისხმობ. ამგვარად, როცა ხიმენა ეუბნება როდრიგოს *„Va, je ne te hais point*" (Corneille, le „Cid", Gallimard, Paris, 1993), ეს რეალურად ნიშნავს იმას, რომ მას იგი უყვარს და როდრიგო ამას ზუსტად ასე იგებს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გ.პ. გრაისის (ბეილონი 2002:210-212) საუბრისეული მაქსიმები **(les maximes conversationnelles)**. ეს არის კანონები, რომელსაც უნდა დაემორჩილოს დიალოგის ყველა მონაწილე. საუბრისას თანამოსაუბრეები ებმებიან კოლექტიურ ქმედებაში. თითოეულ მათგანს უნდა გააჩნდეს მეორის იმედი, რათა საუბარი კარგად წარიმართოს. ისინი უნდა იცავდნენ წესებს, რომლებიც სამეტყველო ლოგიკის ნაწილს შეადგენენ. გრაისის მაქსიმებია: 1) რაოდენობის – ინფორმაცია უნდა იყოს ინფორმაციული, არ უნდა იყოს იმაზე მეტად ინფორმაციული, ვიდრე საჭიროა; 2) ხარისხის – ინფორმაცია უნდა იყოს ჭეშმარიტი, არ უნდა ითქვას ის, რაც ეჩვენებათ მცდარად, არ უნდა ითქვას ის,

რაზეც ადექვატური ინფორმაცია არ გააჩნიათ. 3) ურთიერთობის – ინფორმაცია უნდა იყოს შესაბამისი; 4) მოდალობის – ნათლად უნდა გამოითქვას ინფორმაცია; სხვადასხვა მაქსიმები – არ უნდა ილაპარაკონ ბუნდოვნად, თავიდან აიცილონ ორაზროვნება, იყვნენ ლაკონურები და აზრი გამოხატონ თანმიმდევრულად.

რაც შეეხება დისკურსის აქტებს, ეს არის საუბრისეული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, საუბრის მინიმალური ერთეულები.

ჯ.სერლისა და ჯ.ოსტინის კვლევების შედეგად მიღებულია, რომ ყოველი გამონათქვამის გლობალური შინაარსი შესდგება ორი შემადგენლისაგან: ა) პროპოზიციონალური შინაარსი და ბ) ილოკუციური მიზანი (ძალა ან ღირებულება) (სერლი 1986:253). ილოკუციური მიზანი საშუალებას აძლევს გამონათქვამს თავისი ადგილი დაიკავოს კომუნიკაციის სიტუაციაში, ანუ ფუნქციონირებდეს, როგორც დისკურსის აქტი. ამგვარად, ერთსა და იმავე წინადადებას, ერთსა და იმავე შინაარსს შეიძლება მივანიჭოთ ძალზე განსხვავებული ილოკუციური მიზნები და წარმოვქმნათ განსხვავებული გამონათქვამები. გამონათქვამის გასაგებად საკმარისი არ არის მხოლოდ მისი პროპოზიციონალური ღირებულების გაგება, არამედ ასევე საჭიროა მისი აქტის ღირებულება.

ე.ბენვენისტი თვლის, რომ „მას შემდეგ, რაც მოლაპარაკე იყენებს ენას, რათა ზეგავლენა მოახდინოს გარკვეულწილად თანამოსაუბრის ქცევაზე, იგი ამისათვის ფლობს ფუნქციათა აპარატს. ეს არის კითხვა, შედგენილი გამოთქმა, რათა გამოიწვიოს პასუხი. ასევე უწყება: ბრძანებები, დასტური, რომელიც შეადგენს დისკურსის მაკრო-აქტს. სინტაქსური წყობით ისევე, როგორც ინტონაციით იგი მიზნად ისახავს რწმენის გადაცემას; იგი გამოთქმის აქტში გამოხატავს მოლაპარაკის არსებობას, მას გააჩნია სპეციფიკური ინსტრუმენტები, რომლებიც მას გამოხატავენ ან მას შეიცავენ, სიტყვები "oui" ან "non" პოზიტიურად ან ნეგატიურად ადასტურებენ წინადადებებს. დასტურის ნაწილაკის **"non"**, წინადადების ნაწილაკის **"oui"** სტატუსი გაზიარებულია იმ ფორმების მიერ, რომლებიც გამომდინარეობენ გამოთქმიდან” (ბენვენისტი 1966:86).

ე.ბენვენისტი და სხვა ლინგვისტები მიიჩნევენ დასტურს, კითხვას და ბრძანებას, როგორც ინტელექტუალური დისკურსის აქტებს. ცხადია, რომ როცა კითხვა მოითხოვს პასუხს, საქმე ეხება ინტერლოკუციურ აქტს. ფაქტი, რომ დასტური შეადგენს დისკურსის აქტს, რომელიც ისევე ძლიერად არის ინტერლოკუციური, როგორც კითხვა, რომ საქმე ეხება აქტს, რომელიც მოუხმობს

რეაქციას, რომელსაც შეუძლია მიიღოს პასუხის ღირებულება, ძალა ან უფრო ვრცლად ნეგატიური ან პოზიტიური შეფასება.

რაც შეეხება ბრძანებას, იგი ასევე ჩარევის **(interférence)** წარმომშობია. ბრძანებაზე პასუხი, თუკი ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს დაზუსტებას ან არ შეადგენს დავის ობიექტს, იღებს მოქმედების ფორმას. მაგრამ თუკი ვეცდებით, გავცდეთ ინტერაქციის ვიწროდ ვერბალურ კონცეფციას, რათა ჩავთვალოთ, რომ იგი შედგება სიტყვებისა და ჟესტებისაგან, ან აღმნიშვნელი ქცევებისაგან, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქმედება, რომელიც მწყობრშია, შეადგენს "პასუხის" ფორმას. მართლაც, პრაგმატული თვალსაზრისით განსხვავება თქმის მოთხოვნის და გაკეთების მოთხოვნას შორის სუსტია. ამიტომ ბრძანებას ამსგავსებენ კითხვას.

დისკურსის აქტის პოზიცია ჯაჭვში გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მის ღირებულებაზე. ამგვარად, როცა დასტური მოსდევს შეკითხვას, იგი იღებს პასუხის ღირებულებას; პირიქით, როცა დასტური მოსდევს მეორე დასტურს, იგი იღებს კონტრ-დასტურის შეფასების ანუ უარყოფის ღირებულებას. ამგვარად, გამოვყავით დისკურსის აქტის ორი დიდი კატეგორია: კითხვა და დასტური.

ბ) შესაბამისობის ცნება და კოჰეზია / კოჰერენცია

დისკურსის ანალიზის ანგლო-საქსონური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს დისკურსის შიდა თავისებურებებზე, როგორიცაა კოჰეზია, კოჰერენცია და შესაბამისობა.

სპერბერი და ვილსონი ადასტურებენ, რომ შესაბამისობის ცნება ვიწროდ არის დამოკიდებული კონტექსტზე, ანუ გამოთქმის მომენტში კონკრეტულ სიტუაციაზე (სპერბერი 1989:146) (მაგალითად, როცა მეუბნებიან **TGV** მოდის, შესაბამისი იქნება, თუკი მე ველოდები ვინმეს, მაგრამ ეს ჩემთვის უმნიშვნელო იქნება, თუკი მე სადგურთან შემთხვევით ვიმყოფები). როცა მოცემულია წინადადება, მისი ინტერპრეტაციისათვის გარკვეული ცოდნაა აუცილებელი. მათ უწოდებენ ე.წ. *"კონტექსტუალურ ვარაუდებს"* **(les présuppositions contextuelles)**. ხოლო დასკვნები, რომლებიც მოცემული წინადადების ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს, იქნება *"კონტექსტუალური იმპლიკაციები"* **(les implications contextuelles)**. გ.პ. გრაისი თვლის, რომ იმპლიკაციები ხელს უწყობენ იმ აზრისა და მნიშვნელობის არაბუკვალური ასპექტების აღწერას, რომლებიც არ განისაზღვრებიან უშუალოდ ენობრივი გამონათქვამების კონვენციონალური სტრუქტურით, ანუ ის რაც იგულისხმება, რაზეც მიუთითებენ (გრაისი 1982:185).

განასხვავებენ კონვენციონალურ იმპლიკაციებს **(conventional implicatures)**, რომლებიც განისაზღვრება გამოყენებული სიტყვების მნიშვნენოლობით და ასევე კომუნიკაციურ იმპლიკაციებს **(conversational implicatures)**, რომლებიც განისაზღვრებიან ურთიერთობის ძირითადი პრინციპებით. იდეალურ შემთხვევაში პარტნიორები იცავენ ურთიერთობის ყველა პოსტულატს და იგივეს ელოდებიან თანამოსაუბრისგან. თუმცა შეიძლება გვერდი აუარო ამა თუ იმ პოსტულატს; ფარულად ანუ თანამოსაუბრის მოტყუებით, ან ღიად გააკეთო მათი იგნორირება; აღმოჩნდე კონფლიქტის სიტუაციაში; გამოიყენო რომელიმე სხვა პოსტულატი – მისი დარღვევისას მსმენელი ინფერენციულად გამოთვლის მის იმპლიკაციას (ანუ იგი ჩათვლის, რომ ფარული აზრის გადაცემის სურვილმა აიძულა იგი (მოლაპარაკე პირი) დაერღვია ერთ-ერთი პოსტულატი) - აქ ძირითადად ეყრდნობიან გ.პ. გრაისის კოოპერაციის ცნებას).

ძირითადად გამოიყოფა შესაბამისობის მიხედვით თანამოსაუბრეთა შორის "ორმხრივი შეცნობა". გრაისი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ თავისი შესაბამისობის ცნების **(pertinence)** ინტუიციურ ასპექტებზე.

კ.ბეილონი თვლის, რომ ყოველი გამონათქვამი წარმოადგენს წინადადებას, რომელსაც სულ მცირე ერთი კონტექსტუალური იმპლიკაცია მაინც გააჩნია მსმენელისათვის ხელმისაწვდომ კონტექსტში (ბეილონი 2002:240).

ამგვარად, შესაბამისობა არის ამ დასკვნების რეალიზაციისათვის საჭირო ძალისხმევა. ეს საჭირო ძალისხმევა ძირითადად დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: გამონათქვამის სირთულე, კონტექსტის მოყვანილობა, კონტექსტის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ბოლოს როცა კონტექსტის ცნება არ არის ზუსტად განსაზღვრული, მნიშვნელოვანია ის, თუკი ერთი ინფორმაცია უფრო შესაბამისია, ვიდრე მეორე. მოლაპარაკე პირმა, რომელიც იცავს შესაბამისობის ცნებას, უნდა აირჩიოს შესაძლებელ გამონათქვამთა შორის ერთ-ერთი, რომელიც მეტი კონტექსტუალური იმპლიკაციების საშუალებას იძლევა ყველაზე მცირე და მსმენელისადმი ადვილად ხელმისაწვდომ კონტექსტში.

დისკურსის თვალსაზრისით, არსებობს დისკურსული კოჰერენცია ან ტექსტუალური კოჰერენცია ან კიდევ კოჰეზია. ეს გამონათქვამები აღნიშნავენ მახასიათებელთა იმ ერთობლიობას, რომელიც დისკურსს ხდის ადექვატურს. იგი მიჩნეულია, როგორც მთლიანობა, რომელსაც მივყავართ წარმატებულ კომუნიკაციურ აქტამდე. ტერმინები კოჰეზია და კოჰერენცია ორივე გამომდინარეობს ლათინური ზმნიდან *"cohaereo" (cum+haereo)*, რაც ნიშნავს იყო

დაკავშირებული, შეერთებული, შეზრდილი, იყო ერთად, მიემხრო. ტექსტი კოჰერენტულია, თუკი მისი იტერპრეტაცია შეუძლიათ მათ, ვისკენაც მიმართულია იგი. კოჰერენციისა და კოჰეზიის სფერო პრობლემას წამოჭრის. ფაქტიურად კოჰერენცია ლინგვისტური საშუალებებით ხორციელდება, მაგალითად, როგორიცაა მესამე პირის ნაცვალსახელის ანაფორული გამოყენებისას. მაგალითად: *"Jean est sportif; Il a participé à trois compétitions"*, ან სამყაროს შეცნობით, როგორც ამას უწოდებენ ენციკლოპედიური ცოდნით – *"Puis-je avoir comme entrée une foie gras? -canard ou oie?"* დიალოგი გასაგებია ყველა იმ პიროვნებისათვის, ვინც იცის, რომ ბატის ღვიძლზეა ლაპარაკი.

ლინგვისტები განსხვავებულ პასუხებს იძლევიან ზემოთ მოყვანილ კითხვებზე. ა.ჟ.გრეიმასი გვთავაზობს ცნებას "იზოტოპია", რომელიც მთლიანობაში ნიშნავს "დისკურსის შიდა კოჰერენციას" (გრემასი 1987:191). დისკურსისათვის ან ტექსტისათვის ყველაზე დიდი ერთეული, რომლის დახასიათება შეიძლება ფორმალური თავისებურებებით არის ფრაზა, გამონათქვამი. მეტ-ნაკლები ექსპლიციტურობით ძირითადად სუბსტანციის კრიტერიუმებს ეფუძნებიან (ტექსტის ან დიალოგის სივცობრივ-დროისეული სიტუაცია, მონაწილეთა შეცნობა, გარკვეული თემის უწყვეტობა). ამგვარად, როცა გადადიან გამონათქვამიდან უფრო დიდ გამონათქვამზე - ფორმიდან სუბსტანციაზე, სემოიტიკაში მეთოდის რადიკალური რღვევა შეიმჩნევა. ამ რღვევის თავიდან ასაცილებლად ა.ჟ. გრეიმასი ცდილობს, განსაზღვროს სემანტიკური კრიტერიუმებით ის, რასაც უწოდებენ ტრანსფრაზული ერთეულების **(unités transphrastiques)** "იზოტოპიას" (გრეიმასი 1986:91). ეს იზოტოპია გამონათქვამიდან გამონათქვამში ზოგიერთი სემანტიკური ელემენტების გამეორებას წარმოადგენს. დისკურსის ერთეულებს აერთიანებენ სემანტიკური ერთეულები. ისინი გრეიმასმა გამოყო სემემებში (**sémèmes** - სემათა ერთობლიობა) და რომელთაც ის კლასემებს უწოდებს.

დ.მენგენო დაჟინებით ამტკიცებს, რომ ტექსტთა სტრუქტურაში დიდი მნიშვნელობა აქვს დროებს - მათი პოზიცია ტექსტში, მათი გამეორებები ისევე, როგორც მათი ცვლილებები. "დროები" აპრიორულად ფლობენ გადამწყვეტ ფუნქციას ინტერფრაზულ ურთიერთობებში (შისი 2001:86-90). ისინი უზრუნველყოფენ ტექსტუალური ერთეულის კოჰერენციას. მართლაც, ფრაზათა უმეტესობა შეიცავს სულ მცირე ერთ ვერბალურ ფორმას, რომელსაც გააჩნია აშკარა "დროისეული" ნიშანი. ტექსტები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია იმის მიხედვით მეორდებიან თუ არა ეს "დროები" ტექსტში თუ პირიქით, მუდამ

იცვლებიან; დროთა ყოველი ცვლილება აუცილებლად წარმოადგენს რღვევას და მისი შედეგი შეიძლება იყოს უკიდურესად ცვლადი. ტექსტი, რომელიც არ შეიცავს დროთა განმეორების საკმარის პროპორციას, არა მხოლოდ რთულად გასაგებია, არამედ შეიძლება იყოს არაკოჰერენტულიც; ეს მტკიცება უნდა შეიცვალოს მოცემული დისკურსის ტიპების მიხედვით: ზეპირი დისკურსი შეიცავს დროთა მეტ ვარიაციას, ვიდრე წერილობითი.

მჰოლიდეი და რჰასანი (ბეილონი 2002:245) კოჰეზიის გასაგებად განიხილავენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ტექსტი და **"texture"**. ისინი გვთავაზობენ ტექსტის წმინდად სემანტიკურ გასაზღვრებას - ორგანული ერთეული, სამანტიკური მთლიანობა, რომელიც შეადგენს "მნიშვნელობის ბაზისურ ერთეულს მეტყველებაში". ტექსტის ასეთი სემანტიკური ერთგვარობა უზრუნველყოფილია მიმღებთა კომპეტენციით; იგი იქნება ერთადერთი, ტექსტუალურად შესაბამისი მახასიათებელი. **"texture"** არის ტექსტის ყოველგვარი ფორმალური ორგანიზაცია, ყველა ის ნაწიბურისეული ადგილი, რომელიც არეთიანებს ტექსტის ნაწილებს, სხვადასხვა ნაწილების "კონტექსტუალიზაციის" საშუალებას იძლევა და შედეგად უზრუნველყოფს მის სემანტიკურ უწყვეტობას, იზოტოპიას, რომლითაც იგი მიჩნეულია ორგანულ მთელად.

ამგვარად, კოჰეზია განისაზღვრება, როგორც "კონტექსტუალურ ურთიერთობათა ერთობლიობა. როცა მეტ-ნაკლებად დიდი მანძილიდან ორ ელემენტს შორის ყალიბდება სემანტიკური კავშირი, იგი ყოველთვის ჩანს. კოჰეზია წარმოიქმნება მაშინ, როცა დისკურსის ერთი ელემენტის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მეორე ელემენტზე. ერთი გულისხმობს მეორეს ისე, რომ მისი გაგება შეიძლება მხოლოდ მეორის დახმარებით. როცა წარმოიქმნება კოჰეზიური ურთიერთობა, მისი ორი ელემენტი **"présupposant"** და **"présupposé"** ტექსტში პოტენციურად ინტეგრირებულია. განასხვავებენ ორი ტიპის კოჰეზიას: გრამატიკულს - რეფერენცია, ჩანაცვლება, ელიფსი, კავშირი და ლექსიკურს - განმეორება და **"collocation".**

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციისას კომუნიკანტებს გარკვეული მიზნები გააჩნიათ; განსაკუთრებით გამოიყოფა ე.წ. ტექსტობრივი მიზნები (მიზნები, რომლებიც უშუალოდ მიმართულია დისკურსის წარმოქმნისაკენ და სტრუქტურისაკენ: გადასცე აუცილებელი ფონური ინფორმაცია, მოიყვანო მაგალითი, შესთავაზო არგუმენტი). როგორც წესი, გაშლილ მსჯელობებში, მონოლოგებში, წინასწარ განჭვრეტილ ურთიეთობაში და დაწერილ ტექსტებში

მოსაუბრისათვის (ან იმისათვის, ვინც წერს), იდეის კოკნკრეტიზაციის, მისი დეტალური განხილვის მიზნით, დომინანტური ხდება ასეთი ტექსტური მიზნები. სწორედ ამ დროს იწყება ლაპარაკი ლოკალურ კოჰერენციაზე. ზოგიერთი ავტორი ამ ჯგუფს მიაკუთვნებს დისკურსის თემა-რემატულ კავშირს. თემატური კოჰერენცია ყალიბდება დისკურსის გლობალური თემის ან მოსაუბრის თემის ირგვლივ. ეს უფრო მეტად ვლინდება დიდი მოცულობის ტექსტებში. იგი კარგად ჩანს გარკვეული მოტივებისა და თემების განმეორებით – საკვანძო ობიექტები, ფაქტები, რწმენა, კოგნიტიური სტრუქტურები, სოციალური წარმოდგენები, რომლებიც დისკურსში გამოხატულია იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად. ისინი შედიან დისკურსის გლობალური თემის სემანტიკურ მიკროსტრუქტურაში. ამრიგად, კოჰერენცია არის, ერთის მხრივ, ტექსტის გაგება და მისი აზრობრივი მთლიანობა. მეორე მხრივ, ეს უფრო მეტია, ვიდრე შესაბამისი გრამატიკული ფორმების და ექსპლიციტური კონექტორების გამოყენება. ისინი, მ. მაკაროვის აზრით, უფრო მეტად საჭიროა იქ, სადაც კოჰერენცია ნაკლებადაა წარმოდგენილი. კოჰერენცია დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის სოციუმის ტიპზე (მაკაროვი 2003:121). ენობრივი ურთიერთობებისათვის მნიშვნელოვანია სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ურთიერთობის და რომელიმე კომუნიკაციური მოვლენის სპეციფიკას განსაზღვრავენ. მათი სწორი შეთავსება უზრუნველყოფს დისკურსის აზრობრივ კავშირს.

ამგვარად, დისკურსი წარმოადგენს ჩვეულებრივ ადამიანურ მეტყველებას, სოციალურ ქმედებას რეალურ სამყაროში. დისკურსის ინტერპრეტაციისას ზეპირმეტყველებაში გამოვყავით მეტყველების მელოდია, ტემპი, რითმი, ხმამაღლობა, ინტონაცია, ხოლო სასვენი ნიშნები – დამწერლობაში. დისკურსის წარმოქმნის დროს ადამიანი იყენებს არტიკულაციურ-ფიზიოლოგიურ აპარატს, ხმასა და სუნთქვას. კვლევისას დავადგინეთ, რომ დისკურსი შესდგება მეტყველების აქტის, ჩარევისა და ინტერვენციისაგან და გამოვყავით დისკურსის ხუთი კანონი, რომლებსაც უნდა დაემორჩილოს თითოეული მოლაპარაკე პირი, რათა სწორად წარმართოს დისკურსი. გარდა ამისა უნდა დაიცვას გ.პ. გრაისის საუბრისეული მაქსიმები, რათა არ ილაპარაკოს ბუნდოვნად, თავიდან აიცილოს ორაზროვნება და თავისი აზრი გამოხატოს ნათლად და ლაკონურად. ამისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისობის ცნების დაცვა ანუ მოლაპარაკე პირმა უნდა აირჩიოს შესაძლებელ გამონათქვამთა შორის ის, რომელიც მეტად გასაგებია

მსმენელისათვის და შეესაბამება მის ცოდნას, ხოლო ტექსტი უნდა იყოს კოჰერენტული ანუ თანმიმდევრული.

2. დისკურსის სხვადასხვა ტიპები

ამ თავში მოცემულია დისკურსის ტიპოლოგია, განხილულია დისკურსის ისეთი ტიპები, როგორიცაა ირიბი, პირდაპირი და თავისუფალი ირიბი დისკურსები.

საგულისხმოა, რომ გამონათქვამი **(énoncé)** ყოველთვის წარმოგვიდგება, როგორც „ერთგვაროვანი“ ეპიზოდი, ანუ, რომელსაც წარმოთქვამს ერთი და იგივე პირი **(énonciateur)** ერთსა და იმავე საკომუნიკაციო სიტუაციაში. რეალურად დისკურსი მუდამ შეიცავს უკვე თქმულსა და კიდევ სათქმელს **(déjà-dit et à dire)**; გამომთქმელი გადმოიტანს სხვის მიერ ნათქვამ, ან თავის მიერ ნათქვამ წინადადებას სხვა სამეტყველო სიტუაციაში. ეს შესაძლებლობა ყოველთვის წარმოქმნის ერთსა და იმავე გამონათქვამში „ხმათა“ სიმრავლეს და არის დისკურსის ერთ-ერთი ფუნდამენტური განზომილება.

ძირითადად ტრადიციონალისტი გრამატიკოსები კმაყოფილდებიან იმით, რომ ამ საკითხს წარმოადგენენ მორფოლოგიური და სინტაქსური კუთხით (დროთა შეთანხმება) იმის ნაცვლად, რომ გადმოცემული დისკურსი **(discours rapporté)** განიხილონ როგორც გამოთქმის აქტი (მენგენო 2001:119).

ერთი გამონათქვამის მეორეში ციტირება არ არის მარტივი ფენომენი. ტრადიციულად აღიარებენ, რომ ფრანგულ ენაში ციტირება შეიძლება განხორიცელდეს სამი განსხვავებული სტრატეგიის მიღმა, რომელთაგანაც თითოეული წარმოადგენს სპეციფიკურ თვისებებს, მახასიათებლებს **(traits spécifiques).** ეს ხორციელდება კომუნიკაციის ტიპის მიხედვით; ამ მხრივ განასხვავებენ *„discours cité“*-სა და *„discours citant“*-ს.

პირდაპირი დისკურსი (DD) ინარჩუნებს Dcé–ს დამოუკიდებლობას Dct–საგან, ხოლო ირიბი (DI) ყოველგვარ ავტონომიას აცლის Dcé–ს და მას უქვემდებარებს Dct–ს. ხოლო, რაც შეეხება თავისუფალ ირიბ დისკურსს, რომელსაც იყენებენ დამწერლობით ენაში და განსაკუთრებით ლიტერატურულ თხრობაში, იგი ერთმანეთს უთავსებს პირდაპირ და ირიბ დისკურსს.

ა) პირდაპირი დისკურსი

პირდაპირ დისკურში გამოთქმის ორი აქტი გათიშულია; ისინი გადმოცემულია მათთვის დამახასიათებელ გამოთქმის სიტუაციაში; Dct და Dcé,

თითოეული ფლობს მათი შტიფტერებისათვის დისტინქტურ ორიენტაციას. ეს გათიშვა კარგად ჩანს დამწერლობაში ფრჩხილებით. ისინი თამაშობენ შეუმჩნეველი საზღვრების როლს ორ გამონათქვამს შორის. ზეპირმეტყველებაში ლინგვისტური კონტექსტი აღნიშნავს ამ საზღვარს და გარკვეულ შემთხვევაში ხმაში მკაფიო ცვლილება ეხმარება ამაში Dcé-ზე გადასვლისას. მომდევნო გამონათვამი გვიჩვენებს ამ გათიშვას: *„Jean a dit qu'il est à Lyon il y a huit jours: „ Je suis content de partir demain d'ici"* (მენგენო 1999:121). Dct – გამომთქმელი - je; მსმენელი - ? დეიქტიკური ნიშანი –წარსული დრო *(a dit), il y a huit jours*. Dcé – გამომთქმელი – je 2 (Jean), მსმენელი – je l. დეიქტიკური ნიშანი – აწმყო დრო *(suis), deimain, ici*. შტიფტერთა ეს ორი ერთობლიობა აბსოლუტურად არ ემთხვევა: Je, tu, ici და ა.შ. და იცვლიან რეფერენტს Dct-დან Dcé-მდე. ორ რეგისტრს შორის, როგორც ჩანს, არის მნიშვნელოვანი განსხვავება: Dct-ს შტიფტერები აუცილებლად ინტერპრეტირებულია გამოთქმის სიტუაციის გამო მაშინ, როცა Dcé–ს შტიფტერები – გაუმჭვირვალეა, თუკი Dct – არ ახდენს თვითონ იმის ექსპლიციტირებას, რასაც მიემართება. ამ მაგალითში არ ვიცით, ვინ არის Dcé–ს „ je ", რადგან Dct მიუთითებს, რომ საქმე ეხება ჟანს და იგივეა *ici (=Lyon)* და ხვალ *(= il y a huit jours).*

ამბობენ, რომ DD-ს ზუსტად გადმოაქვს ნათქვამი წინადადებები. მისი მთავარი თვისება იქნება ტექსტთან (ორიგინალთან) სიახლოვე. რა თქმა უნდა, დისკურსის კანონის საფუძველზე მომხსენებელი, რეფერენტი უნდა იყოს გულწრფელი და არ დაარღვიოს გამონათქვამის ორიგინალურობა. მას არავინ არ უშლის ხელს, მოიტანოს ისეთი გამონათქვამები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმათგან, რომლებიც გადმოიტანა სხვისაგან. Dcé-ს ფრაგმენტი ერთი შეხედვით შეიძლება იყოს ორიგინალის მსგავსი ასლი და დეფორმირებული იყოს ინტონაციით, ტენდენციური კონტექსტით. DD, მენგენოს აზრით, არის გადმოცემული, გადმოტანილი დისკურსი **(discours ropporté)** და არ შეადგენს დისკურსს ვიწრო გაგებით: უმეტესწილად, უნდა აღინიშნოს, რომ წინადადებებს არ წარმოთქვამს მათი ფაქტიური გამომთქმელი და მაშინაც კი, როცა საქმე ეხება იმავე გამომთქმელს, გამოთქმის სიტუაცია **(situation d'énonciation)** განსხვავებულია (მენგენო 1999:120). პირდაპირ დისკურსში იწერება ფრჩხილები (ან ტირე, თუ საქმე ეხება პასუხს), ასევე შეინიშნება ინტროდუქციული ზმნები (dire, parler) სხვადასხვა პოზიციაში.

ბ) ირიბი დისკურსი

ირიბი დისკურსი ინვარიანტულია ჩაფიქრებული შინაარსის, ორიგინალი გამონათქვამის ინტერპრეტაციის დონეზე. დ. მენგენო თვლის, რომ „აქ საქმე არ ეხება რეპროდუქციას, არამედ იმ ვერსიას, რასაც გვაწვდის რეფერენტი“ (მენგენო 1999:123) Dcé-ს სინტაგმური ავტონომია აღარ არსებობს Dct-სთან მიმართებაში, რადგანაც ირიბ დისკურსში Dcé-ს გააჩნია Dct-ს ზმნის ობიექტის დამატების მარტივი დამატების სტატუსი. აქ ხორციელდება მხოლოდ ერთი გამოთქმის აქტი - Dct. ეს გულისხმობს, რომ Dcé-ს გამოთქმის ყოველგვარი კვალი (შტიფტერები, ასევე ექსპრესიული გამოთქმები, კითხვები და ა.შ.) სისტემატურად უნდა წაიშალოს Dct-ს სასარგებლოდ. ამგვარად, *„Elisabeth m'a dit que tu étais arrivé hier ici“* (მენგენო 2001:123), შტიფტერები „Tu, hier, ici“ დამოკიდებულია რეფერენტის გამოთქმაზე: „tu“ არის Dct-ს მიმღები: „ ici“ მიემართება იმ ადგილს, სადაც იმყოფება რეფერენტი და „hier“ იმ დღეს, რომელიც წინ უსწრებს Dct-ს გამოთქმის მომენტს. ამრიგად, როგორც ვხედავთ შეგვიძლია რამდენიმე საათიანი გამონათქვამი გადმოვიტანოთ ირიბი დისკურსის ერთ ფრაზაში. გამონათქვამი შეიძლება გადმოვიტანოთ ირიბ დისკურსში განსხვავებული სახით Dct-ს გამომთქმელის სურვილისამებრ; მაგრამ სხვათა წინადადებების გათვალისწინებით გამომთქმელი, რეფერენტი გვაძლევს მის შესახებ გარკვეულ სახეს, მიემართება მის იდეოლოგიურ, ეფექტურ, პიროვნულ პოზიციებს. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია, მაგალითად, შევადაროთ ირიბ დისკურსში მოყვანილი ერთი და იმავე პოლიტიკური სიტყვების სხვადასხვა ვერსიები, რომლებსაც წარმოგვიდგენენ სხვადასხვა პოლიტიკურად წინააღმდეგობრივი გაზეთები (მენგენო 1999:126).

ირიბი დისკურსი ზეპირმეტყველებასა და დამწერლობას შორის არ აკეთებს მნიშვნელოვან განსხვავებას და ძირითადად Dcé-ს შემოსაყვანად იყენებს ინტროდუქციულ ზმნას, რომელსაც მოსდევს დამატება ობიექტი. მას არ გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სინტაქსური სტრუქტურა. ასეთ ზმნებს ეწოდებათ კომუნიკაციური ზმნები **(verbes de communication)**. თავიანთი მნიშვნელობითა და გადმოცემული დისკურსის ინტროდუქციული როლით ისინი მიუთითებენ, რომ ლინგვისტური აქტი შესრულდა. მაგრამ ამით მათი ფუნქცია არ შემოიფარგლება, რადგან მათ მოაქვთ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია შესრულებულ, განხორციელებულ ლინგვისტურ აქტზე, ანუ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ აპირობებს იმას, თუ როგორ მოახდენს რეფერენტი Dcé-ს ინტერპრეტაციას.

ამგვარად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საუბრისას გამომთქმელი ანუ მოლაპარაკე პირი შეიძლება წარმოგვიდგენდეს პირდაპირ ან ირიბ დისკურსს. პირდაპირ დისკურსს მოლაპარაკე პირი თვითონ წარმოთქვამს ანუ თავის აზრებს წარმოგვიდგენს, ხოლო ირიბ დისკურსში იგი სხვათა ნათქვამს გადმოგვცემს. ეს არის სხვისი ნათქვამის რეპროდუქცია, რაც კარგად გამოიხატება დამწერლობაში ფრჩხილებით. ეს გარკვეულწილად არის შეუმჩნეველი საზღვარი ორ გამოთქმას შორის. ზეპირმეტყველებაში კი ამის მაჩვენებელია ლინგვისტური კონტექსტი და გარკვეულ შემთხვევაში ხმაში მკაფიო ცვლილება. ზეპირმეტყველებასა და დამწერლობაში ირიბი დისკურსი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება და ძირითადად ირიბი დისკურსის შემოსაყვანად იყენებს ინტროდუქციულ ზმნას, რომელსაც მოსდევს დამატება ობიექტი. ირიბი დისკურსის წარმოქმნისას მოლაპარაკე პირი მიემართება გამომთქმელის მიერ ნათქვამ წინადადებას, თუმცა შეიძლება გადმოტანისას მნიშვნელოვნად შეცვალოს იგი და სხვდასხვაგარი ინტერპრეტაციით წარმოადგინოს. თუმცა შეიძლება ასე არც მოხდეს. ამის მაგალითია სხვადასხვა პოლიტიკოსთა ნათქვამის თავისებურად გადმობრუნება სხვადასხვა გაზეთებში, (რაც ძირითადად ეფუძნება ამ გაზეთების პირად დამოკიდებულებას ამ პოლიტიკოსებთან).

3. ს ა უ ბ ა რ ი, როგორც ზეპირი დისკურსი

ჩვენ გვაინტერესებს მეტყველება სოციალურ კომუნიკაციაში, რაც შეადგენს ყოველდღიურ ცხოვრებას. ყველაზე ჩვეულებრივი ურთიერთობები არის სოციალურად სტრუქტურირებული ქმედებები. ლინგვისტური ურთიერთობების მრავალ სისტემას შორის, რომლებშიც მონაწილეობენ საზოგადოების წევრები, ჩვენ განვიხილავთ იმ სისტემას, რომელიც მართავს საუბრებს.

კომუნიკაციის ბაზისებური ფორმა – საუბარი – მნიშვნელოვანია ლინგვისტიკისათვის. თვითონ სიტყვა საუბარი (conversation) არის პოლისემიური. ამ სიტყვის ქვეშ აანალიზებენ ზოგიერთ ვერბალურ ქმედებას განსხვავებულ სოციალურ კადრებში, სამეტყველო ჯერს **(tours de parole)** ისევე, როგორც სამეტყველო ურთიერთობების რეგულირებას. ამას საუკეთესოდ ამერიკული ეთნომეთოდოლოგია ახორციელებს (კულონი 1998:127). ზოგჯერ საუბრის დინამიურ სტრუქტურას აღწერენ ზუსტ სიტუაციურ კონტექსტში; მაგალითად მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა. ტერმინმა საუბარი ამგვარი მნიშვნელობა მიიღო ბირმინგემის სკოლაში და ჟენევის სკოლის

წარმომადგენელთა ნაშრომებში; შეიძლება საუბარი განვსაზღვროთ როგორც სპონტანური ზეპირი ურთიერთობა, სადაც მონაწილეობს ერთზე მეტი პირი დისკურსის საპირისპიროდ, რომელიც არის ფორმალისტური სიტყვა. იგი შეიცავს ერთდროულად დიალოგსა და მონოლოგს, დამწერლობით ან ზეპირ ფორმებს (შისი 2001:83).

ამ სიტყვას სხვადასხვა მეცნიერები სხვადასხვაგვარად უდგებიან.

კ.ბეილონი თვლის, რომ საუბარი არის კარგად განსაზღვრული მთლიანობა **(entité bien définie)**, სადაც ირევა ვერბალური და არავერბალური ელემენტები. ენას ყოველთვის თან სდევს კომუნიკაციის სხვა საშუალებები და სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ, შეცვალონ მეტყველება (ბეილონი 1996:210). ყოველი კულტურა არის აღმნიშვნელ სისტემათა რთული ქსელი. იგი საშუალებას იძლევა წარმოქმნას კომუნიკაციის განსაზღვრული ტიპები, რომლის შემადგენელიცაა ენა. კომუნიკაციის ზოგიერთი საშუალება ცვლის სიტყვას, მეტყველებას. ზოგიერთ საზოგადოებაში ინტიმური და დელიკატური ხასიათის შეტყობინებები სტვენით გადაიცემა; როცა ბიჭი სტვენს ლამაზი ქალის დანახვისას, იგი ამით გადასცემს ინტიმურ, მაგრამ არა დელიკატურ შეტყობინებას. მეტყველებას ემატება კომუნიკაციის სხვა საშუალებები – ჟესტები, რომლებიც ბუნებრივად თან სდევენ დისკურსს. მათ იყენებენ მაშინაც კი, როცა არ არის აუცილებელი, მაგალითად, სატელეფონო კომუნიკაციისას. თითოეული საზოგადოება ენის პარალელურად ფლობს ჟესტების სისტემას. ერთსა და იმავე აღსანიშნს შეიძლება ჰქონდეს უამრავი აღმნიშვნელი ჟესტი; ერთსა და იმავე აღმნიშვნელს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აღსანიშნები კულტურის მიხედვით.

საუბარი არის ზეპირი დისკურსი – მოლაპარაკე პირი იმყოფება მსმენელთან ერთად და კომუნიკაცია ხორციელდება დროსა და სივრცეში. რაკი საუბარს ესაჭიროება ერთზე მეტი ინდივიდის მონაწილეობა, საჭიროა მისი ფუნქციონირების გაგება, გამოიკვლიო როგორ არის კოორდინირებული თანამოსაუბრეთა ძალისხმევები. საუბარში მონაწილეები იძლევიან ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებსა და საშუალებებს.

„კოორდინაცია ხორციელდება იმას შორის, რისი თქმა სურს მოლაპარაკე პირს და რას იგებენ მისი შეტყობინებიდან მსმენელები. კოორდინაციის ყველა სხვა ტიპი – როგორიცაა სამეტყველო ჯერი, საუბრის თემების არჩევა, ისტორიის, მოვლენის, დისკურსის განვითარება – კონკრეტულად ყველაზე ფუნდამენტური ტიპის კოორდინაციას ემსახურება მნიშვნელობასა და გაგებას შორის“ (ბეილონი 1996:206).

გ.კლარკი (ბეილონი 1996:96) ამტკიცებს, რომ კოორდინაცია ენის გამოყენების სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებზე ხორციელდება. ფრაზათა ინფორმაციული სტრუქტურის კვლევა გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკე პირები საუბარს იწყებენ იმ ინფორმაციით, რომელიც მათ მსმენელისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ და შემდეგ გადადიან ნაკლებად მნიშვნელოვანზე. ამგვარად, ახდენენ სინტაქსური პროდუქციის კოორდინირებას მსმენელთა მიერ ინფორმაციის ინტერპრეტაციების საჭიროებით. ენაში მრავალსიტყვაობა ამარტივებს გაგების პროცესს და ეხმარება მსმენელს მის მიზნებში, კომუნიკაციური მნიშვნელობის კოორდინაციის პროცესში.

საუბრის დამოკიდებულება კოორდინაციის მიმართ აიხსნება არა მარტო ლინგვისტურად, არამედ სოციალური ინტერაქციით. იგი დაკავშირებულია საუბრის ბუნებასთან. კოორდინაციაზე ზეწოლა ხორციელდება ინდივიდთა ძალისხმევით, რათა გააწონასწოროს მათი სოციალური და ინდივიდუალური საჭიროებები. აქამდე მიიჩნევდნენ, რომ გამონათქვამის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ერთი მხრივ, გამოთქმული ფრაზის მნიშვნელობაზე და მეორე მხრივ (ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ) კონტექსტზე. ამ ორ ცვლად ფაქტორს გ.პ. გრაისი ამატებს მესამე მუდმივ ფაქტორს – ***„კოოპერაციის ფაქტორი“*** – საუბარში ყოველგვარი ვერბალური ელემენტი უნდა შეესაბამებოდეს საუბრის ძირითად მიზანს იმ მომენტში, როცა ეს ჩარევა ხორციელდება; ეს არის „საუბრისეული მექანიზმების“ ერთობლიობა (რომელზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ).

უნდა აღინიშნოს რომ საუბარი სისტემაშია მოქცეული. მოლაპარაკე პირები და მსმენელები მათი მნიშვნელობებისა და მოქმედებების ერთდროულ კოორდინირებას მუდამ ახდენენ სოციალური ინტერაქციის კონტექსტებში. საუბრები ინტერაქციათა განსაკუთრებული შემთხვევებია. ეს არის კოდირებული, რიტუალური ურთიერთობები, რომელთა ყველა შემადგენელი წარიმართება წესებზე დაყრდნობით; ეს წესები საუბრის ფუნქციონირების განსხვავებულ დონეებზეა მოქცეული.

სამეტყველო თამაში წარიმართება ორს შორის. ვერბალური კომუნიკაცია მოითხოვს მოლაპარაკესა და მსმენელს შორის მუდმივ შემოწმებას: ერთი წარმოქმნის გამონათქვამებს სწორედ ისე, როგორც უნდა მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია მსმენელმა. ეს უკანასკნელი კი თავის ინტერპრეტაციას აწყობს მისი პარტნიორის მიერ ნავარაუდები ამ დემარშის ბაზაზე. ლ. ვიტგენშტეინი ამბობს: „საუბარში ერთი პიროვნება ისვრის ბურთს; მეორემ არ იცის,

დაუბრუნოს იგი მას, თუ გადასცეს მესამე პიროვნებას, დატოვოს იგი მიწაზე, თუ აიღოს და ჩაიდოს ჯიბეში . . . . “ (ბეილონი 1996:208).

რაც შეეხება ეთნომეთოდოლოგიურ მიდგომას (კონიე 1999:176; კულონი 1998:156), ეთნომეთოდოლოგებისათვის სამყაროს შეცნობა არ არის დამოკიდებული რაციონალური სტრუქტურების არსებობაზე: რეალობის ინტერპრეტაციას ახდენენ სოციალურად მოქმედი პირები **(acteurs)**. ისინი თამაშობენ აქტიურ როლს „სამყაროს შექმნაში“. შეტყობინების გაგება აუცილებლად განიცდის ინტერპრეტაციას, რასაც მსმენელი აკეთებს იმ ვერბალური სტრუქტურებით, რომელსაც იყენებს გადამცემი **(émetteur)**. ამგვარად, ეს ინტერპრეტაცია დამოკიდებულია სიტუაციის გარდაუვალ გარემოებებზე, ისევე, როგორც ინდივიდუალურ ან სოციო-კულტურულ გარემოებებზე (გრემასი 1987:123).

საუბარი არის კოლექტიური წამოწყება, რომელიც ემორჩილება სოციო-კულტურულ შებრკოლებებს. ინტერვენციის, ჩარევის რიგის **(l'ordre de l'intervention)**, რეპლიკების, იმ გამონათქვამთა ბუნების, რომლებიც ერთმანეთს თანმიმდევრულად მიჰყვებიან, მექანიზმების ემპირიული კვლევით ეთნომეთოდოლოგებმა ჩათვალეს, რომ ჩვეულებრივ საუბარს გააჩნია საკუთარი სტრუქტურა და დინამიკა (ბეილონი 1996:234). უფრო მეტიც, ისინი ხაზს უსვამენ ურთიერთობებს, რომლებიც არსებობს ამ დინამიკასა და სოციო-კულტურულ ვარაუდებს შორის - ურთიერთობები, რომლებიც წარმოქმნიან შეტყობინების ნამდვილ მნიშვნელობას. ამგვარად, თვით ლინგვისტურ გამონათქვამს არ გააჩნია ერთი და იგივე მნიშვნელობა შუა საუბარში და საუბრის ბოლოს; მხოლოდ ერთ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია აუცილებელი სოციო-კულტურული ბაგაჟი, შეუძლია შეტყობინების დეკოდირება. თუკი ადამიანმა არ იცის გარკვეული სოციო-კულტურული პირობითობა, მცდარად გაიგებს ვერბალურ შეტყობინებას, ანუ გააკეთებს მცდარ ინტერპრეტაციას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ეთნომეთოდოლოგიის ერთ-ერთი ბაზისური პოსტულატი ის არის, რომ სოციალური ცხოვრების თავისებურებები, (რომლებიც თითქოს ობიექტურია) წარმართულია გარკვეული სოციალური პროცესებით. საუბრის ეთნომეთოდოლოგიის მიდგომის ერთ-ერთი გასაღებია ინტერაქტანტთა მიერ განხორციელებული დისკურსი - ურთიერთობა, მოლაპარაკე პირთა განზრახვა ან სოციალური ნორმები, რომლებიც უფრო ზოგად ინტერაქციულ სტრატეგიებს გვთავაზობენ. აქ მნიშვნელოვანია ისეთი

კონტექსტუალური კატეგორიები, როგორიცაა კულტურული, სოციალური, კლასობრივი, სქესობრივი თვითშეგნება ან სხვა ინტერაქციული მიზანი.

ა) საუბრის ანალიზი და მისი სტრუქტურა

მიუხედაავად იმისა, რომ საუბარი თანდაყოლილად კონტექსტუალურია, შექმნილია სოციალური ინტერაქციით და სოციალურ ინტერაქციაში, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ შეიძლება საუბრისეული პრაქტიკა **(pratique conversationnelle)** წარიმართოს ზოგადი წესების მიხედვით. ეს წესები დაკავშირებული არ არიან არც განსაკუთრებულ სიტუაციებთან, სადაც ვითარდება საუბარი, არც სხვა რიტუალურ (არავერბალურ, ფიზიკურ) და სოციალურ (მიზნები, ძალების თანაფარდობა, მონაწილეთა სოციალური განსაზღვრა, სოციოკულტურული თავისებურებები) ელემენტებთან. ანალიზი უნდა შეეხოს ძირითადად კონკრეტულ ზეპირ დიალოგს. თუკი აქცენტი გაკეთდება ამაზე, ეს წარმოშობს ტრანსკრიფციის გარდაუვალ საჭიროებას, რომელიც აპრიორულად არ ითვალისწინებს არც სიტუაციას და არც უკანა პლანს. ანალიტიკოსმა უნდა გამოიგონოს ტრანსკრიფციის სისტემა, რომელიც ანგარიშს გაუწევს ისეთ ფენომენებს, როგორიცაა ინტონაცია, გამოთქმის სიჩქარე, "faux départs", სიცილი, ჟესტები, რაც მნიშვნელოვანია ანალიზისათვის. ანალიზისას ყალიბდება ორი მიდგომა: 1. *ეპიზოდური*, რომელიც განიხილავს საუბრის რამდენიმე ეპიზოდს და ანგარიშს უწევს იმას, თუ როგორ ინტეგრირდება კორპუსში თითოეული გამონათქვამი და 2. *დისტრიბუციული*, რომელიც განიხილავს მრავალ ეპიზოდს და ანგარიშს უწევს იმ მოსაზრებას, რომლითაც კორპუსში ზოგადად წარმოიქმნება განსაკუთრებული მახასიათებლები.

გ.გემპერსი ირჩევს ვერბალური ქცევის ინტერაქციულ მიდგომას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს რომ კომუნიკაციის სიტუაციაში მონაწილეებს გააჩნიათ არჩევანი ლაპარაკისას სხვადასხვა მანერას შორის (გემპერსი 1989:143). მათი არჩევანი ხორციელდება კონტექსტით. მეტყველება მუდამ ადაპტირდება სიტუაციის სოციალურ განზომილებებთან, მონაწილეებთან, საუბრის მიზანთან, მოქმედების მსვლელობასთან. ლაპარაკის მრავალი მანერა არსებობს და განხორციელებულ არჩევანს გააჩნია სოციალური მნიშვნელობა; იგი გადაეცემა მსმენელებს. საუბარი იყენებს მრავალ არხს. ერთი არხის განსაკუთრებული მახასიათებლები დამოუკიდებლად ოპერირებენ მეორე არხის მახასიათებლებზე. ისინი არ ანალიზდება, როგორც იზოლირებული გარემოებები რამდენიმე

განსხვავებულ საუბარში. ამრიგად, არ შეიძლება ამოიღო ერთი ელემენტი და ეძიო, როგორია მისი იზოლირებული როლი. ანალიტიკოსის მიზანია მაგალითებთან მუშაობა, გამოიკვლიოს, თუკი მოქმედ პირებს ესმით ერთმანეთის, თუ არა და გამოყოს, გაანალიზოს ის, რაც ხდება. ბოლოს აქედან გააკეთოს ჰიპოთეზები, ვარაუდები და განსაზღვროს ემპირიულად როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს ლინგვისტური ნიშნები **(les signes linguistiques)** ინტერპრეტაციის პროცესში.

საუბრის ანალიზი ყურადღებას ამახვილებს ნამდვილად განხორციელებულ ზეპირ დიალოგებზე.

საუბრისეული სტრუქტურების შემადგენლები შეიძლება იყოს უფრო პრაგმატული ან ინტერაქტიული ერთეულები (მოქმედებები, სამეტყველო ჯერი), ვიდრე ვიწროდ ლინგვისტური ერთეულები (მორფემები, ფრაზები). თვით „საუბრისეული წყვილები“, რომლებიც შეიძლება აღწერონ ლინგვისტურად, განიხილება მოლაპარაკესა და მსმენელს შორის ინტერაქციის მსვლელობის შედეგებით. წყვილი კითვხა/პასუხი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სემანტიკური ეპიზოდი, რომელშიც მოლაპარაკის მიერ წარმოდგენილი დაუსრულებელი წინადადება დასრულებულია მეორით; ასეთი განსაზღვრება არ შეესაბამება საუბრის ანალიტიკოსთა უმრავლესობის თვალსაზრისებს.

ანალიტიკოსები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რა არის საუბრის სტრუქტურების მინიმალური შემადგენელი; ისინი განიხილავენ ისეთ განსხვავებულ ერთეულებს როგორიცაა ფრაზა, გამონათქვამი, გამოთქმა, ინტონაციური ერთეული, შეტყობინება, სამეტყველო ჯერი **(tour de parole)** და **„agencement“**.

რაც შეეხება საუბრის ერთეულებს შორის საზღვრებს, ბევრმა ანალიტიკოსმა გამოიკვლია, რომ საუბარში ამბის დასაწყისი და დასასრული (ორი მნიშვნელოვანი ზღვარი) დამოკიდებულია ამბის მომყოლისა და მის პუბლიკას შორის კოორდინაციაზე. ამგვარი კოორდინაცია უნდა იყოს მოლაპარაკებული. მაგალითად, როცა მსმენელებს არ ესმით, რომ მოლაპარაკეს ამბის დაწყება სურს. საზღვარი ამბავსა და რომელიმე წინა საუბრისეულ ერთეულს შორის არ არის ისეთივე აშკარა, როგორც საზღვარი ლინგვისტური ანალიზის ორ ყველაზე დაბალ დონეს შორის. კ. გუდვინი (გემპერსი 1989:203) ამტკიცებს, რომ ფრაზები ინტერაქციაში თანაბრად არ იქმნება და რომ ისინი არ არიან მტკიცედ დაკავშირებული. მ. სტაბსი (ბეილონი 2002:225) მიიჩნევს, რომ საუბარი წარმოადგენს სტრუქტურას, რომელშიც ფუნქციონალურად

განსხვევბული ერთეულები სინტაგმურად დაკავშირებულია წინასწარ განჭვრეტილ სწორხაზოვან ეპიზოდებად. მაგრამ ეს სტრუქტურა არ არის თავისთავად ლინგვისტური.

გარკვეულ სიტუაციაში საუბრის კვლევისას საჭიროა გასცდე სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, რომელიც ჩამოყალიბდა ზოგადი სინტაქსური და სემანტიკური ცოდნის დახმარებით; თანამოსაუბრის რეალურად გასაგებად საკმარისი არ არის მოახდინო ნათქვამის ტექსტუალური ინეტრპრეტაცია. დასკვნები აუცილებელია დისკურსის ფაქტიური მნიშვნელობის გამოსათვლელად. ამისათვის წესების გამოყენება არ არის საკმარისი. იგი ზოგიერთი იმპლიციტური დედუქციის მოდიფიცირების საშუალებას გვაძლევს, თუმცა არ წარმოადგენს მსმენელის გამონათქვამის იმპლიკაციების კარგ ფორმალიზაციას. სპერბერი და ვილსონი გვთავაზობენ მაგალითს ამის საილუსტრაციოდ: *„Viendras-tu ce soir au bal? – j'ai entendu dire que Paul y sera!“* (სპერბერი 1989:45), სადაც მეორე ფრაზა ინტერპრეტირებულია, როგორც პოზიტიური პასუხი, თუკი ვიცით, რომ მოლაპარაკე პირს უყვარს პოლი და ნეგატიური, თუ – არა. გამონათქვამთა ინტერპრეტირებას ზოგადი პრინციპებით კომუნიკაციის სიტუაციის მიხედვით პრაგმატიკას ანდობენ. ეს ეხება ინდივიდთა სოციალურ ინტერაქციას და ვერბალურ ქცევას. ეს გულისხმობს სწორედ პოლიტიკური ელემენტებისა და სხვადასხვა კონკრეტული მიზნების გამოაშკარავებას ამა თუ იმ ფრაზის გამოთქმით. საუბრის პრაგმატულ მიდგომებში, რომლებმაც განიცადეს გ.პ. გრაისის ზეგავლენა, წინადადების სემანტიკა გვთავაზობს თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. მოლაპარაკე პირის კომუნიკაციური განზრახვის მიერ დამატებულ ინფორმაციას შეუძლია დასკვნა გამოიტანოს ორი თანამოსაუბრის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ხარისხის, რაოდენობის, შესაბამისობისა და სახის შესახებ მიმართებითი მაქსიმების გამოყენებით. მიშვნელოვანია, რომ გ.პ. გრაისის მაქსიმები იდეალური საუბრის კადრში წარმოადგენენ მხოლოდ სასურველ ასპექტებს. აქ პარტნიორები ცდილობენ, ითანამშრომლონ და არ მოტყუვდნენ, რადგან მათ იციან, რომ ამ წესების დაცვა არის ნორმა (გრაისი 1982:128). კ. ბეილონს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: *„A quelle heure jean est-il arrivé?“* მე ვპასუხობ *„dans l'après – midi“* (ბეილონი 2002:243). აქ საქმე ეხება ხარისხის მაქსიმას, რადგანაც იმაზე ნაკლები ინფორმაციაა მოცემული, ვიდრე ითხოვენ. მსმენელი ივარაუდებს, რომ მე არ შემიძლია ერთი მაქსიმის დაცვა მეორის დარღვევის გარეშე. იგი ივარაუდებს, რომ მე არ მაქვს ზუსტი ინფორმაცია. ვარაუდებს, რომელიც უნდა გაკეთდეს, რათა აიხსნას, თუ როგორ იცავს გამონათქვამი

საუბრისეულ პრინციპებს, ეწოდება „საუბრისეული იმპლიკაციები“ **(implications conversationnalles)**.

არსებობს ორი ტიპის წესები : ინტერპრეტაციის და ეპიზოდებად დაყოფის წესები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებს მოქმედებებს. საქმე ეხება ინვარიანტულ ურთიერთობებს, რომლებიც აერთიანებს ლინგვისტურ ერთეულებს და მომზადებულ ან ინტერპრეტირებულ ქმედებებს (ლაბოვი 1986:8). ეს წესები მიემართება ზოგიერთ ნაგულისხმევ პირობითობას სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. აქ შედის მოლაპარაკე პირთა ცოდნა, ასევე მიმღებისა და პუბლიკის როლები, უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია ამ როლებთან და სხვა შებრკოლებებთან. საუბრის ეპიზოდებად დაყოფის წესები გულისხმობენ ადრინდელ სისტემას, შემაერთებელი წესების ქმედებებსა და მოლაპარაკე პირთა და მათი გამონათქვამების სიღრმისეულ მნიშვნელობებს შორის კავშირს. უფრო მეტიც, სიღრმისეული ქმედებები და მნიშვნელობები საუბარში მომიჯნავე გამონათქვამთა ეპიზოდებად დაყოფის საფუძველს არ წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამონათქვამებს შორის კოჰერენტული შეერთებები ღირებულია მაშინ, თუკი ამ გამონათქვამთა მიერ განხორციელებული სიღრმისეული მნიშვნელობები და ქმედებები გასაგებია.

ყოველ მოლაპარაკე პირს გააჩნია არა მხოლოდ სოციალურ ნორმებთან დაკავშირებული ლინგვისტური რეპერტუარი, არამედ დისკურსული სტრატეგიების მთელი არსენალი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული თითოეული ინდივიდის სოციალურ იდენტურობასთან (სტატუსთან) (გემპერსი 1989:35). ეს უკანასკნელი ყალიბდება როგორც მთელი საზოგადოების მიერ, ასევე ჯგუფებისა და ქსელების მიერ, რომელთა ნაწილს შეადგენს თითოეული მათგანი. სწორედ მრავალეთნიკური ვერბალური ინტერაქციის სიტუაციაში განსხვავდებიან თანამოსაუბრეთა კომუნიკაციური სტრატეგიები და მათი ინტერპრეტაციული კადრები მათთვის დამახასიათებელი ვარაუდებითა და ზოგიერთი ნიშნის არათანაბარი ცოდნით საუბარში. გ. გემპერსი თეორიულ დონეზე გვთავაზობს ცნებას „საუბრისეული დასკვნა“ **(inférence conversationnelle)**. იგი განსაზღვრავს მიდგომას, მეთოდს, რომლითაც ყოველი შეტყობინება ემორჩილება ინტერპრეტაციას მიმღების მხრიდან; იგი დაკავშირებულია უშუალო და სოციალურ კონტექსტთან. ანალიტიკურ დონეზე „კონტექსტუალიზაციის ნიშანი“ **(indice de contextualisation)** წარმოადგენს ლინგვისტური ფორმის ყოველ გამოვლინებას, რომელიც აღნიშნავს კონტექსტუალური ვარაუდების არსებობას. ეს არის მაგალითად, განსაკუთრებული ინტონაცია ან საუბარში ფრაზის

კონსტრუქცია. კომუნიკაციის მნიშვნელობა გამომდინარეობს ინტერპრეტაციის პროცესიდან; ეს არის სიტუაცია, რომლებშიც მსმენელები ხვდებიან მოლაპარაკე პირთა სიღრმისეულ განზრახვებსა და სტრატეგიებს ლინგვისტური ნიშნების ინეტრპრეტირებით. ეს ნიშნები ახდენენ შეტყობინების კონტექსტუალიზაციას.

ანტუან ოშლენი საუბრის ანალიზის სამ მოდელს განიხილავს:

1. *იერარქიული წყობის პრინციპი*, რომელიც ახდენს შემდგომი კატეგორიების ორგანიზაციას. იგი საუბრის ანალიზის შესაბამისი რანგის ერთეულია: ყოველი ურთიერთობა (E - échange) - მაღალი რანგის ერთეული შესდგება ჩარევებისაგან (I - interventions) და ყოველი ჩარევა, ინტერვენცია შესდგება მეტყველების აქტთაგან - ანალიზის დაბალი რანგის ერთეული.

2. *ფუნქციონალური წყობის პრინციპი*, რომელიც ურთიერთობებს და I რანგის შემადგენლებს შორის აყალიბებს კავშირს. იგი საშუალებას გვაძლევს, მივანიჭოთ მათ ფუნქციები. ფუნდამენტურად განასხვავებენ I – ილოკუციურ ფუნქციებს, როგორიცაა „თხოვნა, ბრძანება, მოთხოვნა“ – ინიციატიური ტიპი; „პასუხი, უარის თქმა, შეპასუხება“ – რეაქტიულ-ინიციატიური ან კიდევ რეაქტიული ტიპის – „შეფასება“, რომლებიც ურთიერთობის დროს ინტერვენციებში ოპერირებენ; II – ინტერაქციული ფუნქციები, რომლებიც ოპერირებენ ინტერვენციის შემადგენლებს შორის და ამ უკანასკნელის შიგნით. თუკი კავშირები (ფუნქციები), რომლებიც მყარდება ურთიერთობის შემადგენლებს შორის არიან არა-იერარქიული (ან „ხაზოვანი“); ინტერაქციული ფუნქციები უკავშირებენ ერთმანეთს ჩარევის, ინტერვენციის მთავარ და დაქვემდებარებულ შემადგენლებს.

3. *რეკურსულობის პრინციპი* საშუალებას გვაძლევს, გამოყოს ინტერაქციული ფუნქციები რთული რანგის შემადგენლებისაგან და ისინი ამგვარად ხდებიან ინტერვენციის შემადგენლები (ოშლენი 1988:33-37).

ამგვარად, საუბრის იერარქიული ანალიზი არის ამ საუბრის გლობალური ინტერპრეტაცია. იგი მიიღწევა სხვადასხვა დონეზე მისი შემადგენლების ინტერპრეტაციით. ეს ინტერპრეტაცია ლეგიტიმურია, რადგან ძირითადად ემყარება შემადგენლების ან მათი კავშირების (ილოკუციური ფუნქციებისათვის ილოკუციური მარკერები, ხოლო პრაგმატული კონექტორები ინტერაქციული ფუნქციებისათვის) ფორმალურ და კონვენციონალურ თავისებურებებს, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ ო. დიუკროს კვალდაკვალ ინსტრუქციებად **(instructions)**. ისინი შეადგენენ ინტერპრეტაციას (დუკრო 1987:310). თუმცა თავისთავად ცხადია, რომ საუბრის მონაწილეები არ ქმნიან ლინგვისტის მსგავს ინტერპრეტაციებს.

ავტორის აზრით, ანალიტიკოსმა უნდა აირჩიოს ან შემადგენელთა ინტერპრეტაცია ან პროტაგონისტთა მიერ გაკეთებული ინტერპრეტაცია.

საუბრისას ჩვენ ვეძებთ კომპანიას და არა ინფორმაციას. ამ შემთხვევაში საუბარი არ განიცდის პროგრესირებას, მას ეს არ სჭირდება (ჟაკი 1988:45-66). ე. კანტი თავის „ანთროპოლოგიაში“ ლაპარაკობს, რომ საუბრის ფუნქცია საზოგადოებისადმი კუთვნილების – კოლექტიური კავშირის – დადასტურებაა (იაკობსონი 1970:34). სადილისას, სადაც საზოგადოება გამოცოცხლებულია, წესები მოითხოვენ, აირჩიოთ რამე ერთი (ან რამდენიმე) თემა, რაც აინტერესებს ყველას და თითოეულს საშუალებას აძლევს, მიიღოს მასში მონაწილეობა. შემდეგ არ უნდა ჩამოვარდეს სიჩუმე, არამედ ილოკუციური ქმედებისას უნდა იყოს პაუზა. ბოლოს საჭიროების გარეშე თემა არ უნდა შეიცვალოს. საუბრის ეტიკეტი შეიცავს ბევრ ჟესტს, სიტყვას. თითოეული პერსონაჟი თავის შესახებ გვაწვდის ჯეროვან ინფორმაციას. თუკი ვინმე დაარღვევს ეტიკეტს, რიტუალს, სხვებმა უნდა აღადგინონ ცერემონიალის წესრიგი. ამრიგად, როგორც ჩანს ძალზე რთულია საუბრის წამოწყება, გაგრძელება და ბოლომდე მიყვანა. ეს მოითხოვს დიდ ძალისხმევას საზოგადოების წევრთაგან.

ბ) ადამიანის კოგნიტიური ქმედების მოდელები და საუბარი

ადამიანური შემეცნება **(cognition)** მოიცავს მეხსიერებას, პრობლემის გადაჭრას, გადაწყვეტილების მიღებას, სამეტყველო პროდუქციას **(production langagière)**, რაღაცის აღიარებას და უარყოფას. ეს ნიშნავს იმას, რომ შესასწავლი საგანი მხოლოდ იმ ინფორმაციის გარკვეული ფორმაა, რომელიც გამომდინარეობს გარკვეული გარემოდან. აქ არსებობენ ის სუბიექტები, რომლებიც ახორციელებენ შესწავლილ ქმედებებს. შესწავლის ობიექტი ყველაზე ხშირად არის ადამიანი. ამ შემთხვევაში დაინტერესებული არიან ინდივიდის მეხსიერებით; ანგარიშს უწევენ იმ სუბიექტის შემეცნებით ქმედებას, რომელმაც უნდა გადაჭრას პრობლემა, მიიღოს გადაწყვეტილება ან აღიაროს ან უარყოს რაიმე; ძირითადად აანალიზებენ ერთი მოლაპარაკე პირის სამეტყველო პროდუქციას. შემეცნებით პროცესს ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანურ ქმედებებში. იგი თავისთავად მოიცავს ენობრივ ურთიერთობას, საუბრისეულ პრინციპს.

არსებობს ადამიანური კოგნიტიური ქმედებები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ინტერაქციაში. ისინი წარმოადგენენ ინტერაქციის პროდუქტს **(produit)**. ურთიერთგაგება ადამიანური ქმედებების ცენტრალური კოგნიტიური

პროცესია (ბრასაკი 2001:39-45). ამრიგად, საუბარი უნდა განიხილონ, როგორც გაზიარებული **(distribués)** კოგნიციების შერწყმული კონსტრუქტი, ურთიერთგაგების, როგორც ინტერკოგნიტიური პროდუქტის დამუშავების მექანიზმების მოდელიზება; სამეტყველო ინტერაქციის მექანიზმების მოდელის დაკანონება, რომელიც ამ ურთიერთგაგებას ქმნის.

ძირითადად კ. ბრასაკი დაინტერესებულია იმ ურთიერთობით, რომელიც არსებობს ურთიერთგაგებასა და მოდელიზაციას შორის. კოგნიტიური ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი არის სუბიექტი, რომელიც აანალიზებს გარე სამყაროდან გამოსულ ინფორმაციას. იგი აყალიბებს გარკვეულ ქცევას. საუბრისას არსებობს მოლაპარაკე სუბიექტთა წყვილი, ხოლო ქცევა არის წყვილის წევრთა თქმის ეპიზოდები. საქმე ეხება ბუნებრივ და ავთენტიკურ საუბრებს. როგორიც არ უნდა იყოს სიტუაცია, მოლაპარაკე პირები სპონტანურად მოქმედებენ მოცემული სიტუაციისამებრ. კ. ბრასაკი ამტკიცებს, რომ ზოგადი ფორმალური სემანტიკა (ილოკუციური აქტების წარმატებისა და დაკმაყოფილების პირობის ლოგიკა) ემსახურება მოდელად საუბრისეული გადაბმის ექსპლიკატიურ აღწერას **(déscription explicative)** (ბრასაკი 2001:48).

ამრიგად, მოცემულ სიტუაციაში საქმე ეხება მოლაპარაკე პირებს, რომლებიც სპონტანურად მოქმედებენ. ეს არის სტაბილური ურთიერთობები, რომლებსაც ავლენენ გარემოში წარმოქმნილი ქცევები და არა მარტო იმ გარე ფაქტორების გამოაშკარავება, რომლებიც განსაზღვრავენ საუბრის შემადგენელ ქცევებს. მაგრამ ძირითადად აქ საქმე ეხება იმ ფენომენებს, რომლებიც გვიჩვენებენ, როგორ წარმოქმნის მათ სუბიექტი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი ობიექტია იმ ფენომენების გამოაშკარავება, რომლებიც წარმოქმნიან ინტერაქტანტების წყვილს, საუბრის თქმის ეპიზოდებს. ინტერლოკუციური ლოგიკა არის ურთიერთგაგების ჰიპოთეტური მოდელის ფორმალური გამოხატულება.

გ) დიალოგი

დიალოგი არის ორ პიროვნებას შორის საუბარი. დიალოგური ურთიერთობა არის პროტოტიპული თხრობითი ჟანრი **(genre énoncative)** (ბერტუ-პაპანდროპულუ 2004:53). იგი შემდგომში სხვადასხვანაირად ვითარდება. გამოიყოფა ორი ტიპი. პირველი გამოთქმის სიტუაციისა და მისი პარამეტრების მიხედვით. იგი სუბიექტს საშუალებას აძლევს, ჩაებას ისეთ საუბარში, სადაც არსებობენ სხვა პარტნიორები და შეასრულოს სხვა როლები, როგორიცაა

მოლაპარაკე-თანამოსაუბრე, მოწმე, მაცნე და ა.შ. მეორე ტიპი ხორციელდება კავშირით ფორმა – მნიშვნელობა და სხვისი გამონათქვამების სიღრმისეული განზრახვების ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა ამ გამონათქვამების უშუალო გაგების საშუალებით.

დიალოგი, მ.მაკაროვის აზრით, არის ენობრივი ქმედების ბუნებრივი გამოვლინება (თვით მონოლოგიც კი თავის მხრივ, თავისებურად დიალოგურია – იგი ყოველთვის მიმართულია ადრესატისაკენ, რეალური ან ჰიპოთეზური მოსაუბრის „alter ego“) (მაკაროვი 2003:29).

ფ.ჟაკი თვლის, რომ ტერმინი „დიალოგი“ პოლისემიურია. „სოციალურ დიალოგზე“ ლაპარაკობენ მაშინ, როცა საუბარია ანგაჟირებულ ურთიერთობებზე (ჟაკი 1988:47). დიალოგში ვერბალური ინტერაქცია მხოლოდ ძლიერ კომუნიკაციური არ არის. მას ასევე გააჩნია მიზანი. დიალოგს გააჩნია ილოკუციური მონოტონურობა, რომელიც ძირითადად პრივილეგიას ანიჭებს ინფორმაციის მოთხოვნას, დასტურის თხოვნას, დასტურს და მოსაუბრეს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ მან უპასუხოს, დაადასტუროს ან აზრი შეიცვალოს. დიალოგში პოზიციათა შესანიშნავი თანაზიარობა არსებობს. როცა მასში არსებობს მესამე პირი, იგი მხოლოდ აორმაგებს თითოეულ პარტნიორში არსებულ არბიტრალურ ინსტანციას. ამ სიტყვამ დასაბამი ჰპოვა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტური ინტერაქციების სფეროში. დიალოგის შესწავლის ობიექტი არის გარკვეული თეზისის ჭეშმარიტების ღირებულების ან კონცეფციის მნიშვნელობის ორმხრივად მისაღები შეფასება. დიალოგი არის ის საშუალება, რომელშიც თანხმდებიან თვით უთანხმოებისასაც კი. ძირითადი ის არის, რომ დიალოგი საშუალებას იძლევა, ჩამოაყალიბონ შესაძლებელი შეთანხმება, რომლის თაობაზეც ჩნდება უთანხმოება. დიალოგი არის კომუნიკაცია, სადაც თითოეული ლაპარაკობს საკუთარი სახელით. კომუნიკაცია ყალიბდება ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის, რომლებიც დელეგატებად არიან წარმოდგენილი, სადაც მოლაპარაკე პირი არის თავისი საზოგადოების შუამავალი. დიალოგისათვის დამახასიათებელია ინტერვენციისას იმ მეტყველების აქტთა ინეტპრეტაცია, რომლებშიც ისინი ინტეგრირებული არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის კომუნიკაციური ინტერაქცია, მაგალითად, ინფორმაციის მოთხოვნა და პასუხი, დასტური და შემდეგი შეფასება. შეთანხმება ეხება ერთდროულად გამონათქვამის შინაარსსა და გამოთქმის ძალას. პასუხსა და რეპლიკას შორის არ შეიძლება იყოს გათიშვა, როგორც ეს ხდება საუბარში, როცა საქმე ეხება ბლოკირებას ჩვეულებრივი კამათისას: პასუხს, რომელიც

აერთიანებს გამონათქვამის შინაარსსა და რეპლიკას, რომელიც მდგომარეობს მიკიბ-მოკიბვაში ან თავი აარიდოს მოლაპარაკე პირის ილოკუციურ ქმედებას. მაგ: *„Je n'ai pas à vous répondre“ ან „Vous savez très bien que je ne peux pas vous répondre à cette question“* (იაკობსონი 1970:47).

დიალოგის აუცილებელი პირობაა ის, რომ იგი წინასწარ არ უნდა იყოს განხილული.

როგორც ინტერაქციული სტრატეგია დიალოგი არის ტრანსფრაზული ფორმა **(transphrastique)**, რომლის თითოეული გამონათქვამი განსაზღვრულია. რაც შეეხება მის სემანტიკურ სტრუქტურას და ეპიზოდთა გადაბმას, იგი წარმართულია პრაგმატული წესებით. ეს კი უზრუნველყოფს დამთხვევას **(convergence)**. ეს წესები სტრუქტურული ან სტრატეგიულია. დიალოგი მოითხოვს მათ შორის სინერგიას **(sinérgie)**. სტრუქტურული წესები უზრუნველყოფენ ილოკუციურ მედეგობას; კითხვა მოითხოვს პასუხს; დასტური **(assertion)** არ შეიძლება განმეორდეს და ა.შ. დიალოგში კითხვა პასუხთან ისეთივე კავშირშია, როგორც პასუხი კითხვასთან. ინფორმაციის მოთხოვნა განგებ ჩართავს ანტიციპაციის ურთიერთობას შესაძლებელი პასუხის მიმართ. იგი მოსალოდნელი პასუხის ფორმით მიუთითებს ვარაუდებს, რომლებზეც უნდა აიგოს პასუხი. რაც შეეხება სტრატეგიულ წესებს, ისინი წარმართავენ არგუმენტთა კოორდინაციას, რათა უზრუნველყონ მათი პროგრესია რეფერენციულ ობიექტთან. მათი წყალობით პარტნიორები აკონტროლებენ ორმხრივად აუცილებელ სემანტიკურ ოპერაციებს, რათა თეზისებს მიანიჭონ კანონიკური ძალა და ნამდვილად ცნონ ისინი. სტრატეგიული წესები აღწერენ მოვლენათა სხვადასხვა მსვლელობას.

ს. რემი-ჟირო გვთავაზობს დიალოგის შემადგენელ ნაწილებად დაშლას:

– დიალოგი იშლება ურთიერთობად (ებად) – **échanges**; ურთიერთობა არის დიაგონალური ერთეული (გარკვეულ შემთხვევაში) უფრო პატარა, ვიდრე დიალოგი; თუკი ვაღიარებთ იმას, რომ დიალოგი „წარმოდგება ყოველთვის, როგორც ურთიერთობა ან ურთიერთობათა თანმიმდევრობა“ (რემი-ჟირო 1988:85; რებული 1984:36), მაშინ ჩვენს დიალოგში მხოლოდ ერთი ურთიერთობაა;

– ურთიერთობა იშლება ინტერვენციებად, ინტერვენცია არის ურთიერთობის მონოლოგური ერთეული;

– ინტერვენცია იშლება მთავარ და დაქვემდებარებულ აქტებად; აქტი არის (შემთხვევისამებრ) ინტერვენცია, მცირე მონოლოგური ერთეული.

ამრიგად, მინიმალურ დიალოგში დიალოგი თანხვდება ურთიერთობებს, ხოლო ინტერვენცია – აქტს; დიალოგის უკვეცი შემადგენლებია – ურთიერთობა

და ინტერვენცია. ამ მოდელში შეიძლება განვასხვავოთ ფუნქციათა ორი ტიპი: 1) ურთიერთობის შემადგენელი ინტერაქციონალური ფუნქციები **(interactionnelles)**. ეს არის ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება ინტერვენციათა შორის, ანუ ორ დისკურსულ ეპიზოდს შორის; თითოეული მათგანი მიეკუთვნება ორ განსხვავებულ მოლაპარაკე პირს. 2) ინტერვენციის ინტერაქტიული ფუნქციები **(interactives).** ეს არის კავშირები, რომლებიც ყალიბდება მთავარ და დაქვემდებარებულ აქტს (აქტებს) შორის, ანუ ორ დისკურსულ ეპიზოდს შორის; ისინი მიეკუთვნება ერთსა და იმავე მოლაპარაკე პირს. ამგვარად, მინიმალური დიალოგის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ინტერაქციული ფუნქციებია მხოლოდ უკვეცი.

დ) სამეტყველო ჯერი (Tour de parole)

არსებობს სიტუაციები, რომლებშიც მონაწილეები შემოიჭრებიან რიგ-რიგობით. ეს სიტუაციები არის ლინგვისტური ურთიერთობები. თუმცა ვრცელდება ზოგიერთ თამაშებზე, სადაც თითოეული თამაშობს თავის ჯერზე. ლინგვისტური ურთიერთობებისას თითოეული ლაპარაკობს თავის ჯერზე. საუბრის ანალიზი ამისათვის იკვლევს სამეტყველო ჯერს, რასაც სილვი დიურერი და კლოდ ტომასე უწოდებდნენ *დროისეულ ერთეულს* (დიურერი 1999:13).

საუბრის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა არის სამეტყველო ჯერის კოორდინაცია: როგორ ლაპარაკობენ ინდივიდები რიგ-რიგობით? მაგალითად, ერთი იწყებს ლაპარაკს, როცა მეორე ჩერდება და ა.შ. ანუ ინტერვალის შედეგად თითოეული მოლაპარაკე პირი მონაცვლეობით ლაპარაკობს თავის ჯერზე. საუბარი წარმოადგენს რეალურ დუელს, რომლის მიხედვითაც „ერთადერთი პარტნიორი“ საუბრობს ერთდროულად. სიტყვის აღება აღნიშნავს მონაცვლეობის იმ მექანიზმს, რომლითაც ჯერი ერთმანეთს მისდევს. სამეტყველო ჯერი ფუნდამენტური ერთეულია, რომელიც ემსახურება საუბრის აგებას. ამ ერთეულთა შემადგენლებია: ფრაზა, წინადადება, სინტაგმა, სინტაქსური ერთეული. ამ ტიპის ერთეულთა სტრუქტურა საშუალებას იძლევა წინასწარ განჭვრიტოს მათი განვითარება, როცა ჯერი იწყება და ამგვარად, განჭვრიტოს ის ადგილი, სადაც გადასვლა შესაძლებელი იქნება მეორე მოლაპარაკე პირისათვის. არსებობს ადგილები, რომლებიც აღნიშნავენ ჯერის დასაწყისს და დასასრულს. ეს არის „გადასვლის ადგილები“, რომლებიც შეიძლება აღნიშნული იყოს გარკვეული სიგრძის სეგმენტებით, როგორიცაა სიჩუმე; მეორე შემადგენელი

არის „ჯერთა გამოყოფა“ **(„allocation de tours“)**, რაც სამეტყველო ჯერს საშუალებას აძლევს ერთი-მეორეს თანდათანობით მიჰყვნენ.

გამოიყოფა ორი ჯგუფი: პირველი აერთიანებს ტექნიკას, რომელშიც მომდევნო მოლაპარაკე პირი შერჩეულია პროცესში მყოფი მოლაპარაკის მიერ. მეორე შეესაბამება იმას, სადაც მომდევნო მოლაპარაკის არჩევანი ხორციელდება ავტოსელექციით. რაც შეეხება ბაზისური წესების ერთობლიობას, იგი ემსახურება ჯერის აგების წარმართვას, მომდევნო მოლაპარაკე პირის გამოყოფას და ჯერის გადაადგილების კოორდინაციას ინტერვალით და მონაცვლეობით.

რაც შეეხება სამეტყველო ჯერთა ინფორმაციულ შინაარსს, კ. ბეილონის აზრით, ის შემთხვევები, რომლებიც იწყება სიტყვით „mais“ („მაგრამ“) გადასვლისათვის შეუსაბამო პოზიციაში შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ისინი, რომლებიც იწყება **„donc“** და **„et“**. თუკი ჯერთა გადასვლა დამოკიდებულია ნათქვამის ინფორმაციული შინაარსის განსხვავებულ სახეებზე, მაშინ ჯერის ცვლილების წესები უნდა ჩამოყალიბდეს მიმდინარე და მომავალი ჯერის შინაარსის სახით. მონაცვლეობა წარმოიქმნება განსხვავებული სიხშირეებით და განსხვავებულადაა გადაწყვეტილი განსხვავებული სოციალური ჯგუფების წევრების მიხედვით (ბეილონი 1996:226-227). სამეტყველო ჯერი არის არა ლინგვისტური, არამედ ინტერაქციული ერთეული, რომელიც მოიცავს ლინგვისტურ საშუალებათა სიმრავლეს დაწყებული ავტონომიური ლექსიკური კონსტრუქციებიდან რთულ ფრაზებამდე. იგი შეიცავს სიცილს, ონომატოპეას და განსხვავებული სინტაგმების ტიპს. გამონათქვამების საპირისპიროდ ცნება სამეტყველო ჯერი, რომელიც თავის მნიშვნელობას იღებს ლინგვისტურ პრობლემატიკაში, გვთავაზობს ინტერაქციულ მოდელს.

ე) დიალოგური წყვილები

დიალოგური წყვილები გამონათქვამთა მომიჯნავე წყვილებია, რომლებიც შეწყვილებულია ორ-ორად. მაგალითად მისალმება/მისალმება **(Bonjour/Bonjour)**, კითხვა/პასუხი **(Question/Reponse)**. თითოეული წყვილი შესდგება ორი გამონათქვამისაგან, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული სიგრძე. წყვილში შემავალი გამონათქვამები მომიჯნავე პოზიციაში იმყოფებიან. თითოეული გამონათქვამი, წარმოიქმნება განსხვავებული მოლაპარაკე პირის მიერ. არსებობს ეპიზოდური რიგი ორ ნაწილს შორის, რომლებიც შეადგენენ წყვილს. ასეთი ტიპის წყვილისათვის პირველი ნაწილი მოიცავს მეორე ნაწილის სელექციას, რომელიც მასთან შესაბამისადაა დაკავშირებული. მომიჯნავე წყვილები გამოხატავენ

დიალოგის სტრუქტურას არა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმართავენ ეპიზოდთა სწორხაზოვნებას, არამედ იმიტომ, რომ ისინი ფორმალური მოდიფიკაციების ბაზას წარმოადგენენ.

კ.ბეილონი განიხილავს კითხვა/პასუხს. ეს არის ყველაზე ბანალური მომიჯნავე წყვილი. პასუხი დამოკიდებულია კითხვის შემთხვევითობაზე და შეიცავს კითხვას. კითხვა გულისხმობს იმას, რომ მასზე პასუხობენ (ბეილონი 1996:229). ამ წყვილისათვის დამახასიათებელია ორი თავისებურება: ა)იგი აწესრიგებს მონაწილეთა ქცევას - მოუწოდებს სალაპარაკოდ მას, ვინც უნდა ილაპარაკოს და მოსასმენად მას, ვინც უნდა მოუსმინოს. აქ არსებობს ასიმეტრიული სიტუაცია. ბ)შიდა სტრუქტურა მოიცავს პირობით დამოკიდებულებას. დამოკიდებულება არსებობს ეპიზოდსა და დანარჩენ საუბარს შორის. მაგალითად, სატელეფონო ზარს პასუხობენ მას შემდეგ, რაც დარეკეს.

როცა ადამიანები სხვასთან ამყარებენ კონტაქტს, ელაპარაკებიან მეორე პირს, საკუთარ თავზე იღებენ გარკვეულ პასუხისმგებლობას; მათი ქცევა და მეტყველება გასაგები უნდა გახდეს მეორე პირისათვის. მათ უნდა გაითვალისწინონ მსმენელთა ამოცნობის უნარი. მსმენელებმა უნდა ამოიკითხონ მოლაპარაკე პირთა სიტყვებსა და ჟესტებში მათი აზრები და განზრახვები.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ საუბრის ფლექსიური ასპექტი: ხალხი შეუჩერებლივ ლაპარაკობს, არ პასუხობს ერთმანეთს, ხელახლა იწყებს თავის ფრაზებს და ერთდროულად ლაპარაკობს კიდევაც.

ე.გოფმანი ამას ანგარიშს უწევს და შემოჰყავს ტერმინი ***„mouvement“***. ეს არის ანალიზის ინტერაქციული ერთეული, რომელიც უპირატესად ლინგვისტური არ არის: იგი შეიძლება, შეიცავდეს დისკურსულ ეპიზოდს პარალინგვისტური ფენომენებით, რომლებსაც გააჩნიათ დისტინქტური ფუნქცია კომუნიკაციის გარემოში. განსხვავებულ სიტყვებს შეიძლება შეესაბამებოდეს განსხვავებული მოძრაობები ან კიდევ ერთსა და იმავე მოძრაობას შეიძლება შეესაბამებოდეს განსხვავებული სიტყვები (გოფმანი 1987:84). საუბარი წარმოადგენს რეფერენცია/პასუხის მოძრაობას მონაწილეთა მხრიდან.

მომიჯნავე წყვილების ზოგადი ეპიზოდური ჩარევა, ინტერვენცია შეიძლება მოტივირებული იყოს ურთიერთობის, როგორც კომუნიკაციის სისტემის უფრო ღრმა ფუნქციონალური მოთხოვნებით (რებული 1984:78). საუბარში კითხვა მომდევნო გამონათქვამს გარკვეულ შებრკოლებას სთავაზობს. ეს შეიძლება იყოს მოტივირებული პრაგმატული თავისებურებებით ან ზოგადი სემანტიკით. ამგვარად, კითხვები არის დაუსრულებელი წინადადებები, რომლებსაც

წარუდგენენ სხვა პიროვნებას, რათა ისინი პასუხით იქნან დასრულებული. წყვილი კითხვა/პასუხი შეიძლება მიიჩნიონ, როგორც ინტერაქციული პარადიგმის მაგალითი ტექსტის კოჰერენციისა და მნიშვნელობათა კოჰეზიისათვის. კითხვები ხშირად გამოიყენება იმ ინფორმაციის გასაგებად, რომლებიც უნდა მოგვაწოდონ მიმღებებმა, ადრესატებმა. ინდივიდებს აგრეთვე შეუძლიათ თავიანთი საუბრისეული მოძრაობების **(mouvements)** ორიენტირება კითხვისაკენ, რათა აჩვენონ კარგად არჩეული მეტყველების აქტის მათეული გაგება. აუცილებელი არ არის, ეს იყოს შეკითხვის მიღება.

ამგვარად, საუბარი არის საზოაგდოების წევრთა სოციალური ქმედება, სადაც ირევა ვერბალური და არავერბალური ელემენტები. ეთნომეთოდოლოგების აზრით, იგი წარმოადგენს ინტერაქტანტთა მიერ განხორციელებულ ზეპირ დისკურსს. საუბარში ურთიერთგაგება ადამიანური ქმედებების ცენტრალური კოგნიტიური პროცესია. იგი უნდა განიხილონ, როგორც შემეცნებითი პროცესი, ურთიერთგაგება როგორც ინტერკოგნიტიური პროდუქტი. თანამოსაუბრის რეალურად გასაგებად საკმარისი არ არის მოახდინო ნათქვამის ტექსტუალური ინტერპრეტაცია. გარკვეულ სიტუაციაში საუბრის კვლევისას საჭიროა გასცდე სიტყვასიტყვით მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ საუბარი მოიცავს ზეპირ დიალოგს, დიალოგურ წყვილებსა (დიალოგური წყვილები არის გამონათქვამთა მომიჯნავე წყვილები, რომელთაც თავის მხრივ გააჩნიათ დიალოგური სახე) და სამეტყველო ჯერს (ლინგვისტური ურთიერთობებისას თითოეული ლაპარაკობს თავის ჯერზე). ეს წარმოადგენს გარკვეულ ინტერაქციას. ადამიანის ყოველდღიური სამეტყველო ქმედება არის მუდმივი დიალოგი, რადგან თვით მონოლოგიც კი დიალოგურია.

4. არგუმენტაცია კომუნიკაციაში

არგუმენტაცია მიეკუთვნება ადამიანურ ქმედებებს, რომლის მიზანია დარწმუნება. ამგვარი კომუნიკაციის მიზანია, გარკვეულ პიროვნებას, აუდიტორიას, პუბლიკას გააზიარებინოს საკუთარი აზრი. ასეთი სიტუაციები გვხვდება ყოველდღიურ, კერძო თუ პროფესიულ ცხოვრებაში. მაგალითად, მოლაპარაკება **(négociation)**; დარწმუნების აქტი არის ძირითადად ფიზიკური ძალადობის შესაძლო ალტერნატივა. ძალის გამოყენებით შეიძლება, მიიღო მეორე პიროვნებისაგან არასასურველი აქტი. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა არის ჰუმანურობისაკენ, გაზიარებული და არა თავსმოხვეული სოციალური კავშირისაკენ გადადგმული ნაბიჯი. მაგრამ დარწმუნება ყოველთვის არ

გამორიცხავს ძალადობას. პროპაგანდა, მაგალითად, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა მთელი XX ს-ის განმავლობაში ეყრდნობა შევიწროებას, იძულებას. ეს მეთოდები იყენებენ აუცილებლად გონებრივ ძალადობას, რასაც ადარებენ „ბრბოთა ძალადობას“ (აკომბრი 1983:181). ყველაფერი კი XVII საუკუნეში დაიწყო, როცა კათოლიკური ეკლესიის კარდინალებმა მოიფიქრეს ეს სიტყვა. „პროპაგანდა” კათოლიკებისათვის მისიონერთა სწავლებას ნიშნავდა, რაც მიზნად პროტესტანტებს შორის რელიგიის პოპულარიზაციას ისახავდა. თავიდანვე სიტყვამ ორმაგი დატვირთვა მიიღო. თუკი კათოლიკებისათვის ეს იყო პოზიტიური მოვლენა და ღვთის სიტყვის გავრცელებას ნიშნავდა, პროტესტანტებისათვის თავს მოხვეული აზრი იყო. ისინი მას „დემაგოგიას” უწოდებდნენ. სწორედ რელიგიურმა პროპაგანდამ შექმნა პოლიტიკური პროპაგანდის საფუძველი. მისი საუკეთესო მაგალიათია ნაცისტების და კომუნისტების სიმბოლიკა, მისალმების განსაკუთრებული ფორმა, ლიდერის კულტი, რეგულარული თავშეყრა ტრადიციული რიტუალით და, რაც მთავარია, რწმენა იმისა, რომ სამყარო უკეთესობისაკენ უნდა შეიცვალოს. რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ენას, მეტყველებას.

ფსიქოლოგიური მანიპულაცია, რომელსაც ფართოდ იყენებენ დასარწმუნებლად, არის სხვაზე განხორციელებული ძალადობა. დარწმუნების საშუალებები შეიძლება, გამოიყენონ მოკრძალებულად ისე, რომ სხვამ არც კი იცოდეს, რომ იგი ასეთი განზრახვის ობიექტია. თუმცა არსებობს დარწმუნების ბევრად უფრო რბილი საშუალებები. ხშირად გამოიყენება ცდუნება, მოსყიდვა, მოხიბლვა, რათა სხვას და ზოგჯერ მთელ ხალხს გააზიარებინო ესა თუ ის თვალსაზრისი. ნაცისტური პროპაგანდის ფუძემდებელი გებელსი თვლიდა, რომ ნებისმიერი ტყუილი ხშირად განმეორების შედეგად სიმართლედ იქცევა. ამიტომ ნაცისტები თავიანთ მთავარ შეტყობინებებს ხალხის მიმართ იმეორებდნენ.

სხვადასხვა პოლიტიკოსი განსხვავებულ საშუალებებს იყენებს ხალხთან ურთიერთობისას. ბევრი პოლიტიკოსი თავის აუდიტორიასთან კავშირის დამყარებისას იყენებს ისეთ მგრძნობიარე მხარეს, როგორიცაა ფიზიკური კონტაქტი. მაგალითად, ამომრჩევლისათვის ხელის ჩამორთმევა ხშირად სწორედ არის ერთ-ერთი ასეთი მეთოდი.

ცდუნება არის დარწმუნების ერთ-ერთი ძლიერი საშუალება. ზეპირში ისევე, როგორც წერილობით ტექსტში ხატოვანი გამოხატულებები, რომლებიც ალამაზებენ დისკურსს, მას უფრო სასიამოვნოს ხდიან მოსასმენად. ეს სწორედ ამგვარი სტრატეგიაა. სხვა საშუალებები უფრო საღ აზრზე მოქმედებს, ვიდრე

გრძნობებზე. საქმე ეხება ჩვენებას, დემონსტრაციას, რომელიც რაღაცას ამტკიცებს ან გამონათქვამს გარდაქმნის „არსებულ ფაქტად". მაგალითად, საბჭოთა პროპაგანდის მთავარი საფუძველი „საგანმანათლებლო დარწმუნება" იყო, რაც სკოლის მერხიდან მოქალაქის აღზრდას ითვალისწინებდა. ამისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პროპაგანდა მანქანის ნაწილად იქცა. ისინი ამისათვის იყენებდნენ კინოსა და თეატრს (რასაც ამერიკელები დღესაც აკეთებენ). სტალინის მიერ საკუთარი შვილის გადარჩენაზე უარის თქმას, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, ამას დიდმა ბელადმა მიხეილ ჭიაურელის ფილმით უპასუხა. გიორგი სააკაძის მაგალითზე მათ აჩვენეს, რომ როცა ქვეყანა მსხვერპლს მოითხოვს, შვილის სიცოცხლეზე მეტად მნიშვნელოვანია სამშობლო. ასეთი მაგალითები უამრავი არსებობს, რაზედაც აქ აღარ შევჩერდებით.

არსებობს დარწმუნების შემდეგი სახეები: *მანიპულაცია, პროპაგანდა, ცდუნება, არგუმენტაცია, დემონსტრაცია.*

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს *არგუმენტაცია*, როგორც კომუნიკაციის მეცნიერება. ეს დისციპლინა დაინტერესებულია შეტყობინების ფორმითა და მისი გადაცემით.

არგუმენტაცია გულისხმობს გადამცემს (მას ასევე უწოდებენ *ორატორს)*, შეტყობინებებს და მიმღებს (სხვას, პუბლიკას), რომელსაც ხშირად *აუდიტორიას* უწოდებენ.

ფილოსოფოსები და მეტყველების ლიტერატორი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ არგუმენტაცია არის რიტორიკის ნაწილი. ფილოსოფოსების მიდგომა არგუმენტაციის მიმართ ყოველთვის ბუნდოვანი იყო. რ. დეკარტე და მთელი რაციონალური ტრადიცია უარყოფითად უდგება ამ საკითხს – არგუმენტაციის მიერ ჭეშმარიტების გარკვევა და სიყალბის დამტკიცება.

კომუნიკაციურ პერსპექტივაში ინდიფერენტული არიან ამ საკითხის მიმართ, რადგან უფრო ხშირად ახდენენ აზრების, ვიდრე ჭეშმარიტების, სიმართლის ან შეცდომების არგუმენტაციას.

ლინგვისტების კვლევა ძირითადად უფრო ენას ეხება, ვიდრე კომუნიკაციას; ეს კი მოიცავს აზრების გააზრებას.

შაიმ პერელმანი არგუმენტაციას ასე განსაზღვრავს: "დისკურსის ტექნიკის კვლევა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გამოვიწვიოთ ან გავზარდოთ აზრების თეზისებთან მიმხრობა, რომლებსაც წარმოადგენენ თანხმობით". სწორედ მან

გაზარდა ინტერესი არგუმენტაციის მიმართ (ბელენჟერი 1992:91; პერელმანი 1988:14).

არგუმენტაციის მიზანია აუდიტორიაში შეთანხმების ძიება, ადამიანების ცნობიერების და პუბლიკის მანიპულაცია. უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანი კომუნიკაციას ახორციელებს, იგი იყენებს არგუმენტაციას. მას გააჩნია აზრები, რწმენა, ღირებულებები, რომლებიც სურს, გააზიარებინოს სხვას. პირველი რიტორიკა იყო არგუმენტაცია, მსჯელობა, დისკურსის წესრიგის **(ordre)** ძიება, მტკიცება იმისა, რომ ყველაფრის არგუმენტაცია შეიძლება და რომ ორატორი არის ძალაუფლების მქონე ადამიანი.

არგუმენტაციაში განასხვავებენ შემდეგ დონეებს:

– *ორატორის აზრი*, რომელიც თავისთავად განკუთვნილია იმისათვის, რომ გახდეს არგუმენტი.

– *ორატორი*, ის, ვინც ახდენს არგუმენტაციას თავისთვის ან სხვისთვის (მაგალითად, ადვოკატი თავისი კლიენტისათვის).

– *ორატორის მიერ დაცული არგუმენტი*: საქმე ეხება აზრს, რომელიც დასარწმუნებლად გამოიყენება. არგუმენტი შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი, პირდაპირი ან ირიბი (მაგალითად, რადიო ან ტელევიზია).

–*აუდიტორია*, რომლის დარწმუნება სურს ორატორს, რათა ის მიემხროს მის მიერ შეთავაზებულ აზრს. შეიძლება საქმე ეხებოდეს ერთ პიროვნებას, პუბლიკას, მთელ პუბლიკას ან თვითონ ორატორს, რომელსაც სურს თვითდარწმუნება.

– *მიღების კონტექსტი* – აზრთა, ღირებულებათა ერთობლიობა, რომელსაც იზიარებს მოცემული აუდიტორია (ბრეტონი 1996:19).

ამ სქემაში მნიშვნელოვანია აზრის ჩართვა მისაღებ კონტექსტში **(contexte de réception)** – ორატორი, არგუმენტი და აუდიტორია – ისინი არიან შეტყობინების გადაცემის პროცესის შუამავლები. არ არსებობს აზრი ორატორის გარეშე. თუმცა უნდა განვასხვავოთ ის, რასაც ფიქრობენ და ის, რასაც ამბობენ, **აზრი** და **არგუმენტი**. არგუმენტაციისათვის უნდა ავარჩიოთ აზრში ძირითადი ასპექტები, რაც მას მისაღებს გახდის მოცემული პუბლიკისათვის. გამოიყოფა არგუმენტაციული კომუნიკაციის შემდეგი სქემა:



ასევე არგუმენტაცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ის აქტი, რომელიც მიზნად ისახავს მიღების კონტექსტის **(contexte de réception)** ანუ აუდიტორიის აზრების მოდიფიკაციას.

არგუმენტაციის მიზანია არა ინფორმაციის, არამედ აზრის გადაცემა. რა არის აზრი? ეს არის თვალსაზრისი, რომელიც უპირისპირდება სხვებს. ინფორმაცია არის შეხედულება რეალობაზე. არგუმენტაცია არის ყოველდღიური მოვლენა; ამგვარად, იგი მნიშვნელოვანია სოციალურ ურთიერთობებში (ბრეტონი 1996:221).

ადამიანთა ცნობიერების მანიპულაციისას მთავარია დაარწმუნო ისინი, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, რომ მათ გააჩნიათ არჩევანი.

დღეს გამოთქვამენ იმ აზრს, რომ ყველაფერი ენაში არის არგუმენტი. უფრო მეტი სიცხადისათვის ამ ტერმინით განასხვავებენ განსაზღვრების ორ დონეს, რომელიც ჩვეულებისამებრ ერთმანეთში ირევა: არგუმენტაციის შინაარსის დონე, თვით აზრების დონე და ამ აზრის შემადგენლის **(contenant)** დონე. ამგვარად, ლაპარაკია თითქმის ლოგიკურ არგუმენტზე ან *"argumento ad hominem"* ან *"არგუმენტზე მაგალითით"*. ეს არის სპეციფიკური ფორმები. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ მაგალითი: როცა მხარს უჭერენ კანაფის მოხმარების ლიბერალიზაციას და ეყრდნობიან იმ ქვეყნის მაგალითს (ჰოლანდია), სადაც ამან გაამართლა, აქ იყენებენ *არგუმენტს მაგალითით*. ასევე შეიძლებოდა *ავტორიტეტის არგუმენტი* გამოეყენებინათ და ეთქვათ, რომ მედიცინის პროფესორი თანახმაა ლიბერალიზაციაზე. აქ საქმე ეხება ერთსა და იმავე მაგალითს, თეზისს - კანაფის მოხმარების ლიბერალიზაციის საჭიროებას, მაგრამ აზრის გასაზიარებლად გამოყენებული ფორმები განსხვავდება.

მაგრამ ჩნდება კითხვა, რატომ იღებს თანამოსაუბრე, მსმენელი, პუბლიკა რეალობის იმ ვერსიას, რომელსაც სთავაზობენ? რეზონანსი, ცნობისმოყვარეობა, ინტერესი - სწორედ ეს ფაქტორები მიგვაღებინებს მას.

ამგვარად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ არგუმენტაციის მიზანია დარწმუნება. ეს არის გარკვეული ფსიქოლოგიური მანიპულაცია. არგუმენტაცია შეიცავს ორატორს, შეტყობინებებს და აუდიტორიას. ადამიანი არგუმენტაციისას ცდილობს ცნობიერებათა და პუბლიკის მანიპულაციას და ამისათვის იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა სახეებს, კერძოდ კვლევაში გამოვყავით არგუმენტაცია მაგალითით და ავტორიტეტის არგუმენტაცია. ამრიგად, ორატორი იყენებს არგუმენტაციას, როცა გააჩნია აზრები, რომლებიც უნდა, სხვას გააზიარებინოს და ამით ცდილობს ძალაუფლების მოპოვებას.

5. დისკურსთა ტიპოლოგია

პოლიტიკა შეადგენს არგუმენტაციის უპირატეს საგანს. აქედან გამომდინარე უნდა შევეხოთ პოლიტიკურ დისკურსსა და არგუმენტაციას, მაგრამ სანამ ამ საკითხს განვიხილავთ, უნდა გამოვყოთ დისკურსთა სხვადასხვა ტიპები. რიტორიკული ფუნქციის მქონე დისკურსები - დიალოგი, არგუმენტაცია, აღწერა - ხასიათდებიან ფორმალური ნიშნებით; თხრობა - დროისეული და ნაცვალსახელთა სისტემით. მაგრამ საყურადღებოა, რომ ეს ნიშნები არასოდეს არ არის საკმარისი დისკურსის ერთი ტიპის გამოსაყოფად. ა. დიუბუა "დიდაქტიკურ დისკურსს" მიიჩნევს კოგნიტიური ქმედების პროდუქტად, როგორც ბაზისური ინვარიანტი (დიუბუა 1969:37); იგი ხასიათდება გამოთქმის პრობლემათა არ არსებობით, ფრაზა გადმოიცემა ისე თითქოს არ არსებობს სპეციფიკური გამოთქმის სუბიექტი. *დიდაქტიკური დისკურსი* ასევე ძალზე ახლოს არის კომპეტენციის გრამატიკულ აღწერასთან: იგი აღწერს დისკურსის ტიპს, რომლის გამოთქმის სუბიექტი არ არსებობს. ეს დიდაქტიკური დისკურსი არის ინვარიანტი, რომლის მიმართაც უნდა ჩამოაყალიბონ განსხვავებული წესები. ისინი საშუალებას მოგვცემენ მის ირგვლივ წამოვჭრათ სხვადასხვა დისკუსიები.

დიდაქტიკური დისკურსის საპირისპიროდ *პოლემიკური დისკურსი* აყალიბებს საპირისპირო თეზისს (გიომუ 1989:43; მოშლერი 1981:54). როცა თანამოსაუბრეს შეუძლია, მოიტანოს ისეთი ინფორმაცია, რომელსაც მოლაპარაკე პირი მიიღებს ან უარყოფს, დისკურსი არის პოლემიკური. უნდა ითქვას, რომ *პოლიტიკური დისკურსი* პოლემიკურ საფუძველს შეიცავს. ადრესატი არის ან მოწინააღმდეგე ან ემსახურება მოლაპარაკე პირს მოწინააღმდეგის უკუგდებაში.

კონფლიქტური დისკურსი მიზნად ისახავს თავისი მოწინააღმდეგის დისკურსის გათელვასა და მანიპულირებას. ამ უკანასკნელის გადაგდებას იმ (სოციალური და პოლტიკური) ადგილიდან, რომელიც მას ეკუთვნის. ეს არის კონტრ-დისკურსი, რომელიც უპირისპირდება სხვა დისკურსს და რომლის ავტორი მიზნად ისახავს სამ ამოცანას: მოიგერიოს თავისი მოწინააღმდეგის იდეები, თეზისები; გაამარჯვებინოს საკუთარ იდეებს; გააზიარებინოს ისინი მოწმე პუბლიკას, მიზანში ამოღებულ პუბლიკას და მათ, ვინც მონაწილეობს კონფლიქტში (მაგალითად: ამომრჩევლები). ეს მანიპულაციური დისკურსი უკუაგდებს საწინააღმდეგო დისკურსს, ახდენს მის დისკვალიფიკაციას, დესტუქტურიზაციას, ეყრდნობა უარყოფასა და პიროვნულ შეტაკებას შორის მუდმივ მიმოსვლას. საქმე ეხება მოწინააღმდეგისა და მისი დისკურსის დისკვალიფიკაციას; ცდილობს მოწინააღმდეგე ცუდ მდგომარეობაში ჩააყენოს. ლინგვისტურ და დისკურსულ დონეზე კონფლიქტური დისკურსი წარმოადგენს ზოგიერთ განსაკუთრებულ მახასიათებელს. ზოგიერთი ელემენტი უშუალოდ აღნიშნავს, რომ ამ ტიპის დისკურსის ავტორი უპირისპირდება სხვა დისკურსს: ლექსიკის სალანძღავი და გაუფასურებული ტერმინები, დეკლარაციული და მსჯელობის ზმნები, უარყოფის გამომხატველი სხვადასხვა ფორმები, ინტონაცია, წერილობით ტექსტში გრაფიკული ნიშნები.

რაც შეეხება პოლიტიკურ დისკურსს, მას უფრო ვცრლად განვიხილავთ მომდევნო თავში.

6. პოლიტიკური დისკურსი

თანამედროვე საზოგადოებას ხშირად ახასიათებენ, როგორც „ინფორმაციის საზოგადოებას“. თუმცა სხვადასხვა საშუალებით – კლასიკური მედია, მულტიმედია, ინტერნეტი და ა.შ. - მრავალი ინფორმაციის პერმანენტული ცირკულაციის მიუხედავად, ჩვენ ვიმყოფებით „კომუნიკაციის საზოგადოებაში“.

ამრიგად, სწორედ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ინდივიდუალური და კოლექტიური (საზოგადოება) ინტერესების შესაყარს. იგი მოიცავს დარწმუნებასა და ორიენტირებულ მოქმედებას და დაინტერესებულია ისეთი საკითხებით, როგორიცაა ტრადიციული რიტორიკა, თანამედროვე დისკურსისა და კომუნიკაციის თეორიები. პოლიტიკური დისკურსის მიზანია კონფლიქტები და ზოგჯერ სასტიკი ინფორმაცია. ვერბალური შეურაცხყოფის ფორმებია – შეტაკება, ბრალდება, ვერაგობა. ძალადობა არა მხოლოდ განზრახვაში შეიმჩნევა, არამედ იგი თვით დისკურსშიც არსებობს. პოლიტიკური დისკურსი

არის ძალადობისა და ურთიერთობების დარეგულირება. მაგალითად, დარწმუნებითა და დაყოლიებით. ეს უკანასკნელები არგუმენტაციულ მიზანს წარმოადგენენ.

პოლიტიკური დისკურსი ძირითადად გადაიცემა მედიის საშუალებით. თითოეულ მედიას გააჩნია სპეციფიკური პოტენციალი, რომელიც წარიმართება ტექნიკური, სემიოტიკური, კომუნიკაციური საშუალებებით. ამგვარად, სატელევიზიო რიტორიკას გააჩნია ესთეტიკური ხასიათი. ტელევიზიაში მხოლოდ იდეებია განხორციელებული – პოლიტიკოსთა სახე, მათი ჟესტები, ჩაცმულობა არგუმენტის რანგშია მოქცეული ისევე, როგორც მათი პროგრამა.

პოლიტიკურ არგუმენტაციას განსაზღვრავს გადაწყვეტილება და წარმოდგენა. სუბიექტმა, ვისკენაც მიმართულია არგუმენტაცია, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, გააკეთოს არჩევანი. ამ მნიშვნელობით პოლიტიკური არგუმენტაცია არის კომუნიკაციის ფორმა, ანუ კომუნიკაცია, რომელიც ექსპლიციტურად აღნიშნული ადრესატისაკენ მიემართება.

პოლიტიკური დისკურსი, კ. ბეილონის აზრით, არის ის, რომელსაც წარმოთქვამს პოლიტიკოსი პოლიტიკური მიზნით – შეტყობინების გადაცემა ძირითადად მაღალი თანამდებობის მქონე გადამცემიდან და რომელიც მიემართება ძირითადი მიმღებისაკენ – ხალხისაკენ (ბეილონი 2002:248). ურთიერთობა გადამცემსა და მიმღებს შორის წამოიწევს პირველ ადგილზე. შექცევადი და თავისუფალი დისკურსი განსაზღვრავს დემოკრატიულ სტილს; შეუქცევადი და საიდუმლო – დესპოტურ სტილს; პ. ბურდიესათვის პოლიტიკური კომუნიკაციის მარშრუტი შემოფარგლულია დომინანტური კლასის კოდით და როგორიც არ უნდა იყოს შექცევადობის ხარისხი, კოდი მოიცავს შეტყობინებას და შინაარსს (ბურდიე 1984:235). შეტყობინებას აქ ეფექტურობას ანიჭებს ახალი სიტყვების შემოტანა, მეტ-ნაკლებად მდიდარ სემათა თანავარსკვლავედი, მრავალსიტყვაობის ეფექტები და სიმბოლური ხატები. იგი შეტყობინების ლინგვისტურ შინაარსს მოცემული საზოგადოების – დომინანტური და მმართველი კლასები – გადამცემ ძალებს უკავშირებს. დისკურსი არის მასში მონაწილეთა შორის ურთიერთობა, არა მხოლოდ შინაარსით, არამედ პრაგმატული მოსაზრებით; ეს დისკურსები გამოკვლეულია შეტყობინების ფუნქციონირების, მეორე პირისაკენ ორიენტაციის და ადრესატზე მოქმედების გამო. კვლევა ოპერირებს სამ საკითხზე: ვინ ვის ელაპარაკება? რაზე ელაპარაკება? როგორ ელაპარაკება? მნიშვნელოვანია, შევიცნოთ მოლაპარაკისა და ადრესატის როლი, სახე ტექსტში; ასევე შეტყობინების პარტნიორთა

ურთიერთობა და შეტყობინების შინაარსთან მათი მიმართება. დისკურსის გაანალიზება ნიშნავს სიტუაციური კონტექსტისა და მოლაპარაკე სუბიექტის შესწავლას; მაშასადამე, ეს ნიშნავს ჩაწვდე მისი წარმოქმნის პირობებს **(conditions de production)**, აზრსა და მნიშვნელობას. დისკურსი არის სიტუაციური ქცევა: გარკვეულწილად მოლაპარაკე და მსმენელი განისაზღვრებიან, როგორც სოციალური პროდუქტები **(produits)**, რომლებიც იყენებენ სოციალურ ინსტრუმენტებს, მაგრამ ალოკუციის **(allocution)** მიზნები სოციო-ისტორიულია. ინდივიდის როლი განისაზღვრება მისი პოზიციით საზოგადოებაში (ბურდიე 1996:16; დემიანკოვი 2005:3-4; დრიძე 1984:14; მაკაროვი 2003:123; ბადალონი 1984:13).

აღსანიშნავია, პოლიტიკური დისკურსის *„ლექსიკური მიდგომით“* გაანალიზება. საყურადღებოა ბანალური ჰიპოთეზა, რომ არსებობს უშუალო კავშირი პოლიტიკურ კუთვნილებასა და ლექსიკონს შორის; იგი ეფუძნება *„item formel“* (გრაფიკული სიტყვა) და აღმნიშვნელ-აღსანიშნის ურთიერთობის ორმაგი ერთმნიშვნელიანობის ცნებას. ამის გამო არსებობს ერთი და იგივე შინაარსი ყოველთვის, როცა ტექსტში ერთი და იგივე ნიშანი გამოჩნდება. ტექსტის ლექსიკონის ასეთივე კვლევა მოუხმობს ლექსიკური სემანტიკის ცნებებს. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ტერმინი არის არსებითად *„un mot en caoutchouc“* (ბეილონი 2002:250), როგორც ამას აცხადებს კრისტიან ბეილონი. ეს არის სიტყვა, რომელიც ყველანაირად გამოიყენება, რომლის მანიპულაციასაც ახდენენ დისკურსის თითოეული სტრატეგიის მიხედვით. ამგვარად, სიტყვა „დემოკრატია“ შეიძლება ვნახოთ ისეთ ღირებულებებს შორის, როგორიცაა მისი ზედსართავები „ლიბერალური“ და „სახალხო, პოპულარული“.

„სინტაქსური მიდგომა“ დაინტერესებულია იმ კონსტრუქციებით, რომლებშიც ერთეულები ერთმანეთს ეთანხმებიან. ისინი განსაზღვრავენ იმ მნიშვნელობას, რომელსაც იღებენ ეს ერთეულები. მნიშვნელოვანია „ტექსტუალური კოჰერენცია“, ერთადერთი და კომპლექსური სტრუქტურა, რომლის აღმოჩენა შეიძლება სეგმენტაციითა და კლასიფიკაციით **(classement)**. პრაქტიკაში ეს ანალიზი ხან ერთი ხან რამდენიმე ინვარიანტის მნიშვნელობას გამოააშკარავებს მათი პარადიგმატულ და სინტაგმატურ ქსელში ჩაწერით; ხან კი შექმნის ბაზისურ ფრაზათა სისტემაში მოყვანილ ერთობლიობას. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს არა იმ ვარიანტთა სემანტიკური ფუნქციის ჩვენებას, არამედ დისკურსის გამონათქვამთა შეზღუდული სახის, მოდელის შექმნას ზოგიერთი ფორმალური მანიპულაციის დახმარებით.

ყოველი პოლიტიკური დისკურსი არის მაცდუნებელი არგუმენტაცია, რაც წარმოადგენს კონოტაციურ რითმებს, ფორმალურ მოწესრიგებას **(agencement formel)**, მნიშვნელობის, აზრის ან ემოციის წარმოქმნას. პოლიტიკაში არასოდეს არ არსებობს ნეიტრალური ***„phatisme“***. გამოთქმა **(énonciation)** არის მეორე პირის სიტყვების მისაკუთრება. სუბიექტი მოძალადე კი არ არის, არამედ მას აქვს ძალაუფლების სურვილი. იგი ისე იყენებს ენას, როგორც მას ეს სჭირდება მოცემულ სიტუაციაში. პოლიტიკოსი, გიუსტავ ლე ბონის აზრით, პოლიტიკოსი თავის დისკურსს წარმართავს სამი სტადიის მეშვეობით. ეს არის მტკიცება, გამეორება და გავრცელება (ლე ბონი 1986:113). ხშირ შემთხვევაში მტკიცება ძლიერდება სხვადასხვა სიმბოლოებით, ჟესტებით და ე.წ. მაგიური სიტყვებით, როგორიცაა დემოკრატია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, გამარჯვება (რაზედაც ვილაპარაკებთ მესამე თავში, როცა განვიხილავთ საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის დისკურსს). მაგალითად, საფრანგეთის პირველი კულტურის მინისტრი ანდრე მალრო შარლ დე გოლის არჩევნების წინ ყველა გამოსვლას ასე იწყებდა: *„გოლისტებო და სხვანნო“.* იმისათვის, რომ მტკიცება ეფექტური იყოს, საჭიროა მისი ხშირი გამეორება. სერჟ მოსკოვიცი ამტკიცებდა, რომ სლოგანის ხშირი გამეორება ერთგვარ გონებრივ ბარიერს უქმნის საწინააღმდეგო იდეებს. ამის შემდეგ მტკიცება, რომელიც ეკუთვნის ამა თუ იმ ლიდერს, უნდა გავრცელდეს (მოსკოვიცი 1981:89).

ჟ.ლ.შისი თვლის, რომ „საქმე არ ეხება ამა თუ იმ სუბიექტის მიერ წარმოქმნილი კორპუსის განხილვას. აქ მისი გამონათქვამი არის გარკვეული სოციო-ისტორიული „პოზიციის“ შეფარდება, კორელატი. ამისთვის შეიძლება ჩაენაცვლონ სხვა გამომთქმელი პირები“ (შისი 1999:75).

საზოგადოება მოიაზრება, როგორც ბაზისური ცოკოლი და სიტყვები გადმოსცემენ ამ უკვე შექმნილ რეალობას. დისკურსი არ არის დოქტრინათა ან იდეოლოგიათა საყრდენი, სადაც სხვაგან განხორციელებული შემუშავებული შინაარსი გადმოიცემა. ამგვარად *„პრაგმატული მიდგომა“* ვარაუდობს, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს თვალსაზრისს; ეს არის უფრო დაბრკოლებათა ქსელი. იგი აწესრიგებს სპეციფიკურ საქმიანობას. გამოთქმა წარმოადგენს ინსტრუმენტს და მნიშვნელობისა და სუბიექტთა შექმნაში მიმღებ მხარეს, რომელიც მასში ამოიცნობა.

მოცემულ ეპოქაში პოლიტიკური დისკურსი განსაზღვრავს მოცემულ სოციალურ, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ ან ლინგვისტურ არეალს. ეს არის ჯგუფი ან ჯგუფთა ქსელი, რომელთა შიგნითაც წარმოიქმნება, იმართება

დისკურსული წყობიდან გამომდინარე ტექსტები. პოლიტიკური დისკურსისათვის, მაგალითად, პოლიტიკური პარტიები (და არა მოქალაქეები, რომლებიც სოციო-ეკონომიკურ აღრიცხვაზე არიან) ყველა ინდივიდი, რომელიც შორიდან თუ ახლოდან კავშირშია დისკურსთან, ერთსა და იმავე დონეზე არ არის ჩართული ამა თუ იმ დისკურსულ საზოგადოებაში **(communautés discursives)**. ეს უკანასკნელები უეჭველად წარმოადგენენ მისი წყობილების, დაფუძნებისა და ფუნქციონირების მთავარ პრობლემას. პოლიტიკური დისკურსის ანალიზის აქტუალური ტენდენციაა ეჭვები და დაპირისპირებები. პოლიტიკური დისკურსის ანალიზი დისკურსის სიტყვებს იმეორებს. ერთი მხრივ, იგი იკვლევს ზოგიერთ „mots-outils“, რომლებიც ფიგურირებენ განსაზღვრული ტექსტის წარმოქმნისას, გააჩნიათ არგუმენტაციული ფუნქცია და/ან ემსახურებიან გამონმათქვამთა სისტემაში მოყვანას. ეს *„mots-outils“* **(or, d'ailleurs, car, mais…)** არგუმენტაციული კავშირებია. მათ გააჩნიათ სტაბილური პრაგმატული ღირებულება, მაგრამ დისკურსის ანალიზი დაინტერესებულია ამით მაშინ, როცა ისინი ჩაიწერებიან განსაკუთრებულ ტექსტუალურ სტრატეგიებში; სხვა მხრივ, იგი ახორციელებს ანალიზს, რომელიც გულისხმობს გამონათქვამთა მოხაზვას **(délinéarisation)**, რომლებიც ალგორითმის საშუალებით ქმნიან ტერმინებს შორის ურთიერთობათა ქსელებს. პოლიტიკურ დისკურსში ყველა სიტყვა ერთმანეთის კომპრომეტირებას ახდენს.

პოლიტიკური დისკურსი ეხება ინდივიდს არა მარტო როგორც პიროვნებას, არამედ, როგორც საზოგადოების წევრს. პარალელურად ეს დისკურსი ერთი მხრივ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოქმნის, მაგალითად, პოლიტიკაში შეიძლება წამოიჭრას ინფორმაციისა და კომუნიკაციის ბუნდოვანება, რაც შეიძლება საზარალო იყოს.

კომუნიკაცია და პოლიტიკა ერთმანეთისაგან განუყოფელი ტერმინებია. საზოგადოების ნაწილის აზრით, პოლიტიკური კომუნიკაცია მხოლოდ შელამაზებული სახელწოდებაა და ის ადამიანებთან ურთიერთობას/კომუნიკაციას კი არა, არამედ მათ მართვას გულისხმობს. ისინი აცხადებენ, რომ სადავოა, სად მთავრდება პროპაგანდა და სად იწყება კომუნიკაცია, რადგან დღეს კომუნიკაცია ყველა იმ აპრობირებულ და გამოცდილ ტექნიკას აერთიანებს, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენეს და რომელიც მასების დარწმუნების თვალსაზრისით წარმატებული აღმოჩნდა.

საზოგადოებაში ცხოვრება, რომელიც ადამიანისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ძირითადი ატრიბუტია, აუცილებლად გულისხმობს კომუნიკაციას

საზოგადოების წევრებსა და მოქალაქეებს შორის – მმართველების კომუნიკაცია მართულებთან, მაგრამ აგრეთვე მოქალაქეებისა და მათ მმართველებთან.

ამ კვლევაში უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ მმართველების კომუნიკაციასა და პოლიტიკურ დისკურსს. ამ პოლიტიკურ კომუნიკაციაში წარმოიჭრება სამი ელემენტი, რომელიც წამოაყენა გი დიურანდენმა (ადამი 1997:37). გამოიყოფა *რეკლამა*, რომელიც დამახასიათებელია პოლიტიკური დისკურსისათვის და რომლის მიზანია, საჭირო გახადოს მისი ავტორის აზრები და წინადადებები. პოლიტიკური რეკლამა შეიძლება იყოს პირდაპირი – აფიშები და ბროშურები საარჩევნო კამპანიის დროს და ირიბი – შუამავლის მეშვეობით, მაგალითად, მედია, რომელიც შეტყობინებას გადასცემს. შემდეგ *პროპაგანდა*, რომელიც პოლიტიკური კომუნიკაციის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. პროპაგანდა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ტექნიკათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია განახორციელოს ზეგავლენა იმათზე, ვისკენაც მიმართულია. თუმცა პროპაგანდა ყოველთვის ნეგატიურად არ უნდა გავიგოთ. საქმე ეხება მეთოდს, რომელსაც ასე თუ ისე წარმატებით და მახვილგონიერებით იყენებს ყველა პოლიტიკოსი. პოლიტიკური პროპაგანდა არის დაუფარავი და ღია. მასში წყაროს ამოცნობა ადვილია. ასეთი პროპაგანდის საუკეთესო მაგალითებია პოლიტიკური მოხსენებები, სამხედრო სამსახურში ჩაბმისა და არჩევნებში მიღების მოწოდებები. და ბოლოს *საჯარო ურთიერთობები* **(relations publiques)**. **„PR“** არის არა მხოლოდ წარმატების გასაღები პოლიტიკაში, არამედ ასევე კომუნიკაციის ფორმა: აქ საქმე ეხება იმას, რომ ყველა პოლიტიკოსი საკუთარ თავს წარმოადგენს საუკეთესო მხრიდან და მოიზიდავს რაც შეიძლება მეტ მხარდამჭერს და მოიპოვებს მათ სიმპათიას.

ჩვეულებრივ განასხვავებენ სამი ტიპის პოლიტიკურ კომუნიკაციას: *პროპაგანდული, დიალოგური და მარკეტინგული.*

1) *პროპაგანდული* დიდხანს დომინირებდა და იგი იყენებს ყველა საშუალებას, რათა დაარწმუნოს ხალხი. მოუხმობს არა მარტო თითოეულის საღ აზრსა და ჭკუას, არამედ წინასწარ შექმნილ აზრებს და ხალხის ვნებასა და ფეთქებადობას.

2) *დიალოგური კომუნიკაცია* არის პოლიტიკური დისკურსის იდეალური ფორმა – სახმე ეხება რეალური დებატების წამოწყებას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას. იგი ძალზე იშვიათია, რადგან პოლიტიკური ლიდერები უარს აცხადებენ გამართონ დისკუსია პირველ შემხვედრთან. ამის პირველწყაროა ის,

რომ პოლიტიკოსები დროის არქონისა და უხვი პრობლემების გამო, მედიას ანიჭებენ დღეს უპირატესობას.

3) *მარკეტინგული კომუნიკაცია* – სწორედ მედიის როლს შევყავართ ჩვენ პოლიტიკური კომუნიკაციის დომინანტურ ფორმამდე – მარკეტინგული. მას უწოდებენ ახალ პოლიტიკურ კომუნიკაციას; მმართველები მოქალაქეებთან ურთიერთობაში უპირატესობას ანიჭებენ სურათს, ვიდრე ტექსტს, ფორმას, ვიდრე შინაარსს. უნდა ვაღიაროთ, რომ მარკეტინგული კომუნიკაციის მრჩევლები მოდიან სარეკლამო სააგენტოებიდან.

ამგვარად, პოლიტიკური კომუნიკაცია ფუნქციონირებს, როგორც მეტყველებისა და მიზანსცენის რთული ხელოვნება. პოლიტიკური დისკურსი გულისხმობს შეტყობინების გადაცემას მაღალი თანამდებობის მქონე გადამცემიდან და რომელიც განკუთვნილია ძირითადი მიმღების – ხალხისათვის. აქ გადამცემსა და მიმღებს შორის ურთიერთობა პირველ პლანზე წამოიწევს. პოლიტიკურ კომუნიკაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს განსაკუთრებული ლექსიკონი. პოლიტიკური ტერმინი ყველანაირად გამოიყენება, მისი მანიპულაციაც კი შეიძლება. პოლიტიკურ კომუნიკაციაში ფართოდ გამოიყენება არგუმენტაცია, რადგანაც პოლიტიკოსები ძირითადად არგუმენტირებულად ახდენენ საკუთარი მოსაზრებების დაცვას, რათა უფრო დამაჯერებელი იყოს მათი გამოსვლა. ისინი ამისათვის მიმართავენ მედიას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკოსთა ცხოვრებაში.

7. მედია – დისკურსი და ინფორმაციის საზოგადოება

რაკი ჩვენი საზოგადოება არის ინფორმაციის საზოგადოება, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, და თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციის გადაცემის უპირატესი საშუალებაა მედია, აქედან გამომდინარე, უნდა შევეხოთ მედია-დისკურსს და განვიხილოთ იგი მოკლედ.

იმის გამო, რომ ჩვენ სიტყვა „ინფორმაცია“ განვიხილეთ ზემოთ, აქ აღარ შევჩერდებით მასზე, არამედ ვილაპარაკებთ მედია-დისკურსზე.

პოლიტიკური კომუნიკაციისას პოლიტიკოსები ცდილობენ, გამოჩნდნენ კარგი მხრიდან, ილაპარაკონ ისე, რომ მათ მოუსმინონ და გაიგონ მათი შეტყობინება კარგი კუთხით, მოახდინონ მსმენელთა დარწმუნება. ამას ისინი ახორციელებენ მედიის დახმარებით – ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გეზეთები. დღეს პოლიტიკური დისკურსი ემორჩილება მედია-კანონებს. ეს უკანასკნელები

ხასიათდებიან დამატებითი ფენომენებით, როგორიცაა დეზინფორმაცია და ზეინფორმაცია.

დეზინფორმაცია, გი დიურანდენის (ადამი 1997:23) აზრით, წარმოადგენს „ორგანიზებული ტყუილების ერთობლიობას იმ ეპოქაში, სადაც ინფორმაციის საშუალებები ძლიერ განვითარებულია“. ამ განსაზღვრებას ასრულებს როლან ჟაკაო (ბალი 1999:49): „ტექნიკათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის მანიპულაციისათვის უნარჩუნებს რა მას განსაკუთრებულ ხასიათს, ისე, რომ ზეგავლენას ახდენს სხვათა აზრებზე და რეაქციებზე“. ამას მივყავართ პროპაგანდამდე, რომელიც დეზინფორმაციის ერთ-ერთი მეთოდია და ფართოდ გამოიყენება პოლიტიკაში (ბურდიე 1996:45; გაიარი 1971:7).

უფრო მეტად მატყუარა ფორმა გააჩნია *ზეინფორმაციას.* პოლიტიკოსები მას სულც არ გაურბიან, არამედ იყენებენ კიდევაც. ეს არის წყაროების ვიზუალური, წერილობითი ან ხმოვანი ინფორმაციის გადაჭარბებულობის შედეგი. ობიექტთა, მოვლენათა ჭეშმარიტი გაგების გარდა, იგი მოიცავს ბუნდოვანებას, ეჭვს, ინდიფერენტულობას. პარალელურად ინფორმაციის (დეზინფორმაციის) განმეორება ზრდის სირთულეს, მოუქნელობას ყველა მედია საყრდენზე. ამგვარად, მედია ახდენს ავტოსტიმულაციას, ზრდის ფასს და ზეინფორმაცია წალეკავს მათ თავბრუდამხვევი, დამათრობელი სპირალის სახით. ამგვარად, ყოველდღიური ახალი ამბების გავლენით მნიშვნელოვანი ფაქტები შეიძლება მოგვეჩვენოს უფერულად, უმნიშვნელოდ იმიტომ, რომ არ ვიცით კონტექსტი და აუცილებლობის შემთხვევაში არ ვიხევთ უკან, რადგან წამიერი ლოგიკა ამის საშუალებას არ გვაძლევს (ალბერი 1968:21).

ნ.ლადარიას აზრით, „მედია-დისკურსში შეტყობინების შინაარსი, მისი გადაცემის სემიოტიკური არხი და საბოლოო საზრისი ცალსახად არის დაკავშირებული ერთმანეთთან” (ლადარია 2000:82) და ამას იგი უწოდებს დაბალი დონის გამოსავალს (low-level output). სწორედ ასეთია პოლიტიკოსის დისკურსი.

ჩვენი აზრით, ისევე, როგორც ნებისმიერი მოქალაქე, პოლიტიკოსი არ იცნობს საზოგადოების ყველა მიზანსა და პრობლემას მაშინაც კი, თუკი ზედმეტად არის ინფორმირებული. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მედია მხოლოდ განსაზღვრულ და წინასწარ შერჩეულ საგნებზე აწვდის ზედმეტ ინფორმაციას საზოგადოებას. ამ მხრივ პოლიტიკოსები იმყოფებიან უფრო ხელსაყრელ პირობებში, რადგან მათ ხელი მიუწვდებათ „რეზერვირებულ“ ინფორმაციაზე მასისაგან განსხვავებით (ბურდიე 1982:253). თუმცა, როგორც

ამბობენ, ინფორმაციის – გეგმები, პროგრამები, ნაშრომები – უმეტესობა თავისუფალია იმათთვის, ვისაც მისი მიღება სურს. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ზოგიერთი ინფორმაცია, საჭიროა სიმტკიცე, ხელისუფლებასთან კავშირი. მედია უფრო გვაწვდის არა უბრალოდ ინფორმაციას, არამედ აღაიარებულ აზრს.

შესაძლებელია თუ არა განვიხილოთ მედია, როგორც პოლიტიკური ზეგავლენის იარაღი? ერთი შეხედვით ამ საკითხზე პასუხი ცალსახაა, თუმცა დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბდა რამოდენიმე განსხვავებული შეხედულება, რომელთა განხილვას შევეცდებით ამ სტატიაში.

ძველ დროში, ტელევიზიის, რადიოსა და პრესის გარეშეც კი ახერხებდნენ დიდი ბელადები, ლიდერები და ქვეყნის მმართველები პოლიტიკურ ზემოქმედებას ხალხზე. მათ ამისათვის არ სჭირდებოდათ შუამავალი. *ალექსანდრე მაკედონელი* თავისი ძლიერი ხასიათითა და დამპყრობლური სულისკვეთებით ჯარისკაცებს მოუწოდებდა ბრძოლისაკენ და ისინიც ემორჩილებოდნენ თავიანთ ბელადს. თუმცა ეს მორჩილება ძალადობასა და შიშზე იყო დამყარებული. ასევე ამის მაგალითია *ოლივერ კრომველი,* რომელმაც ინგლისის არმიაში დიქტატურის წყალობით დაამყარა წესრიგი. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ წარსულში ზეგავლენის მოხდენა ძალადობის მეშვეობით ხორციელდებოდა. ისეთი ბელადები, როგორებიც იყვნენ ლენინი, ტროცკი, მარქსი საზოგადოებაში ატარებდნენ საკუთარ აზრებს პროპაგანდის საშუალებით. ამის მიღწევა შესაძლებელი იყო ძლიერი *ორატორული ნიჭის, ადამიანების ემოციებზე და განწყობებზე თამაშის, შთაგონების* მეშვეობით. ყველა ამ შემთხვევაში საქმე ეხება ძირითადად საჯარო გამოსვლებს.

XXI საუკუნეში ძალადობა აღარ არის ადამიანთა დარწმუნების უპირატესი საშუალება. აშშ ყოფილმა პრეზიდენტმა *რიჩარდ ნიქსონმა* ერთხელ ეროვნეული უსაფრთხოების საბჭოში გამოსვლისას განაცხადა, რომ „ინფორმაციასა და პროპაგანდაში ჩადებული ერთი დოლარი უფრო ღირებულია, ვიდრე 10 დოლარი - იარაღის წარმოებაში, რადგანაც ეს უკანასკნელი შეიძლება საერთოდ არ იქნას გამოყენებული, ხოლო ინფორმაცია კი მუშაობს 24 საათის განმავლობაში ყველგან'' (ვიკიპედია: 2006 წლის 13 თებერვალი).

როგორც უკვე ითქვა, დღეს ინფორმაციას გადასცემენ ძირითადად მასმედიის საშუალებით. მეცნიერების (*კ.ბეილონი, ლ.ბელენჟერი, პ.შაროდო, ბ.ლამიზე, რ.ჟ.შვარცენბერგი*) აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი. მედიის საშუალებით ხორციელდება

პოლიტიკური კომუნიკაცია. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის „ხიდი” ხალხსა და ხელისუფლებას შორის. პოლიტიკოსები საკუთარი თავის რეალიზაციას ტელევიზიისა და რადიოს საშუალებებით ახდენენ დებატებისა და დისკუსიების სახით. მათ სურთ თავიანთი შეტყობინებით ზეგავლენა მოახდინონ მსმენელებზე. აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსებისათვის მედია ზეგავლენის მოხდენის ერთადერთი საშუალებაა. ინგლისელი მკვლევარები ანტონი პრატკანისი და ელიოტ არონსონი აცხადებენ, რომ „ყოველთვის, როდესაც ტელევიზორს ან რადიოს ვრთავთ ... ან ჟურნალ-გაზეთებს ვკითხულობთ, ვიღაც ცდილობს ჩვენს აღზრდას, დარწმუნებას, რომ ... ამა თუ იმ პოლიტიკოსს მივცეთ ხმა” (პრატკანისი 1991:86).

აქედან გამომდინარე, მედია შეგვიძლია განვიხილოთ პოლიტიკური ზემოქმედების იარაღად. მაგრამ ალბათ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, თუ ვის ემსახურება ეს იარაღი და ვისი მიმართულებით ისვრის. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკში დატრიალებული ტრაგედია, რომელიც მთელმა მსოფლიომ ტელევიზიის საშუალებით ნახა, საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა, გაემართლებინათ გაეროს ეგიდით ნატოს ჯარების შეყვანა ავღანეთში; 2 წლის შემდეგ კი სადამ ჰუსეინი დაადანაშაულეს ალ ქაიდასთან კავშირში და ომი დაიწყეს ერაყში. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ამერიკელ ტელემაყურებლებს ბევრად უფრო მეტ ომის მხარდამჭერ ინფორმაციას აწვდიდნენ, ვიდრე ომის საწინააღმდეგოს. საინტერესოა ასევე ისიც, რომ ერაყში საომარი მოქმედებების გასაშუქებლად წასულმა ჟურნალისტებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს იმის შესახებ, თუ რისი გაშუქება შეეძლოთ და რისი არა. საბოლოოდ ძნელი სათქმელია ვინ იზარალა და ვინ აღმოჩნდა მოგებული. ამას დრო განსჯის, ხოლო მედიის დამსახურება ტერორიზმის წინააღმდეგ ომში უდავოა. იმის მტკიცება, რომ მედიას წინასწარ განსაზღვრული მიზანი ამოძრავებდა შეუძლებელია; ტელევიზიამ შეასრულა თავისი მოვალეობა და გადასცა ახალი ამბავი მსოფლიოს, თუმცა ამ ახალმა ამბავმა სრულიად განსხვავებული დატვირთვა მიიღო.

მედიას უწოდებენ მეოთხე ხელისუფლებასაც და მას ალბათ ყველა ხელისუფლებაზე მეტი ზეგავლენა აქვს. ჩემი აზრით, იგი უდავოდ არის პოლიტიკური ზეგავლენის იარაღი; ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ***მედია*** ემსახურება მესამე ძალის ინტერესებს. პირიქით, იგი საზოგადოებას საკუთარი თამაშის წესებს სთავაზობს. ის ხშირად გვკარნახობს რაზე ვიფიქროთ. მაგალითად, გვეუბნება რა მოხდა დღეს ქვეყანაში და მსოფლიოში ყველაზე

მნიშვნელოვანი და ჩვენც ძალაუნებურად ამაზე ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ (***აჯენდა სეთინგის თეორია)*** (ბაუმგარტნერი 1993:15)**.** უფრო ხშირად ტელევიზიით, რადიოთი თუ ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით გვეუბნებიან როგორ ვიფიქროთ და იგი გარკვეულ აქცენტებს აკეთებს ამბის მოყოლის დროს ***(ფრეიმინგის თეორია***) (ენტმანი 2000:54; ენტმანი 2001:34).

მედია მხოლოდ განსაზღვრულ და წინასწარ შერჩეულ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას. ითვლება, რომ რაც არ უჩვენებიათ ტელევიზიით, რაც არ დაუწერიათ გაზეთებში, არც მომხდარა. ასე რომ, ყოველდღიურ ახალ ამბებში ჩაფლულებს მნიშვნელოვანი ფაქტები შეიძლება მოგვეჩვენოს უფერულად, უმნიშვნელოდ იმიტომ, რომ მედია მას არ გვაწვდის (იგი არ თვლის ამ ინფორმაციას მნიშვნელოვნად ან უბრალოდ გარკვეული ინტერესების გამო არ სურს მისი გადმოცემა - ედვარდ ჰერმანის 5 ფილტრის თეორია (ჰერმანი 1988:87)). ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის მფლობელობაშია მედია, ვინ არის ინფორმაციის წყარო, რა რეკლამას უშვებს ის, რა იდეოლოგიას ატარებს და როგორი გამოხმაურება შეიძლება ჰქონდეს მის მიერ გაშვებულ ამა თუ იმ ინფორმაციას).

აღსანიშნავია, რომ დღეს პოლიტიკური დისკურსი ემორჩილება მედია – კანონებს. იგნასიო რამონე (ბალი 1999:45) აცხადებს, რომ რაც უფრო ხშირად ლაპარაკობენ ტელევიზიები (ასევე რადიო, ჟურნალ-გაზეთები) ერთსა და იმავე რამეზე, მით უფრო მეტ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღესდღეობით ისინი ადგენენ თამაშის წესებს და წყვეტენ რომელი ინფორმაციაა უფრო მნიშვნელოვანი, რომელს დაუთმონ მეტი დრო და მეტი ჟურნალისტები. მაგალითად, 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის" დროს რუსთავი 2 მთლიანად გადართული იყო რევოლუციურ ტალღაზე. იგი მთელი დღის განმავლობაში აშუქებდა მიტინგებს და გვთავაზობდა პოლიტიკურ დებატებს. რაც ჩვეულებრივ რეჟიმში ჰედლაინი იქნებოდა, რეოლუციის პერიოდში შეიძლება ეს ინფორმაცია საერთოდ არ გაეშუქებინათ. რუსთავი 2 გახდა პოლიტიკური იარაღი, რომელიც იმ პერიოდში ატარებდა გარკვეული ძალების ინტერესებს.

ხალხზე ზეგავლენის მოხდენის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ამერიკელი რეჟისორის ბარი ლევინსონის ფილმი „**Wag the Dog**" (wikipedia 2002 წლის 21 მაისი). ფილმში ნაჩვენებია თუ როგორ შეუძლია ნიჭიერ PR მენეჯერს გამოუვალი მდგომარეობის შემოტრიალება და თავის სასარგებლოდ გამოყენება. ამერიკის პრეზიდენტს შელახული აქვს რეპუტაცია და წარმატებული საარჩევნო

კამპანიის მეშვეობით მაინც შესძლებს გამარჯვებას. ყველაზე საინტერესო მომენტი ის არის, როდესაც საბოლოოდ პრეზიდენტის გამარჯვება გარკვეულ რეკლამას მიაკუთვნეს; იმ ხალხის ძალისხმევა კი, რომელთაც სინამდვილეში მოაგებინეს არჩევნები, არ არის ნახსენები. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ახდენს მედია ზეგავლენას ხალხზე ისე, რომ ეს უკანასკნელები ამას ვერც კი ხვდებიან.

ბევრი მაგალითი არსებობს მედიის მიერ პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის თაობაზე. მაგალითად, სწორედ უილიამ რანდოლფ ჰარსტის (პრესის ამერიკელი მაგნატი - 1863-1951) გაზეთებმა ითამაშა დიდი როლი ესპანეთი-ამერიკის ომის დაწყებაში (1898), შედეგად კუბის დამოუკიდებლობა და ძველი ესპანეთის კოლონიების ამერიკის მიერ ხელში ჩაგდება). როცა გაზეთში ***„New York Morning Journal"*** გამოქვეყნდა მოხსენება ამერიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ, ამან გამოიწვია ომი ორ ქვეყანას შორის (wikipedia 2008 წლის 23 თებერვალი).

არსებობს აზრი, რომ „ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესს უფრო დიდი ზეგავლენა აქვს მედიაზე, ვიდრე მედიას პოლიტიკურ პროცესზე". მაგალითად საბჭოთა პერიოდში ხელისუფლება მედიას იყენებდა, როგორც პროპაგანდის საშუალებას. ამ დროს კომუნისტური პარტია ტელევიზიის, რადიოს, ჟურნალ-გაზეთების, კინოფილმების, თეატრალური დადგმების საშუალებით ახდენდა ზემოქმედებას საზოგადოებაზე. ძირითადი იდეები იყო: ჯანმრთელობა, შრომა, ოჯახი, სამშობლოს სიყვარული, აქტიური ცხოვრებისეული და მოქალაქეობრივი პოზიცია და პასუხისმგებლობა.

თანამედროვე რუსეთში მედია აღმოჩნდა ხელისუფლების ხელში და რასაკვირველია იგი არის პოლიტიკური ზემოქმედების საშუალება; ამის მაგალითია ჩეჩნეთის ომი, როცა წარმატებული პროპაგანდის მეშვეობით ხალხის 70%-მა მხარი დაუჭირა სამხედრო კამპანიას ჩეჩნეთში.

გი დიურანდენი აცხადებს, რომ პოლიტიკურ კომუნიკაციაში წამოიჭრება სამი ელემენტი, რაც დაკავშირებულია მედიასთან (ადამი 2001:38): წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ **რეკლამას -** არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა უნდა მოიპოვონ მედიის მხარდაჭერა და ხალხზე მოახდინონ ზეგავლენა. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ რეკლამას (რეალური დებატების ჩატარება პირდაპირ ეთერში, წმინდა რეკლამა, ბუკლეტები) არა მარტო ტელევიზიით, არამედ ჟურნალ-გაზეთებშიც; **პროპაგანდას** – ზეგავლენის განხორციელება (წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკოსები

დებატებს მიმართავენ ტელევიზიის დახმარებით და ახდენენ ხალხის მანიპულირებას) და ბოლოს **PR** – წარმატების გასაღები პოლიტიკაში (სხვადასხვა აქციების ჩატარება შუქდება მედიის დახმარებით). მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მედიის გავლენა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მედიამ დიდი როლი ითამაშა ნიკოლა სარკოზის საარჩევნო კამპანიაში. მისი გამარჯვება განაპირობა იმან, რომ იგი იყო და არის მედიის ფავორიტი (შეგვიძლია ვიხილოთ ვებ გვერდი, სადაც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამონარიდებია მოცემული) (ბროსოლეტე 2002).

„სიჩუმე კლავს და დღეს მედიას შეუძლია თითოეულის ყურამდე მიიტანოს შიდსის ამბავი, გამოაფხიზლოს ხალხი" - განაცხადა კოფი ანანმა (ვიკიპედია: 2008 წლის 24 თებერვალი). 2004 წლის 15 იანვარს გაეროს შიდსთან ბრძოლის პროგრამის ხელმძღვანელმა პეტერ პიოტმა (როკი 1999) შეკრიბა მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი 22 მედია შიდსის საწინააღმდეგოდ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. მისი აზრით, დღევანდელ დღეს, როცა ინფორმაციას ასეთი დიდი გავლენა აქვს, მსოფლიოში იღუპება ათასობით და ათიათასობით ადამიანი ამ დაავადებისგან და მხოლოდ მედია არის ერთ-ერთი ძლიერი იარაღი ამის საწინააღმდეგოდ ბრძოლისა. შეთანხმებას ხელი მოაწერეს შემდეგმა კომპანიებმა: **BBC** (ინგლისი), **BET, CNN** (აშშ), **CCTV** (ჩინეთი), **Discovery Channel** (აშშ), **Gazprom-Media** (რუსეთი), **TVGlobo** (ბრაზილია), **ICTV** (უკრაინა), **LBC** (ლიბანი), **METRO TV** (ინდონეზია), **MPAA** (აშშ), **MTV** (აშშ), **NHK** (იაპონია), **PHOENIX** (ჰონკონგი), **Prasar Bharati** (ინდოეთი), **RTVE** (ესპანეთი), **SABC** (სამხრეთ აფრიკა), **TIME WARNER** (აშშ), **TV5** (ფრანკოფონია), **UNIVISION** (აშშ), **Viacom** (აშშ) et **VON** (ნიგერია) (ფონსეკა 2001).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მედიის ფუნქცია არის ინფორმაციის მიწოდება და არა პროპაგანდა, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი იდეოლოგიის თავსმოხვევის საშუალებაა. მედია ძალაუნებურად ახდენს საზოგადოებაზე ზეგავლენას თავისი სპეციფიურობის გამო. ეს მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ერთადერთი, ვინც გადასცემს ინფორმაციას. ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის გარეშე საზოგადოებას არ ექნებოდა სრული ინფორმაცია ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენაზე. ხალხი იღებს ამ ინფორმაციას ისე, როგორც მას ამას მიაწოდებენ. ეს სპეციფიურობა მედიას უდიდეს ძალაუფლებას ანიჭებს და ამ ძალაუფლების საჭირო მიმართულების მიცემის შემთხვევაში იგი შეიძლება გახდეს ყველაზე საშიში იარაღი. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მედია არის პოლიტიკური ზემოქმედების მოხდენის საშუალება. რაც უფრო

იზრდება ადამიანის ცხოვრებაში მისი როლი, მით უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მასზე მედია. დღესდღეობით სწორედ მისი ძალისხმევის შედეგად ვიღებთ გადაწყვეტილებებს არა მარტო არჩევნებში, მანიფესტაციებში და მიტინგებში მონაწილეობის მიღების თაობაზე, არამედ ნებისმიერ სფეროში ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მედიას, რადგან ეს არის უახლესი ინფორმაციის მოპოვების საშუალება ყველა ადამიანისათვის, ხოლო პოლიტიკოსებისათვის თავიანთი აზრების გადმოცემის საშუალებაა, რათა ხალხს გააგებინონ თავიანთი სურვილები მოსაზრებები ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე. მედია კი მათ ამაში ეხმარება, რადგან ერთი და იმავე ინფორმაციის მასობრივი გავრცელება საშუალებას იძლევა იმოქმედო ხალხზე და დაარწმუნო ისინი შენი აზრების სისწორეში, მოახდინო მათი მანიპულირება.

III ნაწილი

1. 1968 წლის მაისის სტუდენტური გამოსვლების გამომწვევი მიზეზები

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია მთავრობასა და ახალგაზრდულ არასამთავრობო ჯგუფებს შორის ურთიერთობის ფონზე კომუნიკაციის დამყარების ენობრივი ხერხების გამოვლენა. ამისათვის მაგალითად ავიღეთ საფრანგეთის 1968 წლის მაისის სტუდენტური გამოსვლები. სანამ თვით კომუნიკაციის მათ მიერ გამოყენებული ენობრივი ხერხების განხილვაზე გადავალთ, უნდა ითქვას იმ გამომწვევი მიზეზების შესახებ, რაც დაედო საფუძვლად ამ მოვლენებს.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეპოქა მნიშვნელოვანი იყო კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ განსაკუთრებით საფრანგეთისათვის. ამ დროს ქვეყანას მართავდა ისეთი ძლიერი პოლიტიკოსი და ორატორი, როგორიც იყო შარლ დე გოლი, რომლის დისკურსსაც შემდეგ დაწვრილებით განვიხილავთ. თუმცა 68 წლის მაისის სტუდენტური გამოსვლები არ იყო მარტო ფრანგული ფენომენი. ანალოგიური გამოსვლები სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობდა (აშშ, იაპონია, გერმანია). ეს გაიმოწვია ძირითადად იმან, რომ ხალხმა კითხვის ქვეშ დააყენა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინდუსტრიალურ ქვეყნებში ჩამოყალიბებული მომხმარებელთა საზოგადოების ქმედითუნარიანობა და ომამდელი ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციული საზოგადოების ღირებულებები და სტრუქტურები. მათი აზრით, არსებული ეკონომიკური მოდელი აღრმავებდა უთანასწორობას საზოგადოების წევრებს და უფრო მეტიც, განვითარებულ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის. ამას ემატებოდა პრაგმატული მოსაზრებები: ინდუსტრიალიზაციის განვითარება გარემოს დაბინძურებას იწვევდა.

თითქმის ყველა ქვეყნის ახლგაზრდების მოთხოვნა ერთი იყო: მათი აზრით, ისინი იმსახურებდნენ ბედნიერ ცხოვრებას. ახალგაზრდები წინა პლანზე ადამიანის შინაგან ღირებულებებს აყენებდნენ მაშინ, როცა ახალი (ინდუსტრიალური) საზოგადოების მთავარი ღირებულება იყო ფინანსური კეთილდღეობა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტების ამ წინააღმდეგობიდან წარმოიშვა სხვადასხვა მარგინალური ჯგუფი, მათ შორის ჰიპები (რომლებიც კალიფორნიაში 1963 წელს გამოჩნდნენ). ისინი უარყოფდნენ, უკუაგდებდნენ ავტორიტეტის ყველა ფორმას, რაც დაკავშირებული იყო

ხელისუფლებასთან, ოჯახთან, ეკლესიასთან ან ტრადიციულ მორალურ წესებთან. ამის საპირისპიროდ ბუნებრიობასა და ინსტინქტებს იცავდნენ, აცხადებდნენ რევოლუციას ადამიანში და საზოგადოებაში. ეს ჯგუფები უარყოფდნენ კონფორმიზმსა და ბურჟუაზიულ ღირებულებებს. საქმე ეხებოდა ინდუსტრიალური საზოგადოების დამთრგუნველი ზეგავლენისაგან პიროვნების გათავისუფლების გზის ძიებას.

მნიშვნელოვანია, თუ რამ გამოიწვია 1968 წელს ფრანგი ხალხის უკმაყოფილება და კონფლიქტი. გერმანელი სოციოლოგის რალფ დარენდორფის (შვარცენბერგი 1988:115) აზრით, კონფლიქტის მთავარი მიზეზია ის ფაქტი, რომ ხალხის ერთი ნაწილი ხელისუფლებაშია (ანუ გააჩნია ძალაუფლება), ხოლო მეორე ნაწილი – არა. ძირითადი კონფლიქტი საზოგადოების ორ ნაწილს შორის ჩნდება. საზოგადოების სტრუქტურა დაფუძნებულია ხალხის ერთი ჯგუფის მეორეზე ბატონობაზე. მაგალითად: მეწარმეები – მუშები, ოფიცრები – ჯარისკაცები, პროფესორ-მასწავლებლები – სტუდენტები. თითოეულ ამ ჯგუფს გააჩნია საერთო ინტერესები, დამოუკიდებლად იმისგან, აცნობიერებენ თუ არა ისინი ამას. განსხვავებული ჯგუფის წევრთა ინტერესები განსხვავდება და წინააღმდეგობრივია. გაეტანო მოსკა (შვარცენბერგი 1988:134) თვლიდა, რომ ძლაუფლების განხორციელება შეუძლია არა ცალკეულ ინდივიდს ან მოქალაქეთა ერთობლიობას, არამედ ორგანიზებულ უმცირესობას, მმართველ კლასს.



„მთავრობა ხელისუფლებაშია მოსული და თავისი ძალაუფლებით ხალხს აიძულებს შეასრულოს ის ვალდებულებები, რასაც მოითხოვს კოლექტიური მიზნები"(შვარცენბერგი 1988:91). ასევე ცნობილია, რომ იგი ახდენს საზოგადოების რესურსების მობილიზებას, რათა მიაღწიოს გარკვეულ მიზნებს. ხელისუფლებაში მოსული ადამიანთა უმცირესობა შეადგენს ნამდვილ სოციალურ - მმართველ ანუ დომინანტურ – კლასს. მისი ორგანიზაციული და სტრუქტურული დანაყოფები უზრუნველყოფს მის ძალაუფლებას. დომინანტური ელიტის წევრებს შორის არსებობს სხვადსხვა კავშირები: ნათესაური,

კულტურული, საერთო ინტერესები, რაც განაპირობებს მათი აზროვნების ერთიანობასა და შეთანხმებულ მუშაობას.

ნ. მაკიაველის (შვარცენბერგი 1988:49) თეორიის მიხედვით პოლიტიკური ძალაუფლება ხორციელდება ყველგან და ყოველთვის უმცირესობის მიერ და მათთვის პოლიტიკური ძალაუფლება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკური ძლიერება. ისინი სარგებლობენ ეკონომიკური უპირატესობით, მაგრამ ძალაუფლება მათ უპირველეს ფენომენად ეჩვენებათ. მ.ფუკო ძალაუფლებას განიხილავს, როგორც ირაციონალურ მამოძრავებელ ძალას (ფუკო1966:98). მისი აზრით, ძალაუფლებას, ისევე როგორც სურვილს, არ გააჩნია სტრუქტურა. იგი მასში ფაქტიურად ხედავს ბატონობის ბრმა წყურვილს, რომელიც ინდივიდს ყველა მხრიდან გარს ახვევია და ფოკუსირებულია მასზე, როგორც საკუთარი ძალების გამოყენების ცენტრზე. მ. ფუკოსთან ძალაუფლება ფაქტიურად არ შეესაბამება „სოციალური ძალაუფლების“ გაგებას (ფუკო 1966:102); ეს მართლაც არის მეტაფიზიკური პრინციპი და თავისი ბუნებით ამბივალენტური. რაც მთავარია, იგი სტიქიურად მოუწესრიგებელია. მისი მართვა ცნობიერად შეუძლებელია და იგი ამასობაში „ობიექტურად მიემართება აფეთქებისაკენ“, ყოველი „სოციალური ძალაუფლების დეზორგანიზაციისაკენ” (ფუკო 1966:117).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს უთანასწორობა, სწორედ ამის გამო ხდება ჯგუფებს შორის ინტერესთა კონფლიქტი. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრი. აქვე უნდა შევეხოთ საზოგადოებრივ აზრს. მის შესახებ ბევრი თქმულა და ჩვენც ვერ ავუვლით გვერდს.

თანამედროვე გაგებით საზოგადოებრივი აზრი გაჩნდა XIX საუკუნის ბოლოს ფრანგი სოციოლოგის ჟ.გ. ტარდის ნაშრომში *„საზოგადოებრივი აზრი და ბრბო”* (ბურდიე 1982:98). აქ იგი წარმოადგენს გარკვეული საზოგადოების, ადამიანთა ჯგუფის აზრებს და შეფასებებს რაიმე ინფორმაციაზე.

საზოგადოებრივი აზრი წარმოიშვა ძალიან დიდი ხნის წინ. ჟერ კიდევ ჰომეროსის *„ილიადა”*-ში ჩანს *საზოგადოებრივი აზრის* წინაშე შიში (ოდისევსის მიერ საქმროების მოკვლის დროს), როცა მმართველ პირებს უნდათ საზოგადოებრივი აზრი გადმოიბირონ. ნაწარმოებში რამდენჯერმე ისმის ასეთი ფრაზა: „ამას ეუბნებოდა თითოეული თავის მეზობელს” (მიმინოშვილი 1988:263).

უფრო მოგვიანებით უკვე საბერძნეთში (ბერძენი ფილოსოფოსები პლატონისა და სოკრატესთვის ეს ფენომენი მერყევია და ცვალებადი) და მერე

ძველ რომში საზოგადოებრივი აზრი არ წარმოადგენდა ცალკე აღებულ აზრს, რადგანაც მის ფორმირებაში საზოგადოებრივი დაჯგუფებები იღებდნენ მონაწილეობას. მათ ხელში იყო ხელისუფლება და გააჩნდათ იმის საშუალება, რომ თავიანთი განზრახვა მოეყვანათ სისრულეში. თუმცა იგი ხშირად წინააღმდეგობაში მოდიოდა დაწერილ კანონთან.

შუა საუკუნეებში საზოგადოებრივი აზრის როლი დაყვანილი იყო მინიმუმამდე. საზოგადოება იყო დაყოფილი და მათ გააჩნდათ წინააღმდეგობრივი ინტერესები.

საერთოდ, ლექსიკონებში *აზრი* აღნიშნავს ინდივიდუალური მსჯელობის მტკიცე შედეგს (სინონიმებია: შეხედულება, რწმენა) ან კიდევ ნებისმიერი უბრალო აზრის არსებობა/არ არსებობას (რწმენა, ცრურწმენა). იგი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური პროდუქტი და გამოხატავდეს კარგად ნაფიქრ და დამუშავებულ ინტელექტუალურ პოზიციას; მაგალითად, *რელიგიური დოქტრინა* (ეკლესიის აზრი რაიმე საზოგადო პრობლემაზე) ან ფილოსოფიური და პოლიტიკური პოზიცია - სპონტანური კოლექტიური წესდებების ან წარმოდგენების სისტემა, რასაც იზიარებს სოციალური ჯგუფი.

იგივე სემანტიკური მრავალფეროვნება შეიმჩნევა სიტყვა *საზოგადოებრივი* –ს მიმართაც. ის შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთად აღებული მთელი ხალხი (ამ შემთხვევაში „საერთო”; *„საზოგადოებრივი აზრი”* არის *„საერთო აზრი”*). იგი ეწინააღმდეგება „კერძოს” და აღნიშნავს იმას, რაც გახსნილია, ღიაა ყველასთვის (ყველასთვის, საზოგადოებისათვის მისაღები); ზოგიერთის აზრით, ეს არის სახელმწიფოს კუთვნილება და გამოხატავს „კოლექტიურ” თუ „საერთო” ინტერესს (მოქალაქეობრივი უფლება, სახელმწიფოს მოქმედების სფერო). მაგრამ ასეთი საზოგადოებრივი აზრი არ წარმოადგენს ხალხის დიდი ნაწილის აზრთა სტატისტიკური განზოგადების შედეგს (ხალხის აზრი, ბრბოს აზრი).

ზოგიერთი მეცნიერის აზრით საზოგადოებრივ აზრზე ლაპარაკი შეიძლება დავიწყოთ XVIII საუკუნიდან. თუმცა ეს ფენომენი არ იყო „საზოგადეობრივი აზრი”. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლებული ელიტის აზრს. ინტელექტუალურმა ელიტამ წარმოშვა იგი საკუთარი მოთხოვნების ლეგიტიმაციისათვის და სამეფო აბსოლუტიზმის დასუსტებისათვის. ფილოსოფოსები და მწერლები, რომელთა პროფესია აზრის შექმნაში მდგომარეობდა, იწყებდნენ საკუთარი აზრის განმტკიცებისა და

მხარდაჭერისათვის მუშაობას. ისინი ცდილობდნენ საკუთარი აზრი გარდაექმნათ უნივერსალურ აზრად, რომელსაც ექნებოდა პოლიტიკური ღირებულება.

საზოგადოებრივი აზრი და საერთოდ საზოგადოება თითქმის ყველა დროში ანგარიშგასაწევი ძალა იყო. მაგალითად, როცა *პრუსიის მეფის ვილჰელმ II* –ის მინისტრმა შემოიღო ისეთი სასკოლო კანონპროექტი, რამაც *საზოგადოებრივი აზრის* განაწყენება გამოიწვია. მეფემ ამის გამო მინისტრი გადააყენა მიუხედავად იმისა, რომ პრუსიის კონსტიტუცია მას ამას არ აიძულებდა.

თუკი აქამდე ეს იყო მხოლოდ ელიტის აზრი (უფრო ინფორმირებულები), რომლებიც რაციონალური დისკურსის შემდეგ საჯაროდ აცხადებდნენ მას და მოუწოდებდნენ თავიანთი აზრის პატივისცემისაკენ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნელ-ნელა იწყება ასეთი საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია. ამის მიზეზი იყო საყოველთაო საარჩევნო უფლების დამყარება და კოლექტიური ქმედებების ახალი ფორმების განვითარება, რომელთა სათავეში იდგნენ *„მასობრივი ორგანიზაციები”* – პოლიტიკური პარტიები ან პროფკავშირები. ამ დროს გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი იურგენ ჰაბერმასი აცხადებდა, რომ ეს არის „ფორმალური აზრი, რომელიც აღიარებულია პოლიტიკური ინსტანციების მიერ” და იგი მას აიგივებდა უმრავლესობის აზრთან (ჰაბერმასი 2003:58).

XIX საუკუნის ბოლოს გამრავლდა მასობრივი მოძრაობები, ქუჩის მანიფესტაციები, წარმოიშვა და გავრცელდა სახალხო და საერთო ეროვნული პრესა. შესაბამისად იქმნება ახალი საზოგადოებრივი *აზრი.* თანამედროვე საზოგადოებაში იგი დიდ როლს თამაშობს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებრივი აზრი მართლაც არსებობს. ასე მაგალითად, ზოგჯერ მიტინგზე წარმოთქმული პოლიტიკური დისკურსი და პრესის სტატიები უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკაში, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოში მიღებული კანონი. პოლიტიკოსებიც შესაბამისად ცდილობენ საზოგადეობრივი აზრის მომხრობას.

უკვე XX საუკუნის 70-იან წლებში პიერ ბურდიე აცხადებს, რომ „საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს”. ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ის, რომ ამ დროს საზოგადოებრივი გამოკითხვის პრაქტიკა ახალი შემოღებული იყო და პოლიტიკური და ჟურნალისტური წრეების რწმენა ამ ფენომენის მიმართ იყო სუსტი. პ.ბურდიე ამბობს, რომ ყველანაირი აზრის სოციოლოგიური გამოკითხვა მიუთითებს საზოგადოებრივი აზრის

არსებობაზე და რომ ყველა აზრს აქვს ღირებულება (ბურდიე 1996:234); როცა ერთსა და იმავე კითხვას უსვამენ ყველას, ეს გულისხმობს იმას, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ მოცემულ პრობლემებზე გარკვეული კონსენსუსი მიიღწევა. იგი აცხადებს, რომ პოლიტიკოსები ხშირად ამბობენ „ღმერთი ჩვენთან არს", რისი ექვივალენტიც დღეს არის „საზოგადოებრივი აზრი ჩვენთან არს" (vox populi vox dei). ასეთია სოციოლოგიური გამოკითხვის ფუნდამენტური ეფექტი: შექმნა ილუზია, რომ გამოკითხვების შედეგად მიღებული აზრი შეესაბამება საერთო საზოგადოებრივ აზრს. შესაბამისად უფრო მარტივია ადამიანების მანიპულაცია პოლიტიკოსებისათვის და საკუთარი აზრის თავსმოხვევა.

პ.ბურდიეს აზრით, არსებობს ერთის მხრივ, საერთო ინტერესების მქონე გარკვეული ჯგუფის ჩამოყალიბებული, მობილიზებული აზრი; მეორე მხრივ, განწყობები, რომელიც სულაც არ არის აზრი, არამედ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგი (ბურდიე 1996:239). სწორედ ამ უკანასკნელზე აცხადებს პიერ ბურდიე, რომ იგი არ არსებობს, რადგანაც მათ გამოკითხვის დროს წინასწარ მოცემულ აზრებს სთავაზობენ (აქ მნიშვნელოვანია ე.წ. *„ლატენტური აზრი"* (ენტმანი 2001:48), რომელიც გულისხმობს იმ დაფარულ აზრებს, რომლებსაც ადამიანები ხშირად მალავენ; ასევე სოციოლოგიაში აღიარებული ორი პრობლემა: *არაფრის მცოდნენი* (ლუისი 2001:89) - შეიძლება გამოკითხულმა ადამიანებმა არ იცოდნენ საკითხი, რასაც ეკითხებიან და *სიჩუმის ეფექტი* (ნოელ ნიუმანი 1984:53) - შეიძლება ხმამაღლა არ გამოთქვან საკუთარი აზრი გარკვეული მოსაზრებების გამო) და ამგვარად ადგენენ კითხვარებს. იგი უნდობლობას უცხადებს ამ გამოკითხვებს (საზოგადოებრივი აზრის პროცენტებში გამოხატვას) და მათ პოლიტიკური მანიპულირების საშუალებას უწოდებს. აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი თვალსაჩინოებისათვის. 1936 წელს ერთ-ერთი პოპულარული გამოცემა *Literary Digest* შეეცადა წინასწარ განესაზღვრა პრეზიდენტობის ორ კანდიდატს რალფ ლანდონსა და ფრანკლინ რუზველტს შორის გამარჯვებული. გამოკითხეს ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობა (მილიონზე მეტი ადამიანი). კვლევის შედეგების მიხედვით უცილობელი გამარჯვებული ლანდონი უნდა ყოფილიყო, თუმცა შედეგი აბსოლუტურად სხვაგვარი აღმოჩნდა. ამის თავი და თავი სწორედ მეთოდოლოგიური დარღვევები იყო. გაზეთმა კვლევისათვის ადამიანები ხელმომწერთა სიებიდან და სატელეფონო ცნობარებიდან შეარჩია, მაშინ, როცა დიდი დეპრესიის პერიოდში მონაცემთა ასეთ ბაზებში ძირითადად რესპუბლიკელები სჭარბობდნენ. გამომდინარე აქედან რუზველტის მომხრეები

შერჩევაში არაადექტვატურად იყვნენ წარმოდგენილნი. მკვლევრებმა უბრალოდ არ გაითვალისწინეს ეს ფაქტი. სწორედ აქედან გამომდინარე იყო ასეთი განსხვავება კვლევის და არჩევნების შედეგებს შორის.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ წინააღმდეგობრივი შეხედულებებისა, *საზოგადოებრივი აზრი* არის საზოგადოების მხარდაჭერა ან პირიქით უარყოფითი დამოკიდებულება გარკვეულ მოვლენებზე. იგი განსაზღვრულ პოზიციას იკავებს, რჩევას იძლევა ამა თუ იმ საზოგადო პრობლემების შესახებ და არეგულირებს ინდივიდების, სოციალური ჯგუფების და ინსტიტუციების ქცევას საზოგადოებაში და გამოიმუშავებს სოციალური ქცევის და საზოგადოებრივი ურთიერთობის გარკვეულ ნორმებს. ამ შემთხვევაში საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა ის ფაქტები, რაც აინტერესებს სინამდვილეში მას და გამოირჩევა თავისი მნიშვნელობითა და აქტუალურობით (მაგალითად, როდესაც მანიფესტაციებისა და ქუჩაში გამოსვლების გზით საზოგადოება გამოხატავს თავის აზრს ამა თუ იმ მოვლენაზე). იგი მოქმედებს როგორც მთელი საზოგადეობის ასევე ცალკეული კლასებისა და სოციალური ჯგუფების ფარგლებში. აქ ლაპარაკი შეიძლება არა მარტო მთელი ქვეყნის, არამედ გარკვეული კლასის აზრზე, მაგალითად *ახალგაზრდების აზრი* (ახალგაზრდები გამოწვევას უცხადებენ ყველას, ვინც მათ ინტერესებს შეულახავს. ისინი უარყოფენ ყოველგვარ რუტინას და არ ურიგდებიან არსებულ სიტუაციას. მაგალითად, საფრანგეთში 1968 წლის მაისში განვითარებული მოვლენები. მასობრივ სტუდენტურ გამოსვლებს შეუერთდა მთელი ფრანგი ხალხი. სტუდენტების მთავარი მიზანი იყო რეფორმის გატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც განათლების სისტემის შეცვლა ასევე სოციალური, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. შედეგად ხელისუფლება წავიდა გარკვეულ დათმობებზე), *ცალკეული პროფესიის წარმომადგელების აზრი* (მაგალითად, საქართველოს *მწერალთა კავშირის* თანამშრომელთა უკმაყოფილება, როცა კავშირის კუთვნილება გამომცემლობა „მერანი" გააუქმეს. შენობას პრივატიზაცია გაუკეთდა. ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ტელევიზიაში თუ პრესაში). საზოგადოებრივი აზრის გამოხატულება შეიძლება იყოს *ხელისუფლების არჩევნები, მასების მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ საქმიანობაში* (ხალხი არაპირდაპირ არჩევნების გზით მონაწილეობს), *პრესა* და სხვა *კომუნიკაციის საშუალებები, მანიფესტაციები,* ასევე *რეფერენდუმი* (ხშირად რეფერენდუმების გზით ცდილობენ მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, სადაც საზოგადოებას აზრს ეკითხებიან. 1991

წლის 31 მარტს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა რეფერენდუმი. ამ დროს გამოიკითხა ხალხის აზრი, სურდათ თუ არა მათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ხალხმა ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებლობას. შედეგად ამავე წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა), *მოსახლეობის წინასაარჩევნო გამოკითხვა.* საზოგადოებრივი აზრის აქტიური ფუნქციონირება და მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში განისაზღვრება არსებული სოციალური პირობებით: კლასობრივი სტრუქტურა, წარმოებითი ურთიერთობები, კულტურა, განვითარების დონე, სპეციფიური დემოკრატიული ინსტიტუციები და თავისუფლების განვითარება. ყოველივე ეს დაკავშირებულია აზრის გამოთქმის თავისუფლებასთან – სიტყვის, შეკრების, ბეჭდვის, მანიფესტაციების თავისუფლება. დღეს საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება ძირითადად ინფორმაციის წყაროსა და პროპაგანდის გავლენით. სოციალიზმის დროს სოციალური ანტაგონიზმების ლიკვიდაციის პირობებში, სოციალურ სტრუქტურებში, კულტურაში და საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის პირობებში საზოგადოებრივ აზრს გამოხატავდა კომუნისტური პარტია ან მუშათა რომელიმე ორგანიზაცია.

ჩვენი აზრით, დღევანდელ სამყაროში საზოგადოებრივ აზრს დიდი ყურადღება ექცევა. ამის დამამტკიცებელი საბუთია ბევრ ქვეყანაში რეფერენდუმებისა და პლებისციტების არსებობა. აგრეთვე *საზოგადოებრივი აზრის* გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა მასობრივი გამოსვლები, მანიფესტაციები. მის არსებობაზე მიუთითებს ის, რომ ძალიან ხშირად ამბობენ ან წერენ *„საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით", „საზოგადოების რეაქცია ამ საკითხზე არის შემდეგი..."* და მრავალი სხვა. მის არსებობას ყველა ქვეყანასა თუ სახელწმიფოში აღიარებენ. მას ანგარიშს უწევენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დროს, რაც ნათლად გამოჩნდა ზემოთ მოყვანილ მაგალითებში.

ქვეყნის დემოკრატიული მმართველობითი სისტემების არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ამ საზოგადოების წევრთა სრულფასოვანი მონაწილეობა მათთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ პროცესებში; ქვეყნის ხელისუფლებამ თავის მხრივ ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოების აზრს. საზოგადოების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ საჭიროა საზოგადოებრივი აზრის კვლევა და მასზე ზეგავლენის მოხდენა.

ჩვენ ვთვლით, რომ კომუნიკაციის დასამყარებლად კარგად თქმის ხელოვნება არ კმარა. ამისათვის საჭიროა იცოდე ყველა ის მექანიზმი, რომლითაც გავლენას მოახდენ შესაბამის აუდიტორიაზე. ლაპარაკი ნიშნავს სხვაზე მოქმედებას, რათა გარდაქმნა მისი აზრი, დაარწმუნო, გაუძლიერო რწმენა, დაითანხმო ან წინააღმდეგობის გრძნობა შეუსუსტო. ამრიგად, ლაპარაკის დროს ადამიანი ნეიტრალური არასოდეს არ არის. მაშინაც კი, როცა ცდილობს უბრალოდ ინფორმაცია მიაწოდოს, გააფრთხილოს ან რჩევა მისცეს მეორე ადამიანს. იმისათვის, რომ ვინმე რამეში დაარწმუნოს, ადამიანს უნდა გააჩნდეს კომუნიკაციის ნიჭი. კონტაქტის დამყარება პირისპირ, ისევე როგორც უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე, მოითხოვს დიდ ძალისხმევას და ძალზე რთულია; თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამისათვის არიან დაბადებულები. ასეთი ადამიანები ფლობენ კომუნიკაციის ხელოვნებას, ორატორულ ნიჭს და მათ შეუძლიათ სხვებზე ზეგავლენის მოხდენა. ისინი აგროვებენ ხალხზე პირად ინფორმაციას და ცდილობენ პასუხი გასცენ იმის შესაბამისად, თუ რა აწუხებს და რა მოთხოვნები აქვს თანამოსაუბრეს (ან აუდიტორიას). ტყუილად კი არ არის ნათქვამი – „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ („Il est des des portes sur la mer que l'on ouvre avec des mots“). ტკბილი სიტყვით – ანუ როცა გაგებით მოეკიდებიან მეორე ადამიანის გულისტკივილს, მოაჩვენებენ თითქოს ესმით მისი, გაიზიარებენ მის წუხილს – ამით მიაღწევენ მის ნდობას და მერე კი ადვილად მოახდენენ ზეგავლენას. ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ენა არა მარტო შემეცნების საშუალებაა, არამედ ემსახურება გაბატონებულ იდეოლოგიას, ახდენს ხალხის მანიპულირებას.

1968 წელს საფრანგეთის ახალგაზრდობამ დაიწყო გამოსვლა მმართველი უმრავლესობის წინააღმდეგ. მათ დაინახეს, რომ მთავრობის დაპირებები არ შეესაბამებოდა ცხოვრების რეალურ პირობებს. ამას მოჰყვა უკმაყოფილება. მოძრაობის მომზადებისათვის მნიშვნელოვანი იყო ისეთი იდეოლოგიის შექმნა, რომელიც წინ წამოწევდა სოციალურ პრობლემას და მისი გათვითცნობიერებისა და სამართლიანად გადაწყვეტის საშუალებას მისცემდა ადამიანებს.

დედამიწაზე სიღარიბე, უთანასწორობა და პოლიტიკური რეპრესიები არსებობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში მანამ, სანამ არ წარმოიშვა იდეოლოგია. XVIII საუკუნეში საფრანგეთის დაბალი კლასები იტანჯებოდნენ ფეოდალური მბრძანებლობის უღლისაგან. მაშინდელი მმართველი კლასი თვლიდა, რომ სიღარიბე ნორმალური და გარდაუვალია. მოძრაობა მონარქიის

გადასაგდებად და რესპუბლიკის დასამყარებლად წარმოიშვა განმანათლებელთა ეპოქაში მაშინ, როცა გაჩნდა თანასწორობის გაგება, ხოლო მისი მაგალითი მოგვცა ამერიკულმა რევოლუციამ.

ფ. ენგელსი აცხადებდა: „იდეოლოგია არის პროცესი, რომელსაც შეგნებით ახორციელებს ე.წ. მოაზროვნე, თუმცა იგი ამას აკეთებს ყალბი შეგნებით. ნამდვილი მამოძრავებელი ძალები, რომელიც მას ამას აიძულებენ, მისთვის უცნობია; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ იქნებოდა იდეოლოგიური პროცესი. შესაბამისად იგი იქმნის წარმოდგენას ყალბი ან მოჩვენებითი მამოძრავებელი ძალების შესახებ" (შვარცენბერგი 1988:56). გ. კოსიკოვი აცხადებს, რომ იგი არა შეგნებული ტყუილის, არამედ არაცნობიერი თვითმოტყუების ხერხია (კოსიკოვი 2002:27). ჩვენი აზრით, იდეოლოგია შეუმჩნევლად და შესაბამისად უმტკივნეულოდ ცვლის ადამიანის ცნობიერებაში მისი ქცევის ჭეშმარიტ მოტივებს, ილუზორული, მაგრამ მისთვის ზნეობრივად მისაღები მოტივებით. ამიტომ იდეოლოგია არის სინამდვილის არა ობიექტური გაგება, არამედ ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება.

სოციალური მოძრაობის ფორმირების თავისებურებების განხილვისას ამბობენ, რომ როგორც კი იდეოლოგია გაიმარჯვებს ხალხის ცნობიერებაში, უნდა შეიქმნას გარკვეული ორგანიზაცია, რომელიც ახდენს ადამიანების მობილიზებას მოქმედებისათვის. ახალი მოძრაობის ბირთვს ლიდერები შეადგენენ (ჩვენს შემთხვევაში ესენი არიან სტუდენტები) (სმეზლერი 1988:55; ფერეოლი 1995:48). მათ ირგვლივ თავს იყრიან მხარდამჭერები. ჩვენი აზრით, ლიდერი უნდა იყოს ორატორი, მქადაგებელი, იდეური შთამაგონებელი, რომელიც უბიძგებს მოქმედებისაკენ, ენთუზიაზმს იწვევს საკუთარ მიმდევრებს შორის და ახორციელებს მოძრაობის კოორდინირებას. იგი უნდა აერთიანებდეს ხალხს, მაგრამ კოლექტიური ქმედებისას ადამიანი ზოგჯერ აცნობიერებს თავის საქციელს და ისე უერთდება ბრბოს, მაგრამ უმეტესობა ამას აკეთებს გაუთვითცნობიერებლად. ცნობილია, ლიდერის ძალაუფლება და პრესტიჟი მაგიურ ზეგავლენას ახდენს ბრბოზე, ამიტომ იგი ჰიპნოტიზირებულია და ადვილად სამართავი. ფსიქოლოგები თვლიან, რომ ერთად თავშეყრილი ადამიანების ჯგუფი ძალიან სწრაფად იძენს ბრბოს თვისებებს. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი აზროვნება ადამიანს შეუძლია მხოლოდ სიმარტოვეში, ხოლო სხვა ადამიანებთან ერთად, იგი განიცდის დეინდივიდუალიზაციას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრბოს ფსიქოლოგიას ამჟღავნებენ ტელემაყურებლები და რადიომსმენელები. გიუსტავ ლე ბონი იყო პირველი, ვინც

აღმოაჩინა, რომ ერთად შეკრებილი ადამიანები განიცდიან ე.წ. „ეფემინიზაციას" (ლე ბონი 1986:15). ამ დროს ისინი ხდებიან იმპულსურები, მიუტევებლები და ისინი ადვილად ექცევიან ლიდერის ზეგავლენის ქვეშ.

1968 წელს ასეთ ლიდერად მოგვევლინა სტუდენტი დანიელ კონ ბანდიტი (იხილეთ დანართი 1). უნივერსიტეტში მოღვაწე ფილოსოფოსებმაც დიდი როლი ითამაშეს ამ მოძრაობის მომზადებაში, რაზეც ვილაპარაკებთ ქვემოთ. თავიანთი გამოსვლებით და საუბრებით პრესაში, უნივერსიტეტში და მიტინგებზე მათ ბევრი მიმდევარი მოიპოვეს, როგორც სტუდენტების ასევე ხალხის მხრიდან.

კვლევის პერიოდში ჩვენს მიერ წაკითხული რობერ მერლის რომანი *„Derrière la vitre"* წარმოგვიდგენს სტუდენტური მოძრობის ლიდერს ***(დანიელ კონ ბანდიტი),*** საერთოდ სტუდენტების პრობლემებს, მათ სურვილებს, მისწრაფებებს. თვით რ. მერლი იყო ნანტერის უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროფესორი. რომანში კარგად ჩანს პროფესორ-მასწავლებლების ზეგავლენა სტუდენტებზე, მათი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე.

1968 წლის მაისის ხალხის მასობრივი გამოსვლები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საფრანგეთის ისტორიაში. ამას საფუძველი ჯერ კიდევ ადრე ჩაეყარა, თუმცა მისი მნიშვნელოვანი საწყისი იყო 1968 წლის 22 მარტს სტუდენტების მიერ ნანტერის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შენობისა და უნივერსიტეტის საბჭოს დარბაზის დაკავება. ამით სტუდენტებმა გამოხატეს თავიანთი ნება და დაიწყეს ბრძოლა საკუთარი იდეებისათვის. ფრანგი ლინგვისტი ფ. ფრანსუა აცხადებდა, რომ „ეს მოძრაობა საფრანგეთში წარმოადგენს ახალ იმპულსს, რადგან ხალხს მიეცა ტაბუდადებულ თემებზე სიტყვის გამოთქმის უფლება, ასევე ხელისუფლების და არსებული ჩვეულებების წინააღმდეგ გალაშქრების საშუალება" (ფორე 1998:117).

სტუდენტების ასეთმა პოლიტიზირებამ წარმოქმნა მრავალი - უკიდურეს მემარჯვენეთა და უკიდურეს მემარცხენეთა რევოლუციური ჯგუფი. ისინი რადიკალურად სვამდნენ საკითხს საუნივერსიტეტო სისტემის შეცვლის შესახებ. უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა, უსამართლობა შეიმჩნეოდა უნივერსიტეტის გადატენილ აუდიტორიებში, სტუდენტებს შორის აშკარა უთანასწორობაში, პროფესორ-მასწავლებლების კორუმპირებულობაში. სტუდენტთა ახალი მასებისათვის მასწავლებლების რაოდენობა არასაკმარისი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ასისტენტთა რიცხვმა იმატა. კორიდორში ჩატარებული ლექციები ჩვეულებრივ წესად იქცა. სტუდენტების რიცხვის ზრდის პრობლემას ხელისუფლება აგვარებდა თავისებურად: უნივერსიტეტის

გადატვირთული აუდიტორიები რომ გაეთავისუფლებინათ, სასწრაფო წესით შექმნეს ქალაქგარეთ სასწავლებლები, სადაც სტუდენტები იზოლირებულად სწავლობდნენ. ამ უსამართლობას ახალგაზრდობა ვერ შეეგუა და ისინი გამოვიდნენ ქუჩაში. მათ დაიჯერეს, რომ შეძლებდნენ ვითარების გამოსწორებას („Nous avons vu alors que notre situation pouvait changer”... „Nous voulons que l'espoir né pendant ces jours de manifestation trouve son expression dans un mouvement irréversible“ - „ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს” ... „ჩვენ გვინდა, რომ ამ მანიფესტაციების დროს დაბადებული იმედი შეუჩერებელ მოძრაობაში გამოიხატოს”) (ფორე 1998:115). ისინი მიისწრაფოდნენ სწავლის უკეთესი პირობების შექმნისაკენ და ცდილობდნენ სასწავლო რეფორმის ჩატარებას.

საინტერესოა, რომ სწორედ ნანტერის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების წრიდან დაიწყო უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის მზადება. ამ სტუდენტებს შორის გამოირჩეოდა დანიელ კონ ბანდიტი (**Daniel Cohn Bendit**). სწორედ ის იყო სტუდენტების ლიდერი. იგი აცხადებდა: „Ici on croit au bonheur. Qu’il y ait ici des moines et des prêtresses qui cherchent le martyre pour prouver la pureté de leur foi révolutionnaire, j’ai rien contre. Je leur donne même ma bénédiction, mais je ferais quand même remarquer que l’action révolutionnaire a pour but le succèss de la Révolution et non pas l’acquisition de mérites personnels en vue d’assurer son salut au paradis des héros marxistes. Il faut pas vous tromper de chapelle, camarades”(„აქ ბედნიერების სჯერათ. დაე, იყონ აქ ბერ-მონაზვნები, რომლებიც ეწამებიან თავიანთი რევოლუციური რწმენისათვის, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. მე მათ ჩემს კურთხევას ვაძლევ, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რევოლუციური მოძრაობის მიზანია წარმატების მიღწევა და არა პირადი ღირსების მოპოვება, რათა მარქსისტი გმირების სამოთხეში მოხვდე. არ უნდა მოვტყუვდეთ მეგობრებო”)(მერლი 1970:388).

მრავალი ინციდენტისა და 2 მაისს ნანტერის უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ სორბონის უნივერსიტეტმა აიღო ესტაფეტა და ამ მოძრაობის ეპიცენტრი პარიზის ლათინური კვარტალი გახდა. პოლიციის ჩარევამ გამოიწვია ქალაქის ცენტრში სტუდენტებსა და პოლიციას შორის შეჯახება. ამ გამოსვლებმა მოიცვა ყველა სფერო – საჯარო სექტორი და კერძო დაწესებულებები, მუშები, მოსამსახურეები და სტუდენტები. ძირითადი მოთხოვნა იყო ხელფასების გაზრდა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, ქვეყანაში არსებული იერარქიისა და ავტორიტარული პრინციპების უარყოფა, მთავრობის გადაწყვეტილების მიღებაში

მონაწილეობა, თითოეულის ღირსების აღიარება, ანუ სოციალური მოწყობის სტრუქტურების ტრანსფორმაცია, გარდაქმნა. ფრანგი რადიკალ-სოციალისტი პოლიტიკოსი ე.ფორი აცხადებდა: „ეს მოვლენები არ გამომდინარეობს საუნივესრიტეტო, ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან. საქმე ეხება სულიერ კრიზისს, რაც გამოწვეულია სამყაროში არსებული იმ არეულობით (. . .), რაც ჩვენს საზოგადოებაში ხდება, კერძოდ, ტექნოლოგიური პროგრესით“ (ფორე 1998:118). ა.მალრო (ფორე 1998:119; პეტიტფისი 1977:34) „სტუდენტთა გამოსვლებში შეიმჩნევა, რომ პრობლემა საერთაშორისოა. ჩვენ ვდგავართ არა რეფორმის საჭიროების წინაშე, არამედ ცივილიზაციაში ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა კრიზისის წინაშე“. მორის კლაველიც (ფორე 1998:120) იზიარებს იმ აზრს, რომ 1968 წლის რევოლუცია სულიერია.

მაისის მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 3, 4, 5 მაისს მანიფესტაციები გრძელდებოდა; 6-ში ჩატარდა მანიფესტაციები დაკავებულთა გასათავისუფლებლად, რასაც მოჰყვა 600-მდე დაჭრილი; 7 მაისის მთელი ღამე შეტაკება იყო მანიფესტანტებსა და პოლიციას შორის; 10-11-ში 400 დაჭრილი დაფიქსირდა შეტაკების დროს; 108 ავტომობილი დაწვეს და დააზიანეს; 11 მაისს პომპიდუ დაბრუნდა ირანიდან;

13 მაისს მოსამსახურეებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, პროფკავშირების ორგანიზაციებმა მთელ ქვეყანაში დაიწყეს ფართომასშტაბიანი გაფიცვა „რეპრესიის წინააღმდეგ“ და „მთავრობის სასკოლო-ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ“ (ბერშტეინი 1989:317; რატი 2000:215; ლაბრო 1968:143; სმირნოვი 2005:23). პარიზში დაიწყო ერთმილიონიანი მანიფესტაცია. 14 მაისს შარლ დე გოლი წავიდა რუმინეთში, ხოლო 19-ში ჩამოვიდა; 20-ში დაიწყო გაფიცვა მთელ ქვეყანაში; დანიელ კონ-ბანდიტი გააძევეს ქვეყნიდან; არეულობა გაგრძელდა 23 მაისამდე;

უკვე 24 მაისს პირველმა მინისტრმა ჟორჟ პომპიდუმ ხელი მოაწერა გრენელის შეთანხმებას (*Accords de Grenelle*), რაც ითვალისწინებდა ხელფასის მნიშვნელოვნად მომატებას. მინიმალურმა ხელფასმა მოიმატა 50%-ით. პროფკავშირების თავისუფლება გაფართოვდა დაწესებულებებში. პოლიტიკურად ამ მანიფესტაციების შედეგი იყო პრემიერ ჟორჟ პომპიდუს დათხოვნა, რამაც შეასუსტა შარლ დე გოლის ხელისუფლება. სოციალურ პლანში ჩატარდა სასწავლო რეფორმა, ამაღლდა სწავლის დონე. ახალი საუნივესრიტეტო პრინციპები გახდა დემოკრატიზაცია, ავტონომია, არაშერჩევითობა. 27-ში მოეწყო მიტინგი შარლეტის სტადიონზე (*Stade de Charlety*), რადგან რენოსა და სიტროენის

ქარხნების მუშებმა არ მოიწონეს გრენელის ოქმი; 28-ში კონ-ბანდიტი პარიზში დაბრუნდა ფარულად; განათლების მინისტრი ალენ პეირეფიტი (*Alain Peyrefitte*) გადადგა; 29-ში შარლ დე გოლი ფარულად გაემგზავრა ბადენ-ბადენში და კვლავ დაბრუნდა; 30-ში იგი გამოვიდა რადიოში და დეპუტატთა ეროვნული პალატა დაშალა.

საერთოდ ამ მოვლენების საწყისი უნდა ვეძიოთ უფრო იმ ეპოქის ფილოსოფიურ მიმდინარეობაში, პოსტმოდერნიზმში, რადგან ახალგაზრდები სწორედ ამ ფილოსოფოსების აღზრდილები იყვნენ და მათ ზეგავლენას განიცდიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში წარმოიქმნა პოსტმოდერნისტული ინდივიდუალიზმი. იგი უფრო ცხოვრების დონით, ხარისხით იყო დაკავებული. ადამიანებს სურდათ, რომ სოციალურ (ფინანსურ) პლანში მიეღწიათ წარმატებისათვის და წინ წამოიწია კერძო ცხოვრების ღირებულებებმა, ინდივიდუალურმა უფლებებმა, როგორიცაა ავტონომიურობა, სურვილი, ბედნიერება (ლიპოვეცკი 1991:98). ინდივიდის პოსტმოდერნისტულ სამყაროში შეიმჩნეოდა კონკურენტუნარიანობა, ცხოვრების დონის გაზრდილი მოთხოვნები და შრომის პირობებით დაინტერესება, გამარჯვების სურვილი. ასეთმა ჰიპერინდივიდუალობამ გამოიწვია კონკურენცია, ლტოლვა პირველობისაკენ. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ადამიანმა დაგმო სოციალური დამცირების ყველა ფორმა. უნდა იყო ის, ვინც ხარ და გაიმარჯვო საკუთარ ინდივიდუალობაზე, თვითონ ამოირჩიო საკუთარი ქცევის მოდელები და ადამიანურ ურთიერთობებში უნდა არსებობდეს თანასწორობის უფლება. საფრანგეთის 1968 წლის მაისის რევოლუციის არსი იყო ახალი ადამიანის შექმნა, რასაც საფუძველი ჩაუყარა მარქსისა და ნიცშეს ორმა სრულიად წინააღმდეგობრივმა იდეალმა. კ. მარქსი თვლიდა, რომ ახალი ადამიანი უნდა ყოფილიყო ბედნიერი და ჰარმონიული. ბრძოლა მონასა და ბატონს შორის უნდა დასრულებულიყო. ადამიანი უნდა ყოფილიყო პრომეთეს თავისუფლებისა და უნივერსალური გონების სახე, რომელიც იქნებოდა უბედნიერესი არსება. ნიცშესთან ახალ ადამიანს, პირიქით, უნდა განეხორციელებინა ბოროტისა და კეთილის ბრძოლის მიღმა დამანგრეველი შემოქმედება – განესახიერებინა ბრმა ძალაუფლებისა და დემონური მძვინვარების, ჩვეულებრივი მოკვდავების ბედნიერების, სამართლიანობის, თანაგრძნობისა და სიბრალულისაგან თავისუფალი ადამიანის სახე. აქედან გამომდინარე მიშელ ფუკოს აზრით, საჭირო იყო თავის თავთან ჰარმონიაში მყოფი ადამიანის შექმნა, რომელიც

ყველაფერს ძველს დაანგრევდა და ტოტალურ სიახლეს შექმნიდა (ფუკო 1966:117).

რევოლუცია, რა თქმა უნდა, საშინელებაა და მას მოაქვს ძალადობა, მაგრამ იგი ასევე ადამიანის სულს ათავისუფლებს. დიდ რევოლუციებს ყოველთვის თან სდევს კრეატიულობის აფეთქება. 68 წლის მაისის გამოსვლებისას მ.ფუკოს გავლენით სტუდენტები მოითხოვდნენ სწორედ ასეთ სიახლეს. ისინი ყოყმანობდნენ სიყვარულსა და სიძულვილს, ჰარმონიასა და ბრძოლას, მშვიდობასა და ომს შორის. ამ მოვლენების დროს მ.ფუკო აცხადებდა, რომ „ეს სტუდენტები რევოლუციას კი არ ახდენენ, არამედ თვითონ არიან რევოლუცია" (ფუკო 1966:117). მათ გამოსვლას არა მარტო პოლიტიკური ელფერი ჰქონდა, არამედ საზოგადოება შეეჯახა ეკონომიკური ზრდის ახალ პრობლემას და მათ ასე გამოხატეს თავიანთი რეაქცია.

პოსტმოდერნიზმი წარმოადგენს განსაზღვრულ მენტალიტეტს, სამყაროს შეცნობის, მისი აღქმის სპეციფიკურ ხერხს და ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების, არსებულ სამყაროში მისი ადგილისა და როლის დახასიათებას. პოსტმოდერნიზმი გამოხატავს იმ ეპოქის სულს (ანუ XX ს-ის II ნახევრის სულს). პოსტმოდერნისტი ვოლფგანგ ველში (ილიინი 2002:213] აცხადებდა, რომ პოსტმოდერნისტული ფენომენების კონგრუენცია (თანხვედრა) აშკარად ჩანს ლიტერატურაში, არქიტექტურაში და საერთოდ ხელოვნების სხვადასხვა ჟანრებში, ასევე საზოგადოებრივ ფენომენებში ეკონომიკიდან პოლიტიკამდე, ამასთანავე სამეცნიერო თეორიებში და ფილოსოფიურ აზროვნებაში. მან მოიცვა ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფეროები – ლიტერატურათმცოდნეობა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია. ამ მიმართულების თეორეტიკოსთა – ჟაკ ლაკანი, ჟაკ დერიდა, მიშელ ფუკო, ფრანსუა ლიოტარი, ჟილ დელეზი, ფელიქს გვატარი – მთავარი სამიზნე იყო სოსიურისეული სტრუქტურალიზმი, რომელსაც ჟ. დერიდა (ილიინი 2002:85) განსაზღვრავდა, როგორც დასავლური მეტაფიზიკური ლოგოცენტრიზმის უკანასკნელ პუნქტს. იგი სათავეს იღებს პლატონიდან (ძვ.წ.აღ. V-IV) და არისტოტელედან (ძვ.წ.აღ. IV) და მიდის ჰაიდეგერამდე (1889-1976) და ლევი-სტროსამდე (1908-1997). ეს მხოლოდ გამოგონება არ იყო; რეალობა და სამყარო გახდა „პოსტმოდერნისტული". საჰაერო კავშირისა და ტელეკომუნიკაციების ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენები იმდენად დაახლოვდა, რომ ყველგან ეჯახება ერთმანეთს. სწორედ ამ პრობლემების გადაჭრას ეხება პოსტმოდერნიზმი. იგი დროს არ აქცევს ზურგს, პირიქით მას მოჰყვება ფეხდაფეხ.

თანამედროვე დასავლურ კულტურაში პოსტმოდერნიზმი თავისი მასშტაბით გლობალურ სფეროს - სამყაროს აღქმას ეხება. აქ პირველ პლანზე გამოდის ადამიანის ღრმად ემოციური, შინაგანად განცდილი რეაქცია იმ სამყაროზე, რომელშიც იგი არსებობს.

პოსტმოდერნიზმის ყველა თეორეტიკოსისათვის მნიშვნელოვანია ჟ.ფ. ლიოტარის ნაშრომის – „პოსტმოდერნიზმის ხვედრი“ (ლიოტარი 1994:32). ლიოტარის თვალსაზრისი მდგომარეობს იმაში, რომ „თუკი ყველაფერს გავამარტივებთ რაღაც ზღვრამდე, მაშინ „პოსტმოდერნიზმში“ იგულისხმება „მეტამოთხრობებისადმი“ უნდობლობა” (ლიოტარი 1994:24). „მეტამოთხრობებში“ იგი გულისხმობს ყველა იმ „ახსნით სისტემას“, რომელიც, მისი აზრით, ბურჟუაზიულ საზოგადოებას აყალიბებს და მას ემსახურება თვითგამართლების სისტემად: რელიგია, ისტორია, მეცნიერება, ფსიქოლოგია, ხელოვნება (სხვანაირად რომ ვთქვად, ნებისმიერი „ცოდნა“). ლიოტარისთვის პოსტმოდერნიზმის საუკუნე მთლიანობაში ხასიათდება „დიდი მეტამოთხრობების“ რწმენის ეროზიით. ეს არის ის „მეტამოთხრობები“, რომლებიც რეალობაზე გვაწვდიან წარმოდგენას და ხსნიან მას. მისი თვალსაზრისით, დღეს ჩვენ „დიდი ისტორიების“ დამსხვრევის, დაქუცმაცების და უამრავი უფრო მარტივი, წვრილი, ლოკალური „ისტორია მოთხრობების“ წარმოჩენის მომსწრენი ვართ. პოსტმოდერნიზმის მეცნიერების დახასიათებისას ლიოტარი აცხადებს, რომ ეს მეცნიერება დაკავებულია „არასტაბილურობის ძიებით“. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ სამყაროში ამ დროს არსებულმა არასტაბილურობამ წარმოშვა ადამიანში ამბოხის გრძნობა და აქედან რევოლუციის მოხდენის სურვილმა გაიღვიძა ახალგაზრდებში. ახალგაზრდობა არის ის ძალა, რომელსაც შესწევს უნარი, ძალა და შესაძლებლობა გაუმკლავდეს ყველანაირ დაბრკოლებას.

უნდა ითქვას, რომ „პოსტმოდერნისტული ერის“ კულტურის გაბატონებული ნიშანია „ეკლექტიზმი“ (სხვადასხვა იდეური მიმართულებების ნებისმიერი უპრინციპო შეერთება). ეს არის საერთო კულტურის ნულოვანი დონე. ამ „შემეცნებითი ეკლექტიზმის“ მხარდაჭერაში მნიშვნელოვანი თუ არა, წამყვანი როლი უჭირავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ან როგორც მათ უწოდებს ლიოტარი „ინფორმატიკა-ს“. ეს უკანასკნელი ცხოვრების ჰედონისტურ ურთიერთობებს ქადაგებს. ასეთ პირობებში პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსთა ერთობლივი აზრით, „სერიოზული მხატვრისათვის“ შესაძლებელია მხოლოდ ერთი პერსპექტივა – „ენობრივი თამაშის პოლიტიკის“ წარმოსახვითი დეკონსტრუქცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ენობრივი

შემეცნების „ფიქციური ხასიათი“ (ვინოკი 1997:214). აქედან გამომდინარეობს პოსტმოდერნისტული ხელოვნების სპეციფიკა, რომელსაც წინა პლანზე გამოყავს წარმოუდგენელი, წარმოუსახავი თვით წარმოსახვაში... იგი უარს ამბობს, თავი დაიმშვიდოს შესანიშნავი ფორმებით, გემოვნების კონსენსუსით. ამასთანავე ეძებს გამოხატვის ახალ ფორმებს, მაგრამ არა იმისათვის, რომ მისგან მიიღოს ესთეტიკური სიამოვნება, არამედ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დიდი სიმწვავით გადმოსცეს იმის შეგრძნება, რისი წარმოდგენაც შეუძლებელია. პოსტმოდერნისტი მხატვარი ან მწერალი ფილოსოფოსის მდგომარეობაში იმყოფება: ტექსტი, რომელსაც ის წერს, ნახატი, რომელსაც ქმნის, არ ემორჩილება წინასწარ დაგეგმილ წესებს; იგი არ შეიძლება შევაფასოთ საზოგადოდ ცნობილი კრიტერიუმებით. ეს არის წესები და კატეგორიები, რომელსაც ეძებს თვით ხელოვნების ნაწარმოები (ვინოკი 1997:564).

XIX-XX საუკუნეებში სხვადასხვა მეცნიერებების – ბიოლოგიიდან კოსმოლოგიამდე – ზეგავლენით რთული გახდა იმ წარმოდგენის დაცვა, რომ ადამიანი არის კოსმოსის ცენტრი: ბოლოს და ბოლოს ეს წარმოდგენა გახდა უსაფუძვლო და უაზრო. ამიტომ პოსტმოდერნისტული შეხედულებით სამყაროს მოდელის შექმნის ნებისმიერი მცდელობა, უაზროა. ხოლო პოსტსტრუქტურალისტები უარყოფითად უდგებიან „ზრდის“ ან „პროგრესის“ იდეას მეცნიერული ცოდნის სფეროში და სოციალურ - ისტორიული განვითარების პრობლემას. პოსტსტრუქტურალისტები რაციონალობის პრინციპს თვლიან „გონების იმპერიალიზმის“ გამოვლინებად, რომელიც თითქოსდა ზღუდავს გონების მუშაობის და წარმოსახვის „სპონტანურობას“. ისინი საკუთარ შთაგონებას ღებულობენ არაცნობიერიდან. აქედან გამომდინარეობს ის მოვლენა, რასაც მკვლევარები უწოდებენ „ავადმყოფურად პათოლოგიურ მოჯადოებას“, ირაციონალიზმს. ისინი უარყოფენ მთლიანობის, ერთიანობის კონცეფციას და არასტაბილურობის, წინააღმდეგობრიობის, ფრაგმენტულისა და შემთხვევითისაკენ მისწრაფებას. პოსტსტრუქტურალიზმი წარმოადგენს დასავლურ საზოგადოებაში არსებული ყველა „პოზიტიური ჭეშმარიტების“ „მეთოდოლოგიურ ეჭვს“.

პოსტსტრუქტურალისტები უპირველეს ყოვლისა არიან „მეტაფიზიკური დისკურსის“ კრიტიკოსები. ამის გამო თანამედროვე მეცნიერები პოსტსტრუქტურალიზმს მიიჩნევენ, როგორც „ენის კრიტიკის“ მიმართულებას. აქ გაერთიანებულია გ. ფრეგესა (1848-1925) და ფ. ნიცშეს (1844-1900) ტრადიციები ერთის მხრივ და მ. ჰაიდეგერის მეორეს მხრივ. თუკი კლასიკური ფილოსოფია

ძირითადად დაკავებული იყო შემეცნების პრობლემებით, ანუ აზრობრივ და მატერიალურ სამყაროს შორის ურთიერთობებით, მთელი დასავლური თანამედროვე ფილოსოფია პრაქტიკულად განიცდის თავისებურ „შემობრუნებას ენისაკენ“ (**a linguistic turn**). იგი ყურადღების ცენტრში აყენებს ენას და ამიტომ მათთან შემეცნებისა და აზროვნების საკითხები იძენენ წმინდა ენობრივ ხასიათს. შედეგად მეტაფიზიკის კრიტიკაც იძენს დისკურსის ან როგორც ეს ფუკოსთანაა, „დისკურსული პრაქტიკების“ კრიტიკის ფორმას. მიშელ ფუკოს ადამიანის ყველა ქმედება, აზროვნება „დისკურსულ პრაქტიკებამდე” დაყავს. მ. ფუკო, როგორც 60-იანი წლების სხვა ფრანგი სტრუქტურალისტები, თვლიდა, რომ არსებობს რაღაც გლობალური პრინციპი, რაღაც „სტრუქტურა სხვა სტრუქტურამდე“ (ფუკო 1966:89), რომლის კანონებიდანაც წარმოიქმნება, „შედგება“ და ფუნქციონირებს ყველა დანარჩენი სტრუქტურა. ამ ეპოქაში ამ დომინანტურ სტრუქტურას გააჩნია ენობრივი ხასიათი და იგი გაიგივებული იყო ენასთან. მ. ფუკოს აზრით, „ამ სისტემას და ამ ენას გააჩნია ტრანსფორმაციის საკუთარი კანონები“. იგი თვლის, რომ თითოეულ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში სპეციფიური ეპისტემა არსებობს. განსხვავებულ ინტერპრეტატორებთან ეპისტემამ განსხვავებული ახსნა მიიღო, თუმცა მისი ძირითადი აზრი ისევ ის დარჩა: ეპისტემა არის ენობრივი აზროვნების სპეციფიური ხასიათი, რომელიც ადამიანისათვის გაუცნობიერებელი სახით არსებითად განსაზღვრავს მისი ქმედების ნორმებს, გარე სამყაროს ფენომენთა სპეციფიკურ გაგებას, მისი ხედვის ოპტიკას და სინამდვილის აღქმას. იგი წარმოქმნილია სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების დისკურსებისაგან. ამ დისკურსების მრავალფეროვნების მიუხედავად, ფუკოს აზრით, ისინი ცოდნის ერთიან სისტემას – ეპისტემას - ქმნიან. თავის მხრივ იგი თანამედროვეთა სამეტყველო პრაქტიკაში გამოიყენება, როგორც მკაცრად განსაზღვრული ენობრივი კოდი – მითითებები და აკრძალვები. ეს ენობრივი ნორმა თითქოსდა არაცნობიერად განსაზღვრავს ენობრივ ქცევას და შესაბამისად ცალკეული ინდივიდების აზროვნებას (ფუკო 1966:12). ამრიგად, მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ საზოგადოების თითოეული ფენისათვის დამახასიეთებელია დისკურსის განსაკუთრებული ტიპი. დისკურსის წარმოქმნისას საზოგადოების წევრები თავიანთი ფენისათვის დამახასიათებელ ტიპს არჩევენ და ამის მიხედვით აწყობენ საუბარს. აღსანიშნავია, რომ 68 წლის მაისის გამოსვლებში საზოგადოების სხვადასხვა წევრები (მმართველი და მართული კლასი) მონაწილეობდნენ და საინტერესოა მათი დისკურსი, რასაც შემდეგ თავებში განვიხილავთ.

ამგვარად, პოსტმოდერნისტებისა და პოსტსტრუქტურალისტ - დეკონსტრუქტივისტების თეორიებმა, რევოლუციურმა იდეებმა სრულიად ახალი მიმართულება მისცეს ფილოსოფიურ აზრს. პოსტმოდერნისტ - პოსტსტრუქტურალისტი ფილოსოფოსები მოღვაწეობდნენ უნივერსიტეტებში და ეს ყველაფერი ხდებოდა უნივერსიტეტის წიაღში. შეგვიძლია ადვილად წარმოვიდგინოთ თუ რა გავლენა ჰქონდათ მათ ამ სტუდენტური მოძრაობის მომზადებაში. ჩვენ რომ წავიკითხოთ რობერ მერლის რომანი „Derrière la vitre“ (მერლი 1970), იქ ჩანს, თუ რა გავლენა ჰქონდათ პროფესორ-მასწავლებლებს სტუდენტების ცხოვრებაზე და მათი აზრის ფორმირებაზე. ამდენად კარგად გამოიკვეთა ის, რომ ასეთმა ფილოსოფიურმა ფონმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1968 წლის ამ მოვლენებზე, ხალხის აზროვნებაზე. სტუდენტების მიზანი, როგორც ამას ერთ-ერთი სტუდენტი აცხადებდა რ. მერლის რომანში, იყო: „ Quel est notre but, c’est de faire chier le pouvoir et non pas de l’aider à nous en faire baver, sans bénéficier pour personne et même pour les camarades qui sont déjà en taule”(„ჩვენი მიზანია გული გავუწყალოთ ხელისუფლებას და არ მივცეთ საშუალება, გაგვასულელონ”) (მერლი 1970:112). როცა რობერ მერლმა გადაწყვიტა ამ წიგნის დაწერა, სტუდენტებს სთხოვა მასთან მისულიყვნენ და გულწრფელად გამოეთქვათ თავიანთი აზრები. მან მათ გაანდო თავისი სურვილი - წიგნი დაეწერა ამ მოვლენებზე. იგი ყოველგვარი ნიღბის, აკრძალვებისა და ირონიის გარეშე აცხადებს, რომ პროფესორ-მასწავლებლები საინტერესონი რომ იყვნენ, მთავარი არ არის პირის გაღება, საკმარისია მოსმენა: „Je remarquerai alors non sans un retour ironique qu’un professeur n’a pas besoin d’ouvrir la bouche pour être intéressant. Il lui suffit d’écouter”(„მე შევამჩნიე, რომ არ არის აუცილებელი მასწავლებელმა ილაპარაკოს იმისათვის, რომ ის საინტერესო იყოს. მისთვის მოსმენაც კი საკმარისია”) (მერლი 1970:117).

60-იანი წლების თაობა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო XX საუკუნეში. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო ზნეობრივი პროტესტი და გარე სამყაროთი უკმაყოფილება, ეს იყო „საერთო წინააღმდეგობის“, სულიერი მარტოობის პოზიცია. ხალხმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, ირწმუნეს, რომ მათ შეუძლიათ სამყაროს შეცვლა, არსებულის დანგრევა და უკეთესი მომავლის აშენება. ამაში ისინი დაარწმუნა ამ ახალმა მიმართულებამ. სწორედ ასე დაიწყო 1968 წლის მაისის ხალხის მასობრივი გამოსვლები.

1968 წლის მაისმა გამოიწვია დიდი რეზონანსი ფრანგი ფილოსოფოსების წრეში, რომლებიც ამ მოვლენებს განიხილავდნენ, როგორც მთელი დასავლური

საზოგადოების კრიზისს. ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს პირობით მიჯნად, პოსტმოდერნისტული სამყაროს ხედვის ჩამოყალიბების სიმბოლოდ. ამასთანავე ამ მოვლენებთან დაკავშირებულია პოსტსტრუქტურალიზმის დამოუკიდებელი იდეური მიმდინარეობა, რომელმაც უშუალოდ ჩამოაყალიბა პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიური ბაზა. ასევე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ 1968 წლის გავლენა საფრანგეთში „ახალი ფილოსოფოსების სკოლის" შექმნაზე, რომელიც წარმოადგენს პოსტმოდერნისტული ფილოსოფიის ერთ-ერთ ვერსიას.

ამგვარად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პოსტმოდერნიზმი წარმოადგენს სამყაროს შეცნობის, მისი აღქმის სპეციფიკურ ხერხს, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, რაც კარგად გამოჩნდა ფრიდრიხ ნიცშეს გამონათქვამში „ღმერთი მოკვდა" ანუ აქედან დაიწყო უიმედობა და სამყაროს, როგორც ქაოსის, სპეციფიური ხედვა. თუკი არ არსებობს ღმერთი, არ არსებობს არანაირი მორალური საზღვარი და ადამიანი მარტოა ამ ქაოტურ სამყაროში. უიმედობის მიუხედავად, ასეთმა ხედვამ წარმოშვა სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლის სურვილი. ამ ეპოქაში წარმოიქმნა პოსტმოდერნისტული ინდივიდუალიზმი, რომელიც დაინტერესებული იყო ცხოვრების ხარისხის დონით. მნიშვნელოვანი გახდა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ავტონომიურობა, თავისუფლება, ასევე ბედნიერების ინდივიდუალური აღქმა. ასეთმა ჰიპერინდივიდუალურობამ გაამწვავა პროტესტი სოციალური დამცირების ყველა ფორმის მიმართ და დიდი გავლენა მოახდინა ენობრივ ურთიერთობებზე. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში არსებობს სპეციფიური ეპისტემა – „პრობლემური ველი", რაც მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების დისკურსებს. იგი ქმნის ცოდნის ერთიან სისტემას (ეპისტემა). იგი რეალიზებულია სამეტყველო პრაქტიკაში, როგორც მკაცრად განსაზღვრული ენობრივი კოდი, ნორმა, რომელიც თითქოსდა არაცნობიერად განსაზღვრავს ენობრივ ქცევას და შესაბამისად ცალკეული ინდივიდების აზროვნებას. ამრიგად, ეპისტემა შეესაბამება ენობრივი აზროვნების სპეციფიურ ხასიათს, მისი ქმედების ნორმებს, გარე სამყაროს ფენომენთა სპეციფიკურ გაგებას, მისი ხედვის ოპტიკას და სინამდვილის აღქმას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ეპისტემის რღვევამ განაპირობა საფრანგეთში 1968 წლის ხალხის მასობრივი გამოსვლები.

2. არგუმენტაციის როლი პრეზიდენტ შარლ დე გოლის დისკურსში

ჩვენი კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს 1968 წლის მაისის სტუდენტური გამოსვლების დროს ფრანგი ხალხისა და საფრანგეთის მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადებების ფონზე იმ ხერხების გამოკვლევა, რომელსაც ისინი იყენებდნენ კომუნიკაციის დასამყარებლად. აქედან გამომდინარე მსჯელობა კომუნიკაციის საკითხზე აგებულია სხვადასხვა მეცნიერთა მიერ შექმნილი დისკურსული ანალიზის მოდელის საფუძველზე. ამოსავალი ჩვენთვის არის ჟ.ფონტანილის, კ.ბეილონის, მ.მაკაროვის მოსაზრებები, თუმცა ძალზე რთულია განვსაზღვროთ, თუ სად წყდება ფონტანილისა და ბეილონის მეთოდების გამოყენება და იწყება მეორის „ბატონობა". ჩვენ გვაინტერესებს დისკურსი, როგორც მეტყველების გამოყენება პრაქტიკულ სიტუაციაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში; დისკურსი, როგორც სოციალური ინტერაქცია, როგორც გარკვეული ზემოქმედების მოხდენის სურვილი, თუმცა კვლევაში მაინც გამოყოფილია პოლიტიკური დისკურსი, როგორც არგუმენტაციის და ძალაუფლების გამოვლენისა და შენარჩუნების საშუალება.

უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური დისკურსი მრავალი თეორიული და ემპირიული კვლევის საგანს წარმოადგენს. საჯარო პერსონაჟთა ალოკუციები, პარტიების პროგრამები, პროპაგანდისტული შეტყობინებები შეადგენენ პოლიტიკური დისკურსის კვლევის საგანს. ეს კი თანამედროვე საზოგადოებაში აყალიბებს ძალაუფლების განხორციელების სიმბოლურ ველს (ბეილონი 1996:235; ტუშარი 1978:143).

ამერიკელი მემარცხენე დეკონსტრუქტივისტები – მ. რაიანი, ფ. ჯეიმსონი, ფ. ლენტრიკია – "დისკურსულ პრაქტიკებს" შეისწავლიან როგორც რიტორიკულ კონსტრუქტებს. ისინი გაბატონებული იდეოლოგიების ძალაუფლებას უზრუნველყოფდნენ ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში. ამ თვალსაზრისით პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველი კლასის იდეოლოგია დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროზე, სავსებით იმონებს ინდივიდის ცნობიერებას. შედეგად, აზროვნების ყველა საშუალება, როგორც დისკურსის ლოგიკური მსჯელობა იძენს ერთგვაროვან, "ერთგანზომილებიან" ხასიათს, გ. მარკუზეს აზრით, რადგან იგი არ შეიძლება ემსახურებოდეს მმართველი იდეოლოგიის ან ლენტრიკიას (შვარცენბერგი 1988:134) სიტყვებით რომ ვთქვათ, მმართველი ძალის ინტერესებს.

ჟ. დერიდა (ილიინი 2002:217), როგორც სხვა თანამედროვე პოსტსტრუქტურალისტები, ფრანკფურტის სკოლის თეორიტიკოსთა ლოგიკას

ემხრობა, კერძოდ კი ადორნოს (ილიინი 2002:217). ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ ნებისმიერი სტანდარტული ენა, ენა-კლიშე არის მმართველი იდეოლოგიის განმტკიცების საშუალება და მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანი მოერგოს არსებულ წყობას. ადორნოს აზრით, ამ იდეას გააჩნია აშკარად სოციალური ასპექტი და მისი მიზანია, ტოტალიტარულმა სისტემამ მართოს ან მოახდინოს ცნობიერების მანიპულაცია.

როგორც ამბობს ე. კოზერიუ მეტყველება "პოლიტიკურად დატვირთულია" (ბეილონი 2002:247), რადგანაც წარმოადგენს ერთი და იგივე ენის მქონე საზოგადოების წევრთა ურთიერთსოლიდარობის ნიშანს. ზოგჯერ ამბობენ კიდევაც, რომ ენა, როგორც გონებასა და მოქმედებას შორის შუამავალი, წარმოადგენს პოლიტიკური დათრგუნვისათვის, ეკონომიკური და სოციალური დისკრიმინაციისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

პოლიტიკური დისკურსი მდგომარეობს იმაში, რომ შთააგონო ადრესატებს, საზოგადოების წევრებს პოლიტიკურად სწორი მოქმედებების და/ან შეფასებების აუცილებლობა. მისი მიზანია არა აღწეროს (რეფერენცია), არამედ გააღვიძოს ადრესატში განზრახვა, საფუძველი ჩაუყაროს დარწმუნებას და აიძულოს მოქმედებისაკენ. მასზეა დამოკიდებული პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა (ბადალონი 1984:49; ბელენჟერი 1989:158). ამ მხრივ აღსანიშნავია საკუთარი მოსაზრების მტკიცებით გაძლიერება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის სიტყვიდან ერთ-ერთი ფრაზა - „საფრანგეთმა წააგო ბრძოლა, მაგრამ ომი არ წაუგია" (1940 წლის 18 ივნისი) (ონლაინ ენციკლოპედია wikipedia 2004 წლის 22 თებერვალი). ასევე ცნობილი ნაცისტების შეძახილი „Sieg Heil!" („გაუმარჯოს გამარჯვებას!").

პოლიტიკოსის მეტყველება (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ოპერირებს სიმბოლოებზე; მისი წარმატება განისაზღვრება იმით, რამდენად შეესაბამებიან ეს სიმბოლოები მასობრივ შეგნებას; ძლიერ პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს შეეხოს შესაბამის სიმს ადრესატის ცნობიერებაში. საკუთარ მხარეზე მსმენელის გადაყვანისას ყოველთვის არ მიმართავენ ლოგიკურ არგუმენტებს. ზოგჯერ საკმარისია პროპონენტმა გააგებინოს ადრესატს, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს შეესაბამება. ამ ინტერესების დაცვისას შეიძლება, იმოქმედო ემოციებზე, ითამაშო მოვალეობის გძრნობაზე, სხვა მორალურ განწყობაზე, (რასაც აკეთებდა შარლ დე გოლი 1968 წლის მაისის მოვლენების დროს), თუმცა შთაგონება ყოველთვის არ არის არგუმენტაცია.

როგორც აღნიშნავდა ე. შოპენჰაუერი „დარწმუნების ხელოვნება მდგომარეობს ადამიანის ურთიერთშემხები საგნების ძლივს შესამჩნევ, მოხერხებულ გამოყენებაში” (ბუდონი 1999:73). დარწმუნების წარმატება დამოკიდებულია პროპონენტის მიმართ განწყობაზე, სიმპათიაზე, ნდობის ხარისხზე, ხოლო ამ სფეროში ხელსაყრელი პოზიციების ხელში ჩაგდება დამოკიდებულია მოლაპარაკის ხელოვნებასა და მისი რეციპიენტის ხასიათზე (მაგალითად: ბრმა ნდობა ერთის მხრივ და პათოლოგიური ეჭვი მეორეს მხრივ). ადრესატის განწყობის შეცვლა სასურველი, საჭირო მიმართულებით შესაძლებელია მხოლოდ მეტყველების წარმატებით წარმართვით. უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ მსმენელი თვითონ ძალაუნებურად იღებს სხვის აზრს, ინტერესდება, კმაყოფილდება და ამით ორატორი წარმატებას აღწევს. მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ როცა მოჰყავთ რამდენიმე მოსაზრება რაიმე თეზისის დასაცავად, პირველი მოსაზრების წარმატება ან წარუმატებლობა მოქმედებს შემდეგზე. თუკი პირველი პოზიტიურია, მაშინ მეორე უკვე დამაჯერებელი ხდება. როცა პირველი მოსაზრება ნეგატიურია, მაშინ იგი არ არის დამაჯერებელი.

რაკი ჩვენ გვაინტერესებს 1968 წლის მაისში ფრანგი ხალხის საყოველთაო გაფიცვის დროს გაკეთებული განცხადებები, პირველ რიგში განვიხილავთ იმ ორატორის დისკურსს, რომელიც ძლიერ სიტყვას წარმოთქვამდა და მოხერხებული, მარჯვე მოსაუბრე იყო – მხედველობაში გვყავს სახელმწიფო მეთაური, საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი. 1968 წლის 18 მაისს შარლ დე გოლი დაბრუნდა რუმინეთიდან და შეეცადა, მოეგვარებინა ქვეყანაში არსებული პრობლემა. მან საყოველთაოდ განაცხადა: "La réforme oui, la chienlit non"(„რეფორმა კი, არეულობა არა”) (ტუშარი 1978:283). ხოლო უკვე 24 მაისს დაპირდა ხალხს, რომ შეცვლიდა განუვითარებელ, დრომოჭმულ და მოძველებულ სტრუქტურებს, მაგრამ ამ დაპირებით მან ისინი ვერ დაარწმუნა. ამ მოვლენების დროს იგი აცხადებდა: "Comme toujours dans les moments difficiles nous en appellerons au peuple" („როგორც ყოველთვის რთულ მომენტებში ჩვენ მივმართავთ ხალხს”) (დე გოლი 1996:1077). თავიდანვე პრეზიდენტი ცდილობდა ხალხის აზრზე ზეგავლენის მოხდენას და მათვე მოუწოდებდა დახმარებას.

ჩვენ სწორედ შარლ დე გოლის მიერ გამოყენებული დარწმუნების ხერხები გვაინტერესებს. კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დე გოლის მიერ წარმოთქმულ დისკურსს გააჩნია დეკლარაციული ილოკოციური მიზანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შეცვალოს გარე სამყარო მოხერხებული

გამონათქვამებით. ამ ტიპის გამონათქვამებში, როგორც ვიცით, მოლაპარაკე პირი დარწმუნებულია მოცემული მეტყველების აქტის წარმატებულ დასრულებაში. პრეზიდენტს გააჩნდა საკუთარი მოსაზრებები ამ სტუდენტური გამოსვლების შესახებ და სურდა, დაერწმუნებინა ხალხი საკუთარ სიმართლეში: "Tout le monde comprend évidemment, quelle est la portée des actuels événements, universitaires, puis sociaux. On y voit tous les signes qui démontrent la nécessité d'une mutation de notre société et tout indique que cette mutation doit comporter une participation plus étendue de chacun à la marche et aux résultats de l'activité qui le concerne directement" („ყველას, ცხადია ესმის, რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენებს უნივერსიტეტში, სოციალურ სფეროში. აქ ჩანს ყველა ის ნიშანი, რაც მიუთითებს ჩვენი საზოგადოების მუტაციის საჭიროებას და ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ამ მუტაციაში თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, რადგან ეს მათი საქმიანობის შედეგებზე პირდაპირ მოქმედებს") (ფორე 1998:99). შარლ დე გოლი ეთანხმება ხალხს, რომ მართლაც მათი უკმაყოფილება სამართლიანია და ეუბნება მათ იმას, რისი მოსმენაც სურთ მათ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლატონი (ძვ.წ.აღ V-IVსს) ამტკიცებს, რომ თუ ხალხს ეუბნები მხოლოდ იმას, რისი მოსმენაც მას უნდა, ვერ „გაზრდი" და ვერ ასწავლი.

იგი აცხადებდა, რომ სტუდენტების, ხალხის გამოსვლებში ხედავდა იმის ყველა ნიშანს, რომ საზოგადოებას ესაჭიროება მუტაცია და აშკარად ლაპარაკობდა საუნივესიტეტო კრიზისზე: "L'impuissance de ce grand corps à s'adapter aux nécessités modernes de la Nation en même temps qu'au rôle et à l'emploi des jeunes a par contagion déclenché dans beaucoup d'autres milieux une marée de desordres, ou d'abandons, ou d'arrêts du travail. Il en resulte que notre pays se trouve au bord de la paralysie. Devant nous-mêmes et devant le monde il s'agit pour nous, Français, de régler un problème essentiel que nous pose notre époque, à moins que nous ne roulions, à travers la guerre civile, aux aventures et aux usurpations les plus odieuses et les plus ruineuses" („ამ დიდი ორგანიზმის უძლურება ადაპტაცია მოეხდინა ერისა და ახლგაზრდების თანამედროვე მოთხოვნებთან და მათი მონაწილეობა გაეთვალისწინებინა, ამან სხვა სფეროებშიც გამოიწვია არეულობა, უმწეობა, სამუშაოს შეჩერება. ამის გამო ჩვენი ქვეყანა პარალიზებულია. ჩვენ, ფრანგებმა, უნდა მოვაგვაროთ ის ძირითადი პრობლემა, რომელსაც ჩვენი ეპოქა გვიყენებს წინ, რათა სამოქალაქო ომამდე, საშინელ და დამანგრეველ უზურპაციებამდე არ მივიდეთ") (ფორე 1998:99). პრეზიდენტი თავისი მესიჯით ცდილობდა გარკვეული კლიმატი შეექმნა საზოგადოებაში, რათა მომავალი პოლიტიკური ცვლილებები უმტკივნეულოდ გატარებულიყო. იგი

ცდილობდა, რომ მათ ქვეცნობიერებაში შეუმჩნევლად დალექილიყო მისი აზრები და ქვეცნობიერად მოეხდინა ზეგავლენა.

საქმე ეხებოდა მთავარი პრობლემის გადაჭრას, რომ შეეცვალათ ვიწრო და დრომოჭმული სტრუქტურები: "de changer où il le faut des structures étroites et périmées et ouvrir plus largement la route au sang nouveau de la France" („შევცვალოთ იქ, სადაც საჭიროა ვიწრო და დრომოჭმული სტრუქტურები და ფართედ გავუღოთ კარი საფრანგეთის ახალ თაობას") (ფილოზოფი 1969:110).

ტექსტის ზედაპირული ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ მასში შეიმჩნევა შემდეგი სტრუქტურა: პრეზიდენტი წარმოადგენდა ფაქტებს, რჩევებს, დარიგებებს აძლევდა ხალხს და მოუწოდებდა გაერთიანებისაკენ: "Que tous forment ensemble une société", "parce qu'une pareille réforme, personne et moi non plus ne peut le faire tout seul. Il faut qu'elle soit suffisamment consentie et il faut que les circonstances s'y prêtent" („ყველამ ერთად უნდა შევქმნათ საზოგადოება"... „რადგან ამგვარი რეფორმის ჩატარება არც მე და არც სხვას მარტო არ შეუძლია. ეს შეთანხმებულად უნდა მოხდეს და გარემოებებმაც უნდა შეუწყოს ხელი") (დე გოლი 1996:1078).

ამ მაგალითებში კარგად ჩანს, რომ ის ცდილობდა ძალაუფლებისა და გავლენის გამყარებასა და შენარჩუნებას. ამისათვის მას სურდა ხალხის შეხედულებების შეცვლა კარგად არგუნტირებული დისკურსის დახმარებით.

იგი აცხადებდა, რომ რეფორმა საჭიროა: "Il s'agit là d'une réforme organisant les rapports humains, notamment dans les domaines économique, social et universitaire, de telle sorte que tous les intérssés, sur les sujets qui les concernent directement, prennent part aux étapes, projets et débats à partir desquels les décisions sont prises pas les responsables" („საქმე ეხება რეფორმას ეკონომიკაში, სოციალურ და საუნივერსიტეტო სფეროში ისე, რომ ყველა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს მონაწილეობა ამ ეტაპებში, პროექტებში და დებატებში, გადაწყვეტილების მიღებაში") (ფორე 1998:112).

თუმცა დე გოლი გვიან მიხვდა, რომ ისტორიამ გაუსწრო, წინ წავიდა და რომ მომავალი სწორედ ამ სტუდენტების - ახალი ძალის ხელშია.

ჩვენი აზრით, პრეზიდენტის ამ დისკურსში ყოველი აზრი გარდაქმნილი იყო არგუმენტად, რათა დაერწმუნებინა ხალხი. აღსანიშნავია, რომ დე გოლი ზუსტად იცავდა ო. დიუკროს საუბრის კანონებს (*les lois du discours*), კერძოდ კი გულწრფელობისა და ინტერესის კანონებს, რომლის მიხედვითაც არ უნდა ვუთხრათ სხვას ის, რაც ჩვენ არ გვაინტერესებს (დუკრო 1987:310). ამით აიხსნება უცხოსთან საუბრის წამოწყების სირთულე; როცა არ იციან, რა ელაპარაკონ სხვას, არსებობს ე. წ. ყველგან გამავალი თემები, მაგალითად, საუბარი ამინდზე

და ა.შ. მაგრამ საერთოდ ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ მეტყველებას ყველას თავს ახვევენ, რაც თითქოს თავისთავად საინტერესოა. ასე იქცეოდა შარლ დე გოლი და აცხადებდა: "Certes dans la situation bouleversée d'aujourd'hui, le premier devoir de l'Etat, c'est d'assurer, en depit de tout, l' existence élémentaire du pays ainsi que l'ordre public. Il le fait . . . Il y est prêt . . . De là, des troubles profonds, surtout dans la jeunesse, qui est soucieuse de son propre rôle et que l'avenir inquiète trop souvent" („რა თქმა უნდა, დღევანდელ მღელვარე სიტუაციაში სახელმწიფოს პირველი მოვალეობაა, მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანაში ნორმალური ვითარება და სახალხო წესრიგი დაამყაროს. ის ამას გააკეთებს ... ის ამისთვის მზად არის ... აქედან გამომდინარეობს მღელვარება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რომლებიც დაინტერესებული არიან საკუთარი როლით და ღელავენ საკუთარ მომავალზე") (დე გოლი 1996:1077).

„Adapter notre économie, non pas à telle ou telle catégories d'intérêts particuliers, mais aux nécessités nationales, et internationales du présent, en améliorant les conditions de vie et du travail du personnel des services publics et des enterprises, en organisant sa participation aux responsabilités professionnelles, en développant la formation des jeunes, en assurant leur emploie, en mettant en oeuvre les activités industrielles et agricoles dans le cadre de nos régions" („ჩვენი ეკონომიკა უნდა მივუსადაგოთ არა კერძო ინტერესების მქონე ამა თუ იმ კატეგორიებს, არამედ ახლანდელ ეროვნულ თუ საერთაშორისო საჭიროებებს, გავაუმჯობესოთ ცხოვრებისა და სამუშაო პირობები საჯარო მოსამსახურეებისათვის ისევე, როგორც კერძო პირებისათვის. მათ უნდა მიიღონ მონაწილეობა პროფესიულ განვითარებაში, ახალგაზრდების ფორმირებაში, იზრუნონ მათ სამუშაოზე, აამუშავონ ჩვენი რეგიონების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა") (დე გოლი 1996:1078).

დე გოლი ცდილობდა, დაერწმუნებინა ხალხი თავისი მსჯელობის სისწორეში, იყენებდა რა გულწრფელობის კანონს და გულახდილად ესაუბრებოდა საკუთარი რეჟიმის უძლურ მდგომარეობაზე (ხალხმა ეს ხომ ისედაც იცოდა, მაგრამ ამით პრეზიდენტი ამახვილებდა მათ ყურადღებას იმაზე, რომ მანაც ეს ძალიან კარგად იცოდა და ეცდებოდა მდგომარეობის გამოსწორებას), რომ იგი ვერ მისდევდა ფეხდაფეხ თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ ჰპირდებოდა მათ ერთად დგომისა და მხარდაჭერის შემთხვევაში სიტუაციის გამოსწორებას. გამოცდილი დიპლომატი და ჭკვიანი პოლიტიკოსი ყოველთვის მიდის დათმობებზე, იზიარებს ხალხის მოსაზრებებს და ეთანხმება მათ იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი ასე არ ფიქრობს. ასეთი ქმედება არის

ხალხის დარწმუნების ერთადერთი გზა – დაიჭირო მათი მხარე და ამით მიაღწიო წარმატებას. წარმატების მიღწევა პოლიტიკურ არენაზე კი პოლიტიკოსებისათვის უმთავრესი მიზანია. მმართველ კლასს გააჩნია ძალაუფლება, სარგებლობს მატერიალური კეთილდღეობით და მნიშვნელოვანი პრესტიჟით. მათთვის ხელისუფლებიდან წასვლა ნიშნავს, ჩაეფლოს არარაობაში, დაკარგოს ყველაფერი. ამიტომ ისინი ცდილობენ, იყვნენ ხელისუფლებაში, არ დაკარგონ არსებული ძალაუფლება და ამისათვის იყენებენ ყველა საშუალებას. მათთვის მიზანი ამართლებს საშუალებას. ამიტომ ხელისუფლება ცდილობს წინააღმდეგობრივი ინტერესების შეთანხმებას (შვარცენბერგი 1988:136; გარანდო 1998:113; პეტიტფისი 1977:13; ვინოკი 1995:34).

დროისეულ ღერძზე პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელია წარმოსახვითი დისტანციის წარმოდგენა, რომელიც არსებობს „ახლას'' (რაც არის) და „მომავალს'' (იდეალი) შორის. სწორედ აქ იშლება დაპირისპირების პირობითი ფორმულა: თუ ხალხი მას მიანიჭებს ძალაუფლებას (რათა მან ისინი მართოს), მომავალი უფრო საინტერესო, სასურველი და უღრუბლო იქნება. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს მეტყველების აქტის ეფექტურობა პოლიტიკურ დისკურსში. ამ კუთხით პოლიტიკური დისკურსი არის ძირითადად "პროგრამული" სახის (**programmatique**). იგი წარმოადგენს საქმის ვითარებას (დიაგნოსტიკა) და ასევე გეგმას მისი ტრანსფორმაციისათვის (ფართო გაგებით: ცვლილება ან რეპროდუქცია). ამისათვის საჭიროა სამოქმედო პროექტი და შესაბამისად, უნდა მოუხმო ნებელობას, შემეცნებასა და მოდალურ ლოგიკას (საჭიროებასა და საშუალებას). ის, ვინც ლაპარაკობს (პოლიტიკოსი), აცხადებს, რომ მან უნდა გააკეთოს, იცის როგორ გააკეთოს და შეუძლია გააკეთოს. ა.ჟ. გრიემასი გვთავაზობს კომპეტენციის მოდალიზაციის ოთხ კატეგორიას: ნება-სურვილი (**volonté**), ვალდებულება (**devoir**), შესაძლებლობა (**pouvoir**) და ცოდნა (**savoir**). პირველი ორი "ვირტუალური მოდალობაა", ორი დანარჩენი "აქტუალური მოდალობა" (გრეიმასი 1987:127). ამ მოდალობების შესწავლამ დაადასტურა, რომ შესაძლებლობის (pouvoir) მოდალობის გამოყენება ყველაზე ხშირია პოლიტიკოსებში, თუმცა სხვადასხვა პოლიტიკოსები განსხვავებულად უდგებიან ამ საკითხს. პრეზიდენტ დე გოლის გამოსვლისას შეიმჩნევა ოთხივე მოდალობის გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკოსი თავის თავში და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულია, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი კი ყოველთვის დაარწმუნებს სხვას, მაგრამ იგი თავიდანვე აჩვენებს კონკრეტულ

მიზეზს – მოტივს – "მე ვლაპარაკობ, არა იმიტომ, რომ მინდა, არამედ იმიტომ, რომ საჭიროა".

პოლიტიკური ენა გასხვავდება ჩვეულებრივისგან იმით, რომ მასში პოლიტიკური ლექსიკა ტერმინოლოგიურია. ჩვეულებრივი, წმინდად პოლიტიკური ენობრივი ნიშნები ყოველთვის არ გამოიყენება ისე, როგორც ჩვეულებრივ ენაში. კვლევისას დავადგინეთ, რომ დე გოლის პოლიტიკური დისკურსისათვის ასევე დამახასიათებელია ლექსიკონში ისეთი მახასიათებელი ნიშნების გამოყენება, როგორიცაა:

ა). მიმართება საზოგადოებასთან, ეროვნულ თვითმყოფადობასთან, პატრიოტიზმთან. დე გოლთან იგი ასეთია "Peuple, Notre société, La Nation, La France, La République, L'Etat, le gouvernement, Vive la République, Vive la France", რაც აძლიერებს ხალხის დარწმუნების ხარისხს;

ბ) მიმართება არსებულ დროსთან და საჭიროებებთან – "notre siècle, necessités modernes".

გ) მიმართება ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა – "domains économique, social et universitaire".

დ) მის გამოსვლაში გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საკითხებს, როგორიცაა "l'emploi des jeunes, ouvrir largement la route au sang nouveau de la France". ამით მას სურდა მოეხიბლა ახალგაზრდები, ჩაესახა მათთვის იმედები, გაეზარდა მათი ინტერესი და საბოლოოდ მოეპოვებინა სტუდენტების ნდობა. ამით იგი არწმუნებდა ხალხს, რომ მისი მთავრობის სოციალური პოლიტიკა გაუმჯობესდება, რადგან მთავრობის პრინციპები, ღირებულებები კეთილშობილური იყო და მალე მათი ცხოვრების დონე აიწევდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი მასობრივი გამოსვლებისას ძნელია აღელვებული, ამბოხებული, არსებული ვითარებით დაღლილი ხალხი დაარწმუნო, თუკი უკან არ დაიხევ და მნიშვნელოვან, სერიოზულ გადაწყვეტილებას არ მიიღებ.

„Depuis bientôt trente ans, les événements m'ont imposé, en plusieurs graves occasions, le devoir d'amener notre pays à assumer son propre destin afin d'empêcher que certains ne s'en chargent malgré lui. J'y suis prêt, cette fois encore. Mais cette fois encore, cette fois surtout, j'ai besoin – oui, j'ai besoin!- que le peuple français dise qu'il le veut"(„უკვე ოცდაათი წელია ისე მოხდა, რომ მრავალჯერ მძიმე მდგომარეობაში მე მომიწია გარკვეული როლი შემესრულებინა ჩვენი ქვეყნის ბედისწერაში, რომ ეს სხვებს არ აეღოთ საკუთარ თავზე. ამჯერადაც მე მზად ვარ. მაგრამ ამჯერად განსაკუთრებით მე

მჭირდება – დიახ, მე მჭირდება- რომ ფრანგმა ხალხმა თქვას, რომ მას ეს უნდა”) (დე გოლი 1996:1078).

დე გოლი ხალხს ეუბნებოდა, რომ ერთადერთი სწორი და დემოკრატიული გზა არის რეფერენდუმი: "Compte tenu de la situation. . . sur la proposition du Gouvernement, j'ai decidé de soumettre aux suffrages de la Nation un projet de loi par lequel je lui demande de donner à l'Etat et d'abord à son chef un mandat pour la rénovation" („ვითარების გათვალისწინებით მთავრობის შემოთავაზებით გადავწყვიტე რეფერენდუმზე გავიტანო კანონპროექტი, რომლითაც მე ვითხოვ მანდატის განახლებას”) (დე გოლი 1996:1079). მან ამ მძიმე მდგომარეობაში გადაწყვიტა ასეთი გზით ეპოვნა გამოსავალი.

ჩვენ ვთვლით, რომ აქ საქმე ეხება არგუმენტაციის ერთ-ერთ სახეს, რომელსაც უწოდებენ *"amplification" – მრავალსიტყვაობა*, როცა რაიმეს გამოყოფა სურთ და მასზე დიდხანს ლაპარაკობენ და ეს აუდიტორიის ინტერესს ზრდის ამ ფაქტის მიმართ (ბრეტონი 1996:18). აქ აშკარად ჩანს, რომ დე გოლს არ უნდოდა საკუთარი პოზიციების დათმობა (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ იმას, რომ მას არ სურდა გადადგომა). იგი ცდილობდა, რომ ამით ხალხი მიეზიდა და დარწმუნებული იყო, რომ ისინი მას გაჰყვებოდნენ და ნდობას გამოუცხადებდნენ. თუმცა აქვე აცხადებდა, რომ ხალხის უარის შემთხვევაში იგი აღარ შეასრულებდა თავის ფუნქციას: "Au cas où votre réponse serait: "Non!" il va de soi que je n'assumerais pas plus longtemps ma fonction. Si, par un "oui!" massif vous m'exprimerez votre confiance, j'entreprendrai avec les pouvoirs publics et j'espère, le concours de tous ceux qui veulent servir l’intérêt commun, de faire changer, partout où il le faut, des structures étroites et périmées et ouvrir plus largement la route au sang nouveau de la France" („იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი პასუხი იქნება „არა”, თავისთავად ცხადია, რომ მე აღარ შევასრულებ ჩემს მოვალეობას. თუკი პასუხი ქნება „კი”, და თქვენ გამომიცხადებთ ნდობას, მე ვითანამშრომლებ ხელისუფლებასთან და იმედი მაქვს, რომ შევცვლით ყველგან, სადაც საჭიროა ვიწრო და დრომოჭმულ სტრუქტურას და გზას მივცემთ საფრანგეთის ახალ თაობას”) (დე გოლი 1996:1077).

30 მაისს დე გოლმა კვლავ მიმართა ხალხს და არგუმენტირებულად წარმოადგინა თავისი გადაწყვეტილება. იგი აცხადებდა, რომ არსად არ წავიდოდა, რადგან ხალხისაგან მინიჭებული ჰქონდა მანდატი, რომელსაც ის შეასრულებდა ბოლომდე: "Etant le détenteur de la légitimité nationale et républicaine, j’ai envisagé, depuis vingt-quatre heures, toutes les éventualités, sans exception, qui me permettraient

de la maintenir. J'ai pris mes résolutions. Dans les circonstances présentes, je ne me retirerai pas. J'ai un mandat du peuple, je le remplirai" („როგორც რესპუბლიკის კანონმდებელმა, მე განვიხილე ოცდაოთხი საათის განმავლობაში არსებული მოვლენები და მივიღე გადაწყვეტილებები. მე არსად არ წავალ. მე ფრანგი ხალხის მანდატი მაქვს და მას შევასრულებ") (დე გოლი 1996:1079).

ჩვენი აზრით, აქ საქმე ეხება *ავტორიტეტის არგუმენტს*, როცა ავტორიტეტული პირის მოსაზრება მოჰყავთ; თუმცა აქ ავტორიტეტია ხალხი ანუ იგი ამბობდა, რომ – თქვენ მომეცით მანდატი და ბოლომდე შემასრულებინეთ ჩემი მოვალეობა. ჩვენი აზრით, როცა ასეთ რამეს ამბობს ქვეყნის მმართველი პირი, რომელსაც თავის დროზე ხალხმა ნდობა გამოუცხადა და მეორეჯერ აირჩია ქვეყნის პრეზიდენტად, ხალხი დაფიქრდება (მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველთვის არა) და იტყვის: მოდი ვცადოთ კიდევ, იქნებ მიხვდა თავის შეცდომას და ყველაფერი გამოსწორდეს. ამიტომ ასეთი სიტყვის წარმოთქმა თავისებურად წარმოადგენს ხალხის მხრიდან ნდობის მოპოვების გარკვეულ შანსს. აღსანიშნავია, რომ დე გოლი ყოველ თავის გამოსვლას ამთავრებდა ამ ფრაზებით: "Vive la Republique! Vive la France!" („გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს საფრანგეთს!"). ამით იგი ცდილობდა ხალხში გაეღვიძებინა პატრიოტული გრძნობა და დაენახვებინა მათთვის ქვეყნისა და ხალხის როგორი ერთგული იყო და რამდენს ნიშნავდა მისთვის ხალხის კეთილდღეობა. როგორც წესი, ხალხისა და პოლიტიკოსების ინტერესები არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა პოლიტიკოსები ყოველთვის ცდილობენ დაანახონ ხალხს, რომ ისინი ხალხის ინტერესებით ცხოვრობენ, იბრძვიან მათი კეთილდღეობისათვის და არა საკუთარი ინტერესებისათვის. ამიტომ ხალხი მათგან მოელის სერიოზულ გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვან ნაბიჯებს ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, მაგრამ საბოლოო ჯამში ამას ვერაფერს ვერ იღებს. საერთოდ, როგორც წესი, დემოკრატიულ ქვეყნებში მართული კლასი წლების განმავლობაში დაგროვილ უკმაყოფილებას გაფიცვით და მასობრივი გამოსვლებით გამოხატავს. სწორედ ფრანგი ხალხის პოზიციებს, მათ ინტერესებსა და ქმედებებს განვიხილავთ მომდევნო თავში.

ზემოთთქმულიდან შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სქემა:



ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ენა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს პოლიტიკური დათრგუნვისათვის, ეკონომიკური და სოციალური დისკრიმინაციისათვის. პოლიტიკოსი ენას იყენებს საკუთარი მიზნებისათვის. ჩვენ ამ თავში განვიხილეთ შარლ დე გოლის პოლიტიკური დისკურსი და ვნახეთ, რომ მის მიერ წარმოთქმულ დისკურსს გააჩნია დეკლარაციული ილოკოციური მიზანი. იგი დარწმუნებული იყო წარმოთქმული მეტყველების აქტის წარმატებულ დასრულებაში. დე გოლი იყენებდა გულწრფელობისა და ინტერესის (საუბრის) კანონებს, რაც მის დისკურსს დამაჯერებლობას მატებდა. პრეზიდენტი ასევე მიმართავდა არგუმენტაციას, კერძოდ იყენებდა ავტორიტეტის არგუმენტს. მხარდაჭერის შემთხვევაში იგი ხალხს ჰპირდებოდა სიტუაციის გამოსწორებას, იზიარებდა მათ მოსაზრებებს და ეთანხმებოდა, რადგანაც ეს იყო ხალხის დარწმუნების ერთადერთი გზა. დე გოლის გამოსვლაში შეიმჩნეოდა კომპეტენციის მოდალიზაციის ოთხივე კატეგორია: ნება-სურვილი, ვალდებულება, შესაძლებლობა და ცოდნა. იგი აცხადებდა, რომ მან უნდა გააკეთოს, იცის როგორ გააკეთოს და შეუძლია გააკეთოს. იგი დარწმუნებული იყო თავის თავში და საკუთარ შესაძლებლობებში. კვლევაში გამოვყავით, რომ პოლიტიკური ლექსიკა ტერმინოლოგიურია. წმინდად პოლიტიკური ენობრივი ნიშნები ყოველთვის არ გამოიყენება ისე, როგორც ჩვეულებრივ ენაში. დე გოლის პოლიტიკური დისკურსისათვის ასევე დამახასიათებელი იყო სპეციფიური

ტერმინების ხმარება. სწორედ ეს განაპირობებდა მისი მეტყველების აქტის ეფექტურობას.

3. კონცეპტოსფეროს როლი ფრანგი ხალხის ილოკუციურ გამონათქვამებში 1968 წლის საყოველთაო გაფიცვის დროს

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ მმართველი კლასის დისკურსი და მისი თავისებურებები. ამ თავში კი შევეცდებით მაქსიმალურად ზუსტად გადმოვცეთ მართული კლასის დისკურსი – სტუდენტთა (და მთელი ფრანგი ხალხის) მოთხოვნები, მათი აზრები და სურვილები. ჩვენ აქ კომუნიკაციას განვიხილავთ, როგორც ორმხრივ ურთიერთობას (და არა ერთმიმართულებიან პროცესს), როცა ინფორმაცია მიედინება ერთი პარტნიორიდან მეორისაკენ და პირიქით.

„სუდენტებს არ სურთ, გაიზიარონ თავიანთი მამების მომავალი; ჩვენ ვიყავით ლაჩრები, ტოტალური მორჩილებისაგან დაუძლურებულები, დაღლილები, სულიერად დაცემულები და დახურული სისტემის მსხვერპლნი . . . ძალადობა ერთადერთი გზაა იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც არ უნდათ, გაიზიარონ ჩვენი ბედი“ („Les étudiants ne veulent pas d’un avenir qui sera celui de leurs pères, c’est-à-dire le nôtre(…), un avenir qui a prouvé que nous étions des hommes lâches, épuisés, fatigués, avachis par une obéissance totale et complètement victimes d’un système clos…La violence est la seule chose qui reste, quel que soit le régime, aux étudiants qui ne sont pas encore entrés dans le système que leur ont fait leurs pères et qui ne veulent pas y entrer”) (ვინოკი 1997:565) – აცხადებდა ჟან-პოლ სარტრი (იხილეთ დანართი 2).

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს მხარს უჭერდა მთელი საზოგადოების ელიტა - ადამიანთა ის ჯგუფი, რომელშიც ყოველთვის მოწინავე იდეები იბადება (იხილეთ დანართი 3). სწორედ ისინი იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და საზოგადოების დანარჩენი წევრები – დაბალი კლასები – წამბაძველობით იღებენ მათ მოსაზრებებს. როგორც ვიცით, ინტელექტუალთა და ელიტის როლი ყოველთვის მნიშვნელოვანია სოციალური მოძრაობისათვის. სწორედ მათი ზეგავლენით ჩაეყარა საფუძველი ამ მოძრაობას. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების დანარჩენი ნაწილის, ჩვეულებრივ მოკვდავთა აზრი. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჰეროდოტე ხოტბას ასხამდა *„vox populi“*-ს. ნიკოლო მაკიაველი ამბობდა, რომ „ხალხისაგან უნდა დაიმსახურო სიყვარული, რადგან იგი ძლიერი და გავლენიანია” (შვარცენბერგი 1988:116).

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა 1968 წლის მაისში ფრანგი ხალხის მიერ გაკეთებული განცხადებები ენობრივი თვალსაზრისით,

კერძოდ გვაინტერესებს რომელ ილოკუციურ აქტებს იყენებდნენ და რა კონტექსტში, ასევე რა როლი ჰქონდა კონცეპტოსფეროს ფრანგი ხალხის ილოკუციურ გამონათქვამებში.

ყოველი მოლაპარაკე პირი არის გარკვეული კონცეპტუალური სისტემის მატარებელი და ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ საკითხის განხილვა. კონცეპტი ეს არის სიტყვებსა და ექსტრალინგვისტურ რეალობას შორის შუამავალი; ზოგიერთი ენათმეცნიერი თვლის, რომ ეს არის უფრო ფართო გაგება, ვოდრე ლექსიკური მნიშვნელობა. კონცეპტი სინამდვილის იმ მოვლენათა ერთობლიობაა, რომელიც აქტუალურია, ღირებულია მოცემული კულტურისათვის, გააჩნია ენობრივი ერთეულების დიდი რაოდენობა და შეადგენს ანდაზების, პოეტური და პროზაული ტექსტების თემას. კონცეპტის ცნება საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ იდეალური „მენტალური არსი“ ლინგვისტის თვალსაზრისით, რადგან იქმნება სიტყვის განზოგადოებული სახე ცნობიერების მოდელის ობიექტივირებით. კონცეპტი არის სემანტიკური წარმონაქმნი ლინგვოკულტურული სპეციფიკით და ამა თუ იმ ხატით, რომელიც გარკვეული ეთნოკულტურის წარმომადგენლებს ახასიათებს. კონცეპტი სიტყვის მნიშვნელობიდან უშუალოდ კი არ ჩნდება, არამედ წარმოადგენს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისა და ადამიანის ხალხური გამოცდილების შეჯახებას. კონცეპტი ადამიანის ცნობიერებაში ჩნდება გამოცდილებიდან, სამყაროს ჩაწვდომიდან, მისი უკეთ გაგებიდან, სოციალიზაციიდან, მისი აღქმიდან, ენობრივი გამოცდილებიდან.

კონცეპტები, როგორც აზროვნების შედეგი, უნდა იქნან ვერბალიზებული. აღსანიშნავია, რომ ენა ახდენს კულტურის მთავარი კონცეპტების აკუმულირებას, გადმოსცემს რა მათ ნიშნებით – სიტყვებით (მასლოვა 2004:47).

ამ კვლევაში ჩვენ გამოვყოფთ ისეთ ძირითად კონცეპტებს, როგორიცაა *„თავისუფლება“, „თანამშრომლობა“, „ნებელობა“ და „ბრძოლა“*. ამ კონცეპტების სიხშირეს განვიხილავთ ფრანგი ხალხის ილოკუციურ გამონათქვამებში, კერძოდ კი, 1968 წლის მაისის გამოსვლებისას. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად საჭიროა ნებელობა (სურვილი), თანამშრომლობა იმიტომ, რომ თუ არ იქნება მჭიდრო კავშირი ადამიანებს შორის რაიმე იდეისათვის ბრძოლაში, მაშინ მხოლოდ ნება-სურვილს არავითარი აზრი არა აქვს და ასევე საჭიროა ბრძოლა. მიზნის მიღწევა მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შედეგად არის შესაძლებელი, რაც სქემატურად ასე გამოიხატება:



თანამედროვე საზოგადოების დემოკრატიზაციისა და სამყაროს ღირებულებების გაზიარების სურვილის არსებობამ განაპირობა ის, რომ მსოფლიოს ენობრივ ცნობიერებაში დიდი ადგილი დაიკავა კონცეპტმა „თავისუფლება“. მსოფლიო კულტურაში „თავისუფლება“ სხვადასხვანაირად გამოიხატება. XX ს-ის დასავლეთ ევროპის ფილოსოფია „თავისუფლების“ ცნების აბსოლუტიზირებას ახდენს. ასე მაგალითად, ჟ.პ. სარტრი (ვინოკი 1997:566) თვლიდა, რომ „თავისუფლება ადამიანის თავისებურება კი არ არის, არამედ მისი სუბსტანციაა და ადამიანი განსხვავდება საკუთარი თავისუფლებისაგან“.

„თავისუფლების“ კონცეპტს აღწერს ა. ვეუბიცკა თავის ნაშრომში „კულტურის გაგება საკვანძო სიტყვებით“ (მასლოვა 2004:185). „თავისუფლებაზე“ ბევრს წერენ ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველნი, პოლიტოლოგები, სამართალმცოდნეები და უკვე ლინგვისტებიც. თუკი არალინგვისტი ავტორები ამასთან დაკავშირებით გამოთქვამენ, როგორც წესი, საკუთარ მოსაზრებას, ლინგვისტისათვის თვით ამ სიტყვის მნიშვნელობაში უკვე მთელი სამყაროს თვალსაზრისი ჩანს. ლაპარაკობენ თავისუფალ ნებელობაზე (ფილოსოფიური ასპექტი), ცოდვის თავისუფლებაზე (რელიგიური კონცეპტი), პოლიტიკურ თავისუფლებაზე და ა.შ.

ვ.დალი ამ ცნებას ორი მნიშვნელობით განიხილავს; პირველი დაკავშირებულია სუბიექტთან, როგორც ასეთთან (სუბიექტის მიერ საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება), მეორე – საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროსთან (მდგომარეობა, რომლის დროსაც არ არსებობს შეზღუდვები და შევიწროება, რომელიც აკავშირებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და რომელიმე კლასის ან მთელი საზოგადოების საქმიანობას) (მასლოვა 2004:186).

ეს კონცეპტი, როგორც მისი შესწავლისას აღმოჩნდა, პოლისემიურია, მაგრამ არსებობს საერთო აზრი, რომელიც აერთიანებს ამ მნიშვნელობებს – იცხოვრო და იმოქმედო შეზღუდვების გარეშე.

კვლევის შედეგად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონცეპტს *„თავისუფლება“* გააჩნია სინონიმთა (ნებელობა, დამოუკიდებლობა, შეუზღუდაობა, ნებაზე ყოფნა, სივრცე; ფრანგულში მისი სინონიმებია „indépendance, autonomie, droit . . .“) და ანტონიმთა (იძულება, ძალადობა, ძალდატანება, შევიწროვება, ტყვეობა, მონობა,

ჩაგვრა, აკრძალვა, შეზღუდვა, დაპატიმრება, დამოკიდებულება) სემანტიკური ველი.

„თავისუფლება“ გვხვდება ისეთ სიტყვათა წყობაში, როგორიცაა „სრული, უსაზღვრო, შეუზღუდავი, უპირობო, მსოფლიო”, რაც გვიჩვენებს, რომ ადამიანს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი ნებით (მასლოვა 2004:187). ისაია ბერლენი განასხვავებს ნეგატიურ თავისუფლებას, ანუ იმას, რომ იყო თავისუფალი ყველანაირი ჩაგვრისაგან, შენს ქმედებაში სხვისი ჩარევისაგან და პოზიტიურ თავისუფლებას, რომელიც გულისხმობს საკუთარ თავზე ბატონობას (გრავიცი 1996:235).

ფრანგები *„თავისუფლებას“* იგებენ, როგორც ძლიერი ხელისუფლების უარყოფას, როგორც ეს იყო პრეზიდენტ შარლ დე გოლის დროს. თვით ძლიერი ხელისუფლება მათთვის არის თავისუფლების ანტონიმი და გაიგივებულია დესპოტურ რეჟიმთან, დიქტატურასთან. სიტყვა *„თავისუფლების“* სემანტიკური პროფილი ვიწროდ არის დაკავშირებული საფრანგეთის პოლიტიკურ ისტორიასთან; მათ გააჩნიათ მისწრაფება თავიდან მოიშორონ თვითმპყრობელური ხელისუფლება (ეს კარგად ჩანს 1789 წლის რევოლუციის დროინდელ ლოზუნგში – *Liberté, Egalité, Fraternité*). მ. ფუკოს აზრით, ძალაუფლება არის თავისუფლების ზღვარი (ფუკო 1966:123). ხალხს თავისუფლება ესმის, როგორც სიტყვა „არეულობის“ სინონიმი, როგორც ანტისაზოგადოებრივი და სახიფათო ქმედებების დაუსჯელი აღსრულება. საფრანგეთის ისტორიაში ნათლად ჩანს, რომ თითქმის ყველა რევოლუცია იყო სისხლისმღვრელი, ანუ ფრანგი ხალხი უკან არ იხევდა არაფერზე ხელისუფლების შესაცვლელად და თავისუფლების მოსაპოვებლად (როგორც ჩანს, თავისუფლების მოპოვებას ხალხი აიგივებს, ჩვენი აზრით, ხელისუფლების ცვლასთან. მათ მიაჩნიათ, რომ ახალი ხელისუფლება მოვა ახალი იდეებით, ახალი გადაწყვეტილებებით და მისცემს მეტ თავისუფლებას). მათთვის თავისუფლება არის ძლიერი, ხელშეუხებელი და ამავე დროს სასურველი, ძვირფასი, წმინდა.

1968 წლის მაისის გამოსვლები დაიწყო სტუდენტების ამბოხებით. ახალგაზრდობამ გადააგდო იდეოლოგიური დისკურსი, ტრადიციული რიტორიკა, „მამების პოლიტიკა“. ჰიპების ლიდერი ჯერი რუბენი აცხადებდა: „ახალგაზრდები ცხოვრობენ სუპერმარკეტების, ფერადი ტელევიზორების, პარტიზანთა ომების, მასობრივი კომუნიკაციის, როკის სამყაროში და დროში, სადაც ადამიანი მთვარეზე მიფრინავს. ჩვენთვის არაფერი არ არის შეუძლებელი, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია. დღეს თაობებს შორის ეს უფსკრული უფრო ღრმაა და ფართე,

ვიდრე ოდესმე ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში. 1950 წლამდე მცხოვრებ თაობას არ შეუძლია არაფერი ასწავლოს 1950 წლის შემდეგ თაობას, ამიტომ იმსხვრევა სასკოლო სისტემაც“ („Les jeunes vivent dans un univers de supermarchés, de télé-couleur, de guerre de guérilla, de communication de masse, de psychédélisme, de rock et d'hommes merchant sur la Lune. Pour nous, rien n'est impossible. Nous pouvons tout faire. Ce fossé entre les générations est le plus large de toute l'histoire humaine. La génération d'avant 1950 n'a rien à enseigner à celle d'après 1950. C'est pourquoi le système scolaire se casse la gueule") (შვარცენბერგი 1988:331). 60-იანი წლების ახალგაზრდები იყვნენ (და ახლაც არიან) კადნიერები, შეიძლება ითქვას „თავხედები“ და ისინი გამოწვევას უცხადებდნენ ყველას, ვინც მათ ინტერესებს შეულახავდა. ახალგაზრდები უარს ეუბნებოდნენ დიქტატურას: *„Parti Unique Dictature".* ისინი უარყოფდნენ ყოველგვარ რუტინას და არ ურიგდებობდენ არსებულ სიტუაციას, მოითხოვდნენ თავისუფლებას და მათი მოწოდებებიც შესაბამისი იყო („Liberté, votez librement, Elections libres, libérez les prisonniers politiques noirs"-„თავისუფლება, თავისუფლად უყარეთ კენჭი, თავისუფალი არჩევნები, გაათავისუფლეთ ზანგი პოლიტიკური პატიმრები") (ბერშტეინი 1989:309).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოწოდებებში გამოყენებული იქნა *დირექტიული ილოკუციური აქტები* (ეცადო, აიძულო ვინმე, გააკეთოს რამე; მცდელობა საერთოდ შეიძლება იყოს მოკრძალებულიც და აგრესიულიც. ისინი ცდილობდნენ, რომ აეძულებინათ მთავრობა გადაედგათ მათთვის სასურველი ნაბიჯები). ახალგაზრდებისათვის არაფერი არ იყო შეუძლებელი, მათ ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ.

მთელი კაცობრიობის უნივერსალურ იდეალს წარმოადგენს თავისუფლება და იგი არ შეიძლება ჩაითავლოს საერთო ევროპულ იდეალად, რადგან თითოეულ ხალხს, ერს გააჩნია ამ კონცეპტის საკუთარი გაგება. ნ. ბერდიაევი აცხადებს: *„არსებობს თავისუფლება ვიღაცისაგან და თავისუფლება რაღაცისაგან“* (მასლოვა 2004:187).

თავისუფლება სხვადასხვანაირად აიხსნება ყველა ენაში. მაგალითად, ქართულში „თავისუფლება“ არის ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა, შეზღუდვის არარსებობა; რუსულში – „თავისუფლებას“ იძლევა ვინმე გარეშე პირი, რაც არ ჩანს ინგლისურში, სადაც „თავისუფლება“ არის სრული დამოუკიდებლობა ყველასაგან. მოცემული კონცეპტის ფრანგული გაგება შემდეგშია – შესაძლებლობა, იყო კანონით უზრუნველყოფილი ან არსებობდეს პოლიტიკური და სოციალური სისტემა – იმოქმედო ისე როგორც გინდა, არ

შეუზღუდო სხვას თავისუფლება, ანუ პოლიტიკური წყობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ინდივიდუალურ, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ თავისუფლებას. ეს სიტყვა ფრანგულ ენაში გვხვდება შემდეგ სიტყვათა წყობაში: *liberté surveillée, provisoire, naturelle, civile, politique, individuelle; liberté du culte, d'opinion, de pensée, d'expression, de langage, d'esprit, d'allure*. ფრანგის მენტალიტეტში „თავისუფლების" კომპონენტებია – *Liberté, Egalité, Fraternité,* რომელიც ემყარება ურთიერთობას, ურთიერთქმედებას ანუ უნარს დაეხმარო სხვას.

თავისუფლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კონცეპტია აგრეთვე *ნებელობა, სურვილი (volonté)*. ცნობილი რუსი მოაზროვნე გ. ფედოტოვი ასე განიხილავდა მას: „ნებელობა არის შესაძლებლობა, იცხოვრო საკუთარი ნებით, არ გაწუხებდეს არავითარი სოციალური ბორკილი, კავშირი" (მასლოვა 2004:189). ფრანგულ ენაში ეს კონცეპტი გვხვდება შემდეგ გამოთქმებში: *volonté de fer, bonne volonté, mauvaise volonté*. ჟაკ ლაკანი თვლის, რომ სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელია, რადგან იგი ყველაფერს აღემატება; იგი მუდამ გაგზავნის არაცნობიერ სურვილთან და აბსოლუტურ დანაკლისთან, რომელსაც ვერ გამოვხატავთ (ლიპოვეცკი 1991:15). ნებისმიერი ადამიანის ქცევა, ყველაზე ალტრუისტულიც კი, წარმოიშობა სურვილიდან ანუ ნებიდან, აღიარონ იგი. სხვადასხვა ტრადიციაში ნებელობა განიხილება, როგორც ეროვნული ხასიათის შემადგენელი თვისება. ნება-სურვილი ყოველთვის ითრგუნება ამა თუ იმ კულტურისათვის დამახასიათებელი კანონებით, წესებით, ნორმებით. ფრანგი სტუდენტების 1968 წლის მაისის გამოსვლებში შეიმჩნეოდა ასეთი ნების გამოხატვა: „Nous voulons que la révolution soit une fête pérpetuelle et la vie de chacun une oeuvre d'art à réaliser" („ჩვენ გვინდა, რომ რევოლუცია იყოს მუდმივი დღესასაწული და თითოეულის ცხოვრება - განსახორციელებელი ხელოვნების ნიმუში"), *ან* კიდევ „Reprenant le mot de Rimbaud nous voulons „changer la vie" („რემბოს სიტყვებით რომ ვთქვად, ჩვენ გვინდა „ცხოვრების შეცვლა" (ფორე 1998:108);

„Nous voulons transformer la quotidienneté médiocre et éstreignante en une féte libératrice qui apporte à l'être la plénitude de la vie"(„ჩვენ გვინდა უფერული და უბრალო ცხოვრების განმათავისუფლებელ დღესასწაულად გარდაქმნა, რომელიც ადამიანის ცხოვრებას სისავსეს მოუტანს") (ფორე 1998:108);

„Nous voulons réaliser l'unité dans l'infinie diversité, exalter les différences et bannir la totalité (et son corollaire le totalitarisme) qui est l'écrasement de ces mêmes differences"(„ჩვენ გვინდა გაერთიანება და ტოტალიტარიზმი მოვიშოროთ") (ფორე 1998:108).

„Le mouvement de notre jeunesse, et particulièrement de ceux qu'on appelle les enragés ou trublions, est spirituellement magnifique. Il rend l'espoir à notre pays et à d'autres. Pour ma part j'y retrouve à peu près ce qu'avait rêvé la jeune résistance française – communiste comprise, en dehors de l'appareil stalinien. Et voici qu'aujourd'hui mes élèves de philosophie, les meilleurs, les plus pensifs, ont lutté sur les barricades"(„ჩვენი ახალგაზრდების მოძრაობა და განსაკუთრებით მათი, ვისაც უწოდებენ გაშმაგებულებს ან მეამბოხეებს, არის შესანიშნავი. ის იმედს აძლევს ჩვენს ქვეყანას და სხვებსაც. რაც შემეხება მე ამაში დავინახე ის, რაზეც ოცნებობდა ახალგაზრდა ფრანგული წინააღმდეგობა-კომუნისტების ჩათვლით სტალინური აპარატის მიღმა. და აი, დღეს ჩემი ფილოსოფიის ფაკულტეტის, საუკეთესო, ყველაზე უფრო მოაზროვნე სტუდენტები იბრძვიან ბარიკადებზე") - განაცხადა მორის კლაველმა (ფორე 1998:99).

ამ მოწოდებებში შეიმჩნევა *დეკლარაციული ილოკუციური აქტების* გამოყენება ანუ ისინი აცხადებენ აშკარად თავიანთ ნებას.

ნების გამოხატვა სხვადასხვა ფორმით შეიძლება. ადამიანები ხშირად მიმართავენ ბუნტს, დესტრუქციას, როცა ნების გამოხატვისას ექმნებათ დაბრკოლება (1968 წლის მოვლენები). ეს არის ყოველივე ორგანიზებულის, ნებისმიერი შეზღუდვის უარყოფა, წადილი, სურვილი, რომ იყო მზად მოქმედებისათვის. ფრანგულ ენაში იგი ნიშნავს გადაწყვეტილების გამოხატვას, საკუთარი ნებით მოქმედებას, რაც ძალზე რთულია, რადგან ყველა ადამიანს არ შეუძლია საკუთარი ნებით მოქმედება. **ნების** გამოხატვა ყველაზე ძლიერი ადამიანის თვისებაა, რომელსაც ძალუძს ისე გარდაქმნას მოვლენები, როგორც ეს მას სურს.

გარდა *ნებელობისა,* თავისუფლების მოსაპოვებლად საჭიროა *თანამშრომლობა,* საერთო ინტერესებისა და მორალური კანონების ერთიანობა; თუმცა შეიძლება მიღწეული თანამშრომლობა დაირღვეს. თავისუფლების, როგორც ფაქტის, არქონამ შეიძლება განაპირობოს დიამეტრალურად განსხვავებულ, სხვადასხვა პლატფორმაზე მდგომი პარტიების, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისა და კლასების თემატური *თანამშრომლობა.*

თანამშრომლობა, როგორც სოციალური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური ასპექტების ერთიანობა, რეალიზდება ადამიანთა კომუნიკაციაში. პოლიტიკური თავისუფლების არქონამ შეიძლება მნიშვნელოვანწილად განაპირობოს ადამიანთა შორის მჭიდრო ურთიერთობა. *თანამშრომლობა* თავისთავად გულისხმობს კომუნიკაციას ადამიანთა შორის. მას მოაქვს ურთიერთპატივისცემა და ნდობა; ხოლო გულწრფელობა და სიმართლე აძლიერებს ასეთ ურთიერთობას.

დასავლური ფილოსოფიის მიხედვით ყველაფერი სამყაროში ცვალებადია. მარადია მხოლოდ იდეალური, ღვთაებრივი; ყველაფერი რეალური კი მიწიერია. საერთო მიზნის მიღწევის შემდეგ ადამიანებს, კლასებს და პარტიებს შორის ნებისმიერი გაერთიანება, მჭიდრო ურთიერთობა, უმეტეს შემთხვევაში, ირღვევა. სამწუხაროდ ასეთია რეალობა. ფრანგულ ენაში სიტყვა *თანამშრომლობა* აერთიანებს ისეთ სინონიმებს, როგორიცაა *„complicité, connivence“.* სტუდენტების გამოსვლებში შეიმჩნევა შემდეგი ფრაზების სიხშირე:

„Etudiants, regroupons – nous tous unis” („სტუდენტებო გავერთიანდეთ – გავერთიანდეთ ყველანი”) (ფილოზოფი 1969:89) (იხილეთ დანართი 4).

„Ouvriers, étudiants, population liaison effective flins”(„მუშები, სტუდენტები, ხალხი ეფექტური კავშირი”) (ფილოზოფი 1969:159).

„Travailleurs français immigrés unis” („ემიგრირებული ფრანგი მუშები ერთად არიან”) (ფილოზოფი 1969:160).

„Ensemble étudiants travailleurs”(„სტუდენტები მუშები ერთად არიან”) (ფილოზოფი 1969:161) (იხილეთ დანართი 5).

„Etudiants, il faut prendre conscience de ce que nous avons tous faire confusément à la hâte et dans la rue”(„სტუდენტებო საჭიროა გავაცნობიეროთ ის, რაც ჩვენ ასე სწრაფად გავაკეთეთ ქუჩაში”) (ფორე 1998:103).

„Etudiants il faut être lucide . . . avec nos petits problèmes de mineurs, de privilegiés, de mauvaise consciene de non-prolétaires” („სტუდენტებო ფხიზლად უნდა ვიყოთ”) (ფორე 1998:103).

„Nous sommes des privilegiés, non économiquement, mais parce que nous seuls avons le temps et la possibilité physique de prendre conscience de notre état et de l'état de la société“(„ჩვენ პრივილეგირებულები ვართ არა ეკონომიკურად, არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ ჩვენ გვაქვს დრო და საშუალება იმისა, რომ გავაცნობიეროთ ჩვენი და ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა”) (ფორე 1998:104).

„La révolution doit être faite par tous et non par un” („რევოლუცია ყველამ უნდა მოვახდინოთ და არა ერთმა”) (ფილოზოფი 1969:164).

„Je participe Tu participes Il participe Nous participons Vous participez Ils participent” („მე ვმონაწილეობ შენ მონაწილეობ ის მონაწილეობს ჩვენ ვმონაწილეობთ თქვენ მონაწილეობთ ისინი მონაწილეობენ”) (ფილოზოფი 1969:161).

„Travailleurs actifs et chomeurs tous unis rejoignez vos comités d’action de quartier”(„მუშებო და უმუშევრებო ყველანი გაერთიანდით და შეუერთდით თქვენი უბნის კომიტეტებს”) (ფილოზოფი 1969:161).

„Céder un peu c'est capituler beaucoup"(„ცოტას დათმობა კაპიტულაციას ნიშნავს") (ფილოზოფი 1969:161).

„Tous unis dans la lutte à bas les impérialismes"(„ყველანი გაერთიანდით საბრძოლველად ძირს იმპერიალიზმი") (ფილოზოფი 1969:164).

„Nous lançons un appel à nos camarades de toutes les Universités de France afin qu'ils constituent eux aussi en Conseils Etudiants; afin qu'ils entreprennent une critique radicale et constructive de l'Université et de la Société dans laquelle elle s'insère: en particulier reflexion sur le système des examnes pouvant aboutir au boycott pour obtenir satisfaction dans nos revendications immédiates. Nous appelons les centrales syndicales d'enseignants et de la Classe Ouvrière à se joindre à notre action" („ჩვენ მოვუწოდებთ საფრანგეთის ყველა უნივერსიტეტიდან ჩვენს ამხანაგებს, რათა ისინი გაერთიანდნენ სტუდენტურ საბჭოებში და წამოიწყონ უნივერსიტეტისა და არსებული საზოგადოების რადიკალური და კონსტრუქტიული კრიტიკა, განსაკუთრებით გამოცდების სისტემასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება ბოიკოტამდეც მიგვიყვანოს, რათა მოვიპოვოთ ჩვენი მოთხოვნების დაუყოვნებლივი დაკმაყოფილება. ჩვენ მოვუწოდებთ მასწავლებლებისა და მუშათა კლასის პროფკავშირებს შემოუერთდნენ ჩვენს მოძრაობას") (ფორე 1998:111).

ჩვენი აზრით, თანამშრომლობისა და გაერთიანების გამომხატველ მოწოდებებში შეგვიძლია გამოვყოთ *დირექტიული ილოკუციური აქტების* გამოყენება. თუმცა აქ ნაწილობრივ შეიმჩნევა *ასერტიული ილოკუციური მიზანი* (თქვა ის, რაშიც არის საქმე). ახალგაზრდები წარმოადგენდნენ საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, საფრანგეთში იმ დროს არსებულ მდგომარეობას.

აქედან გამომდინარე შემდეგი მნიშვნელოვანი კონცეპტია *ბრძოლა.* 1968 წლის მაისის მოვლენების დროს ხალხს სურდა გარკვეული თავისუფლების მოპოვება. ამისათვის კი მათ იცოდნენ, რომ საჭირო იყო ბრძოლა შარლ დე გოლის ძლიერი რეჟიმის წინააღმდეგ. *ბრძოლა (lutte)* არის მოქმედება ყოველთვის ვიღაცის წინააღმდეგ და ამ მოქმედების მიზანია რაღაცის შეცვლა. ამ კონცეპტს გააჩნია მაღალი სოციალური მნიშვნელობა, საკუთარი ლექსიკა, სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა. ისინი ობიექტივირდება დიდი რაოდენობით ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ საშუალებებში. *ბრძოლის* სინონიმებია ფრანგულ ენაში *„concurrence, competition, rivalité, duel, tournoi, complot, conflit, guerre, combat, bataille". ბრძოლა* შეიძლება იყოს შეიარაღებული, მწვავე – *„lutte libre, sanglante, oplitique".* სოციალურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს შეიარაღებულ

დაპირისპირებაში. *ბრძოლა* მართლაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტი იყო, რომელსაც ხშირად იყენებდნენ ფრანგები 1968 წლის მოვლენების დროს:

„Lutte contre le cancer gaulliste“ („ბრძოლა გოლისტური ჭირის წინააღმდეგ”) (ფილოზოფი 1969:155).

„ORTF en lutte indépendance“ („სტრმ იბრძვის დამოუკიდებლობისათვის”) (ფილოზოფი 1969:155).

„Le même problème, la même lutte“ („იგივე ბრძოლა, იგივე პრობლემა”) (ფილოზოფი 1969:155).

„Non au patronat état enseignement technique lutte avec les C.F.E.T“ („არა პატრონაჟს, სახელმწიფოს, ტექნიკურ განათლებას ბრძოლა ფმკ-სთან ერთად”) (ფილოზოფი 1969:156).

„Non les grands magasins ne rouvriront pas, leurs personnels luttent avec tous les travailleurs“ („არა დიდი მაღაზიები არ გაიღება, მათი პერსონალი იბრძვის მუშებთან ერთად”) (ფილოზოფი 1969:156).

„La lutte continue” („ბრძოლა გრძელდება”)(ფილოზოფი 1969:156).

„Mai 68 début d'une lutte prolongée” („68 წლის მაისი არის ხანგრძლივი ბრძოლის დასაწყისი”)(ფილოზოფი 1969:160).

„Leur campagne commence notre lutte continue le combat continue dans les usines pas dans les urnes“(„მათი კამპანია იწყება ჩვენი ბრძოლა გრძელდება ქარხნებში და არა ურნებთან”) (ფილოზოფი 1969:160).

„L'élan est donné pour une lutte prolongée“ („ხანგრძლივი ბრძოლის მისწრაფება არსებობს”) (ფილოზოფი 1969:160).

„La lutte continue état policier attention école rejoignez les C.A.L“ („ბრძოლა გრძელდება სახელმწიფო პოლიცია ყურადღებით შეუერთდით ბრძოლას”) *(ფილოზოფი 1969:*160).

კვლევისას გამოვყავით ბრძოლის გამომხატველი ტერმინოლოგია და ამ მოწოდებებში ჩვენ ვხედავთ ფრანგი ახალგაზრდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მათ გრძნობებსა და განწყობას; ეს იმაზე მიუთითებს, რომ აქ გამოიყოფა *ექსპრესიული ილოკუციური აქტების* გამოყენება.

ფრანგი ახალგაზრდები მუდამ მზად იყვნენ საბრძოლველად. მათ გააჩნდათ ახლებური ხედვა და მებრძოლი სული. ისინი ცდილობდნენ, გადაელახათ ის ყალბი ღირებულებები და ამაო დაბრკოლებები, ძალდატანებები, საიდანაც მოდიოდა მათი ამბოხი. ახალგაზრდები იყვნენ იმპულსურები, რომანტიულები. ისინი აცხადებდნენ, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ ყველაფერი და არ

გაჩუმდებიან: „Sois jeune et tais-toi", „A nous de parler", „Moi, je ne suis pas gené d'être un révolutionnaire" (ფილოზოფი 1969:156) (იხილეთ დანართი 6,7). საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახალხო გამოსვლა დაიწყო სტუდენტების მოძრაობით და სწორედ ისინი იყვნენ ამ მოვლენების სულის ჩამდგმელები. იბრძოდნენ რა უკეთესი მომავლისათვის მათ თავიანთი პოზიციის გამოსახატავად მიმართეს უკიდურეს ზომას – გამოვიდნენ ქუჩაში. აქედან გამომდინარე შეიძლება შემდეგი სქემა წარმოვადგინოთ:



ამგვარად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მოძრაობა, რომელიც დაიწყო ფრანგი სტუდენტების უკმაყოფილებით, გაგრძელდა მათი გამოსვლებით, მოიცვა მთლიანად საფრანგეთი და მთელი საზოგადოება, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისათვის. თუმცა ჩვენ ეს გამოსვლები გვაინტერესებს ენობრივი თვალსაზრისით, ამიტომ უნდა გამოიყოს კონცეპტოსფეროს როლი ფრანგი ხალხის ილოკუციურ გამონათქვამებში და ის, რომ ყოველი მოლაპარაკე პირი არის გარკვეული კონცეპტუალური სისტემის მატარებელი. კონცეპტი წარმოადგენს სინამდვილის იმ მოვლენათა ერთობლიობას, რომელიც ღირებულია გარკვეული კულტურისათვის და გააჩნია ენობრივი ერთეულების დიდი რაოდენობა. ჩვენს კვლევაში გამოვყავით ისეთი კონცეპტები, როგორიცაა *ნებელობა, თანამშრომლობა, ბრძოლა და თავისუფლება.* ეს კონცეპტები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგან თავისუფლების მოსაპოვებლად საჭიროა ბრძოლა, ხოლო ბრძოლის გასამართავად აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა. ამ ყველაფრისათვის კი მნიშვნელოვანია ნება-სურვილის ქონა. როგორც ვნახეთ, ხალხი საფრანგეთში ამ მოვლენების დროს

იყენებდა ყველა ამ კონცეპტს თავის ილოკუციურ გამონათქვამებში, კერძოდ დეკლარაციულ და დირექტიულ ილოკუციურ გამონათქვამებში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილ მაგალითებში შეიმჩნევა ასერტიული და ექსპრესიული ილოკუციური აქტების გამოყენებაც.

დასკვნები

1. ადამიანთა შორის კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი საუკეთესო, უნივერსალური და უპირატესი საშუალება არის ენა, მეტყველება; თუმცა ვერბალური საშუალებების გვერდით ყოველთვის არის არავერბალური ხერხებიც, როგორიცაა ჟესტი, მიმიკა და სხვა. ადამიანი, ენის მატარებელი, განიხილება, როგორც სუბიექტი, რომელსაც გააჩნია ინდივიდუალური და სოციალური გამოცდილება, სამყაროს შესახებ ინფორმაცია და ამის საფუძველზე ახორციელებს კომუნიკაციას ენის სხვა მატარებლებთან; ენა საშუალებას აძლევს მოლაპარაკე პირს თავისი ცნობიერებიდან ამოიღოს ცნება და იგივე ცნება ამოატივტივოს მსმენელის გონებაში. ბგერები, რომელსაც ის გადასცემს მსმენელს, როგორც წესი, არ წარმოშობენ ახალ ეროეულებს ამ უკანასკნელის ცნობიერებაში. ისინი აქტივიზირდება იმ ცნებებში, რომლებიც არსებობს მსმენელთან და მოლაპარაკესთან; ხანდახან მოლაპარაკეს საუბარში შემოაქვს უკვე ცნობილი ცნებების ახალი კონფიგურაციები, როცა სიახლეს ამბობს; თუმცა ახალია ეს კონფიგურაციები და არა ცნებები, რომელთაგანაც ისინი შესდგება.

2. ამგვარად, ადამიანთა საზოგადოება დამყარებულია ინფორმაციის გაცვლაზე. კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას არხის მეშვეობით. ინფორმაცია კი აიხსნება, როგორც რაიმე ცნობის გადაცემა კოდის მეშვეობით. 50-იან წლებში აშშ-ში განვითარებულ ინფორმაციის თეორიაში ინფორმაციას გააჩნია წმინდად ტექნიკური მნიშვნელობა. იგი შეტყობინებების მნიშვნელობას არ იღებს მხედველობაში, არამედ მხოლოდ მის გადმოცემას ცდილობს.

3. კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებელია ინფორმაციის არსებობა, რომელსაც შეტყობინების სახით გადასცემს მოლაპარაკე პირი (გადამცემი) მსმენელს (მიმღებს). ბუნებრივი ენა ფლობს კოდს, რომელიც უნდა იცოდეს საზოგადოების თითოეულმა წევრმა, რაც შესაძლებელს გახდის შეტყობინების გაგებას. თუკი მსმენელმა არ იცის შესაბამისი კოდი, მისთვის ნებისმიერი ინფორმაცია არის ხმაური. ინფორმაციის კოდირება ეს არის პროცესი, რომლითაც გადამცემი (encodeur) შეტყობინებას ანიჭებს გამონათქვამის ფორმას. შეტყობინების სწორად დეკოდირებისათვის კოდის სრულყოფილი ცოდნის გარდა, აუცილებელია სიტუაციის და კონტექსტის ზედმიწევნით ცოდნა. სიტუაცია აპირობებს ლინგვისტურ ქცევას, ანუ კონტექსტს. კომუნიკაცია ემყარება

ვერბალურ, ფიზიონომიურ, ჟესტუალურ და ქცევით ბაზას. ყოველი ზეპირი გამონათქვამი შეიცავს ვოკალურ (ფონური - წარმოთქმა, მახვილი და პროსოდიული განზომილები - ინტონაცია, ტონი, პაუზა, მახვილი) და ვერბალურ განზომილებას (გამონათქვამთა ტექსტუალურ განზომილებას).

4. კომუნიკაციის სიტუაცია გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას. ინფორმაცია გადაიცემა შეტყობინების სახით, რომელიც შესდგება გამონთქვამებისაგან და წარმოადგენს გამოთქმის აქტს. სამეტყველო კომუნიკაციისას ურთიერთობის მონაწილე პირები გამონათქვამებს იგონებენ თავიანთი მეხსიერებიდან, ახდენენ მათ კონსტრუირებას, გადაამუშავებენ და გადმოსცემენ ანუ ახორციელებენ გამოთქმის აქტს. გამოთქმის აქტის განხორციელებისას მნიშვნელოვანია: ურთიერთობა მოლაპარაკესა და მსმენელს, მოლაპარაკესა და მის შეტყობინებას შორის, ასევე ურთიეთობები გამომთქმელსა და ადრესატს შორის, გამომთქმელის ურთიერთმიმართება საკუთარ გამონათქვამთან და გამომთქმელის ურთიერთმიმართება კონტექსტთან.

5. კომუნიკაციის აქტი ასევე გულისხმობს მოლაპარაკე პირისა და მსმენელის არსებობას. გარდა მსმენელისა, არსებობენ სხვა მონაწილეებიც ანუ არსებობს რამდენიმე მიმღები. როდესაც მოსაუბრე წარმოქმნის მეტყველების აქტს, იგი სხვადასხვა მსმენელს განსხვავებულ როლს ანიჭებს. მოლაპარაკე პირი უნდა ფლობდეს ყველა ხერხს იმისათვის, რომ გააგებინოს არსებულ საზოგადოებას, თუ ვისკენ არის მიმართული მისი მეტყველების აქტი. მსმენელები კი თავიანთი როლების შესაბამისად იქცევიან. კვლევაში გამოვყავით რამდენიმე მონაწილე–მოლაპარაკე, ილოკუციური აქტის მონაწილე, ადრესატები, ვისკენაც მიმართულია მეტყველების აქტი და შემთხვევითი მსმენელები. ჩვეულებრივ, ადრესატის არჩევანს მოლაპარაკე პირი ახორციელებს ჟესტის, შეხედვის, თავის დაქნევის, ჩურჩულის საშუალებით, მიახვედრებს რა ამით დანარჩენებს, რომ ისინი მონაწილეებს არ წარმოადგენენ.

6. კომუნიკაცია, საერთოდ, გულისხმობს ინტერაქციას. ეს უკანასკნელი კი აღნიშნავს აქტთა თანმიმდევრულ ეპიზოდს; მსმენელმა უნდა შეიცნოს ის აქტი, რომელსაც ასრულებს მოლაპარაკე პირი; ამ უკანასკნელმა წინასწარ უნდა განჭვრიტოს იგი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ინტერაქციების ვერბალური ასპექტი და საუბარში გამონათქვამის წარმოქმნა. ინტერაქციისას მთავარია მოლაპარაკის ის განზრახვა, რომელიც მსმენელმა უნდა გამოააშკარავოს გამონათქვამში და მოახდინოს მისი ინტერპრეტაცია – დეკოდირება. დიდ როლს თამაშობს ინტერაქციისას ინტუიციური ცოდნა და მოლაპარაკისა და მსმენელის

შემეცნებითი ეფექტები - კოგნიტიურო ინტერპრეტაციები. ეფექტური ინტერაქცია არ არის ქმედება ან რეაქცია, რომელიც ერთი ადამიანიდან მეორეზე გადადის, არც პარტნიორთა ურთიერთქმედება. ეს არის სინქრონული პროცესი, რომელიც ხორციელდება ორ ადამიანს შორის, როცა ისინი ურთიერთობენ.

7. საუბრისას გამომთქმელი ანუ მოლაპარაკე პირი შეიძლება წარმოგვიდგენდეს პირდაპირ ან ირიბ დისკურსს. პირდაპირ დისკურსს მოლაპარაკე პირი თვითონ წარმოთქვამს ანუ თავის აზრებს წარმოგვიდგენს, ხოლო ირიბ დისკურსში იგი სხვათა ნათქვამს გადმოგვცემს. ეს არის სხვისი ნათქვამის რეპროდუქცია. ეს კარგად გამოიხატება დამწერლობაში ფრჩხილებით. იგი გარკვეულწილად წარმოადგენს შეუმჩნეველ საზღვარს ორ გამოთქმას შორის. ზეპირმეტყველებაში კი ამის მაჩვენებელია ლინგვისტური კონტექსტი და გარკვეულ შემთხვევაში ხმაში მკაფიო ცვლილება. ზეპირმეტყველებასა და დამწერლობაში ირიბი დისკურსი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება და ძირითადად ირიბი დისკურსის შემოსაყვანად იყენებს ინტროდუქციულ ზმნას, რომელსაც მოსდევს დამატება-ობიექტი. ირიბი დისკურსის წარმოქმნისას მოლაპარაკე პირი მიემართება გამომთქმელის მიერ ნათქვამ წინადადებას, თუმცა შეიძლება გადმოტანისას მნიშვნელოვნად შეცვალოს იგი და სხვდასხვაგვარი ინტერპრეტაციით წარმოადგინოს. თუმცა შეიძლება ასე არც მოხდეს. ამის მაგალითია სხვადასხვა პოლიტიკოსთა ნათქვამის თავისებურად გადმობრუნება სხვადასხვა გაზეთებში, (რაც ძირითადად ეფუძნება ამ გაზეთების პირად დამოკიდებულებას ამ პოლიტიკოსებთან).

8. ეთნომეთოდოლოგიის ერთ-ერთი ბაზისური პოსტულატი ის არის, რომ სოციალური ცხოვრება და მისი თავისებურებები წარმართულია გარკვეული პროცესებით. საუბრის ეთნომეთოდოლოგიის მიდგომის ერთ-ერთი გასაღებია ინტერაქტანტთა მიერ განხორციელებული დისკურსი - ურთიერთობა, მოლაპარაკე პირთა განზრახვა ან სოციალური ნორმები, რომლებიც უფრო ზოგად ინტერაქციულ სტრატეგიებს გვთავაზობენ. მნიშვნელოვანია შემდეგი კონტექსტუალური კატეგორიები – კულტურული, სოციალური, კლასობრივი, სქესობრივი თვითშეგნება ან სხვა ინტერაქციული მიზანი.

9. სოციალური ურთიერთობების ერთ-ერთი სახე არის დიალოგი. მინიმალურ დიალოგში დიალოგი თანხვდება ურთიერთობებს, ხოლო ინტერვენცია – აქტს; დიალოგის უკვეცი შემადგენლებია – ურთიერთობა და ინტერვენცია. აქ შეიძლება განვასხვავოთ ფუნქციათა ორი ტიპი: 1) ურთიერთობის შემადგენელი ინტერაქციონალური ფუნქციები (interactionnelles). ეს

არის ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება ინტერვენციათა შორის, ანუ ორ დისკურსულ ეპიზოდს შორის, რომელიც მიეკუთვნება ორ განსხვავებულ მოლაპარაკე პირს. 2) ინტერვენციის ინტერაქტიული ფუნქციები (interactives). ეს არის კავშირები, რომლებიც ყალიბდება მთავარ და დაქვემდებარებულ აქტს (აქტებს) შორის, ანუ ორ დისკურსულ ეპიზოდს შორის, რომლებიც მიეკუთვნება ერთსა და იმავე მოლაპარაკე პირს. ამგვარად, მინიმალური დიალოგის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ უკვეცია მხოლოდ ინტერაქციული ფუნქციები.

10. საუბარი არის საზოაგდოების წევრთა სოციალური ქმედება, სადაც ირევა ვერბალური და არავერბალური ელემენტები. ეთნომეთოდოლოგების აზრით, საუბარი წარმოადგენს ინტერაქტანტთა მიერ განხორციელებულ ზეპირ დისკურსს. საუბარში ურთიერთგაგება ადამიანური ქმედებების ცენტრალური კოგნიტიური პროცესია. იგი უნდა განიხილონ, როგორც გაზიარებული შემეცნებითი პროცესი, ურთიერთგაგება როგორც ინტერკოგნიტიური პროდუქტი. თანამოსაუბრის რეალურად გასაგებად საკმარისი არ არის მოახდინო ნათქვამის ტექსტუალური ინეტრპრეტაცია. გარკვეულ სიტუაციაში საუბრის კვლევისას საჭიროა გასცდე სიტყვასიტყვით მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ საუბარი მოიცავს ზეპირ დიალოგს, დიალოგურ წყვილებსა (დიალოგურ წყვილები არის გამონათქვამთა მომიჯნავე წყვილები, რომელთაც თავის მხრივ გააჩნიათ დიალოგური სახე) და სამეტყველო ჯერს (ლინგვისტური ურთიერთობებისას თითოეული ლაპარაკობს თავის ჯერზე). ეს წარმოადგენს გარკვეულ ინტერაქციას. ადამიანის ყოველდღიური სამეტყველო ქმედება არის მუდმივი დიალოგი, რადგან თვით მონოლოგიც კი დიალოგურია.

11. რაც შეეხება არგუმენტაციას, მისი მიზანია დარწმუნება. ეს არის გარკვეული ფსიქოლოგიური მანიპულაცია. არგუმენტაცია შეიცავს ორატორს, შეტყობინებებს და აუდიტორიას. ადამიანი არგუმენტაციისას ცდილობს ცნობიერებათა და პუბლიკის მანიპულაციას და ამისათვის იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა სახეებს, კერძოდ კვლევაში გამოვყავით არგუმენტაცია მაგალითით და ავტორიტეტის არგუმენტაცია. ორატორი მაშინ იყენებს არგუმენტაციას, როცა გააჩნია აზრები და უნდა, სხვას გააზიარებინოს ისინი. ამით იგი ცდილობს ძალაუფლების მოპოვებას.

12. პოლიტიკური კომუნიკაცია ფუნქციონირებს, როგორც მეტყველებისა და მიზანსცენის რთული ხელოვნება. პოლიტიკური დისკურსი გულისხმობს შეტყობინების გადაცემას მაღალი თანამდებობის მქონე გადამცემიდან და რომელიც განკუთვნილია ძირითადი მიმღების – ხალხისათვის. აქ გადამცემსა და

მიმღებს შორის ურთიერთობა პირველ პლანზე წამოიწევს. პოლიტიკურ კომუნიკაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს განსაკუთრებული ლექსიკონი. პოლიტიკური ტერმინი ყველანაირად გამოიყენება, მისი მანიპულაციაც კი შეიძლება. პოლიტიკურ კომუნიკაციაში ფართოდ გამოიყენება არგუმენტაცია, რადგანაც პოლიტიკოსები ძირითადად არგუმენტირებულად ახდენენ საკუთარი მოსაზრებების დაცვას, რათა უფრო დამაჯერებელი იყოს მათი გამოსვლა. ისინი ამისათვის მიმართავენ მედიას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკოსთა ცხოვრებაში.

13. თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მედიას, რადგან ეს არის უახლესი ინფორმაციის მოპოვების საშუალება ყველა ადამიანისათვის. პოლიტიკოსებისათვის ეს არის თავიანთი აზრების გადმოცემის საშუალება, რათა ხალხს გააგებინონ თავიანთი სურვილები, მოსაზრებები ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე. მედია კი მათ ამაში ეხმარება, რადგან ერთი და იმავე ინფორმაციის მასობრივი გავრცელება საშუალებას იძლევა იმოქმედო ხალხზე და დაარწმუნო ისინი შენი აზრების სისწორეში, მოახდინო მათი მანიპულირება.

14. რაც შეეხება პოსტმოდერნიზმს, იგი წარმოადგენს სამყაროს შეცნობის, მისი აღქმის სპეციფიკურ ხერხს, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში, რაც კარგად გამოჩნდა ფრიდრიხ ნიცშეს გამონათქვამში „ღმერთი მოკვდა" ანუ აქედან დაიწყო უიმედობა და სამყაროს, როგორც ქაოსის, სპეციფიური ხედვა. თუკი არ არსებობს ღმერთი, არ არსებობს არანაირი მორალური საზღვარი და ადამიანი მარტოა ამ ქაოტურ სამყაროში. უიმედობის მიუხედავად, ასეთმა ხედვამ წარმოშვა სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლის სურვილი. სწორედ ამ ეპოქაში წარმოიქმნა პოსტმოდერნისტული ინდივიდუალიზმი, რომელიც დაინტერესებული იყო ცხოვრების ხარისხის დონით. მნიშვნელოვანი გახდა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ავტონომიურობა, თავისუფლება, ასევე ბედნიერების ინდივიდუალური აღქმა. ასეთმა ჰიპერინდივიდუალურობამ გაამწვავა პროტესტი სოციალური დამცირების ყველა ფორმის მიმართ, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ენობრივ ურთიერთობებზე. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში არსებობს სპეციფიური ეპისტემა – „პრობლემური ველი", რაც მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების დისკურსებს, რითაც იქმნება ცოდნის ერთიანი სისტემა – ეპისტემა. იგი რეალიზებულია სამეტყველო პრაქტიკაში, როგორც

მკაცრად განსაზღვრული ენობრივი კოდი, ნორმა, რომელიც თითქოსდა არაცნობიერად განსაზღვრავს ენობრივ ქცევას და შესაბამისად ცალკეული ინდივიდების აზროვნებას. ამრიგად, ეპისტემა შეესაბამება ენობრივი აზროვნების სპეციფიურ ხასიათს, ყველგან გამავალ დისკურსულობას, არსებითად განსაზღვრავს რა მისი ქმედების ნორმებს, გარე სამყაროს ფენომენთა სპეციფიკურ გაგებას, მისი ხედვის ოპტიკას და სინამდვილის აღქმას. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში 1968 წლის ხალხის მასობრივი გამოსვლები განაპირობა სწორედ ამ ეპისტემის რღვევამ.

15. 1968 წლის მაისის სტუდენტური გამოსვლების დროს ხალხმა გამოხატა თავისი ნება და გაილაშქრა ხელისუფლების და არსებული ჩვეულებების წინააღმდეგ. ამ მოძრაობაში ჩაება მთელი ფრანგული საზოგადოება, ყველა ფენა - ჩვეულებრივი მოქალაქეები, პროფესორ-მასწავლებლები, მუშა-მოსამსახურეები და რაც მთავარია ამ მოძრაობის სულისჩამდგმელები - სტუდენტები. თითოეულ მათგანს გარკვეული მოთხოვნა ჰქონდა: მუშა-მოსამსახურეები მოითხოვდნენ ხელფასების გაზრდას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, არსებული იერარქიისა და ავტორიტარული პრინციპების უარყოფას, მთავრობის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას, თითოეულის ღირსების აღიარებას, ანუ სოციალური მოწყობის სტრუქტურების გარდაქმნას. სტუდენტები კი სწავლის პირობების გაუმჯობესებას – მათ შორის უთანასწორობის გაუქმებას, პროფესორ-მასწავლებლების კორუმპირებულობის, კორიდორში ჩატარებული ლექციების მოშლას, სტუდენტების რიცხვის ზრდის პრობლემის გადაჭრას, სტუდენტთა ახალი მასებისათვის მასწავლებლების საკმარისი რაოდენობით გაზრდას, სწავლის საერთო დონის ამაღლებას. კონფლიქტის მთავარი მიზეზი კი იყო ის, რომ ხელისუფლება ანუ ძალაუფლების მქონე კლასი არ ითვალისწინებდა საზოგადოების მეორე ნაწილის ანუ მართული კლასის მოთხოვნებს. მთავრობის მიერ ხმამაღლა წარმოთქმული დანაპირები და ხალხის ცხოვრების დონე განსხვავდებოდა. სწორედ ამის გამო გაჩნდა ინტერესთა კონფლიქტი. რაკი ხელისუფლებამ ვერ გაუგო ხალხს, ამიტომ ხალხმა სცადა ხმა მიეწვდინა მათთვის ქუჩაში გამოსვლით, რამაც გამოიწვია საფრანგეთში 1968 წლის მაისში მასობრივი აქციები. როგორც ზემოთ აღინიშნა გარკვეული იდეოლოგიის ფორმირებამ ლიდერების ხელმძღვანელობით გააღვიძა ხალხის შეგნებაში თავისუფლების, თანასწორობის, ბრძოლის წყურვილი. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად საფრანგეთის ხელისუფლება წავიდა დათმობებზე. ხალხმა გაიმარჯვა, დაიწყო რეფორმებისა და პროგრესის ეპოქა.

16. აღსანიშნავია, რომ ენა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს პოლიტიკური დათრგუნვისათვის, ეკონომიკური და სოციალური დისკრიმინაციისათვის. პოლიტიკოსი ენას იყენებს საკუთარი მიზნებისათვის. გამოვყავით კომუნიკაციის ისეთი ენობრივი საშუალებები, როგორიცაა მეტყველების ილოკუციური აქტები და შესაბამისად ხუთი ილოკუციური მიზანი (ასერტიული, კომისიური, დირექტიული, დეკლარაციული, ექსპრესიული). ამ შემთხვევაში ჩვენ ილოკუციური აქტი დავუკავშირეთ დარწმუნების აქტს, როცა ერთ ადამიანს სურს მეორის ან მთელი პუბლიკის დარწმუნება; ჩვენ განვიხილეთ შარლ დე გოლის პოლიტიკური დისკურსი და ვნახეთ, რომ მის მიერ წარმოთქმულ დისკურსს გააჩნია დეკლარაციული ილოკოციური მიზანი. იგი დარწმუნებულია წარმოთქმული მეტყველების აქტის წარმატებულ დასრულებაში. დე გოლი იყენებს გულწრფელობისა და ინტერესის (საუბრის) კანონებს, რაც მის დისკურსს დამაჯერებლობას მატებს. პრეზიდენტი ასევე მიმართავს არგუმენტაციას, კერძოდ იყენებს ავტორიტეტის არგუმენტს. მხარდაჭერის შემთხვევაში იგი ხალხს ჰპირდებოდა სიტუაციის გამოსწორებას, იზიარებდა მათ მოსაზრებებს და ეთანხმებოდა, რადგანაც ეს იყო ხალხის დარწმუნების ერთადერთი გზა. დე გოლის გამოსვლაში შეიმჩნევა კომპეტენციის მოდალიზაციის ოთხივე კატეგორია: ნება-სურვილი, ვალდებულება, შესაძლებლობა და ცოდნა. იგი აცხადებდა, რომ მან უნდა გააკეთოს, იცის როგორ გააკეთოს და შეუძლია გააკეთოს. იგი დარწმუნებული იყო თავის თავში და საკუთარ შესაძლებლობებში. კვლევაში გამოვყავით, რომ პოლიტიკური ლექსიკა ტერმინოლოგიურია. წმინდად პოლიტიკური ენობრივი ნიშნები ყოველთვის არ გამოიყენება ისე, როგორც ჩვეულებრივ ენაში. დე გოლის პოლიტიკური დისკურსისათვის ასევე დამახასიათებელი იყო სპეციფიური ტერმინების ხმარება. სწორედ ეს განაპირობებდა მისი მეტყველების აქტის ეფექტურობას.

17. მოძრაობა, რომელიც დაიწყო ფრანგი სტუდენტების უკმაყოფილებით, გაგრძელდა მათი გამოსვლებით, მოიცვა მთლიანად საფრანგეთი და მთელი საზოგადოება, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისათვის. თუმცა ჩვენ ეს გამოსვლები გვაინტერესებს ენობრივი თვალსაზრისით, ამიტომ უნდა გამოიყოს კონცეპტოსფეროს როლი ფრანგი ხალხის ილოკუციურ გამონათქვამებში და ის, რომ ყოველი მოლაპარაკე პირი არის გარკვეული კონცეპტუალური სისტემის მატარებელი. კონცეპტი წარმოადგენს სინამდვილის იმ მოვლენათა ერთობლიობას, რომელიც ღირებულია გარკვეული კულტურისათვის და გააჩნია

ენობრივი ერთეულების დიდი რაოდენობა. ჩვენს კვლევაში გამოვყავით ისეთი კონცეპტები, როგორიცაა *ნებელობა, თანამშრომლობა, ბრძოლა და თავისუფლება.* ეს კონცეპტები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგან თავისუფლების მოსაპოვებლად საჭიროა ბრძოლა, ხოლო ბრძოლის გასამართავად აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა. ამ ყველაფრისათვის კი მნიშვნელოვანია ნება-სურვილის ქონა. როგორც ვნახეთ, ხალხი საფრანგეთში ამ მოვლენების დროს იყენებდა ყველა ამ კონცეპტს თავის ილოკუციურ გამონათქვამებში, კერძოდ დეკლარაციულ და დირექტიულ ილოკუციურ გამონათქვამებში.

18. ამგვარად, კომუნიკაციის დამყარების მრავალი საშუალება არსებობს, თუმცა ადამიანები ამისათვის იყენებენ ენას, მეტყველებას. მიუხედავად ენათა მრავალფეროვნებისა, ყველა პოლიტიკოსი ერთ ენაზე ლაპარაკობს. პოლიტიკური კომუნიკაცია არის ინდივიდებსა და ჯგუფებს ანუ მმართველებსა და მართულებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესი. მართულები უნდა წარმოადგენდნენ საკუთარ სურვილებს, თხოვნებს, მოთხოვნებს, მმართველები კი უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებებს. კომუნიკაცია ძირითადად მყარდება მედიის საშუალებით, ორგანიზაციების (პოლიტიკური პარტიები), არაფორმალური კონტაქტებით (პირისპირ შეხვედრა). ყველა მმართველი გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი მოსაზრებით და არა ობიექტური რეალობის მიხედვით. კომუნიკაციის უნარი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოს მართვაში. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ მმართველი კლასი და მართული კლასი, ჩვენი აზრით, ყოველთვის განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და ეს აფერხებს მათ შორის შეთანხმების მიღწევას. მნიშვნელოვანია, რომ მმართველი და მართული კლასი კომუნიკაციის დასამყარებლად განსხვავებულ ენობრივ საშუალებებს იყენებს და ასევე ინფორმაციის გადაცემის საშუალებებიც განსხვავდება. მმართველები ძირითადად იყენებენ რადიოს, ტელევიზიას, პრესას, ხოლო მართულები გამოდიან ქუჩაში, მასობრივ გამოსვლებს აწყობენ და ასე გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებსა თუ პოზიციას.

ჩვენ ნაშრომში შევეცადეთ კომუნიკაციის ენობრივი საშუალებებით დამყარების თანამედროვე ხედვა წარმოგვედგინა, თუმცა ამ საკითხის ახლებური კვლევა მომავლის საქმეა.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. ადამი 2001: Adam. J. M. - „ Types de textes ou genres de discours. Comment classer les textes qui disent de et comment faire?'' in Langages 141, Paris, Larousse/HER, mars 2001, pp. 23-41

2. ადამი 1997: Adam.J.M. Bonhomme.M. - „L'argumentation publicitaire'', Paris, Nathan, 1997

3. აკომბრი 1983: Anscombre.J.P. Ducrot.O. – „L'argumentation dans la langue'', Bruxelles, Mardaga, 1983

4. ალბერი 1968: Albert.P. - „ La presse'', coll. Que sais-je? , Paris, PUF, 1968

5. აჟეჟი 1985: Hagege.Cl. - „ L'homme de paroles'', Paris, Librairie Arthème Fayard, 1985, pp.138-150

6. არშარი 1993: Archard.P. - „La sociologie du langage'', Paris, PUF, 1993

7. ბადალონი 1984: Badaloni.N. - „Politica persuasione decisione // Linguaggio, persuasione, verita" – Padova: Cedam (Milani), 1984, pp.3-18

8. ბალი 1999: Balle.F. - „Médias et sociétés", E.S.A., Montchrestein, 1999, pp. 43-59

9. ბარტი 1980: Barthes.R. - „Le degré zéro de l'écriture'', Paris, Le Seuil, 1980

10. ბაუმგარტნერი 1993: Baumgartner, F.R., Jones, B.D.- „Agendas and instability in American politics", Chicago: University of Chicago Press, 1993

11. ბახტინი 1986: Бахтин.М.М. - „Эстетика словестного творчества", Москва, Исскуство, 1986

12. ბეაკო 2004: Beacco.J.C. - „Trois perspectives linguistiques sur la notion du genre discursif'', in Langages, Larousse, Paris, 2004, pp.109-118

13. ბეილონი 2002: Baylon.C. -„Sociolinguistique'', Société, langue et discours, Paris, II éd. Nathan/VUEF, 2002

14. ბეილონი 1996: Baylon.C. Mignot.X. - „Initiation à la sémantique du langage'', Paris, Nathan, 1996

15. ბელენჟერი 1992: Bellenger.L. - „L'argumentation, principes et méthodes'', Paris, ESF, 1992

16. ბელენჟერი 1989: Bellenger.L. - „Le talent de communiquer'', Paris, Nathan, 1989

17. ბენვენისტი 1966: Benveniste.E. - „Problèmes de linguistique générale'', Paris, Gallimard, 1966

18. ბერტუ-პაპანდროპულუ 2004: Berthoud-Papandropoulou.I. Kilcher.H. - „Acquisition du langage et genres énonciatifs'', in Langages 153, Paris, Larousse, 2004, pp.52-61

19. ბერშტეინი 1989: Berstein.S. - „La France de l'expansion'', La République gaullienne 1958-1969, Paris, Seuil, 1989

20.ბორდრონი 2000: Bordron.J.F. Fontanille.J. - „Sémiotique du discours et tensions rhétoriques'', in Langages, Paris, Larousse, 2000,pp.63-84

21. ბუაიე 2001: Boyer.H. - „Introduction à la sociolinguistique'', Paris, Dunod, 2001

22. ბუდონი 2000: Boudon.Ph. - „Entre Rhétorique et dialectique, la constitution des figures d'argumentation'', in Langages, Paris, Larousse, mars 2000, p.63

23.ბუდონი 1999: Boudon.Ph., Besnard.Ph., Cherkaoui.M., Lecuyer.B.P.- „Dictionnaire de la sociologie'', Paris, Larousse-Bordas/HER, 1999

24.ბურდიე 1982: Bourdieu.P. - „Ce que parler veut dire'', Paris, Librairie Arthème Fayard, 1982, pp.95-112

25.ბურდიე 1984: Bourdieu.P. - „Questions de sociologie'', Paris, Minuit, 1984,pp225-237

26.ბურდიე 1996: Bourdieu.P. - „Sur la télévision'', Paris, Raisons d'Agir Editions, 1996,pp16-89

27.ბრასაკი 2001: Brassac.C. - „L'interaction communicative entre intersubjectivité et interagentivité'', in Langages, Paris, Larousse/VUEF, 2001, pp.39-55

28. ბრეტონი 1996: Breton.Ph. - „L'argumentation dans la communication'', Paris,Découverte, 1996

29. ბრეტონი 1996: Breton.Ph. Proulx.S. - „L'explosion de la communication, la naissance d'une nouvelle idéologie'', Paris, Découverte et Editions du Boréal, 1996

30. ბროსოლეტე 2002: Brossolette,S.P. - „Nicolas Sarkozy – ami de tout le monde dans les médias et les affaires" [ონლაინ სტატია](განთავსებულია 2002 წლის 21 მაისიდან) მის:http://forestent.free.fr/sarko.html

31. გაიარი 1971: Gaillard.Ph. - „Technique du journalisme'', coll.Que sais-je? PUF, Paris, 1971, pp.3-41

32. გარანდო 1998: Garandeau.M. -„Le libéralisme'', Paris, Flammarion, 1998

33. გემპერსი 1989: Guemperz.J.J. - „Engager la conversation. Introduction à la sociolinguistique interactionnelle'', Paris, Minuit, 1989

34. გვენცაძე 1986: გვენცაძე.გ. - „კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ტიპოლოგია", თბილისი, გამომცემლობა „განათლება", 1986

35. გიომუ 1989: Guillhaumou.J. - „La langue politique et la révolution francaise: De l'évènement à la raison linguistique'', Paris, Meridiens Klincksieck, 1989

36. გოლოპენტია 1988: Golopentja.S. - „Interaction et histoire conversationnelles'', in „Echanges sur la conversation'', Paris, éd. Du CNRS, 1988, pp69-81

37. გოფმანი 1987: Goffman.E. - „Façons de parler'', ParisMinuit, 1987, pp.11-84
38. გრავიცი 1996: Grawitz.M. -„Méthodes des sciences sociales'', Paris, éd. Dalloz, 1996
39. გრაისი 1982: Grize.H.P. - „De la logique de l'argumentation'', Paris, Librairie Droz, 1982, p.267
40. გრაისი 1985: Грайс.Г.П. -„Логика и речевое общение", в „Новое в зарубежной лингвистике", М. вып.16, лингвистичесская прагматика, Изд.Наука, 1985, стр.217-237
41. გრემასი 1987: Greimas.A.J. – „Langage et société'', Ecrits de jeunesse, Paris, Nathan, 1987
42.გრემასი 1986: Greimas. A.J. Courtès.J. - „Sémiotique, dictionnaire raisonné de la théorie du langage'', tome II, Paris, Hachette, 1986, pp102-108
43. დე გოლი 1996: De gaulle.Ch. - „Mémoires d'espoir'', Paris, Omnibus/Plon, 1996
44. დემიანკოვი 2005: Демьянков.В.Зю - „Политический дискурс как предмет политологической филологии", Москва, Изд.Наука, 2005, стр.11-12
45. დიურერი 1999: Durrer.S. Tomasset. Cl. - „Le dialogue dans le roman'', Paris, Nathan, 1999, pp8-13
46. დრიძე 1984: Дридзе.Т.М. - „Текстовая деятельность в структуре социальной коммуникации", Москва, Изд.Наука, 1984
47.დუბუა 1969: Dubois.J. Sumpf.J. - „Problèmes de l'analyse du discours", in Langages 13, Paris, Larousse, 1969, pp3-7
48. დუკრო 1987: Ducrot.O. - „Dire et ne pas dire", Principes de sémantique linguistique, Paris, Hermann, coll. Savoir, 1987, p311
49. ენტმანი 2000: Entman, R.- „Framing: toward clarification of a fractured paradigm", Journal of Communication #43(4), Autumn, 1993, pp51-58
50. ენტმანი 2001: Entman, R., Herbst, S. „Reframing Public opinion as we have known it", in W. Lance Bennet and R. Entman (eds) Mediated Politics, Cambridge: Cambridge University Press, 2001
51. ვიკიპედია 2004: Wikipedia - „Charles de Gaulle" [ონლაინ სტატია](განთავსებულია 2004წლის22თებერვლიდანმის:http://fr.wikipedia.org/wiki/Charles_de_Gaulle#Appel_du_18_juin_1940
52. ვიკიპედია 2008: Wikipedia - „Kofi Annan" [ონლაინ ენციკლოპედია] (განთავსებულია 2008 წლის 24 თებერვლიდან) მის: http://en.wikipedia.org/wiki/Kofi_Annan#Speeches
53. ვიკიპედია 2006: Wikipedia - „Richard Nixon" [ონლაინ ენციკლოპედია] (განთავსებულია 2006 წლის 13 თებერვლიდან) მის:http://en.wikipedia.org/wiki/Richard_Nixon

54. ვიკიპედია 2002: Wikipedia - „Wag the dog” [ონლაინ ენციკლოპედია] (განთავსებულია 2002 წლის 21 მაისიდან) მის:http://en.wikipedia.org/wiki/Wag_the_Dog
55.ვიკიპედია 2008: Wikipedia - „William Randolph Hearst” [ონლაინ რნციკლოპედია] (განთავსებულია 2008 წლის 23 თებერვლიდან) მის: http://en.wikipedia.org/wiki/William_Randolph_Hearst
56. ვინოკი 1997: Winock.M. - „Le siècle des intellectuels’’, Paris, Seuil, 1997, pp.564-566
57. ვინოკი 1995: inock.M. - „La fièvre hexagonale’’, Les grandes crises politiques 1371-1968, Paris, Seuil, 1995
58. ზუბკოვა 1989: Зубкова.Л.Т. - „Лингвистические учения конца XVIII века начала XX века”, Москва, Изд. Университета дружбы народов, 1989, стр.138-145
59. იაკობსონი 1970: Jacobson.R. - „Essais de linguistique générale’’, Paris, Le Seuil, 1970, p95
60. ილიინი 2002: Ильин.И.И. - „Постмодернизм”, Москва, Изд.Наука, 2002
61. კაგანი 1988: Каган.М.С. – „Мир общений”, Москва,Изд. Политической литературы, 1988, стр.50-75
62. კაიზერი 1988: Kayser.H. - „Quelques aspects de la compréhension et de la production du langage dans l’interaction verbale:approche cognitive et approche conversationnelle’’, in „Echanges sur la conversation’’, Paris, éd.du CNRS, 1988, pp.135-143
63.კამენსკაია 1990: Каменская.О.Л. - „Текст и коммуникация”, Москва, Изд.Наука, 1990
64. კანდარუნი 1988: Kandaroun.R. - „Contraintes et resources du modèle de la communication ostensive-inferentielle pour l’analyse des cours d’actions collectives et coopératives de travail’’, Toulouse, 1998, pp.1-7
65. კერბრატ-ორეკიონი 2004: Kerbrat-Orecchioni.C. Traverso.V. - „Types d’interactions et genres de l’oral’’, in Langags, Paris, Larousse, 2004, pp.41-51
66. კლარკი 1985: Кларк.Г.Г. Карлсон.Т.Б. - „Слушающие и речевой акт”, в „Новое в зарубежной лингвистике”, вып.16,лингвистичесская прагматика, М. 1985,стр270-280
67. კონიე 1999: Cosnier.J.Kerbrat-Orecchioni.C. - „Décrire la conversation’’, Lyon, Presses Universitaires de Lyon, Linguistique et sémiologie, 1999, p392
68. კოსიკოვი 2002: Косиков. Г.К. - „Идеология, коннотация,текст”, Москва, Изд.Наука, 2002
69. კრისტევა 1969: Kristeva.J. - „Recherches pour une semanalyse’’, Paris, Le Seuil, Paris, 1969,pp.55-76
70.კულონი 1998: Coulon.A. - „L’Ethnométhodologie’’, coll.Que sais-je? Paris, PUF, 1998, p127

71. ლაბოვი 1986: Лабов.У. - „Отражение социальных процессов в языковых структурах”, в „Новое в зарубежной лингвистике”, вып.7, М. „Прогресс”, 1986

72. ლაბოვი 1978: Labov.W. - „Le parler ordinaire”,Paris, éd. De Minuit, 1978, chap.8

73. ლაბრო 1968: Labro.Ph. - „Les Barricades de Mai”, Paris, Solar/Agence, Gamma, 1968

74. ლაიონზი 1970: Lyons.J. - „Linguistique générale’’, Paris, Larousse, 1970, p.137

75. ლადარია 2000: ლადარია. ნ. - „სოციოლინგვისტიკა”, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება”, 2000

76. ლებანიძე 1998: ლებანიძე.გ. - „ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა”, თბილისი, უნივერსიტეტი, 1998

77. ლე ბონი 1986: Le Bon, G. - „The Crowd. A study of the popular Mind”, Atlanta, GA, Cherokee publishing company, 1982

78. ლიოტარი 1994: Lyotard.J.F. -„La condition postmoderne’’, Paris,Minuit, 1994

79. ლიპოვეცკი 1991: Lipovetsky.G. - „L’Empire de l’éphémère’’, Paris, Gallimard, 1991

80. ლუისი 2001: Lewis.J. - „Constructing public opinion: How political elites do what they like and why we seem to go along with it”, New York, 2001

81. მაკაროვი 2003: Макаров.М. - „Основы теории дискурса”, Гнозис, Москва, „Наука”, 2003

82. მასლოვა 2004: Маслова.В.А. - „Введение в когнитивную лингвистику”, Учебное пособие для филологов, изд. „Флинта”, Москва, Наука, 2004

83. მენგენო 1999: Maingueneau.D. - „Enonciation en linguistique française’’, Paris, Hachette livre, 1999, pp.119-140

84.მენგენო 1987: Maingueneau.D. -„Nouvelles tendances en analyse du discours’’, Paris, Hachette, 1987

85. მერლი 1970: Merle.R. -„ Derrière les vitres’’, Coll.Folio, Paris, Gallimard, 1970

86. მიმინოშვილი 1988: მიმინოშვილი, რ. - „ჰომეროსის სამყარო”, თბილისი, გამომცემლობა ნაკადული, 1988, გვ.263-264

87. მოსკოვიცი 1981: Moscovici.S. - „The age of the crowd. A historical treatease of Mass Psychology”, Cambridge: Cambridge University Press, 1985

88. მოშლერი 1981: Moeschler.A. - „Discours polémique, réfutation et résolution des séquences conversationnelles’’, Génève, Etudes de linguistique appliquée 44, octobre-décembre,1981, pp.40-69

89. ნოელ-ნიუმანი 1984: Noelle-Newman, E. - „The Spiral of Silence”, Our Social skin, in Political Communication, vol16, 1984

90. ოშლენი 1988: Auchlin.A. - „Dialogue et stratégies: propositions pour une analyse dynamique de la conversation'', in „Echanges sur la conversation'', Paris, éd. Du CNRS,1988, pp.33-37

91. პერელმანი 1988: Perelman,Ch. - „L'Empire rhétorique'', Paris, Vrin, 1988

92. პეტიტფისი 1977: Petitfils.J.C. - „Le gaullisme'', coll.Que sais-je? Paris, PUF, 1977

93. პრატკანისი 1991: Pratkanis.A.P., Aronson.E. - „Age of Propaganda. The everybody use and abuse of persuasion", New York: W.H. Freeman and company, 1991

94. ჟაკი 1988: Jacques.F. - „Trois stratégies interactionnelles: conversation, négociation, dialogue'', in „Echanges sur la conversation'', Paris, éd. Du CNRS, 1988, pp.45-66

95. რაფენი 2000: Raffin.F. Morfaux.L.M. -„L'homme et le monde'', Paris, Armand Colin, 1977, pp66-68

96. რატი 2000: Ratte.Ph. - „De Gaulle la vie la légende'', Paris, Larousse-Bordas/HER, 2000

97. რემი-ჟირო 1988: Remi-Giraud.S. -„Les fonctions interactionnelles dans le dialogue'', in Echanges sur la conversation'', Paris, éd. du CNRS, 1988, pp.83-94

98. როკი 1999: Rock. A. - „World Aids day" [ონლაინ სტატია](განთავსებულია 1999 წლის 1 დეკემბრიდან) მის: http://www.hc-sc.gc.ca/ahc-asc/minist/speeches-discours/1999_12_01_e.html

99.სერლი 1986: Серль.Дж. - „Классификация иллокутивных актов", в „Новое в зарубежной лингвистике", вып.17, М. „Прогресс", 1986

100. სერლი 1986: Серль.Дж. - „Косвенные речевые акты", в „Новое в зарубежной лингвистике", вып.17, М.„Прогресс", 1986.стр.195-203

101. სერლი 1986: Серль.Дж. Вандервекен.Д. - „Основные понятия исчисления речевых актов", в „Новое в зарубежной лингвистике", вып.17, М. „Прогресс", 1986.стр.243-285

102. სერლი 1986: Серль.Дж. – „Что такое речевой акт", в „Новое в зарубежной лингвистике", вып.17, М. „Прогресс", 1986

103.სმეზლერი 1988: Смезлер.Н. - „Социология", М., Феникс, 1988

104.სმირნოვი 2005: Смирнов.И. - „Клоны и ангелы" в „ Независимая Газета", Москва, 2005

105. სპერბერი 1989: Sperber.D. Wilson.D. - „La pertinence. Communication et cognition'', trad.franc. Paris, éd. de Minuit, 1989

106. სტროსონი 1986: Стросон.П.Ф. - „ Намерение в речевых актах", в „Новое в зарубежной лингвистике", вып.17, М. „Прогресс", 1986

107.სუშინსკი 1987: Сущщинский.И.И. - „Коммуникативно-прагматическая категория акцентирования и ее роль в вербвльной коммуникации", ВЯ 6,1987

108. ტერუ 1962: Terrou.F. - „L'information'', coll.Que sais-je? Paris, PUF, 1962, pp3-13

109. ტოდოროვი 1977: Todorov.T. - „Théories du symbole'', Paris, Seuil, 1977

110. ტრონიონი 1988: Trognon.A. - „Comment représenter l'interaction? In „Echanges sur la conversation'', Paris, éd. du CNRS, 1988, pp.19-30

111. ტრონიონი 2001: Trognon. A. Coulon.D. - „La modélisation des raisonnements générés dans les interlocutions'', in Langages, Paris, Larousse/VUEF, 2001

112. ტუშარი 1978: Touchard.J. - „Le Gaullisme 1940-1969'', Paris, Seuil, 1978, pp.278-289

113. ფერეოლი 1995: Ferréol.G. - „Vocabulaire de la sociologie'', coll. Que sais-je? Paris, PUF, 1995

114. ფილოზოფი 1969: Filosof.V. - „ Mai 68'', Paris, le temps, 1969

115. ფონსეკა 2001: Fonseca. M. - „Aids warning issued by UN" [ონლაინ სტატია] (განთავსებულია 2001 წლის 4 ოქტომბრიდან) მის: http://www.abc.net.au/worldtoday/stories/s382699.htm

116. ფონტანიე 1977: Fontanier.P. - „Les figures du discours'', Paris, Flammarion, 1977

117. ფონტანილი 1998: Fontanille.J. - „Sémotique du discours'', Paris, Pulim, 1998

118. ფორე 1998: Fauré.C. - „Mai 68 jour et nuit'', Paris, Gallimard, 1998, pp.99-119

119. ფუკო 1966: Foucault.M. - „Les mots et les choses", Paris, Gallimard, 1966

120. შვარცენბერგი 1988: Schwartzenberg.R.G. - „Sociologie politique'', Monchrestein, E.J.A., 1988, pp.124-136

121. შისი 2001: Chiss.J.L. Filliolet.J. Maingueneau.D. - „Introduction à la linguistique française'', tome II: syntaxe,communication, poétique, Paris, Hachette livre, 2001, pp.72-87

122. ჰაბერმასი 2003: ჰაბერმასი, ი. - „მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები", ქუთაისი, საგამომცელო ცენტრი, 2003

123. ჰერმანი 1988: Herman. H.S., Chomsky.N.- „Manufacturing Consent", Vintage, 1988